

K 193 633  
3

სპთ. არაბული



მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება  
და მნიშვნელობა კველ  
ქართულში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ენათმეცნიერების ინსტიტუტი



ავტ. არაბული

მესამე სერიის ნაკვეთულთა  
წარმოება და მნიშვნელობა  
ძველ ქართულში



თბილისი  
„მეცნიერება“

1984



მნა ქახიჯა ენაში  
ქახიჯა ენის ისტორია

ნაშრომი მიზნად ისახავს ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლთა მონაცემების საფუძველზე წარმოდგინოს დრო-კილოთა მესამე სერიის სრული სურათი, რაც შეიძლება ამომწურავად აღწეროს ამ სერიაში შემავალი ნაკვეთები, თვალი მიადევნოს ფორმათა გენეზისსა და განვითარების ღინამიკას, გამოკვეთოს მათი ძირითადი ფუნქციები.

ნაკვეთელთა საანალიზო ჯგუფმა ჩამოყალიბებისა და განვითარების რთული გზა განვლო. თანამედროვე ენობრივ მონაცემებსა და პროცესებში გარკვევა ისტორიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია — ისტორია მრავალ სადავო საკითხს ჰყენს შუქს. ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩვენამდე მოღწეული ძეგლები ძვირფას მასალას გვაწვდიან ისტორიული მორფოლოგიის არსებითი საკითხების სწორი გაშუქებისათვის.

ნაშრომში დასმული საკითხები ქართული ზმნის მორფოლოგიის ბევრ ძირითად ასპექტს მოიცავენ. ამ საკითხების ანალიზი ყოველთვის წარმოდგენდა ქართული ენათმეცნიერების შეუწყნებელი ყურადღების საგანს.

რედაქტორი პროფ. ი. მ. ჯ ა მ თ ა რ ა ძ ე

ქ. თბილისი, ხს. სსა  
საქართველოს  
რესპუბლიკის  
აქადემიის

საგვ-2011  
გეგმვა

K 193.633  
3

## შინაარსი

წინასიტყვაობა	5
საკითხის შესწავლის ისტორია	8
დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ნაკვეთულთა გამოყოფის საკითხი	18
მორფოლოგიური წყობისა და სინტაქსური კონსტრუქციის საკითხები დრო-კილოთა მესამე ჯგუფში	20
§ 1. ინვერსიის საკითხი გარდამავალი ზმნის დრო-კილოთა III ჯგუფში	21
§ 2. კონსტრუქციის საკითხი დრო-კილოთა III ჯგუფში	24

### თ ა ვ ი I. გარდამავალი ზმნების წარმოება დრო-კილოთა III ჯგუფში

1. თურმეობითი პირველი	28
§ 3. I თურმეობითის საყრდენი ფუძე	28
§ 4. თურმეობითი I-ისა და სტატიკურ ზმნათა ურთიერთობისათვის	34
§ 5. -იე დაბოლოების საკითხი I თურმეობითში	37
§ 6. პირთა მიმართების -ი-  -უ- აფიქსები თურმეობით პირველში	39
§ 7. ობიექტური პირის პრეფიქსთა ანალიზი	42
§ 8. მესამე სუბიექტური პირის სუფიქსთა ანალიზი	43
§ 9. რეალური ობიექტის მრავლობითობის ასახვა	46
§ 10. -ია დაბოლოებისა და მეშველზმნიან ფორმათა წარმოშობის საკითხი I თურმეობითში	47
§ 11. სპორადულად გამოვლენილ S <sub>3</sub> პირის -ნ  -დ, -ენ  -ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის	52
2. თურმეობითი მეორე	61
§ 12. საერთო ფორმობრივი ანალიზი	61
§ 13. ობიექტური რიგის ნიშნები	62
§ 14. S <sub>3</sub> პირის სუფიქსთა ანალიზი	63
§ 15. დამატებითი კომპინაციის ფორმები თურმეობით II-ში	65
§ 16. ძველი II თურმეობითის ზოგი ფორმა ახალი ქართულის მონაცემების ფონზე	66



- § 17. თურმეობითი მეორისა და ენიანი ვნებითის ნამყოს ფორმობრივი დამთხვევებისათვის . . . . . 67
- § 18. I და II თურმეობითში ისტორიულად ჩართულ -ს სწავლების მეთოდები . . . . . 69

- 3. კავშირებითი მესამე . . . . . 70
- 4. ხოლმეობითი მესამე . . . . . 73

თ ა ვ ი II. რეალტიურ-ბარდაუშვალნი ზმნების დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის ძველ ქართულში

- § 19. რელატიურ-გარდაუვალნი ზმნების ანალიზურ ფორმათა კვალი-ფიკაციის საკითხები . . . . . 79
- § 20. რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფის სინთეზური წარმოების საკითხები . . . . . 92

თ ა ვ ი III. აბსოლუტურ ზმნათა III ჯგუფის წარმოება

- § 21. ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბების საკითხები . . . . . 98
- § 22. დიფერენციაციის ასახვა ძველი ქართული ენის ძეგლებში . . . . . 118
- აბსოლუტურ ზმნათა III ჯგუფის საყრდენი მიმღეობის ანალიზი . . . . . 123
- § 23. ნამყო დროის სუფიქსური მიმღეობის მორფემული ანალიზი . . . . . 123
- § 24. ერთბირიანი უგვარო დინამიკური ზმნები III ჯგუფში . . . . . 129
- § 25. მიმღეობის ფუძის საკითხი . . . . . 133
- § 26. ანალიზური წარმოების ფორმირების ისტორიული სურათი . . . . . 136

თ ა ვ ი IV. მესამე ჯგუფის ნაკვთების ფუნქციური ანალიზი

- § 27. „თურ/მ/მ“ ნაწილაკი და „თურმეობითობის“ საკითხი დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმებში . . . . . 139
- § 28. თურმეობითი პირველისა და მეორის ძირითადი ფუნქციის საკითხები . . . . . 144
- § 29. თურმეობითი მეორის ფუნქციური ანალიზი . . . . . 151
- § 30. თურმეობითი II-ის ფუნქციური დამკვიდრების ისტორიული სურათისათვის . . . . . 164
- § 31. კავშირებითი მესამის ფუნქციები . . . . . 168
- § 32. მესამე ხოლმეობითის მნიშვნელობა . . . . . 173

- Резюме . . . . . 174
- გამოყენებული ლიტერატურა . . . . . 183
- შემოკლებათა განმარტება . . . . . 192

## წინასიტყვაობა

ქართული ზმნის ნაკვეთელთა სისტემის ის წევრები, რომლებიც ნ. მარის შემდგომ დრო-კილოთა III ჯგუფად არის გაერთიანებული, ნაკვეთელთა სისტემიდან უახლესი წარმოშობისაა. ამასთანავე, მათი განვითარებისა და ჩამოყალიბების დიდი მონაკვეთი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაზე მოდის. ამიტომაც ამ თვალსაზრისით ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლების მონაცემთა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება შეუძლებელია.

დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვეთების კვლევა მრავალ რთულ საკითხთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში თვით ამ ნაკვეთების ერთ ჯგუფში გაერთიანებისა და მათი სახელდების საკითხებია სადავო. ამ ჯგუფში გაერთიანებულ ნაკვეთებს სხვადასხვაგვარად იწარმოებენ გარდამავალი, რელატიურ-გარდაუვალი და აბსოლუტური ზმნები; ეს ზმნები წარმოგვიდგენენ სხვადასხვა ქრონოლოგიური დონისა და სხვადასხვაგვარი წარმომავლობის, აგრეთვე განსხვავებული განვითარების ტენდენციის მქონე ფორმებს, რომელთაც დადგინების საკმაოდ რთული გზა გაუვლიათ და ამ გზის გათვალისწინება საანალიზო ფორმათა სწორი ინტერპრეტაციის აუცილებელი წინაპირობაა.

**გარდამავალ ზმნათა** ანალიზი მორფოლოგიური წყობისა, კერძოდ, ინვერსიული წყობისა და სინტაქსური (დატიური) კონსტრუქციის საკითხებს სვამს. შემდეგ, გასარკვევია I თურმეობითში პირის ფორმანტთა ისტორიული მონაცვლეობის საკითხი, -იეს-ია პროცესის სურათი და სხვა. გაანალიზებულ უნდა იქნეს აგრეთვე I თურმეობითის სინთეზურ ფორმებში მეშველ ზმნათა გაჩენის ისტორია და მისი მიზეზები...

**რელატიურ-გარდაუვალ და აბსოლუტურ ზმნათა** III ჯგუფის ფორმების ისტორიული წარმომავლობისა და ჩამოყალიბების ანა-

ლიზი, რაც ქართული სალიტერატურო ენის ძეგლების მონაცემებით სრულიად შესაძლებელია, სვამს ზოგად საკითხებს ანალიზურ და სინთეზური წარმოების თანაარსებობის, ანალიზური კონსტრუქციების ენის სტრუქტურული შესაძლებლობებით განპირობებული განვითარებისა და დადგინების შესახებ. უფრო კონკრეტულად, აბსოლუტურ ზმნათა ანალიზური წარმოების კვლევა მოითხოვს გარკვეული კრიტერიუმების ჩამოყალიბებას ანალიზური კონსტრუქციების სინტაქსურ შეერთებათაგან გასარჩევად; ეს კრიტერიუმები გამოგვადგება ანალიზური კონსტრუქციების ფორმირების საფეხურების დასადგენად, მორფოლოგიზაციის პროცესების ასახვად და სხვა.

რელატიურ-გარდაუვალ ზმნებს, მართალია, საბოლოოდ სინთეზური ფორმები ჩამოუყალიბდათ, მაგრამ მათთვის ამოსავალში ანალიზური წარმოების შესაძლებლობაც არა ჩანს გამოსარიცხი; საჭირო ხდება ანალიზურ და სინთეზურ ფორმათა თანაარსებობისა და მათგან სინთეზურ ფორმათა ისტორიული დამკვიდრების მიზეზების ძიება...

დრო-კილოთა III ჯგუფის ფუნქციონალური ანალიზი მოითხოვს ყველა ნაკვეთელის მნიშვნელობათა, ფუნქციათა ცალ-ცალკე ძიებას, ძირითადი ფუნქციონალური ასპექტების გამოვლენას და მათგან არსებითისა და მეორეხარისხოვანის გამორჩევას (ეს ნაკვეთელთა სახელდების საფუძვლის დადგენასაც გულისხმობს); კერძოდ, აუცილებელია პერფექტულობის, შედეგობითობის (რეზულტატიურობის), უნახაობის, თურმეობითობის მნიშვნელობათა განვითარებისა და მათი ურთიერთმიმართების დინამიკაში ჩვენება, მათგან ძირითადისა და მეორეულის გამოყოფა; II თურმეობითისა და III კავშირებითის ფუნქციონალური ანალიზი აყენებს კავშირებითობის საკითხებს, აუცილებელს ხდის მათი შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციების ანალიზს, მათი ისტორიული ცვალებადობისა და დადგინების შესწავლას; ცალკე დგება III ხოლმეობითის ნაკვეთის საკითხი და სხვა.

ნაშრომის მიზანს შეადგენს არსებული ენათმეცნიერული ლიტერატურისა და ძველი ქართული სალიტერატურო ენის (V-XI სს.) ძეგლთა მონაცემების საფუძველზე თავი მოუყაროს ძირითად სა-

კითხებს, მოახდინოს მათი სისტემატიზაცია და, შესაძლებლობის შემთხვევაში, გარკვეული ინტერპრეტაცია მისცეს მათ. საჭიროების შემთხვევაში, სამეგრელოში გათვალისწინებულ იქნება სხვა ენათა ანალოგიური მსგავსებებიც, პირველ რიგში კი — ზანურ-სვანურისა და მთის კავკასიური ენებისა.

ნაშრომის ძირითადი მასალები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკმაოდ დიდ მონაკვეთს — ექვს საუკუნეს — მოიცავს. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვთებს ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების რთული გზა გაუვლია და საფუძვლიანი ცვლილებებიც განუცდია, მაგრამ მხოლოდ ძველი ქართული ენის მონაცემებით ზოგიერთი მოვლენის შეფასება შეუძლებელი (ან საორჭოფო) ხდება; ისტორიული დინამიკის გასათვალისწინებლად კვლევა თანამედროვე სალიტერატურო ქართულისა და დიალექტების სფეროში გასვლასაც გულისხმობს.

როგორც ცნობილია, ენის სტრუქტურა მისი ისტორიითაა შეპირობებული. ენობრივი პროცესების კვლევისას თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიული მონაცემებით სარგებლობის შესაძლებლობა, ცხადია, დიდი სიმდიდრეა და ამ სიმდიდრეს ხელის ყრაც სჭირდება. ჩვენთვის უდავოა, რომ ენის ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე ენობრივი მონაცემის სწორი ინტერპრეტაცია აუცილებლად მოითხოვს ამ მონაცემის ისტორიის გარკვევას. ამიტომაც ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით ყოველი ენობრივი ფაქტი, ყოველი მოვლენა, სადაც კი ამის შესაძლებლობას რეალური მონაცემები იძლეოდა, ისტორიული დინამიკის, პროცესის თვალსაზრისით წარმოგვედგინა. ალბათ ამ მცდელობით იქნება განპირობებული ჩვენი ნაშრომის ღირსება-ნაკლოვანებანიც...

თემის გარშემო არსებული ყველა საკითხის ამომწურავი გაანალიზება კვლევის გაღრმავებას გულისხმობს.



## საკითხის შესწავლის ისტორია

დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმები ქართული გრამატიკული აზროვნების დასაწყისშივე იყო შენიშნული, მაგრამ მათი ერთ ჯგუფში გაერთიანება ნ. მარის დამსახურებაა. დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვეთელთა გამოყოფის ისტორია ლაკონურადაა გადმოცემული არნ. ჩიქობავას ერთ სპეციალურ წერილში [1, 93-98]. დრო-კილოთა III ჯგუფის პრობლემა ბევრ რთულ საკითხს მოიცავს. ამ საკითხების გარკვევა მოითხოვს სათანადო ენობრივი მასალისა და საკითხის შესწავლის ისტორიის საფუძვლიან გაცნობას, ამიტომ ძველ გრამატიკოსთა შეხედულებებს აღნიშნული ჯგუფის ნაკვეთელთა შესახებ უფრო დაწვრილებით შევხებით.

როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „ქართული ენის პრაქტიკულ გრამატიკებში ზმნის ნაკვეთებს (დროებს) ახასიათებდნენ ფუნქციის მიხედვით (და არა წარმოებისა კვალად!)“ [1, 93]. ამის გამო ცალკეული ჯგუფები კილოების მიხედვით გამოიყოფოდა, ხოლო კილოებს შიგნით ხშირად ერთი და იგივე ნაკვეთი მეორდებოდა გარკვეული კილოური მოდალობის გადმომცემი ნაწილაკებით.

ზ. შანშოვანის გრამატიკაში გამოყოფილია III ჯგუფის ორი ნაკვეთი: მარადის სრული (მიქნია) და ზესრული (მექნა), ხოლო „სანეტარძო“ კილოში დასახელებულია მავალითი: წართუმცა შემეტყო [2, 22]. წიგნში კავშირებითი III-ის ნიმუშებიც იჩენს თავს, ოღონდ ისევე „მარადის სრულის“ სახელით: ვიდრე დამებანოს, ვიდრე არ განზანილ ვიყო [2, 44].

აღ. ცაგარელს გამოცემის წინასიტყვაობაში მოჰყავს დროთა შესაბამისი ტერმინები შანშოვანთან და ანტონთან, რომელთაგან:

შ ა ნ შ.: მარადის სრული ა ნ ტ.: ნამყოფ უსრულესი

давно-про-  
шедшее I-ое  
давно-про-  
шедшее II-ое  
[2, XX-XXI].

ზესრული

ნამყოფ უუსრულესი

საგულისხმოა, რომ ზ. შანშოვანმა შენიშნა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათა სხვაობა დრო-კილოთა III ჯგუფის წარმოებაში:

სამოქმედო: მარადის სრული: მიქნია; ზესრული: მექნა;

საენებო: „————“: ვქნილვარ; „————“: ვქნილ-  
ყავ (2, 25—26).

ოღონდ ანალიზურ ფორმათათვის ერთნაირი დაწერილობა არ არის გატარებული: მეშველი ზმნა ზოგან ცალკეა გამოყოფილი (მიცემულ ვარ), თუმცა მესამე პირი ყოველთვის ახალი ქართული-საა (მიცემულა), რაც უკეთესად ასახავს იმდროინდელი ენის ვითარებას ანტონთან შედარებით (შდრ.: შანშ.: შეკრულა — ანტ.: შეკრულ არს).

ანტონი, როგორც აღნიშნულია, სამი კილოდან თხრობითსა და ნატვრითში ერთსა და იმავე ნაკვებებს ათავსებს — ნამყოფ უსრულესსა და ნამყოფ უუსრულესს, ოღონდ ნატვრითში („საწადი“) თურმეობითი I-ისა და II-ის ფორმებს „ვაშათუ“-ს ამატებს [1, 94]; ეს უკანასკნელი („საწადი სქესი“) მოქმედებას ან ვნებას კი არ აღნიშნავს, არამედ სურვილს [3, 144]. საინტერესოა ანტონის დაკვირვება ამ ფორმათა წარმოებაზე: „ესენი ნამყოფსა სრულისა დროესა შინათა ზმნათაგან წარმოებენ და თვსთა ნიშანთა უსრულესსა და უუსრულესს მყოფელთა განიკუთუნენ“ [4, 191]. ასევე საგულისხმოა პირის ნიშანთა გამოყოფის ცდა: „მაპიროვნენი ნამყოფსა უსრულესსა დროსა შინა არიან: პირველისა პირისა მიმართ — მ, მეორისა მიმართ — გ, და მესამისა მიმართ — უ, ნიადაგ და მარადის... ხოლო მამრავლედ პირველისა... — გვ, მეორისა და მესამისა — თ“. ნამყოფ უუსრულესშიც ასეთივე მდგომარეობაა, მხოლოდ III პირში ეპრეფიქსია გამოყოფილი [4, 192]. ანტონი დაბოლოებებად გამოყოფს: ა) ნამყოფ უსრულესში: 1. ს (მიტქუამს), 2. იეს (მიწერიეს)

და 3. ია (წარმოილა), „გარნაღა, რომელნიცა ზმნანი მეორესა მიიღ-  
ბენ — მესამესაცა და რომელნიცა მესამესა — მეორესა (დღი-  
ქრონოლოგიური დონეებია აღრეული); ბ) ნამყო უსრულესსა  
ა(მეხილუა) და ნა(მერწმუნა) — იშვიათადო [4, 192].

ზუსტად არის აღწერილი ანალიზურ ფორმათა წარმოება, როგორც ენობრივი მონაცემები უფრო ძველი ქართულისა: „ენე-  
ბითთა ზმნათა ნიშანი უსრულესსა ნამყოსა დროსა შინა არს  
ზმნაჲ არსებითი, აწყყოსა დროსა შინაჲ, სამთავე მიმართ პირთა,  
ვითარმედ პირველად ზმნაჲ იცუალების მიმლეობად, ნამყოდ ვენ-  
ბითად, და მერმელა დაედების თვთეულისა პირისა მიმართნი ზმნა-  
ნი არსებითნი, აწყყოსა დროსა შინანი: შეკრულ-ვარ, ხარ, არს,  
არიან... ხოლო მამრავლედ ჰქონან არსებითთა ზმნათა აწყყოსა  
შინა მამრავლენი, სამთავე პირთა მიმართ: შეკრულ ვართ...“ ნამ-  
ყო უსრულესში კი ნიშანი არის ნამყო დროში დასმული არსები-  
თი ზმნაო: მოწყლულ-ვიყავ [4, 192—193]. ამგვარად, ანალიზურ  
წარმოების საფუძვლად აღიარებულა ძირითადი ზმნის ნამყოს  
ვნებითის მიმლეობა, რომელსაც ერთვის მეშველი („არსებითი“) ზმნა,  
პირებში და დროში ცვალებადი. ვნებითის მიმლეობის ნიშ-  
ნებად გამოყოფილია: -ული (ქმნული), -ილი (განსჯილი), -ნა (ნა-  
სიტყვი) და -არი (ნაქმარი) [4, 204].

გაიოზ რექტორი ძირითად ხაზებში ანტონს მისდევს; აღსა-  
ნიშნავია შემდეგი: ჯერ კიდევ დ. ყიფიანი აღნიშნავდა, რომ გაიოზ  
რექტორი მ-ნიშნაჲ ზმნებს გამოყოფსო [5, 114—115]. არნ. ჩი-  
ქობავაც მას მიაწერს იმ ზმნების გამოყოფას, რომელთაც აწყყოს  
პირველ პირში (მხოლოდობითში) მანი აქვთ ნიშნად [6]; ამასვე  
იმეორებს ელ. ნიკოლაიშვილი [7, 24]. გაიოზ რექტორი ამ ნიშ-  
ნებს გამოყოფს „მეორისა უღლულებისა შემოქმედებითა ზმნა-  
თა“:

მხ.: მ, გ, ჰ-ს

მრ.: გვ, გჰ-თ, ჰ-თ [7, 71];

73-ე გვერდის სქოლიოში კი მიუთითებს, რომ „ყოველი ზმნა  
შემოქმედებითი ნამყოსა უსრულესსა და უუსრულესსა დროსა

შინა მაპიროვნებლად შიიღებენ მეორისა უღლვლებისა მაპიროვნებელთა ნიშანთა“.

გაიოზ რექტორის სხმით-გარდასლვითი და მრჩობლ-სწოხით-გარდასლვითი კონტაქტების განხილვისას სხვადასხვა ოდენობად ვეგს დასახული ძველი -იეს დაბოლოებიანი და ახალი -ია დაბოლოებიანი I თურმეობითი: პირველს ის ნამყო უსრულს უწოდებს (დამიწერინებიეს, დამიწერინებინებიეს), მეორეს — უუსრულესს (დამიწერინებია) [7, 97—100].

„კალმასობის“ ავტორი არსებითად განხილულ გრამატიკოსებს (კერძოდ, გაიოზ რექტორს) მისდევს [8, 150—160].

ს. დოდაშვილის გრამატიკა იმეორებს ანტონთან და გაიოზ რექტორთან მოცემულ თეზისებს, კერძოდ, იგივეა ნ. უსრულესისა და უუსრულესის დახასიათება (პირველი აღნიშნავს საქმესა ადრევე შესრულებულსა, მეორე — უძველესს ადრევე), პირის ნიშნების რიგი (მ-...) მეორე უღვლილების ზმნათათვის, მსჯელობა ვნებით ზმნათა ანალიზური წარმოების შესახებ; ასევე, ერთადაა წარმოდგენილი ძველი -იეს და ახალი -ია დაბოლოებიანი I თურმეობითის ფორმები [9, 114—124].

მ. ბროსეს, როგორც ცნობილია, ქართულ მასალაზეც ხელი მიუწვდებოდა და ქართველ გრამატიკოსთა შეხედულებებსაც ითვალისწინებდა [10, 137]; კერძოდ, ჩვენთვის საინტერესო საკითხების განხილვისას მკვლევარი ხშირად იმოწმებს ანტონის თვალსაზრისს; ასე, მაგალითად, ცალკეა ნაჩვენები ანტონის მიერ გამოყოფილი დროები და კილოები [11, 186—187], აგრეთვე პერფექტის დაბოლოებები (იეს, ბიეს, იეთ, ბიეთ, იან, ბიან, ავს) [11, 210—211] და სხვა.

მ. ბროსე ობიექტური წყობის ფორმებს ცალკე გამოყოფს არაპირდაპირი, ირიბი (indirects) ზმნების სახელით [11, 209—216]; მათ შორის გვხვდება I თურმეობითის ნიმუშებიც. ყურადღებაა გამახვილებული მოსალოდნელი მრავლობითი ფორმების ადგილას მხოლოდობითის გამოვლენაზე (აქ იგულისხმება რეალური ობიექტის მრავლობითობის ზმნაში აუსახაობის იშვიათი შემთხვევები ძველ ქართულში): სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობიეს გულის-ჴმის-ყოფად [11, 209—210]. შემდეგ ნაჩვენებია ირიბ ზმნათა პირის ნიშ-

ნები-პრეფიქსები: 1 p. sing. მ, მი, მე; 2 p. sing. და plur. გ, გი, ჯე; 3 p. sing. და plur. ჰ, ე, უ; 1 p. plur. გუ, გვ. ნიმუშებად: მრწამს, მინახავს, მეწადა; გძინავს, გიხილავს, გერწმუნა(!); ესმის, ურჩდათ(!); გვაქვს... [11, 213].

მკვლევარი ცალკე განიხილავს ე. წ. ორმაგ ზმნებს (verber doubler), რომელთაც ძირითადად ვულგარული მეტყველებისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს. ამ სათაურქვეშ გაერთიანებულია სხვადასხვა ფორმაციის მეშველზმნიანი წარმოების ნიმუშები — როგორც მიმღობიანი და ზმნური ანალიზური ფორმები, ისე შედგენილი შემასმენლები; მითითებულია, რომ კომპოზიციის პირველი წევრი რადიკალურ მოდიფიკაციას არ განიცდის; წარმოდგენილია ნიმუშები: განვშორებულ-ვარ, გყოფილ-გიყავ, ამოვწყვეტილ-ვიყავით, ვღირს-ვარ(!)... ვზი-ვარ, ვჰსწუხ-ვარ, ავდი-ვარ, უყვარ-ვარ, მიყვარ-ხართ... გიპოვნი-ვარ, მიპოვნი-ხარ, მრწამ-ხარ... მათ შორის: მიყვარან, გყვარან. უკანასკნელ ფორმებში, როგორც ჩანს, -ან დაბოლოება მეშველზმნისეულადაა ჩათვლილი, რაც უფრო ნათლადაა მითითებული შემდეგ, როდესაც III პირის მეშველი ზმნის გამარტივების ნიმუშებია მოცემული: არს—ა: მიმადლებულ-ა; გველი-ა, შენი-ა; არიან—ან: მოშორებულ-ან და, მეორე მხრივ: მდიან, ჰსთქვან [11, 226—227].

„ელემენტებში“ ნამყო დროის ფორმებს შორის წარმოდგენილია (ქართული და ფრანგული სახელწოდებებით): ნამყო უსრულესი le plusqueparfait და ნამყო უუსრულესი le plusqueparfait passe [12, 64].

თხრობით (საზღვრებით, indicatif) კილოში ნაუღლებია „ყოფნა“ ზმნა: ყოფილვარ... მესამე პირი ძველი ქართულისა: ყოფილარს, ყოფილარიან [12, 72]. შემდეგ უღლების პარადიგმაში მოცემულია პასივის სხვა ფორმებიც, რომელთაგან ნამყო უსრულესის III პირი ხან სრული სახით (ძველი ფორმით) არის წარმოდგენილი: შეყვარებულ არს, არიან... [12, 85], ხანაც ახალი ქართულის ნორმაა დაცული: მოსულა, მოსულან... [12, 106—109].

მოქმედებითი გვარის ფორმებიდან ნაუღლებია: შემიყვარებია, შემეყვარა; მიჩუქებიეს, მეჩუქებინა (გიჩუქებიესთ, უჩუქებიესთ); მილაპარაკნა, მელაპარაკნა; მიმიცემია, მიმეცა; შემიკრავს, შემეკრა; მისვამს, მესვა, დამიძინა [12, 78—118] და სხვა.

როგორც ვხედავთ, ძველი და ახალი ენობრივი ფაქტები არაა გამოიჯნული, წარმოდგენილია როგორც -ია, ისე -იეს (უფრო იშვიათად) დაბოლოებიანი ფორმები, ამის შემდეგ კი — ხელოვნური მრავლობითის ფორმები ახალისა და ძველის კონტრასტით გიჩუქებიესთ, უჩუქებიესთ.

პლ. იოსელიანს დაუნახავს ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — თურმეობითობის, უნახაობის გადმოცემა ნაწილაკის მეშვეობით: „თურმე იხმარებს, ოდესცა ვისმე თუაღით არა უნახავს და სმენით არა იცის, გარნა თუთ მიხდომილ-არს. მიეცემის იგი ზმნათა განვლილთა დროთა მნიშვნელთა, სქესთა შინა უფრორე საზღვრებითა და სათუვოსა...“ [13, 70].

პლ. იოსელიანს დროებში მხოლოდ შეტანილი აქვს ქმნილი უსრულესი (ე. ი. თურმეობითი I: დამიწერიეს, -ია) [13, 41].

დ. ჩუბინაშვილი ორ კილოს გამოყოფს: თხრობით კილოში შეაქვს წინარე — წარსული, давнопрошедшее (=I თურმეობითს), ხოლო პირობით კილოში — ნამყო სრული, прошедшее совершенное (=II თურმეობითს) და წინარეწარსული (=III კავშირებითს) [14, 19]. შემდეგ მკვლევარი სვამს დასახელებულ ნაკვთთა წარმოების საკითხს: თხრობითი კილოს წინარეწარსული აწმყოდან იწარმოება ვ, ვჰ, ვა და სხვა დასაწყისი ნაწილაკების (частицы) მი-თი შეცვლით და ბოლოს -ია ან -იეს-ის მიმატებით: ვწერ, მი-წერ-ია, მი-წერ-იეს я написал. შენიშვნაში მითითებულია -ეზა, -ოზა-ზე დაბოლოებული ზმნების შემოკლებულად ხმარებაც: მიქია — მიქებიას ნაცვლად, მიპია — მიპობიას ნაცვლად. მა, ვა-ზე დაბოლოებული ზმნები მოიცილებენ ხმოვან ა-ს: მიკერვია, მიკერია — მიკერავია-ს ნაცვლად... სახმარ ენაში ასეცააო: -ავს, -ამს (მიკერავს, მიბამს) [14, 20—21].

ნამყო სრულიდან იწარმოება პირობითი კილოს ნამყო სრული და წინარეწარსული: პირველი ვჰ, ვა, ვი... -ს მე-თი, ხოლო -ე დაბოლოების -ა-თი შეცვლის გზით: ვჰწერე — მეწერა „если бы написал“; აქედან კი წინარეწარსული -ა-სთან -ოხ დაბოლოების შენაცვლებით: მეწერა — მეწეროს „если бы написал“ [14, 21—22].

როგორც რუსული განმარტებებიდანაც ჩანს, აღწერილ ნაკვთთა მნიშვნელობები ავტორს კარგად არ ჰქონდა გარკვეული.

1872 წელს გამოდის ქართველური ენების პირველი შედარებითი მიმოხილვა [15]. იმდროინდელი ქართველოლოგიის მდგომარეობა ამ ნარკვევშიც აისახა. ალ. ცაგარელი გამოყოფს ნარკვევას და რიცხვის ფორმანტებს, რომელთაც ანაწილებს სისუპინექტურად და დამოკიდებულ (зависимые) ნიშნებად; მეორე ჯგუფში შეაქვს ობიექტური რიგის ნიშნები:

მხ.:	მე-	მ-ი	მრ.:	მე- გე-ი	} -თ
	მე-	გ-ი		(-გუ)	
	ე(-უ)	უ(-უ-ი)		-ან, -ს(-თ) [15, 15].	

იბერიულ ენებში წინარეწარსულის დაბლოებებად გამოყოფილია: -ას, -ს, -ია, -ევ-ია, -ემ-ია, -ნა, -ბიეს, -ბინა [15, 20].

შეპირისპირებულა ქართველურ ენათა წინარეწარსულის ფორმები როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნებისათვის; პირველთ მკვლევარი უწოდებს არსებით ფორმაციას (существительная формация), ხოლო მეორეთ — ზმნურ (глагольная) ფორმაციას. პირველთა ნიმუშია:

ქართ. გა-მი-ლახ-ი-ა мною был побит, Ich-durch mich geschlagen worden war;

მეგრ. გო-მი-ლახ

სვან. ე-მ-ფაშთ-ა он мною хвален Ich-durch mich ist gelobt worden.

ზმნური ფორმაცია მოიცავს ქართულისა და ლაზურის ანალიზურ ფორმებს:

ქართ. მო-სულ(სვლილ) ვა-რ я пришел, ich gekommen ich bin;

ლაზ. შველ-ერი ვ-ორა я помог;

შველ-ერი ვ-ორ-ტი я помогал [15, 21]

დ. ყიფიანის დამსახურება ქართული ზმნის კვლევაში სათანადოდაა შეფასებული. მან შეამჩნია ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი, პირის ნიშანთა პრეფიქსულობა, რელატიური და აბსოლუტური ზმნების თავისებურებები... მანვე მოგვცა სუბიექტურ

და ობიექტურ ნიშანთა ჩამოყალიბებული სქემა, საიდანაც ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა ნ. მარის „ტაბულებამდე“ [16, 41—48].

დ. ყიფიანს, წინა გრამატიკოსების მსგავსად, სამი კილო („დახრა“) აქვს გამოყოფილი: თხრობითი („ჩვენებითი“), რომელშიც შედის I თურმეობითი („ბერძნული აორისტი“), პირობითი, რომელშიც შედის თურმეობითი II („ახლანდელი“) და ნატვრითი, რომელშიც შედის კავშირებითი III („გავლილი“) [5, 105—110].

ვკეთდები „მდგომარეობითი“ ზმნის I და II თურმეობითის ფორმები ასე გამოიყურება: ვკეთებულვარ, ვკეთებულვიყავ [5, 113]; პარადიგმაში ისინი ორ-ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი:

ყოფილვარ, ყოფილა(ან) — ყოფილვარ, ყოფილარს (არიან);  
ყოფილვიყავ — ყოფილვიყავ [5, 80—81, შდრ. 17].

თ. ყორდანიასაც სხვადასხვა კილოში შეაქვს III ჯგუფის ფორმები, მათგან თურმეობითი მეორე ორ კილოშია — თხრობითში („უთუო“) და კავშირებითში („სათუო“); ერთგან მას ჰქვია „წინარე წარსული“, მეორეგან — „ნამყო სრული“. თურმეობითი I („ნამყო ისტორიული“) თხრობითში შედის, კავშირებითი III („წინარე შესრულებული“) — კავშირებით კილოში [18, 58—59]. მკვლევარი აღნიშნავს ნამყო სრულის ვნებითისა და წინარე-წარსულის მსგავსებას [18, 57].

ზმნებს ქვემდებარე დროების მიხედვით ეთანხმება: სახელობითად, მოთხრობითად და მიცემითად (ნამყო ისტორიულში, წინარე-წარსულში) [18, 65].

3. კვიცარიძე დროებში გამოყოფს ნამყოოდესუსრულსა (ქმნილოდესუსრულსა) და ნამყოოდესსრულს (ქმნილოდესსრულს) და მათ მნიშვნელობას ასე განმარტავს:

„თუ მოქმედება ადრევე როდისღაც დაწყებულაქია და შესრულებულა თუ არა, ეგ არა ჩანს, ამას გამოგვიხატავს დრო ქმნილოდესუსრული: ყოფილა, გისეტყვია, ჯდომილხარ, სდენია...“

ადრევე როდისღაც დაწყებულს და შესრულებულს მოქმედებას გვიხატავს ქმნილოდესსრული დრო: შეუპყრიხარ, დაუტევია, დაგეხოცათ, გენახათ, დამისახავს, ყოფილა...“ [19, 116—117].



შემდეგ პარადიგმათა სისტემაში ვრწმუნდებით, რომ ამ ორ „დროს“ შორის განსხვავება ასპექტურია — პირველი უზმნის-წინოა (მიკეთებია), მეორე — ზმნისწინიანი (გამიკეთებია) [19, 135].

„საიჭვ სახსარში“ შეტანილია: ქმნილუსრული დრო (და გაუ-თავებელი სახე): მეკეთებია, ქმნილისრულ დრო (და გამთავე სახე): გაგვეკეთებია [19, 136].

შემჩნეულია, რომ ძველ ქართულში ამ ფორმებში -ია-ს ნაცვ-ლად ზოგან -იეს ზისო (განმიბნევიეს) [19, 117].

1896 წ. ვენაში ქვეყნდება პ. შუხარდტის სტატია [20], რომლის მთავარი მიზანია გარდამავალი ზმნის პასიურობის მტკიცება ქართველურ ენებში. ამ წერილში ავტორი ხშირად ეხება დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ფორმებსაც, როგორც ერთ-ერთ საბუთს პასიურობისას. გამოყოფილია ქვემდებარე-დამატების გამოხატვის სამი შემთხვევა: 1. სახელობითი+მიცემითი (აწყყო), 2. აქტიუ-რი+სახელობითი (ნამყო II) და 3. მიცემითი+სახელობითი (ნამყო III და IV და წინარეწარსული კავშირებითისა) [20, 54]. მეორე და მესამე კონსტრუქციებში მკვლევარი საერთოს ხედავს რეა-ლური დამატებისათვის სახელობითი ბრუნვის გამოყენებაში; „პა-ტარძალს გაეშალა სუფრად“ კონსტრუქციაში „სუფრად“ ბრუნ-ვას უტოლებს ბრალდებითს მიცემითიანი სუბიექტით; გა-ე-შალა არ აღნიშნავს „был накрыт“, არამედ „был накрыт им, ею и т. д.“ [20, 56—57].

მესამე კონსტრუქციის განხილვა იწყება ანალიზური I თურ-მეობითით (მოსულ-ვარ); მკვლევარს მიაჩნია, რომ „მოსული“ ფორმის ბოლო o გაქრა ხმოვნის წინ. გარდამავალი ზმნისათვის აღებულია მი-ყვარები-ა ფორმა (შე- ზმნისწინის ჩამოშორებით) **мне он любим** = **я полюбил его**. აქედან ჩანსო, რომ, თუ ნამყო II წარმოადგენს წმინდად პასიურ კონსტრუქციას, რომელიც მო-ითხოვს ქვემდებარის აქტიურ ბრუნვას, ნამყო III (თურმ. I) არის პასიურ-გარდაუვალი კონსტრუქცია, რომელშიც ქვემდებარე მიცე-მითშია და გამოხატულია ზმნაში განსაკუთრებული მაჩვენებლით. ამ კონსტრუქციის მთავარი მნიშვნელობაა ფლობა (обладание): **„мне он любим“** = **„он принадлежит мне в качестве любимо-**

რი“. ის ფაქტი, რომ ი შეგვენახა ყვარები-ა ფორმაში და მოსულ-ა-ში ამოვარდა, არ იწვევს გაუგებრობას, რამდენადაც აქ პირობები სრულიად განსხვავებულიაო. მოსულ-ა და მი-ყვარები-ა-ს შორის არის მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავება: მოსული ყვარებისა გან განსხვავებით დამოუკიდებელი მიმღობაა; ამიტომ ჩვენ ყვარები- უნდა განვიხილოთ როგორც ინფინიტივი „БЫТЬ ЛЮБИМЫМ“ [20, 64].

ანალიზის დროს ერთმანეთშია არეული გარდამავალი და გარდაუვალი რელატიური ზმნის ფორმები: რატომღაც ნავარაუდევია გი-(უ)ყვარები-ვარ, მი-(უ-გვი-)ყვარები-ხარ პირველადწყებითი ფორმების არსებობა, რასაც ამტკიცებს ჩუბინოვის ძველი მაგალითებით: შე-მ-ყვარები-ხარ... [20, 64—66]. მეშველი ზმნების დიდასტურების ცდა მკვლევარს უარაყოფინებს „ვპვიე“ ძველ ფორმას, უნდა გვქონოდა „ვპვივარ“-ო. -ია დაბოლოების ფაკულტატიური ფორმა იქნება -იეს, რომელშიც -ს S<sub>3</sub>-ა, ოღონდ -ი-ე- ნაკლებდამაჯერებელი (маловероятным)(?) ჩანსო [20, 70].

ნამყო IV (თურმ. II) ეკუთვნის პერფექტს ისევე, როგორც ნამყო III — აწმყოს. პასიური პერფექტი იწარმოება -ე ნიშნის (უკუქცევიითის ან პასიურის) დასმის გზით სიტყვის დასაწყისში: ა-ქო, ე-ქო „ОН БЫЛ ПОХВАЛЕН ИМ“ [20, 70].

არ. ქუთათელაძემ ზმნის ნაკვეთულებიდან მთლიანად ამოიღო მესამე ჯგუფის ფორმები: თხრობითი კილოდან ნამყო უსრულესი (თურმ. I), რადგან „ზმნა ამ ფორმაში არის პერიფრაზა და შემდგარია მიმღობისაგან და არსებით ზმნისაგან: ვუ-წერი-ვარ...“; კავშირებითი კილოდან („სათუო დახრა“) ყველა ნამყო და, მათ შორის, თურმეობითი II, რადგან „მე-წერ-ა არის ზმნის ვნებითი სახე“ [21, 4—5].

მ. ჯანაშვილს თხრობით კილოში შეაქვს თურმეობითი I („ნამყო მრავალგზისი-ისტორიული perfectum historicum“) და თურმეობითი II („ნამყო ოდინდელი plusquamperfectum“), ხოლო ნატვრით კილოში — კავშირებითი მესამე („ნამყო“) [22, 55—56]. მოყვანილია ანალიზური ფორმებიც [22, 75].

სილ. ხუნდაძესთან თურმეობითი I („ნამყო III“) თხრობით კილოშია შესული, ხოლო თურმეობითი II („ნამყო I“) და კავში-

რებითი III („ნამყო II“) — ნატვრითში [23, 59]. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ნატვრითი კილოს ნამყო I და ნამყო II თხრობითი კილოს ნამყო II-საგან იწარმოება, ხოლო თხრობითი კილოს ნამყო III — იმავე კილოს მყოფადისაგან [23, 140—141]. აღნიშნულ დროებში მოქმედებითი გვარის ზმნა ქვემდებარეს მიცემითი თხოულობს [23, 153]. ვნებითი გვარის ზმნებში მიმღობას ერთვის შემწობითი ზმნა [23, 142—143].

ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკების განხილვიდან აშკარად ჩანს, თუ რა მდგომარეობა იყო დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვთების გამოყოფა-შესწავლის საკითში ნ. მარის ტაბულების გამოსვლამდე.

განხილული პერიოდის ქართველ გრამატიკოსებს ნაკვთულთა გამოყოფის ერთი პრინციპი არ ჰქონდათ შემუშავებული; მორფოლოგიურ წარმოებას ისინი ხშირად უყურადღებოდ ტოვებდნენ; ძირითად საორიენტაციო კატეგორიებს წარმოადგენდა კილო და დრო; ამის გამო იყო, რომ ერთი და იგივე დროის ერთეული (ნაკვთი) ხშირად სხვადასხვა კილოში ხვდებოდა. დროისა და კილოს კატეგორიების გადახლართვა ფორმალურ დამთხვევებს იწვევდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ზმნურ ფორმათა მნიშვნელობები ხშირად სათანადოდ არ იყო გარკვეული. არ იყო აგრეთვე განსაზღვრული ქრონოლოგიური დონეები, რის გამოც ხშირად არქაული ფორმები ახალ ფორმებთან თანაარსებობდნენ, ეს კი ფორმობრივი ანალიზის ახალ სიძნელეებს წარმოშობდა, ზოგჯერ კონტრინაციურ, არარსებულ ფორმებს ქმნიდა...

ამ მხრივ ნ. მარის წარმოების მიხედვით დაჯგუფებული ნაკვთულთა სისტემა აშკარად ახალ გზაზე დადგომას მოასწავებდა.

### დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ნაკვთულთა გამოყოფის საკითხი


ქართული ზმნის ფორმობრივი დაჯგუფება ნ. მარის დიდ დამსახურებადია ჩათვლილი [24, 322; 25, 61; 1, 93; 10, 338]. დრო-კილოთა მესამე ჯგუფიც ნ. მარიდან მოდის. ამ ჯგუფში მკვლევარი სამ ნაკვთს აერთიანებს: ნამყო სრული (прошедшее совершен-



ნოს), წინარე-წარსული (давно-прошедшее) და ნამყო კავშირებითი (прошедшее сослагательное) [26, ტაბულა XII: 275-282, 163]. ეს დაჯგუფება დამკვიდრდა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, ოღონდ სხვა ტერმინოლოგიით: პირველი თურმეობითი, მეორე თურმეობითი და მესამე კავშირებითი [28, 154]. ეს არაა ერთადერთი შესაძლებელი დაჯგუფება. ამოსავალი ფუძის თვალსაზრისით თურმეობითი I აწმყოს ეკედლება, ხოლო თურმეობითი II და კავშირებითი III — ნამყო სრულს. ფორმობრივი პრინციპი, რაც I და II ჯგუფის ნაკვთთა დაჯგუფებამია ამოსავალი, III ჯგუფში გატარებული არაა [28, 138]. ამ ნაკვთთა გაერთიანების ძირითადი მიზეზია ინვერსია. ეს საკითხები ამომწურავადაა გაანალიზებული არნ. ჩიქობავას წერილში — „ქართული ზმნის ნაკვეთულთა დაჯგუფების პრინციპისათვის“, რომელშიც ნაჩვენებია, რომ კლასიფიკაციის პრინციპი დარღვეულია, რაც თვით მარსაც ესმოდა, მაგრამ აერთიანებდა ერთი და იმავე წესით წარმოების გამო [1, 98; 25, 63; 29, 109—111]. ეს წესია წყობისა და კონსტრუქციის ცვლა III ჯგუფში. ინვერსიული წყობა და კონსტრუქციის ცვლა მხოლოდ გარდამავალი ზმნებისათვის გამოვადგება, მაგრამ არა გარდაუვალი ზმნებისათვის, რომელთაგან ორპირიან გარდაუვალ ზმნებსაც ვერ გავაერთიანებთ ერთპირიან ზმნათა წარმოებასთან: მათი I თურმეობითი მეშველზმნიანია, ხოლო II თურმეობითი და III კავშირებითი — სინთეზური, ოღონდ ინვერსიის გარეშე [1, 98—100].

ასევე უარსაყოფია ფუნქციის, კერძოდ, თურმეობითობის (უნახაობის) ერთიანობა ამ ჯგუფის ნაკვთთათვის — უნახაობა ნიშანდობლივი არ ჩანს მათთვის. საერთო არაა მათთვის შედეგობითობაც [1, 101].

საბოლოოდ წარმოდგენილია სქემა, რომელშიც წარმოების თვალსაზრისით მოცემულია ორი ჯგუფი — აწმყოსა და ნამყო ძირითადისა. პირველ ჯგუფში შედის: თურმეობითი I და II და კავშირებითი III გარდაუვალ ორპირიან ზმნათა; გარდამავალ ზმნათა თურმეობითი I ინვერსიული წყობისა. მეორეში: გარდამავალ ზმნათა ინვერსიული წყობის თურმეობითი II და კავშირებითი III [1, 107].



ასეთი სქემა კარგად ასახავს ფორმობრივი დამოკიდებულებების სურათს, მაგრამ არ იძლევა დრო-კილოთა ნაკვეთებს უფრო ნათელი აღწერის საშუალებას: გარდაუვალ ორპირიანი ზმნისა და III ჯგუფის ყველა ნაკვეთი აწმყოს წრეში შევიდა, გარდამავალ ზმნათა II თურმეობითი და III კავშირებითი კი — ნამყო ძირითადის წრეში. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნების ანალიზური ფორმების ადგილი კი საძებარია, რადგან არ ჩანს კრიტერიუმი, რაზე ავიღოთ ორიენტაცია — მიმღეობაზე თუ მეშველ ზმნაზე?

როგორც ჩანს, დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვეთთა ერთად გაერთიანება ენის აღწერისათვის უფრო ლოგიკური და მარტივია არა ერთი რომელიმე ნიშნის გამო, არამედ იმ განსხვავებულ ნიშანთა კომბინაციების, იმ თავისებურებათა ერთიანობის გამო, რასაც სხვადასხვა კონსტრუქციის ზმნები ამ ჯგუფში იჩენენ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით. უფრო კონკრეტულად, დრო-კილოთა III ჯგუფის გაერთიანება ლოგიკურია იმის გამო, რომ ამ ჯგუფში:

ა) ყველა გარდამავალი ზმნა სინთეზური წარმოებისა და ინვერსიული წყობისაა;

ბ) ყველა გარდაუვალი ორპირიანი ზმნა სინთეზური წარმოებისა და პირდაპირი წყობისაა (თურმეობითი I-ის მეშველ-ზმნიანი ფორმები გვიან ჩამოყალიბებულია);

გ) ყველა გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა ანალიზური წარმოებისა და პირდაპირი წყობისაა (ისტორიულად ჩამოყალიბებული).

ეს დაჯგუფება უმარტივესი გზა იქნება დრო-კილოთა III ჯგუფის აღწერის თვალსაზრისითაც, ამიტომაც ამ ჯგუფის ნაკვეთებს ასეთი თანამიმდევრობით განვიხილავთ: 1. გარდამავალი ზმნები; 2. რელატიურ-გარდაუვალი ზმნები და 3. აბსოლუტური ზმნები.

მორფოლოგიური წყობისა და სინტაქსური  
კონსტრუქციის საკითხები დრო-კილოთა  
მესამე ჯგუფში

მითითებულ ჯგუფებს შიგნით გარკვევას მოითხოვს ცალკეული, ასე ვთქვათ, კერძობითი საკითხები, რომლებიც შესაბამის თავებსა და ქვეთავებში იქნება განხილული.

მაგრამ სანამ ცალკეული ჯგუფების განხილვაზე გადავიდოდეთ, უმჯობესია წინასწარ გავარკვიოთ ორი არსებითი ზოგადი საკითხი, რომლებიც ჯგუფებს გარკვეულად აერთიანებს, ხოლო ჯგუფთა შორის დაპირისპირებას ქმნის და ძირითად სადისკუსიო საშუალებებად შეიძლება ვცნოთ. ეს გამაერთიანებელი საკითხებია: ა) ჯგუფთა მორფოლოგიური და ბ) კონსტრუქციული ყალიბი. პირველი მორფოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ხოლო მეორე — სინტაქსისას, მაგრამ მათ შორის ორგანული კავშირია. ეს ორი საკითხი ძირითადად გარდამავალ ზმნათა საკითხებია: გარდამავალი ზმნები იმით უპირისპირდება III ჯგუფში რელატიურ-გარდაუვალ და აბსოლუტურ ზმნებს, რომ ორ უკანასკნელში მორფოლოგიური წყობაც და სინტაქსური კონსტრუქციაც მყარია (მათ შორის დაპირისპირება კი პირთა რაოდენობაში და წარმოების განსხვავებულ — სინთეზურ და ანალიზურ — წესშია), ხოლო გარდამავალ ზმნებში ორივე ცვალებადი: მორფოლოგიური წყობა დრო-კილოთა III ჯგუფს პირველ ორ ჯგუფთან შეპირისპირებით შებრუნებული, ინვერსიული აქვს, ხოლო სინტაქსური კონსტრუქცია — შეცვლილი, კერძოდ, I ჯგუფის ნომინატიურსა და II ჯგუფის ერგატიულ კონსტრუქციას დატიური ცვლის, ხოლო სამპირიან შემადგენლობას — ორი პირი (ორპირიანში პირთა რაოდენობა არ იცვლება). ამდენად, გარდამავალი ზმნა III ჯგუფში ორპირიანია. ინვერსია ორპირიანი ზმნის პრობლემაა. განვიხილოთ ეს საკითხები ცალ-ცალკე.

§ 1. ინვერსიის საკითხი გარდამავალი ზმნის დრო-კილოთა III ჯგუფში. ინვერსიის პრობლემა ქართველურ ენათა (და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიურ ენათა) ერთ-ერთ რთულ პრობლემათაგანია. ინვერსიის საკითხები ქართული ზმნის მორფოლოგიური წარმოების არსებითი საკითხებია. ამ საკითხებზე ბევრი ლიტერატურა არსებობს, ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო და გამომრიცხავი. წინააღმდეგობა აწმყოს ფორმათა (მიყვარს, მაქვს, მინდა...) განმარტების საკითხშია [იხ. ერთი მხრივ: 30, 195—198; 31, 207—228; მეორე მხრივ: 32; 29, 5; 33, 274—279; 25, 57—58; 34, 3—9]. ჩვენ მას არ შევეხებით, რადგან გარდამავალი ზმნის III ჯგუფის დრო-კილოთა ინვერსიულობის საკითხში ყველა ერთ-

სულოვანია. რას გულისხმობს ინვერსიის ცნება? ცნობილია, რომ დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვეთები უმთავრესად (ძირითადი პარადიგმების სახით) ობიექტური რიგის პირთა ფორმანტებისაა — ვაწყობილი (მ, გ, 0/35). მიღებულია, რომ „ვ და მ-ს სუბიექტურობისა და ობიექტის აღმნიშვნელი ფორმანტებისა, ნ. მარის დამსახურებას შეადგენს“, თუმცა მათს სხვაობას ადრეული გრამატიკოსებიც ხედავდნენ [32; 27, 133—134, 164]. ნ. მარსავე ეკუთვნის გრამატიკული „შებრუნების“ (ინვერსიის) პირველი დახასიათება, რომ „სუბიექტური ნაცვალსახელური ნაწილაკები წარმოადგენენ **ლოგიკური** ობიექტის მაჩვენებლებს, ხოლო ობიექტური ნაცვალსახელური ნაწილაკები — **ლოგიკური** სუბიექტის მაჩვენებლებს (ტაბ. XX)“ (26, IX ტაბულის შენიშვნა). მამსადამე, მორფოლოგიური წყობა არაა მთავარი, ობიექტური პრეფიქსების არსებობა არ გულისხმობს აუცილებლად ინვერსიის არსებობას. მთავარია, რომ ობიექტური პრეფიქსი სუბიექტურ (მოქმედ) პირს გამოხატავდეს და — პირიქით, ე. ი. წყობა შებრუნებული იყოს [32]; შებრუნება ხდება I—II ჯგუფთან შეფარდებით. ინვერსიის შედეგად გარდამავალი სამპირიანი ზმნა ერთ (ირიზობიექტურ) პირს იკლებს, ორპირიანი — არა, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ზმნა დატიური კონსტრუქციის, გარდაუვალი ხდება, მათ ინვერსიული წყობა აყენებს გარდამავალთა რიგში, ისინი გარდამავალია ინვერსიული აზრით [35; 36, 40; 37]. მამს, ინვერსიის ზოგადი ნიშნებია: აწმყოსა და ნამყოს სუბიექტურ წყობას შეესაბამება ობიექტური წყობა, პირის ფორმანტთა სუბიექტური რიგი შეცვლილია ობიექტურით, ზმნის ნომინატიურ (აწმყოში) და ერგატიულ (ნამყოში) კონსტრუქციას ენაცვლება დატიური კონსტრუქცია (III ჯგუფი); თუ ზმნა სამპირიანია, ირიზობიექტური პირი აკლდება — ხდება ორპირიანი, ამდენად, III ჯგუფში ორპირიანი და სამპირიანი ზმნები ნიველირებულია (**გააკეთა, გაუკეთა — გაუკეთებია**); რაც მთავარია, ობიექტური ნიშნებით ზმნაში გამოხატულია რეალურად მოქმედი, სუბიექტი, ხოლო სუბიექტური ნიშნებით — რეალურად სამოქმედო, ობიექტი; „ზმნის ჩვენება და წინადადებაში სახელის როლი ერთმანეთს არ ეთანხმება, ერთმანეთის საწინააღმდეგოა“ [32]. ასეთი მოვლენის აღსაწერად მსჯელობაში შემოდის გრამატიკული სუბიექტი და ობიექტი, რეალუ-

რი სუბიექტი და ობიექტი, რათა გაირჩეს ნამდვილი და მოჩვენე-  
ბითი. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ მიცემითბრუნვიანი სუბი-  
ექტის მრავლობითობა, რომლის გამოხატვა ისტორიულად არ ხდებ-  
ბოდა და ენამ თანდათან დაამკვიდრა, ისევე ობიექტურ ფორმას  
ტებში უნდა ვეძებოთ, ხოლო სახელობითბრუნვიანი ობიექტისა —  
სუბიექტურ ნიშნებში.

აქვე უნდა გაირკვეს კითხვა: სხვაგვარად ხომ არ დგება ინ-  
ვერსიის საკითხი ძველ ქართულ ენაში, ვიდრე ახალში? საკითხი  
ეხება მიცემითბრუნვიანი რეალური სუბიექტის მორფოლოგიური  
უნარის განმტკიცებას ისტორიულად, კერძოდ, მისი მრავლობი-  
თობის გამოხატვის დამკვიდრებას ზმნაში [34, 6—7]. ამკარაა, რომ  
მიცემით და სახელობითბრუნვიანი სახელების როლი და ურთი-  
ერთმიმართება ზმნაში ისტორიულად ხელშესახებად იცვალა, რა-  
საც თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ მიზეზებს შორის გარკვეული რო-  
ლი ითამაშა ინვერსიის მოვლენამაც [33, 269—280]. მაგრამ ინ-  
ვერსიის ძირითადი კრიტერიუმი — გარკვეული სინტაქსური ურ-  
თიერთობის „შებრუნებული“ მორფოლოგიური გამოხატვა, სინ-  
ტაქსურ და მორფოლოგიურ მონაცემთა დაცილება — ისტორიუ-  
ლად არ შეცვლილა. ინვერსიის მექანიზმი ჩვენამდე მოღწეული  
ძეგლების ენაში უკვე ჩამოყალიბებულია და, თუმცა ისტორიულ  
მოქმედებაში მან ახალი ნიშნები შეიძინა, არსებითი ცვლილება  
არ განუცდია. ამიტომაც შესაძლებელია ძველ ქართულში ინვერ-  
სიაზე ისევე ვილაპარაკოთ, როგორც ახალში, ოღონდ, ცხადია, მის  
თავისებურებათა გათვალისწინებით.

მოკლედ შევეხებით ინვერსიის საკითხზე ბოლო დროს წარ-  
მოდგენილ ორ თვალსაზრისს.

ერთ შემთხვევაში დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები წარ-  
მოდგენილია არა როგორც შესაბამის დინამიკურ გარდამავალ  
ზმნათა ინვერსიული ფორმები, არამედ როგორც ამოსავალი სტა-  
ტიკური ზმნებისა — III ჯგუფის ფორმები ინვერსიულებია სტა-  
ტიკურ ზმნებთან მიმართებით: მიწერია (ის მე) — (და)მიწერია (მე  
ის) [38, 81—94; 39, 93]. ეს აზრი III ჯგუფის ფორმების სტატი-  
კურ ზმნებთან კავშირის ცნობილი თეორიის გაგრძელებას წარმო-  
ადგენს. საკითხი რთულია და განსაკუთრებით ფრთხილ დიაქრო-



ნიულ მიდგომას მოითხოვს, სადაც თეორიულ ლოგიკას მასალის ისტორიული ანალიზი შეეცვლის.

მეორე თვალსაზრისით [40, 27—55], „პირის ნიშანთა ინვერსიას საბოლოოდ ჩიხთან მივყავართ“, ამიტომაც საერთოდ უნდა გამოირიცხოს ის ზმნის ანალიზიდან. ამისათვის მსჯელობაში შემოდის ახალი ტერმინები: „სავალდებულო პირის ნიშანი“ ვ-ს რიგის პირის ფორმატებისათვის და „არასავალდებულო“ — მ-ს რიგისათვის. შესაბამისად, ზმნაში სავალდებულო პირია ის, რომელიც სავალდებულო პირის ნიშნებით გამოიხატება და პირიქით. სხვაგვარად, სუბიექტია ის, რომელიც სუბიექტური ნიშნებითაა გამოხატული. III ჯგუფში ასეთია სახელობითბრუნვიანი სახელი. ინვერსია მოიხსნა, მაგრამ საანალიზო ფორმების სირთულე არ მოხსნილა. აქამდე სუბიექტად მიჩნეული მიცემითბრუნვიანი სახელი ობიექტი გახდა, სახელობითბრუნვიანი — სუბიექტი. საქმბარი შეიქმნა ასეთი სუბიექტის მქონე ზმნის ადგილი გვარეობრივ სისტემაში. მკვლევარი III ჯგუფის ფორმების მოქმედებითობას გამოირიცხავს, რადგანაც მათში სავალდებულო პირი „რეგულარულად პასიურია“, ასეთი კი ის ვნებითშია, მაგრამ ვერც ვნებითის რიგში პოულობს მათთვის ადგალს, რამდენადაც მათ იმავე სერიაში არ მოეპოვებათ საპირისპირო მოქმედებითის ფორმები. საბოლოოდ ისინი დახასიათებულია, როგორც „არამოქმედებითი და არავნებითი“. დებულება, რომ III ჯგუფის ფორმები თავისი აგებულებით გარდაუვალია, ცნობილია. ამ ფორმებს გარდამავალ ზმნებთან ინვერსია აკავშირებდა [35; 36]. ინვერსიის მოხსნამ საკითხი კი არ გაამარტივა, გაართულა. ინვერსია არის ქართული პოლიპერსონალური ზმნის ერთ-ერთი საინტერესო მოვლენა. მისი განსაზღვრა კი დრო-კილოთა III ჯგუფის საანალიზო საფუძველია.

ინვერსია დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის, ხოლო კავკასიურიდან აფხაზურ-ადიღეური ენებისათვის. ნიშანდობლივია, რომ ინვერსიით ამ ენებშიც გარდამავალი ზმნა გარდაუვალი ხდება [41, 113; 42, 136—139; 43, 167—168].

**§ 2. კონსტრუქციის საკითხი დრო-კილოთა III ჯგუფში.** დრო-კილოთა III ჯგუფი ორი სინტაქსური კონსტრუქციითაა წარმოდ-

გენილი — ნომინატიურით და დატიურით: პირველით — გარდაუვალ, ხოლო მეორით — გარდამავალ ზმნებთან. ნომინატიური კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან მყარია სამივე ჯგუფში. აღნიშნულია, ნომინატიური კონსტრუქცია გარდაუვალ დიდი სიძველისაა [29, 113]. ამას III ჯგუფის ნაკვთებზე ვერ ვიტყვი, რამდენადაც ისინი ახალი ფორმაციისაა; მათი ნომინატიური კონსტრუქცია მხოლოდ ამოსავალ ფორმათა თვალსაზრისით ჩაითვლება ძველად.

გარდამავალ ზმნათა დატიური კონსტრუქცია III ჯგუფში მობრუნებული (ინვერსიული) სახეა I ჯგუფის ნომინატიური კონსტრუქციისა [44, 212]. როგორც არნ. ჩიქობავა წერს, „ინვერსიული წყობა, სადაც ამოსავლად გარდამავალი ზმნა გვაქვს, მეორეულია: უკლავს — კლავს, ეკლა — უკლა||კლა, ეკლას — უკლას||კლას. აქედან ცხადია, რომ თურმეობითის ნაკვთები შეიძლება წარმოქმნილიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეიქმნა ის ნაკვთები, რომელთა ინვერსიის გზითაა მიღებული თურმეობითი პირველი, თურმეობითი მეორე და კავშირებითი მესამე. ეს კი ნიშნავს: გარდამავალ ზმნებთან დატიური კონსტრუქცია უფრო ახალია, ვინემ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები“ [29, 5]. იქვე დატიური კონსტრუქცია რიგ გარდაუვალ ინვერსიულ ზმნებთან უძველესად მიიჩნევა (უყვარს, აქვს, უპყრიეს...).

დასამულია ამ ორი კონსტრუქციის ურთიერთობის საკითხი გარდამავალ ზმნათა III ჯგუფისა და სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმობრივი შეპირისპირების ფონზე [45, 82]. როგორც კონსტრუქციის, ისე ფორმობრივი შეპირისპირება შესაძლებელი ჩანს ერთეულ შემთხვევებში. ინვერსიის პროცესი, რომელმაც უძველესი გარდაუვალი ინვერსიული ფორმები წარმოშვა, გარდამავალ ზმნათა III ჯგუფის ჩამოყალიბების პერიოდში მოქმედი ენობრივი კანონია. ამ მხრივ III ჯგუფსა და სტატიკურ ზმნებს შორის გარდაუვალი კავშირია. თუ III ჯგუფის უშუალო ფორმობრივი და კონსტრუქციულ ამოსავლად სტატიკურ ზმნებს მივიჩნევთ, მაშინ პირველთა ჩამოყალიბებაში ინვერსია მოქმედ კანონად ვეღარ ჩაითვლება, მაგრამ ამის საშუალებას არ მოგვცემს ის უმრავლესობა ზმნებისა და წარმოების ის მოდელები, რომლებიც სტატიკურ ზმნაში არა გვაქვს. გარდამავალ ზმნათა III ჯგუფი კონ-

სტრუქციულად წარმოადგენს I ჯგუფის (ნომინატიურის) ინვერსიულ სახეს. დადგენილია, რომ გარდამავალ ზმნაში II ჯგუფის კონსტრუქცია (ერგატიული) უძველესია, მასზე უფრო ახალია I ჯგუფის კონსტრუქცია (ნომინატიური), კიდევ უფრო ახალი III ჯგუფის კონსტრუქცია (დატიური) [29, 5]. III ჯგუფის კონსტრუქცია პირველი ორიდან უფრო ახალს დაემყარა, მის ტრანსფორმაციას წარმოადგენს (იგი ხატავს მას-მას დაუხატავს იგი). II, I და III ჯგუფის ფორმობრივი წარმომავლობაც ამგვარ ქრონოლოგიურ მიმდევრობას აჩვენებს.

„მარტივი წინადადების პრობლემაში“ აღწერილი სინტაქსური კონსტრუქციებიდან აქ შეიძლება მოკლედ გავიმეოროთ, რომ III ჯგუფში:

ა) აბსოლუტური ზმნის სახელობითბრუნვიანი სუბიექტი (MS) უცვლელად გადმოდის III ჯგუფის ფორმებში (დგას იგი — დამდგარა იგი);

ბ) რელატიურ-გარდაუვალ ზმნის სახელობითბრუნვიანი სუბიექტი (MS) და მიცემითბრუნვიანი ობიექტი (MO) ასევე უცვლელია (უდგას — დასდგომია იგი მას).

გ) რელატიურ-გარდამავალი ზმნის მიცემითბრუნვიანი სუბიექტი (MO) და სახელობითბრუნვიანი ობიექტი (MS) (პლუს სახელი ნათესაობით ბრუნვაში თანდებულთურთ, რაც შეიძლება არც იყოს) ცვლის III ჯგუფში პირველი ორი ჯგუფის განსხვავებულ კონსტრუქციებს.

კოორდინაციის ტერმინებით: გარდამავალ ზმნას ახლავს დიდი კოორდინატი — იგი და მცირე კოორდინატი — მას. ასეთივე ვითარებაა რელატიურ-გარდაუვალ ზმნაში, აბსოლუტურში კი მართა-შეთანხმება [33, 210 და შემდეგ].

სამპირიანი გარდამავალი ზმნა სხვაგვარ კონსტრუქციულ ცვლილებასაც განიცდის — მას ირიბობიექტური პირი აკლდება III ჯგუფში. ძველ ქართულში გვხვდება შემთხვევები, როცა ირიბი დამატება შენარჩუნებულია. აქ, ცხადია, კონსტრუქციულ „გასწორებებთან“ გვაქვს საქმე, მაგრამ ეს ჩარევა ენის სტრუქტურაში შემთხვევითი არაა — ის III ჯგუფის ფორმების „გარდამავლობის“ შეგრძნებით უნდა მომხდარიყო. ეს შემთხვევები ინ-

ვერსიულ ფორმათა „გააქტიურების“ თავისებური ასახვაა, რამაც ისტორიულად სხვა მხრივ იჩინა თავი მორფოლოგიაში რეალური სუბიექტის როლის გაზრდით. სამპირიანობის დაცვის ნიმუშებია: და აწ გაუწყო შენ, რამეთუ ათი ტალანტი დაძვივდ რებიეს ვეცხლისაჲ გაბაელს... (აპოკრ. 134, 25. **ს. 4**);

მაქუს მე ქუაბსა ამას შინა ოცდამეათრვაშემეტც წელი და კაცსა ყოვლად სიტყუაჲ არა მიმიგებიეს, არცა მიხილავს აქა (კიმ. II. 156, 8).

„სძლევს“ ზმნას მხოლოდ ირიბი დამატება ახლავს, რომელიც III ჯგუფში უბრალოდ იქცევა და ზმნა ერთპირიანი ხდება. ყველაზე ხშირია ამ დამატების დაცვის შემთხვევები [ამ საკითხებს და, კერძოდ, ამ ზმნას ეხება დ. გეწაძე, 46, 470]:

... არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა (იოვანე 16,33. DE) (შდრ. C: ... რამეთუ მე ვსძლე სოფელსა); (იგივე: მამ. ცხ. 136, 21); ხოლო რომელთა აქამომდე ვერ უძლევიეს ფიცსა, რომლისათვის ვერ შემძლებელ ვართ განრინებად მისგან... (მამ. სწავლ. 37, 8);

... და სიტყუაჲ ღმრთისაჲ თქუენ თანა დადგრომილ არს და გიძლევიეს ბოროტსა (ეპისტ. 29,14. **ს**<sup>1</sup>); ხოლო თქუენ ღმრთისაგანნი ხართ, და გიძლევიეს მათ(და) (და ჩამატებულია) (ეპისტ. 31,4. **ს**<sup>1</sup>).

## გარდამავალი ზმნების წარმოება დრო-კილოთა III ჯგუფში

გარდამავალ ზმნათა III ჯგუფის ნაკვთები ქართულ საენათ-მეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანადაა ნაკვლევია; ამ საკითხებს ეხებოდნენ ნ. მარიდან მოყოლებული: ა. შანიძე, გ. დეეტერსი, არნ. ჩიქობავა, ივ. ქავთარაძე, ნ. ნათაძე და სხვები. ამ თემაზე ძველი ქართული ენის მასალის მიხედვით 1953 წელს საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა დ. გეწაძემ [47], ხოლო ახალი ქართულის მონაცემები გათვალისწინებულია ე. ფეიქრიშვილის სადისერტაციო ნაშრომში [48]. ამიტომაც მთავარ მიზნად ვისახავთ, სათანადო ლიტერატურის მითითებით, რაც შეიძლება კონკრეტულად ჩამოვყალიბოთ საკითხები. ძველ ქართულში დრო-კილოთა III ჯგუფი ოთხ ნაკვთს აერთიანებს: I და II თურმეობითი, III კავშირებითი და III ხოლმეობითი.

### 1. თურმეობითი კირველი

თურმეობითი I ფორმობრივად რთული ნაკვთია: ახასიათებს ინვერსია, დაბოლოების ისტორიული ცვალებადობა (გვქონდა -იეს, გვაქვს -ია), ამოსავალი ფუძის არაერთგვაროვნება (ძირითადად საყრდენია აწმყო, მაგრამ არა ყოველთვის) და სხვა. დავიწყოთ ფუძის საკითხით.

§ 3. I თურმეობითის საყრდენი ფუძე. გარდამავალ ზმნათა თურმეობითი I-ის ფუძის საკითხი როგორც ახალი, ისე ძველი სალიტერატურო ქართულის მასალის გათვალისწინებით დიდი ხანია საფუძვლიანად არის დამუშავებული, აღწერილია ყველა ტიპის

ჭგუფი და დადგენილია, რომ ძირითადი საყრდენი ნაკვთი აწმყოა. აღნუსხულია აგრეთვე ნამყო-ხოლმეობითის ფუძის გამოყენების ნიმუშები, როგორც უფრო ძველი (პირვანდელი) ვითარებებს, ასევე უფრო ახალი ქართული-სათვის — 30, 436—437]. ჩვენ წმინდა აღწერითი თვალსაზრისით წარმოვადგენთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში მოპოვებულ ძირითად ნიმუშებს, რომლებიც ხშირად ამა თუ იმ ფორმათა წარმოების ისტორიის გათვალისწინებაში (ხოლო შემდეგ მიმდევრებითა წარმოებასთან პარალელების გავლებაში) დაგვეხმარება.

ა) ამოსავალია -ავ და -ამ თემისნიშნისანი აწმყო:

-ავ: განუწირავს, შეგიკრავს, დაუთრგუნავს, შეუტკრა-ძალავს, დაუთესავს, მოუპარსავს, დაგიცავს, წარუტყუენვან, მილოცავს, მიმარხავს, გისიძავს, მიგმართავს, მიპარავს, დაუქსავს, უცოდავს, განგიკითხავს, მოუზღუდავს, აღუძრავს, მოგისრვან, მიგვმართავს, შთაუბერავს, განგიმარტვან, დაურწყავს, დაუნერგვან, მინახვან, გიტვრთავს, მოუწამლვან, მიზრახავს, მოგითუალვან, მიგიხედვან, ჩაურთავნ, დამითხზავს, შემირთავს, მიგიზიდავს, შემიკაზმავს, შთაურთავს, შეუტყავს (ტვინი), დაუმკირავ (რამეთუ ძმასა იმას ღლიასა ქუეშე დაუმკირავ... (B: დაუჭირავ) (ნოველ. II. 271, 22—23. C); ...ხოლო საქმე კორციელი თავად და შინაგანად გიმჭირავს და საქმე ღმრთისაჲ უღებ გიყოფიეს (ნოველ. I. 10, 14, 7).

-ამ: მოგვრთუამს, მოგუიხუმან, მომიბამს, დაუსხმან, შეგირტყამს, გისუამს, ინაჯ-უდგამს, ჯუარს-გიცუამს, გარდაუცუამს, შთაუნთქამს, თავს-გისხმან, გითქუამს, დაურწყამს (ბალავარ. 110,6. C), შდრ. დაურწყავს (კოსტ. 168, 7);

ორ შემთხვევაში -ამ-იან ფუძეს მოსდევს -ი-ედ დაბოლოება; ეს აღრევა უთუოდ გამოწვეულია -ედ სუფიქსის ფუნქციური დაჩრდილვით: მოუცუმიედ (იგინი) (მამ. სწავლ. 117, 17—18. B), (ძირითადი: მოუცუმანედ); შეუხსმიედ (ფერკთ-შესასხმელნი) (ეფრემ (გ) 55,8).



ბ) აწმყოშია -ებ, -ემ თემის ნიშანი:

-ებ: დაუვიწყებებს, დაუდებებს, დაუტეველებს, მიცალებებს (მამ. სწავლ. 257,29), მოუბოებებს (მამ. სწავლ. 290, 19), დაუუნჯებებს (მოციქ. 212, 11), განუჩინებებს (ანტიოქ. 137, 13), დაუბადებებს, დაუსაყდრებებს, შემოუღებებს (საჯმარად) (დამასკ. 67, 2. ეფრ.), წარუყვანებთან (ნიკოლ. 67, 11), მოგიმედგრებებს (თავი). განმისაზღვრებებს (ტიპიკ. 25, 2), [შდრ. განასაზღვრებს — დიდ. სჯულ. 174, 34. G], აღუარებებს, მოუვლინებით, უბოძებთან, ნათელ-გილებებს (სინ. 219, 12), მიმიმადლებებს, განგვლებებს (ლიმ. 59, 27), განმიგებებს (ლიმ. 64,26); განმიმართლებებს, განუჩემებებს (ლიმ. 73, 24), მოგიგებებს (კიმ. I. 144, 27), აღგიმართებებს (კიმ. I. 150, 28), წარუმართებებს (ფსალმ. 169, 18. 4). დამიდგინებთ (დაბად. 41, 41), უთარგმნებებს (მამ. ცხ. 224, 38), შეგამტკიცებთან, შეუსუენებებს, უკურნებთ (მამ. ცხ. 149, 30), მოგილებებს (A—397, 360, 12), წარუგდებთ (შუშანიკ. 25, 11), განულებთ (ნოველ. II, 52, 26), მოგიკუდინებებს, შემინანებებს (ნოველ. II, 196, 21), უკადრებებს, აღუვარებებს, აღუდგინებებს (დამასკ. ცხ. 167, 26), გიმსახურებებს (ექუს. დღ. 102, 11), უკელმწიფებებს, აღუშფოთებებს, გვრწმუნებთან, მოგვლუაწებებს, თავსმიდებებს (კიმ. II, 10, 5), შეუცთუნებთან, მართლ-წარუმართებებს (იაკობ. 6<sup>რ</sup>, 7), დაუკლებებს და არცა შეუმატებებს (ექუს. 131, 9—10), შეგიმართებთ (მას) (ანდრიან. და ანატ. 203, 8), მიგვშუებთ (ბალავარ. 134, 14—15, C), წარმოუყვანებთ (ხანტო. 297, 31), მიმსახურებთ (საბერძნეთისადა) (ტიპიკ. 1, 4), მოუსულელებთ, დამიგდებთ (ძაძა ზურგით) (ნოველ. I. 9, 6, 6), გამომიცვალებთ (კიმ. I. XXXV, 18); ... ესე ობოლნი აღმოსავლეთს შემიკრებთან და სახელი ღმრთისა და მისწავებთ და აწ წინაშე მეფობისა თქუენისა მომიყვანებთან (I: მომიყვანია) (გ. მთაწმ. 183, 14—16); და ეგრეთვე მე დალაცათუ უმრავლესი ამათ თავთაგანი ჯერეთ ვერ გამიგონებთ, არამედ წყალობითა ღმრთი-

სამთა... სიტყუაჲ შედარებული ბერძულისა და მართე-  
ბითი არა აკლს (დამსკ. 66, 1. ეფრ.).



-ემ: მოუცემიეს (სინ. 233, 21), მიმიცემია, წარმომიცემი, **ქართული ენის ეროვნული ბიბლიოთეკა**

გ) აწყყო -ობ, -ოვ თემისნიშნანია:  
-ობ: შეუცნობიეს (სჯულის კან. 27,38), გაცნობიეს და დაგიწყობიან (ფერჯნი) (ბიქტ. 170, 10—11), განუჯობიან (მამ. სწავლ. 25,20), შეუმკობიან (ეფრემ (გ), 54, 29), დაგიშობიან (FS: დაგიშობიან) ქმარნი (აპოკრ. 125,8. Ⴀ4), მითხრობიეს (მარინ. 33,1), დაგობრმობიან (კიმ. I. 136, 27), არა მიფლობიეს ხილვაჲ შენი (წარტყ. იერუს. მდ, 10), დაუტეობიეს (C: დაუტევებიეს) (ნოველ. II. 203,7), უშობიან (კიმ. II. 83,30), მისწრობია და მითხრობია (ფილეთ. 97,12), დაგიმკობია (მოქც. 103, 4—6), შემინდობია (იოვ. და ეფთვ. 53,7), დაუტკობია (ნოველ. I. 5, 8, 16).

-ოვ: შეუყოფიეს (მამ. სწავლ. 265, 15), დამიყოფიან (ნოველ. I. 7, 11, 21. A), უარ-უყოფიეს (ეპისტ. 77, 48, Ⴀ), კელ-უყოფიეს (გ. მთაწმ. 167, 3).

დ) ფუძედრეკადი ზმნები თურმეობით I-ში წარმოდგენილია აწყყოს ე ხმოვნიანი ფუძით:

დაუწყევიეს, განუბნევიან, აღვირჩევიეს, დაუთხევიან, დამილევიან, გარდაგიქევიან, დაუქევიეს, მიძლევიეს, მოუქევიან, გიკმევიეს, განვირჩევიეს (ბჭობით)...  
დაუდგენიეს, წარმომიდგენიეს (ასურ. 173, 22. 4), დაუთმენიეს (გობრ. 173, 10), განუჩენიან (დიდ. სჯულ. 547, ძეგლისწ.), წარმომივლენიეს (გ. მთაწმ. 178, 3), აღუდგენია (ნოველ. I. 5, 7, 13)...  
აუწყუედიან (ბალავარ. 95, 25. Ⴀ), მოუდრეკიან (იაკობ. 73, 11), შეუდრესიენ (ნოველ. II. 87, 25), წარუწყმედიან (ნოველ. I. 10, 19, 5), დაუტუეთია (გამოცხ. იოვ. 2, 9 b. თ)...

ე) აქ შემოვა ზმნები, რომელთა ფუძე აწყყოში შეკუმშულა-დაა წარმოდგენილი, ხოლო ნამყო-ხოლმეობითში — სრულად, თუმცა ასეთი განაწილება პირვანდელი არ უნდა იყოს — შეკუმ-



შული ფუძე წარმოშობით ხოლმეობითისაა [29, 73—76]. თურმეობითი I შეკუმშული ფუძით სარგებლობს:

განგიურიან (მამ. სწავლ. 137, 18), გარდაუწდიეს (ეფრემ (გ), 60, 21), გიშვიან (მოციქ. 13, 46), აღმიზორდიან (ტიბიკ. 18, 7), გამოუცდიეს (სინ. 119, 1—3), გამოგვკდიან (ნოველ. II. 247, 2), დამისჯიეს, მოუხდიეს (პატიყი დასჯისაჲ) (დიდ. სჯულ. 301, 32), განგიციდიან (ექუს. დლ. 76, 8), მიგიგურია (ცხ. იოვ. 147, 18—21)...

შესაძლებელია ეს წარმოება იმ დროისაჲ იყოს, როდესაჲ შეკუმშული ფუძე ხოლმეობითს ეკუთვნოდა, მაგრამ ამას არაფერი ასაბუთებს; იმ დონეზე, როდესაჲ ეს ფორმები დასტურდება, შეკუმშული ფუძე უკვე აწმყოს კუთვნილებაა.

ვ) აქ გაერთიანდება ზმნები, რომელთა აწმყოს ფუძე იმავე ხოლმეობითის ფორმაა, ამიტომაც ამოსავალი ნაკვთის დადგენა ძნელდება:

აღმოუქმნიეს, შეუქმნიეს, უჯმნია (დიდ. სჯულ. 325, 4), უჯსნია (კაცის აგებ. 188, 9), განმირყუნისა (ნოველ. II. 205, 28), დაუჯსნიეს (წყალსა) (მამ. ცხ. 192, 28—29), მოგიყიდიეს (კიმ. I. 150, 35), მოგვსთულიეს (მოციქ. 212, 17), უთარგმნია (კიმ. II. 91, 18), (შდრ. უთარგმნებიეს, მამ. ცხ. 224, 38)...

ზ) ამოსავალი ნაკვთის დასახელება საეგებოა ისეთ ზმნებშიც, რომელთა აწმყოს მარტივი ფუძე II ხოლმეობითში -ი სუფიქსით რთულდება (შდრ.: ვჰამ-ვჰამ-ი); ამგვარ ზმნათა I თურმეობითში დღეს ძნელი გასარკვევია, -იე დაბოლოება აწმყოს უსუფიქსო ფუძეზეა დართული, თუ ხოლმეობითისა და ნამყოს სუფიქსთა შეხვედრით მიიღება:

შეგირაცხიენ (პავლ. 341, 15. AB), (შდრ. CD: შეჰრაცხთ მას), მიმიხუჭიეს (ასურ. 134, 15), დაუჰამიეს (ეპისტ. 48, 2. ლ. B), წარგიკუეთიეს (მამ. სწავლ. 114, 31), აუჯოცია (ცხ. იოვ. 176, 5, გადამწ.), აღუწონიეს, განუზომიან (აპოკრ. 337, 36—37. C), შეგიმოსიეს (სინ. 265, 23), შემოგიყვანიან (კიმ. I. 129, 30), მომიქსოიეს (კიმ. I. 179, 39), უყნოსიეს (ცხ. ურპაელ. 323, 14—15), გითხო-

ვის (იოვანე, 16, 24, DE), დაუწერია (ნოველ. I. 3, 23, 10)...

თ) ბოლო ჯგუფად გაერთიანდება ფორმები, რომელთა უმეტეს მხოლოდ ნამყო-ხოლმეობითი შეიძლება იყოს. ასეთ ფორმებს პარალელურად ხშირად უდასტურდება აწმყოსფუძიანი ვარიანტები:

განუგდიეს (ექუს. დღ. 58, 2), შდრ.: წარუგდებიედ (შუ-შანიკ. 25, 11), დამიგდება (ნოველ. I. 9, 6, 6—7);

განუგეის (მამ. სწავლ. 72, 33) — განმიგებეის (ლიმ. 64, 26);

მოგიგეის (მამ. სწავლ. 190, 9) — მოგიგებეის (კიმ. I. 144, 27);

აულია (გ. მთაწმ. 142, 16) — აღულებეის (ფსალმ. 451 (A ათანას), 29);

მოუსწრია (ნოველ. I. 3, 12, 3) — მისწრობია (ფილეთ. 97, 12);

დაუმკვეს (დიდ. სჯულ. 448, 2) — დაგმიჯობია (მოქც. 103, 4—6);

მოგიღეის (ექუს. დღ. 43, 6) — მოგიღებეის (A—397; 36, 12);

ნათელ-უღეის (დიდ. სჯულ. 323, 19) — ნათელ-უღებეის (იქვე, C), (სინ. 219, 12);

დამიკლია (ნოველ. II. 4, 35. A. გადამწ.) — დაუკლებეის (ექუს. 131, 9—10);

განგისწავლიან (გ. მთაწმ. 184, 7) — განგისწავლებიან (იქვე, G), შდრ. სახელი ღმრთისაჲ დამისწავებია 'ობოლ-თათვის' (იქვე, 183, 14—15);

მისწავეის (A—19; 43[2], 20) —

მიწყეის (ასურ. 58, 8. C) უწყეის (მამ. სწავლ. 265, 1) — გიშრომიეის (ნოველ. I. 10, 36, 10. A) —

მიმცნიესა (შენდა) (დამასკ. ცხ. 162, 16), დამიმცნია (იოვ. და ეფთვ. 72, 2) —

ავგვია (საფლავი) (მამ. ცხ. 186, 21) —



- განუწყეის (გული) (კიმ. I. 135, 1) —  
 დაულბიან (ქვანი) (მოქც. 158, 10—11. 4), (დაულბიან თვან) —  
 თულ უგიან (თეკლა. 95, 31) —  
 განმიბკიეს (პავლ. 104, 3. 7b) —  
 აღუგზნიეს (ასურ. 192, 6), (მამ. სწავლ. 61, 31) —  
 მიუპყრია (ყური) (თეკლა. 96, 4) —  
 დაუპყრეის (ქუეყანაიცი) (ლუკა. 13, 7, DE) —  
 აღუპყრეის (კელითა ზე) (წარტყ. იერუს. იმ, 3) —  
 შთაუპყრიან (ექუს. 72, 35) —  
 აღუმტკმიედ (პირი) (აბოკრ. 41, 18. C) —  
 გამომივლიეს (კიმ. I. 310, 13) —

ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ I თურმეობითში ნამყო-  
 ხლომეობითის ფუძის ძიებას მყარი საფუძველი აქვს. ამგვარი  
 ფორმები კიდევ შეიძლება დაიძებნოს. მათგან ძველ ქართულში  
 ზოგიერთს აწმყოსფუძიანი პარალელი არ უჩანს და არც შემდეგ  
 განვითარებია (დამიწყია, გიზრომია, დამიმცნია, აღუმტკმია, აგვი-  
 გია, გამომივლია, განუწყ/ვ/ია, დაულბია, აღუგზნია, მისწავლია,  
 აღუპყრია...), ზოგ შემთხვევაში კი ენამ ორი ვარიანტიდან ძველი-  
 ვე აირჩია (დაუგდია, გაუგია, მოუგია, აულია, მოუსწრია, დაუმზ-  
 ვია, დამიკლია...). მისწავიეს, განგისწავლიან||განგისწავლებიან||და-  
 მისწავებია ფორმებში სწავლა-სწავ/ლ/ება ფუძეთა დიფერენ-  
 ციაციაა ასახული. რამდენიმე ფორმაში შეიძლება სტატისტიკურ  
 ზმნასთან საზიარო ფუძე დავინახოთ (აღუმტკმიედ, დაუპყრეის...),  
 რაც ცალკე საკითხია.

§ 4. თურმეობითი I-ისა და სტატისტიკურ ზმნათა ურთიერთო-  
 ბისათვის. არნ. ჩიქობავამ I თურმეობითის ფუძის კვლევისას დას-  
 ვა მისი სტატისტიკურ აწმყოსთან კავშირის საკითხი, მაგრამ განზო-  
 გადების შესაძლებლობა უარყო, რამდენადაც ამის ნიმუშები ერ-  
 თეულია, თუმცა დასძინა, „სტატისტიკური ვნებითის ადგილი მაინც  
 გარკვევას მოითხოვსო“ [49, 139—140; შდრ. 30, 434—435].

საკითხს სპეციალურად ეხებოდა ნ. ნათაძე და მიიჩნევდა, რომ  
 თურმეობითი I წარმოშობით სტატისტიკური აწმყოა. ამის ტიპიურ

ნიმუშად მოყვანილია უპყრიეს-შეუპყრიეს დაპირისპირება. შესაბამისად, II თურმეობითი და III კავშირებითი სტატიკური ზმნის ნამყო-კავშირებითს უღრის: **ეპყრა-დაეპყრა** [45].

6. ნათაძის მსჯელობა ზოგად ხაზებშია წარმართული, ძირითადი მსჯელობის საგნად მოდელგებია აღებული, კონკრეტული ფაქტების შეპირისპირება ნაკლებადაა და თანაც ნიმუშები ენის ისტორიის თვალსაზრისით ნებისმიერია. წარმოდგენილი დასკვნები მართებულია: I თურმეობითისა და სტატიკური აწმყოს წარმოების ყალიბი ძირითად ხაზებში ერთნაირია: **იეს (—ია)**; ფუძეები რიგ ზმნებში თანხვდება ერთმანეთს და განვითარების ტენდენციაც ანალოგიურია (იქვე). ამასთან, ენის ფაქტებით დასტურდება, რომ ამ ტენდენციას თურმეობითი I ჰკარანახობს სტატიკურ აწმყოს (ეს ეხება **-ია** დაბოლოებისა და მეშველი ზმნების დამკვირების პროცესს) [50].

სურათი თითქოს უდავოა, მაგრამ როგორც კი მასალის ანალიზზე მიდგება საქმე, ბევრი საკითხი უპასუხოდ დარჩება: ფორმათა ძირითადი მასივი არ გვიჩვენებს შესაბამის სტატიკურ აწმყოს, სარკვევია ზმნისწინის როლი და სხვა [შდრ.: 51, 56].

I თურმეობითისა და სტატიკურ ზმნათა ურთიერთობის საკითხი რთულია, ის ფუძეთა ისტორიის გათვალისწინებას მოითხოვს, რაც ყოველთვის არ ხერხდება. მხედველობაში მისაღება აგრეთვე ფორმათა ისტორიული ცვალებადობის გათვალისწინება. მაგალითად, დღეს გვაქვს სტატიკური ზმნა „ჰკიღია, მიკიღია“, რომელთან მიმართებაში თურმეობითი I „დამიკიღია“ „დამიკიღებიასთან“ შედარებით აშკარა ისტორიული პრიორიტეტით სარგებლობს და სტატიკურ ზმნაზე მიგვაქცევინებს ყურადღებას, მაგრამ სტატიკური ზმნა ძველ ქართულში სულ სხვა სურათს გვიჩვენებს: **ჰკიღავნ** (ტბეთ. იოვ. 12, 6), **მიკიღავნ**, **დამოგკიღავნ** (კიმ. I. 46, 28) და თურმეობით I-თან კავშირი არა აქვს. ძველი ქართულისათვის ასევე ბუნებრივი ფორმებია: **ახს**, **უბნ** (ტბეთ. მარკ. 4, 17), **ხახნ** (ნოველ. II. 35, 11), **აცუნ** (ნოველ. II. 14, 14—15) და სხვა (შდრ. ახალი: **აბია**, **ახხია**, **აცვია...**). **-იეს||-ია** დაბოლოებით ისტორიულად სტატიკურ ზმნათა მხოლოდ მცირე ჯგუფი წარმოსდგება. ამიტომაც ხშირად ერთეულ მონაცემებზე

დამყარება სწორ დასკვნებს არ მოგვცემს. სტატიკური აწმყო ფუძე (-იე დაბოლოებით) ხოლმეობითთან მიდის, ~~ფევევე საფევი~~ რებს მას I თურმეობითთან [29, 98 და შემდეგ; 52, 168-171-69] თურმეობითი I მეორეული, შედარებით გვიან წარმოშობილი ნაკვთია; იგი ძირითადად აწმყოს ფუძეს ემყარება, ხოლო უფრო იშვიათად (ნაშთის სახით) ნამყო-ხოლმეობითის ფუძეს. როგორც დრო-კილოთა III ჯგუფის ყველა ფორმას, მოსალოდნელია წარმოების მოდელი მასაც რომელიმე ნაკვთიდან ჰქონდეს აღებული. ასეთ მოდელად, ერთი მხრივ, გვევლინება -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა აწმყო (კრავს — შეუკრავს, სხამს — დაუსხამს), მეორე მხრივ — სტატიკური აწმყო -იე დაბოლოებით (უპყრიეს — შეუპყრიეს, აკეთებს — გაუკეთებთ, გლეჯს — უგლეჯით...), სტატიკური ზმნები მცირერიცხოვანი ჯგუფია იმისათვის, რომ რომელიმე ნაკვთს საფუძვლად დასდებოდა, მათგან შეიძლებოდა მხოლოდ მოდელის აღება, რაც გამოყენებულ იქნა გარდამავალ ზმნათა ფუძეების საწარმოებლად. I თურმეობითში სტატიკურ ზმნათა ფუძეების წარმოდგენის ერთეული ფაქტები შეიძლება აიხსნას: სტატიკური ზმნები უძველესი ფორმაციის, მაგრამ მორფოლოგიურად განუვითარებელი ფორმებია [25, 51]. ამასთან, როგორც აღინიშნა, -იე-ზე დაბოლოებულთა რიცხვი დიდი არაა. ამ მოდელით ნაწარმოები I თურმეობითის ფორმები დამთხვევოდა სტატიკური ზმნის ფუძეს იქ, სადაც სტატიკური ზმნის შესაბამისი გარდამავალი ზმნის ნამყო-ხოლმეობითის ფუძე ემთხვეოდა სტატიკური ზმნის ფუძეს; ამგვარად: უპყრიეს — /შე/უპყრის — /შე/უპყრიეს; ჰმოსიეს — /შე/იმოსის — /შე/უმოსიეს; სწერია — /და/წერის — /და/უწერია და მისთ.

რალა მაინცდამაინც წარმოების ეს მოდელი ისეხსა ჩამოყალიბებადმა ნაკვთმა? ალბათ იმად, რომ ის უკეთესად გადმოსცემდა შედეგობითობას, რეზულტატიურობას, თანაც, მისით ყველაზე უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფი სარგებლობდა.

ამავე კუთხით უნდა აიხსნას სტატიკური ზმნის ნამყოსა და გარდამავალი ზმნის თურმეობითი II-ის დამთხვევის ფაქტები (ეპყრა). სტატიკური ზმნისათვის ეს ნაკვთი ნასესხებია და ახალი იმისათვის, რომ თურმეობითი II-ის საყრდენი გამხდარიყო. მათი დამთხვევაც ფორმათგანვითარების შედეგია.

§ 5. -**იმ დაბოლოების საკითხი პირველ თურმეობითში.** -ავ

და -ამ თემისნიშნიან ზმნათა გარდა ძველ ქართულში ყველა ორგანული წარმოების თურმეობითი I ბოლოვდება -**იე** ხმოვნებზე რომლებსაც ძირითად პარადიგმაში მოსდევს S<sub>3</sub> -ს. -ს სუფიქსი მონაცვლე -ა და S<sub>3</sub> მრ. -ან -**იე** დაბოლოების ე ხმოვანს კვეცავენ (→-ია, -იან). -**იე** დაბოლოება ორ სხვადასხვა ფორმანტადაა დაშლილი. მათი სეგმენტირებისათვის ფორმოზბრივი, ოპოზიციური საფუძველი არ არსებობს — მათი წარმოდგენა-წარმოუდგენლობა ყოველთვის ფონეტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ერთადერთი დასაყრდენი ამ ნაბიჯისათვის არის „შეუპყრიეს“ ტიპის ერთეული ფორმები, რომლებშიც ამოსავლად გამოყენებული ჩანს ხოლმეობითის -**ი** სუფიქსიანი ფუძე, მაგრამ აქაც არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ -**იე** დაბოლოების **ი** ხმოვანი არ დაიკარგა ფუძისეულ -**ი**-სთან შეხვედრისას; ორი **ი**-ს შეხვედრას კი გვაგარაუდებინებს აწმყოს ფუძეთა უმრავლესობა, სადაც -**იე** უშუალოდ თემის ნიშანს ერთვის, რომ აღარაფერი ვთქვათ აწმყოს უთემისნიშნო ფუძეებზე (შეუღრეკიეს).

-**ი** ფორმანტი თურმეობით პირველში, იგივე ოდენობა სტატიკურ ზმნათა აწმყოში და ხოლმეობითის -**ი** ისტორიულად ერთმანეთს უკავშირდება [29, 93—98], ხოლო -**ე** აორისტის სუფიქსის წარმომადგენლადაა მიჩნეული, რომელიც პირდაპირ პერმანსივის ფუძეს ერთვოდა: გვქონდა უპყრ-**ი-ს** (ნ. ხოლმ.), მივიღეთ უპყრ-**ი-ე-ს**, რომელიც რეზულტატიური სემანტიკის გამო აწმყოდ ქცეულა, -**ე** კი შენარჩუნებულა [53, § 12]. ეს -**ე** სხვა ნამყო დროის სუფიქსთა დონეზე დგება [54, 457].

ნ. ნათაძე ეხება თურმეობით I-ში -**ი** სუფიქსის წარმომავლობის საკითხს და მას მიიჩნევს სტატიკური ვნებითის აწმყოდან მომდინარედ, ვიდრე უშუალოდ ხოლმეობითის ფუძიდან; ხოლმეობითს კი იმდენად დაუკავშირდება, რამდენადაც აწმყოს -**ი** იმავე ხოლმეობითის -**ი** არისო [45, 88].

ეს დებულება არ აიოლებს მდგომარეობას, კითხვა არ იხსნება: თუ -**ი** აწმყოს თემის ნიშნის დონეზე დგება, რაღა უნდა მას აწმყოს თემის ნიშნების მომდევნოდ (გაუკეთ-ებ-**ი-ე-ს**, დაუც-ემ-**ი-ე-ს...**)? ამას ხედავს ნ. ნათაძეც და იძულებულია გამოიტანოს

ასეთი დასკვნა: „-ი-ე დაბოლოება ქართული წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ისტორიის მანძილზე უკვე თურმეობითის საკუთარი მაწარმოებელია. მისი ხმარება მოკრძალებული ნორმად არის ქცეული“ (იქვე).

ერთი მხრივ, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა ჩვენება, მეორე მხრივ, შედარებით მცირერიცხოვან ზმნათა ჩვენება, რომ თურმეობითი I ოდესლაც ხოლმეობითის ფუძეს ეყრდნობოდა, აგრეთვე სტატიკურ ზმნათა აწმყოსთან კავშირი გვავალებს შემდეგ დასკვნას:

როგორც ცნობილია, უძველესი ფორმაციისად მიიჩნევა I თურმეობითის ფორმები, რომლებიც ხოლმეობითის ფუძეს ეყრდნობა [49, 127—141; 29, 93—98]. აქ უნდა იყოს ნაკვთის წარმოების გასაღები: როცა ამ ნაკვთმა აწმყოს ფუძით სარგებლობა დაიწყო (რაც შესაძლებელი იყო აწმყოსა და ხოლმეობითის სემანტიკური სიახლოვის გამო), ხოლმეობითიდან წარმოების მყარი მოდელი უნდა არსებულებოდა ენაში, საიდანაც ენობრივი ინტუიციით -იე/ს/ უკვე დაუშლელ ერთეულად იქნა მიღებული და ახალ ფუძეთა საწარმოებლად გადმოვიდა, როგორც მყარი ფორმანტი — ერთი ფუნქციის შესაბამისი ოდენობა, რომელიც რალაც მიზეზით (შეიძლება მათი სიძველის გამო) არ დაერთო -ავ და -ამ თემისნიშნის ფორმებს, დანარჩენ შემთხვევაში კი აწმყოს ფუძე უცვლელად გამოიყენა. ამ მხრივ უძველესი მდგომარეობაა შემონახული სტატიკურ ზმნათა აწმყოში, რომელთა პირვანდელი ფუძე ხშირად ჩვენს თვალწინაა შეცვლილი აწმყოს ფუძით:

შდრ.: უფლიეს (წარტყ. იერუს. მდ. 23) — მიფლობიეს (იქვე; მდ. 10).

ისტორიულად S<sub>3</sub> მრ. -ან სუფიქსის გვერდით მხოლოდობითში -ა სუფიქსისა და მეშველ ზმნათა განმტკიცებამ საბოლოოდ დაშალა -იე მაწარმოებელი. ის, რომ ენაში -ე სუფიქსის უქონლობა არ იგრძნობა, კიდევ ერთი საბუთია -იე-ს ისტორიული გაერთმნიშვნელოვნებისა. მეორე მხრივ, აქ კიდევ ერთხელ ჩანს მეშველზმნიანი წარმოების წონის ზრდა.

და კვლავ დგება კითხვა: როგორ შეათავსა ენამ ორი სხვადასხვა პოლარული ფუნქციის (დიურატიულობისა და წყვეტილობის)

ფორმანტი -ი და -ე? ეს ისევე უნდა აიხსნას, როგორც სტატიკურ ზმნათა აწმყოში [53, § 12]: რეზულტატიურობას, შედეგობილობას სჭირდება, რომ მოქმედება დასრულდეს. მოქმედებას აქრობენ უფლები ამოსავალში უწყვეტია, მიმდინარეა (სოლმეობიურობა აწმყოშიც), დასრულებული, შედეგობრივი სახით წარმოგვიდგენს -ე აორისტის სუფიქსი. ფუძეში შესული სუფიქსები (-ი და თემის ნიშნები) -ე სუფიქსის სემანტიკითაა გადაფარული და ზმნური ფორმა პერფექტული შინაარსისაა.

§ 6. პირთა მიმართების -ი-||-უ- აფიქსები თურმეობით პირველში. გარდამავალ ზმნათა თურმეობითი I-ის ინვერსიული მოდელი დაბოლოების განხილვით არ ამოიწურება. უნდა გაირკვეს ანლაუტის მორფოლოგიური გაფორმების საკითხიც, კერძოდ კი, იმ -ი-||-უ- აფიქსთა რაობა, რომლებიც ყოველთვის არის წარმოდგენილი პირის პრეფიქსთა მომდევნოდ. ამ საკითხის გარკვევის საჭიროება განსაკუთრებით იგრძნობა -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნათა ინვერსიულ მოდელში, სადაც დაბოლოება სულაც არ განსაზღვრავს ფორმის სპეციფიკას: მ-ი-ნახავს, გ-ი-ნახავს, უ-ნახავს...

-ი-||-უ- აფიქსთა ფუნქცია არსებითად აუხსენელია. აღნიშნულია, რომ ეს ფორმები წარმოებით სასხვისო ქცევას წარმოადგენს, მაგრამ ქცევის მიხედვით გარჩევა III ჯგუფის ფორმებში არა გვაქვს, რადგან საპირისპირო ფორმები აკლია და I—II ჯგუფთა შესაძლებლობანი ამ მხრივ ნიველირებულია: ა-შენებს, ი-შენებს; უ-შენებს ფორმებს შეესაბამება ერთი ფორმა — ა-უ-შენებია [28, 155; 30, 338—339, 434]. გ. დეეტერსი აღნიშნულ აფიქსებს ხარაქტეროვალს (CV) უწოდებს და მიიჩნევს, რომ ისინი დატივის მოქმედზე მიუთითებენ, რატომ მაინცდამაინც მასზე, გასაგები არააო. მეცნიერმა მესამე პირში ხმოვნის შეცვლის მიზეზიც კითხვის ქვეშ დატოვა [52, 166, 87].

პასუხს მოითხოვს კითხვა: რა ფუნქციის გამომხატველად უნდა დავსახოთ -ი-||-უ- აფიქსები? აშკარაა, რომ მათში რაღაც უძველესი მდგომარეობაა დანრდილული. ახლანდელი ვითარება ქცევის საკითხში შესაძლებელია არ ასახავდეს ოდინდელ მდგომარეობას, მაგალითად, ერთი და იგივე -ი- აფიქსი სათავისო ქცევისასაც გამოხატავს და სასხვისოსაც (შდრ.: ვ-ი-შენებ — მ-ი-შენებს)





[55]. გ. როგავამ ხაზი გაუსვა ქცევის უძველესობას და -ი აფიქსში კუთვნილებითი ნაცვალსახელი დაინახა; კავკასიურ ენათათვის კუთვნილების გათვალისწინებით მკვლევარმა მი-ზის ზმნა ~~სინე-ჯანსაღტა-ა~~ „მე — თავისი ზის“ [56]. ეს ერთი — უძველესი — ფუნქციის მითითებაა. საყურადღებოა, რომ სუბიექტური და ობიექტური წყობის ზმნებში ქცევის გამოხატვის მხრივ ერთგვარობა არაა. პირველთა რიგში ბევრად უფრო განვითარებული და ჩამოყალიბებულია საობოზიციო ცალები (ვაშენებ — ვიშენებ — ვუშენებ), მეორეთა რიგში — არა (მიშენებს, გიშენებს, უშენებს, მიშენებ, გიშენებ). უკანასკნელ შემთხვევაში ფორმათა განსხვავებულ ოდენობად (სასხვისო ქცევად) დასახვა წყობის გამო ხდება. მათ ამ წყობაში საობოზიციო ცალები არ მოეპოვება. მათში, არსებითად, ქცევის თანამედროვე გაგება არ აისახება. თუ სუბიექტური წყობის ფორმებში ქცევის ფორმანტი პირთა მიხედვით უცვლელია, ამ შემთხვევაში მესამე პირი /-უ-/ უპირისპირდება პირველ ორ პირს. შესაძლებელია ეს მოვლენა უძველეს ვითარებას ასახავდეს: -ი- ფორმანტით უახლოესი, ჩემი და შენია გამოხატული -უ-თი კი — შორეული, სხვა, მისი. ასეთი დაპირისპირება I—II და III პირებს შორის იბერიულ-კავკასიურ ენათათვის ბუნებრივია (ან III პირი I—II პირებთან შედარებით ჩამოყალიბებული არაა, ან სხვაგვარადაა ჩამოყალიბებული და სხვა ფორმანტებს გვიჩვენებს და სხვა).

სუბიექტურ წყობაში პირთა დაპირისპირება არ აისახება: ვიშენებ, იშენებ, იშენებს, ვუშენებ, უშენებ, უშენებს. -უ- უკვე საობიექტო კუთვნილებას გამოხატავს, ზმნა სამპირიანი ხდება (ვუშენებ მე მას მას). ამ თვალსაზრისით „ვიშენებ“ ზმნაც სამპირიანია (მე მას მე). აქედან იწყება ქცევის ახალი გაგება.

მაშასადამე, ობიექტური წყობის ზმნებში ცალმხრივი მიმართება მყარდება — გრამატიკული ობიექტის (რეალური სუბიექტის) მიმართ, სუბიექტური წყობის ზმნებში კი — ორმაგი მიმართება, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მიმართ. პირველი მდგომარეობა უფრო ძველი ჩანს, მეორე — განვითარებული, შედარებით ახალი. პირველს კავშირი უნდა ჰქონდეს კავკასიურ ენათა მონაცემებთან (გარდამავალ ზმნაში ობიექტური პირის ასახვა,

I—II და III პირთა სხვადასხვა მდგომარეობა...), რაც ღრმა შესწავლას მოითხოვს.

თურმეობითი I-ის ფორმები აღწერილი მდგომარეობის ერთი გამომხატველია, პირთა დაპირისპირება აშკარაა: გიქმნიეს, გიქმნიეს, უქმნიეს. რეალურ სუბიექტზე მითითების (მასთან მიმართების) პირვანდელი ფუნქცია ამ ფორმებში დაიხრდილა ქცევის ახალი სისტემის ჩამოყალიბების გამო. III ჯგუფში ქცევის განვითარებისათვის ხელი უნდა შეეშალა, ჯერ ერთი, იმას, რომ აქ სამპირიანი ზმნა ორპირიანი ხდება, მეორეც, იმას, რომ წყობა ინვერსიული, ობიექტურია, რომელსაც პირთა მიმართების ხმოვნების უძველესი მდგომარეობა დაუცავს.

ამ მხრივ ზოგი საგულისხმო თავისებურება იჩენს თავს ზანურ-სვანურ ენებში.

სვანურშიც და ზანურშიც პირთა მიმართების ხმოვნების შეფარდება თურმეობით I-ში ქართულის ანალოგიურია: I—II პირში -ი-, III-ში — ზან. -უ-//სვან. -ო-. სვან.: მ-ი-მარა, ჯ-ი-მარა, ხ-ო-მარა „მიმზადებია..“ [57, 169—170]. მეგრ.: მ-ი-ზიმუნ, გ-ი-ზიმუნ, უ-ზიმუნ „მიზომავს...“ [58, 145—147; 59, 59, 86—88; 60, 69—70]. განსხვავება II თურმეობითსა და III კავშირებითში იჩენს თავს. ქართულში თუ აღნიშნულ ნაკვთთა ინვერსიული მოდელი I თურმეობითისაგან განსხვავდება და ფორმოზრივად ე-პრეფიქსიანი ვნებითის ნამყოფა და კავშირებით II-ს წარმოადგენს, ზანურ-სვანურში I თურმეობითის მისდევს და პირთა მიმართების ხმოვნებიც შენარჩუნებულია. სვანურში II თურმეობითსა და III კავშირებითს I თურმეობითისაგან განსხვავებს ბოლოსართები: თურმეობით II-ში -ჰნ||-ჰნ||-ჰნ||-ჰნ, კავშირებით III-ში -ჰნ||-ენ-ე. შდრ.: თურმ. I მიხტაჟა — თურმ. II მიხტაჟ-ჰნ — კავშ. III ოთხატჟ-ენ-ე. ეს დაბოლოებები ვნებითის სუფიქსებია [57, 173—177]. მეგრულში თურმეობითი II და კავშირებითი III წარმოადგენენ თურმეობითი I-ის ნამყოფს უსრულისა და კავშირებითი I-ის ფორმებს, ისინი სარგებლობენ ამ უკანასკნელთა სუფიქსებით: მიზიმ-უ-დ-უ, მიზიმ-უ-დ-ა-ს [58, 145; 61, 46].

ქართული ენის ვითარების მიმართება ზანურ-სვანურთან (პირველ რიგში კი, სვანურთან) ბადებს შემდეგ ჰიპოთეტურ კითხ-

ვას: ქართულში თურმეობითი II და კავშირებითი III რომ სუფიქსურ ვნებითს დაყრდნობოდა, ამ ნაკვთებშიც ხომ არ გვექნებოდა პირთა მიმართების ხმოვნები? სხვაგვარად, ხომ არ დაიკოვრა ეს ხმოვნები პრეფიქსული ვნებითის ფუძესთან შეხვედრისას?

§ 7. **ობიექტური პირის პრეფიქსთა ანალიზი.** I თურმეობითის ძირითადი პარადიგმა ობიექტური პირის პრეფიქსებითა და III სუბიექტური პირის სუფიქსითაა წარმოდგენილი. ასეთია აღნიშნული ნაკვთის ინვერსიული მოდელის გაფორმება:

1. მ-	}	-ს (    -ნ    -დ )    -ა
2. გ-		
3. 0(ჰ, ხ)-		

არა ვისგან მი-მ-იხუეჭიეს, ჩემი არს უბრალოჲ... (ასურ. 134, 15);

და ნუ ვითარცა მტერი შე-გ-ირაცხიენ იგი... (პავლ. 341, 15. AB);

...სამოსელი თქუენი მლილთა და-უჭამიეს. (ეპისტ. 48, 2. ႮႤ).

O<sub>3</sub> პრეფიქსი მხოლოდ გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი ხანმეტ ტექსტებში. დადგენილია, რომ ხ-||ჰ- ფორმანტებისათვის ხმოვნის წინა პოზიცია აუტანელი ჩანს, თურმეობით I-ში კი ის ყოველთვის უ ხმოვნის წინ მოექცეოდა [30, 184—185; 62, 149—150]. უძველეს ვითარებას წარმოგვიდგენს:

რაჲ არს, რომელი ხ-უქმნიეს მას? (ხანმეტ. იაკობ. XV, 2. B).

რეალური სუბიექტის მრავლობითობა ახალ სალიტერატურო ქართულში აისახება პირველ პირში პრეფიქსით /გვ-/, II და III პირში — სუფიქსით /-თ/ (გვ-იქნია, გიქნია-თ, უქნია-თ). ძველ ქართულში RS-ის მრავლობითობა მხოლოდ I პირში აისახებოდა, II და III პირში — არა:

1. სამნი გუ-იხილვან ჩუენ წიგნნი იგი ყოვლად ბრძნისა სულომონისნი /B: გუხილვან/ (ბასილ. 88, 14); ... ვ-

თარცა მრავალგზის ვუთქუამს... (გ. მთაწმ. 175, 2)...  
2. ხოლო ვაჲ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მი-გ-იღე-  
ბიეს ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი (ლუკა. 6, 24); არა-მე  
სადა აღმო-გ-იკითხავს თქუენ, რაჲ-იგი ყო დავით-  
(მარკოზ. 2, 25. C)...

3. რამეთუ ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს დაცვად  
შენთვის ყოველთა გზათა შენთა (ფსალმ. 219, C4, 11);  
... აღუთქუამს მათ მიცემად ცხორებისა საუკუნოჲსა  
(A—397; 88, 12); დიაკონთა სამოსელი იგი ზე აღუ-  
პყრიედ (წარტყ. იერუს. იმ, 8)...

მაგრამ არსებობს ნიმუშები, რომლის საფუძველზეც შეგვიძ-  
ლია ვივარაუდოთ, რომ ენის უფრო ძველ საფეხურზე არც პირ-  
ველ პირში გამოიხატებოდა RS-ის მრავლობითობა:

აწ უკუე ვინაითგან მიცნობიეს ჩუენ საფასჲ იგი, რო-  
მელი საპყრობილეს არს, ვისწრაფოთ მისლვად მუნ  
(მამ. სწავლ. 54, 7); ესევეთარი არა მიხილავს ჩუენ  
ყრმაჲ (თომა. 38, 69); (იგივე: სიყრმ. უფლ. 319, 22გ).

მ-||გვ- ფორმანტთა მიმართება საენათმეცნიერო ლიტერატუ-  
რაში დეტალურადაა დამუშავებული: ერთნი მათში ხედავენ ის-  
ტორიული ინკლუზივ-ექსკლუზივის ასახვას (ა. შანიძე, ვ. თო-  
ფურია, გ. დეიტერსი), მეორენი ასეთ ვარაუდს ძველი ქართულის  
მონაცემებით შეუძლებლად თვლიან (არნ. ჩიქობავა, კ. დონდუა)  
[[63; 64, 65; 52, 34; 57, 26; 65; 66; 40, 234 და შემდეგ]. ამ სა-  
კითხებს დეტალურად აღარ განვიხილავთ. ჩვენთვის მთავარია  
წესი, რომელიც განხილული ნიმუშებიდან გამოდის: უძველეს ქარ-  
თულში ობიექტური პირის პრეფიქსები მიცემითბრუნვიანი რეა-  
ლური სუბიექტის მრავლობითობას არ გამოხატავდნენ.

§ 8. მესამე სუბიექტური პირის სუფიქსთა ანალიზი. ძველი  
ქართული სალიტერატურო ენის ძეგლები თურმეობით I-ში მესა-  
მე სუბიექტური პირის სუფიქსად მხოლოდობით რიცხვში ოთხ  
ფორმანტს გამოავლენენ: -ს, -ნ, -დ, -ა. მათგან ძირითადია -ს სუ-  
ფიქსი, -ა მისი ისტორიულად შემცვლელია, ხოლო -ნ და -დ ფორ-  
მანტები უკვე ძველ ქართულში სპორადულად ვლინდება. -ს სუ-  
ფიქსის ძირითადობას ამ პოზიციაში მრავლობითში მისი შესაბა-

მისი -ან ფორმანტის არსებობაც ადასტურებს. როგორც ვხედავთ, S<sub>3</sub> პირის სუფიქსებს ისტორიულად დიდი ცვლილებები შეეხო. გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი გარეგნულად მწიფნელოვნა დაა შეცვლილი: გვქონდა -იეს დაბოლოება, გვაქვს -ია (ეს ცვლილება მხოლოდ -ავ და -ამ თემისნიშნთან ზმნებს არ შეეხო). S<sub>3</sub> პირის -ს სუფიქსის -ა-თი შეცვლას უკვე ძველ ქართულში აქვს ფეხი მოკიდებული, ჩანს, ის ცოცხალი ენობრივი პროცესის ამსახველია. -ია დაბოლოება ჯერ კიდევ ჰამეტ ტექსტებში დასტურდება, რაც მითითებულია [67, 168]. „სინურ მრავალთავში“ რამდენიმე ასეთი ნიმუში დასტურდება [68, 318]. დადგენილია, რომ X—XI სს-ის ზოგ ძეგლში -ია დაბოლოება უტოლდება და სჭარბობს კიდევ -იეს დაბოლოებას [69]. ძეგლთა ჩვენება ნათელს ხდის, რომ -ია დაბოლოება თანდათან იკარგავს გზას, ოღონდ ის მთლიანად ძველი ქართული სალიტერატურო ენის არც ერთ ძეგლში არაა გატარებული, ამიტომაც ამ დონეზე ნეოლოგიზმად ჩაითვლება. -ია დაბოლოების ისტორიული დამკვიდრების საჩვენებლად საინტერესოა რედაქციული მონაცემები. თითქოს აშკარაა, რომ შედარებით გვიანდელ რედაქციებში უფრო ხშირია -იეს დაბოლოების ნაცვლად -ია-ს წარმოდგენა, რაც ამ უკანასკნელის დამკვიდრების პროცესს უნდა ასახავდეს. მაგრამ ახსნა სჭირდება ისეთ შემთხვევებს, როცა გვიანდელი რედაქცია ძველ დაბოლოებას გვიჩვენებს აღრინდელი რედაქციის ახალ ფორმასთან მიმართებით. როგორც ჩანს, ყველაფერი გადამნუსხავის ინდივიდუალურ ცოდნაზე იყო დამოკიდებული, სალიტერატურო ენის ტრადიციები ზღუდავდა ცოცხალ ენობრივ პროცესს. დასტურდება ისეთი აუხსნელი შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე ფრაზაში ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა დაბოლოებითაა წარმოდგენილი:

... განწესებაჲ იგი თუ შეაჩნე, მეფჳ შეგიჩუენებია.  
მიუგო მონამან დ<sup>რ</sup>თისამან: მე მეფჳ არა შემიჩუენებიეს... (კიმ. I. 74, 12—13).

ახლა შევადაროთ ერთი და იმავე ძეგლის ორი რედაქცია:

... და წმიდაჲ ესე ბერი უდებ უყოფიეს? /C:უყოფია/  
(ნოველ. II. 161, 16); მაგრამ:

წარმოვინად-მე-უცთუნებია ბერსა ამას ყრმაჲ ესე?  
/C:უცთუნებიეს/ (ნოველ. II. 161, 16).

და ამგვარადვე — ა) გვიანდელი რედაქცია ახალი -ია ედუკაციური  
ლოგოთაა წარმოდგენილი: ივანე ჯავახიშვილი  
ბიზნოლოგი

ხოლო ესე მეუფე, რომელსა პორფირი შეუმოსიეს...  
ესე ქუედათ ფერჯთა მივიდეს საფლავსა მას... /C:შეუ-  
მოსია/ (მამ. სწავლ. 87, 29); ... და ოდეს მოუგვის ქო-  
ნებაჲ? /ეფრ.: მოუგია/ (დამასკ. 158, 7. არს.); გულის-  
თქუმა გულისა შენისა მიგიცემიეს მისდა /L:მიგიცე-  
მია/ (ფსალმ. 44, C, 3), (იგივე: ფსალმ. 151, 6 C და  
L); ... შენთვის მიმინიჭებიეს ამათ ყოველთადა ცხორე-  
ბაჲ /F:მიმინიჭებია/ (მოციქ. 216, 30); და ყოველსა,  
რომელსა მოუგვის სიმდაბლე, და შესცოდა მას ძმა-  
მან... /C:მოუგია/ (მამ. სწავლ. 286, 6), (იგივეა 286,  
13-ში, მაგრამ C-ში „მოუგია“ აღარ ენაცვლება); შენ  
შჯული აღგისრულებიეს და წინაწარმეტყუელნიცა /C:  
აღგისრულებია/ (მამ. სწავლ. 149, 13).

მაგრამ ბ) უფრო ახალი რედაქცია ძველ ფორმას გვიჩვენებს  
და პირიქით:

მცნებაჲ მოუცემია შენდა ღმერთსა... /BC:მოუცემიეს/  
(მამ. სწავლ. 136, 22); და ვინაჲთგან გიცნობია გან-  
კითხვაჲ სარგებლისა მომატყუებელი, განიკითხევდი  
მარადის თავსა შენსა... /BC:გიცნობიეს/ (მამ. სწავლ.  
136, 33); ... და დაუტეობია სოფელი ესე... /BCD:დაუ-  
ტევებიეს/ (ბალავარ. 51, 23); ეგერა კარაული ჩემი  
შეუტჳამია /L:შეუტჳამიეს/ (ასურ. 116, 25. 4); ... გარნა  
ურწმუნომცა ნუვიან არს, რამეთუ ჩუენ თავით თუსით  
არარაჲ აღგუწერია... /BCD:აღგუწერიეს/ (იოვ. და  
ეთევ. 4, 1); ღმერთსა მოუცემია ჩუენდა საბრძოლოდ...  
/B:მოუცემიეს/ (მამ. სწავლ. 144, 5).

საგულისხმოა, რომ რედაქციების სხვადასხვა მინაწერებში,  
ანდერძებში და სხვა პირადულ შენიშვნებში ყველაზე უფრო ხში-  
რად იჩენს თავს ახალი ფორმები:

... ჩუენ კულა, რაჲოდენ ეგების, ბერძულსა დაგვსგავ-  
სებია (ძლისპ. [მთაწმ.]. 51, 30); თუ დაკლებაჲ რაჲმე



ბ) -იე დაბოლოებიან ფორმებზე დართვისას -ან კვეცავს ე ხმოვანს, (როგორც S<sub>3</sub> მხ. -ა):

მასმიეს მე, მამაო, ვითარმედ მრავალნი მონასტრები აღვიშენებთან უდაბნოს (კიმ. II. 202, 4); ... მას ნეტარსა უთარგმნიან (გ. მთაწმ. 146, 19);

... რომელთა განუჩენიან კანონნი რიცხვთ ათშვდმეტნი (დიდ. სჯულ. 547, ძეგლისწ.); მარტვლნი დაუსუენებთან... (გ. მთაწმ. 139, 4—5).

საგულისხმოა, რომ სახელობითბრუნვიანი რეალური ობიექტის ძალა სუბიექტთან შედარებით, რაც კლასოვანი უღვლილების ერთ-ერთი ნიშანია, ინვერსიულ ზმნებშიც იჩენს თავს (70, 15—17).

თურმეობითი I-ის მესამე სუბიექტური პირის ფორმანტებთან დაკავშირებული საკითხები ამით არ ამოიწურება. როგორც აღინიშნა, ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში -ს და -ა სუფიქსთა გვერდით დასტურდება უფრო იშვიათი ხმარების ფორმანტებიც -ნ და -დ; ასევე მრავლობითობის -ან ფორმანტის გვერდით წარმოდგენილია -ენ და -ედ სუფიქსები. ერთი ფუნქციის ამსახველ ფორმანტთა სიმრავლე ახალ პრობლემებს წარმოშობს, მაგრამ სანამ მათ შევეხებოდეთ, კვლავ -ია დაბოლოების საკითხს დავუბრუნდეთ I თურმეობითში მეშველზმნიანი წარმოების საკითხთან მიმართებით.

§ 10. -იბ დაბოლოებისა და მეშველზმნიან ფორმათა წარმოშობის საკითხი I თურმეობითში. თურმეობითი I-ის -ა სუფიქსი (აღმიშენები-ა) ნ. მარმა მეშველი ზმნიდან მომდინარედ მიიჩნია /←არ/, მაგრამ ეს არ იყო მოულოდნელი, რადგანაც მეცნიერი ბევრ სუფიქსში ხედავდა მეშველი ზმნის ნაშთს და ასეთადვე მიიჩნდა -ეს დაბოლოებაც I თურმეობითის ძველი ფორმისა (აღმიშენები-ეს) [27, 125]. -ა-ს მეშველი ზმნიდან წარმომავლობა შესაძლებლად მიიჩნია ა. შანიძემაც [30, 436, შდრ. 319]. ვ. თოფურიასა და ნ. ნათაძის თვალსაზრისით -ა S<sub>3</sub> პირის სუფიქსია, რომელსაც ფუძის ბოლო ხმოვნის კვეცა შეუძლია. ეს მოვლენა I თურმეობითში ვნებითის აწმყოს დონეზე დგება (თეთრდების → თეთრდება) [45, 91—92; 54, 456—457]. პირველი თვალსაზრისი



(ნ. მარი, ა. შანიძე) შემდეგ ლ. ბარამიძემ დაიცვა. მან არ გაიზიარა I თურმეობითის ვნებითის აწმყოსთან კავშირი, რადგანაც ისინი სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის წარმონაქმნებია და შეუძლია სიახლოვე დაინახა შედგენილ შემასმენელთან, სადაც „არს“ მეშველი ზმნა ადრევე იკვეცებოდა (შემკულ-ა). ფუძის ე ხმოვნის დაცარგვა არაბუნებრივი ხმოვანთკომპლექსის შექმნას მიეწერება (მიუცემ-იეა→-ია). მაგრამ ისტორიულად I თურმეობითის I—II პირსაც გაუჩნდა მეშველი ზმნა, რომლის წინაც ფუძის ე ხმოვანი ასევე იკარგება, ამას კი I—II პირის მეშველ ზმნას ვერ მივაწერთ. ამიტომაც უშვებს მკვლევარი, რომ I—II პირში III პირის ფუძე უნდა განზოგადებულიყო [50, 111—112; შდრ.: 67, 172].

მაინც რა მონაცემებს ემყარება -ა სუფიქსის მეშველი ზმნიდან მომდინარეობის ვარაუდი გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში?

მეშველი ზმნა ამ პოზიციაში უძველეს ტექსტებშიც არსად დასტურდება (შდრ. ანომალიური დამიწერიარს: წარტყ. იერუს., გვ. 64, მინაწ.).

ყველა შემთხვევა, სადაც ა←არს პროცესი გატარდა, ისტორიულად არის დადასტურებული და, საერთოდ, ყველა მეშველ-ზმნიანი წარმოების ჩამოყალიბება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაწიერზე ხდება. ცხადია, V საუკუნემდელი ვითარება არც ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ. „არს“ მეშველი ზმნის გამარტივება ამ დრომდე ვერ იქნება დაწყებული, პროცესის დასრულებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია.

მონაცემები, რომლებიც ა←არს პროცესის სავარაუდოდ ფონს ქმნიან, არის I თურმეობითის ის ერთეული მეშველზმნიანი ფორმები ძველ ქართულ ენაში, რომლებსაც მსჯელობის გასაადვილებლად „დამატებითი კომბინაციის“ ფორმებს ვუწოდებთ. კერძოდ, ძირითადი პარადიგმაა: დამიდგენიეს /-ია/, დაგიდგენიეს /-ია/, დაუდგენიეს /-ია/ (თავისი მრავლობითის ფორმებით). ამათ ემატება ფორმები, რომლებიც პირთა ღანარჩენი კომბინაციების შემავსებელია და შედარებით იშვიათი ხმარებისაა ძველ ქართულში: დაუდგენიე (მე), დაუდგენიე (შენ), დამიდგენიე, დაგიდგენიე. ამ რიგის ფორმებს ისტორიულად მეშველი ზმნები უჩნდება. როცა მე-

სამე პირის ფორმა მათთან ერთ პარადიგმაში მოექცევა (დაუდგენი-ვარ, დაუდგენი-ხარ, დაუდგენი-ა) - ა მეშველი ზმნის დონეზე აღმოჩნდება.

I თურმეობითის შესაძლებელ კომბინაციათა სქემა მსგავსი აქვს ლ. ბარამიძეს, სადაც, ძირითადი პარადიგმის გარდა<sup>1</sup>, შემდეგი კომბინაციებია მოცემული: 1. **შემიპყრიე** (მე შენ, ჩვენ შენ), 2. **შემიპყრიეთ** (მე/ჩვენ თქვენ), 3. **შეგიპყრიე** (შენ მე, თქვენ მე), 4. **შეგიპყრიეთ** (შენ/თქვენ ჩვენ), 5. **შეუპყრიე** (მე მას, მე მათ; შენ მას, შენ მათ), 6. **შეუპყრიეთ** (ჩვენ მას/მათ, თქვენ მას/მათ) [50, 143].

ამ კომბინაციებიდან უნდა გამოვრიცხოთ, ჯერ ერთი, /1/ და /2/ იმის გამო, რომ მეშველზმნიანი ფორმების დამკვიდრების პერიოდში მ-||გუ- პრეფიქსებისაგან მხოლოდობით-მრავლობითის ფუნქციების განაწილება უკვე ისტორიის კუთვნილება იყო, გვ-ს ფუნქციები მეშველ ზმნას არ უკისრებია. შემდეგ უნდა გამოვრიცხოთ /3/ და /4/ კომბინაციები, რამდენადაც მათში მეშველი ზმნის დართვას რეალური სუბიექტის მრავლობითობის ასახვა არ გამოუწვევია, კერძოდ, გვქონდა: **შეგიპყრიე** (შენ/თქვენ მე), **შეგიპყრიეთ** (შენ/თქვენ ჩვენ), მივიღეთ: **შეგიპყრივარ** (შენ/თქვენ მე), **შეგიპყრივართ** (შენ/თქვენ ჩვენ). ახალი ქართულის **შეგიპყრივართ** (თქვენ მე და შენ/თქვენ ჩვენ) შემდეგი მოვლენაა და ახალ დამთხვევებს იწვევს.

გვრჩება /5/ და /6/ კომბინაციები იმ თვალსაზრისით, რომ ისინი პირების მიხედვით არაა გარჩეული, მათი დამთხვევა I და II სუბიექტური ნიშნების წარმოუდგენლობით ხდება, რიცხვის გარჩევა, /3/ და /4/ კომბინაციების მსგავსად, არც აქ შემოაქვს მეშველ ზმნას. ამდენად, მეშველზმნიანი წარმოება პირველ რიგში ამ ორი პირის საკითხია, ამიტომაც სამართლიანია ლ. ბარამიძის მიერ მათი წინ წამოწევა [50, 144]. I—II პირში უ ხმოვნის წინ დაკარგულია როგორც S<sub>1</sub> ვ-, ისე S<sub>2</sub> ხ-/ჰ- და ისინი ერთმანეთს ემთხვევა (დაუდგენიე მე, შენ). სწორედ I და II სუბიექტურ პირთა გაურჩევლობაში უნდა ვეძებოთ მეშველ ზმნათა დართვის

<sup>1</sup> ძირითად პარადიგმას იმიტომ გამოვრიცხავთ, რომ იქ მეშველი ზმნა არ განვითარებულა და დანარჩენებისაგან დაბოლოებაც განსხვავებული აქვს.

მიზეზი, შემდეგ კი ისინი სხვა ფორმებშიც გადავიდოდა. საგულისხმოა შემდეგი დეტალები: ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ხშირი არაა „დამატებითი კომბინაციების“ ფორმირება, სულ 73 ნიმუში დაგვიდასტურდა (განმეორებული ფორმითა ჩათვლით). ეს ძირითადი პარადიგმის ფორმებთან შედარებით წვეთია ზღვაში. აქედან უმეტესობა [48] ბოლო ორ წევრზე მოდის, დანარჩენი [25] დანარჩენ ოთხ კომბინაციაზე. მათგან ანალიზური წარმოებისა ბოლო ორისათვის დაიძებნა 10 ფორმა, დანარჩენებისათვის — 4.

მაშასადამე, ძველი ქართულისათვის ტიპობრივი ნიმუშებია: ნეტარ იყვენ რა ლთა არა უხილავ მე და ჰრწმენეს (ბოლნ. 82,6); ... ნუ გეშინინ, რამეთუ მე უფალსა მოუვლინებთ შენდა... (ქრისტეფ. 189, 34); ... რომელთა მე უტუირთავ, და რომელნიმე აღიდებენ სახელსა შენსა (ჭილ-ეტრ. 19, 20); ... რამეთუ განუწირავთ და არღარა ხართ თქუენ მისა ერთად (წარტყ. იერუს. ლდ, 28); გარემოუცავთ /ჩუენ/ (სკვთ. 18, 32); მიშობთ (მოციქ. 13, 33); შეგირაცხთ (მოციქ. 16, 15); გიცნობთ (ბიქტ. 170, 10) გიგსნიეთ (დომენტ. 97, 2); შემთვედრებით (ლიმ. 35, 31); გვადებთ (მამ. სწავლ. 230, 32).

ძველი ქართულისათვის ნეოლოგიზმებად შეიძლება ჩაითვალოს მეშველზმნიანი ფორმები (ისინი ასეთადაცაა მიჩნეული): [71, 32—33]:

... არცა ერთისა ვისდა შეუპოვნებთვარ ღმერთსა... (ნოველ. I. 6, 10, 14. A) და ამისთვის მოხუჭდა შენ, რაჲთა რომელსა იგი უზრდივარ სამეოცსა ამას წელსა, ღღეს მიმიღო იგი ჩემგან? (ნოველ. I. 6, 10, 13. A); ... არამედ შეუპყრივარ მე შიშსა მას ბნელისა მის ჟამისასა... (ნოველ. I. 3, 4, 6); მითხარ მე, რაჲ არს საქმე ჩემი და მამისა ჩემისა, რომელ ესრეთ შეუწყუდევივარ ესრეთსა ადგილსა და გაუყენებთვარ კაცთაგან და კაცნი ჩემგან? (ბალავარ. 20, 28—29. C); ხოლო მე მიუდრეკივარ სიყუარულსა საწუთრომასასა... (ბალავარ. 77, 36—7); მიუდრეკიხარ (ბალავარ. 110, 22—23. C); ... ვინათგან

მწყემსად და მცველად მათდა შენ გამიჩინებინარ (ასურ.  
115, 23. ლ); ხოლო აწ მიჯსნიხარ მტერთავან... (ბალა-  
ვარ. 84, 31); ხოლო აწ ჩუენ უგულუბელს გიქმნივერთო  
(დიდ. სჯულ. 503, 37).

საქართველოს  
საეკლესიო ცენტრი

რალა მეშველ ზმნას მიმართა ენამ პირთა გარჩევისათვის?

ამისათვის, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს [30, 181], ხელი უნ-  
და შეეწყო გარდაუვალ ერთპირიან ზმნათა მეშველზმნიან ფორ-  
მებს, რომლებიც სწორედ მაშინ მკვიდრდებოდა და, საერთოდ,  
მეშველზმნიანი წარმოებისაკენ მიდრეკილება იმ დროს ენის ბევრ  
უბანზე გამოიხატა (შედგენილი შემასმენელისა და დრო-კილოთა  
III ჯგუფის მიმღეობიანი ფორმების ჩამოყალიბებაში, საშუალი  
გვარისა და სტატიკური ვნებითის აწმყოს გაფორმებაში, აღწერილ  
მოვლენაში და სხვა).

პასუხს მოითხოვს ერთი საკითხი: აღწერილ ფორმებში მეშ-  
ველი ზმნის წინ ყოველთვის მოკვეცილია -ე ფორმანტი (შდრ.:  
შეუპყრიე — შეუპყრივარ), ასეთ რამეს კი მეშველ ზმნას (მი-  
თუმეტეს, თანხმონით დაწყებულს) ვერ მივაწერთ. აქ, ჯერ ერთი,  
უნდა გავიზიაროთ მოსაზრება, რომ შეკვეცილი ფუძე III პირი-  
დან ჩანს გადმოსული [50, 111], მეორეც, ყურადღება უნდა მი-  
ვაქციოთ იმას, რომ -ე აფიქსი ნამყო დროისაა (ვ. თოფურია) და  
დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს; მეშველი ზმნაც ძირითადი  
ზმნის ფუძეში გადმოცემული მოქმედების რეზულტატს სტატიკუ-  
რად წარმოადგენს, გარკვეულად შედეგს იძლევა, მოქმედების  
დასრულებას გულისხმობს, ამიტომაც ამ პოზიციაში -ე სუფიქსი  
ფუნქციურადაც ნულის ტოლი აღმოჩნდებოდა (შეუპყრიხარ).

-ია დაბოლოება III პირში I—II პირისაგან სრულიად გან-  
ცალკევებით დგას. არსებითად სამართლიანია ლ. ბარამიძის ბოლო  
დასკვნა, რომ ქართველურ ენებში მესამე პირის მეშველი ზმნა  
არა გვაქვს, რადგანაც იქ პირები ისედაც გარჩეული იყო [50],  
მაგრამ ეს დასკვნა აღარ გვაძლავს, რომ S<sub>3</sub> -ა-ს „არს“ ზმნიდან  
მომდინარეობა ვეძიოთ. როგორც I თურმეობითის წარმოების ის-  
ტორია, ისე -ა დაბოლოების ქცევა ამ პოზიციაში -ა-ს სუფიქსო-  
ბას უჭერს მხარს. ყველა არგუმენტი ამის სასარგებლოდ მეტყვე-  
ლებს: 1. როცა აღწერილი მეშველზმნიანი წარმოების ჩამოყალი-  
ბების პროცესი სულ ათიოდე ნიმუშითაა წარმოდგენილი და ისიც

შედარებით გვიანდელი რედაქციებით, S<sub>3</sub> -ს სუფიქსის -ა-თი შეცვლა უფრო ძველი და შორსწასული ჩანს; 2. ისტორიულად არსადაა დადასტურებული -ა-ს პოზიციამი „არს“ ზმნის წინაწინაა; 3. ფონეტიკური პროცესი, რასაც -ა იწვევს (აინ-კეცა) ანუ შეველ ზმნას არ შეიძლება მივაწეროთ; 4. ისტორიულად პირის ნიშნის მეშველი ზმნით ჩანაცვლება არ დასტურდება, პირის ნიშნების ურთიერთთან მონაცვლეობა კი ფაქტია (შდრ.: თბების||თბება; არს||არნ; აკეთენ||აკეთა; უპყრიეს||უპყრიენ||უპყრიედ||უპყრია და სხვა).

მაშასადამე, ისტორიულად S<sub>3</sub> პირის -ა სუფიქსი ენაცვლება -ს სუფიქსს ძირითადი პარადიგმის სამსავე ფორმაში და იწვევს ფუძის ბოლო ხმოვნის კვეცას: შემიპყრი-ა, შევიპყრი-ა, შეუპყრი-ა (შდრ.: თბებ-ი-ს||თბებ-ა, გააკეთ-ა||აკეთ-ე-ნ და მისთ.). ამ პოზიციამი რომ -ა სუფიქსი მეორეულია, ისიც ადასტურებს, რომ მრავლობითში შემოგვრჩა -ს სუფიქსის შესაბამისი ფორმანტი -ან.

§ 11. სპორადულად გამოვლენილ S<sub>3</sub> პირის -ნ||-დ, -მნ||-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის. ძველი ქართული ენის ძეგლებში, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში მესამე სუბიექტური პირის -ს სუფიქსთან სპორადულად მონაცვლეობს -ნ და -დ ფორმანტები. ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციებმა შეიძლება სამივე ვარიანტი გვიჩვენოს:

და რაყამს განჰქარდის, არა ავსოვნ, რაჲ უქმნიედ (აპოკრ. 37, 23. C); ID:უქმნიეს; F:უქმნიენ.

იგივე ფორმანტები მონაცვლეობენ სტატიკურ ზმნათა აწმყოს III პირში:

... რეცა თუ სიტყუთა ხოლო წინამძღუარ არნ და ბუნებასავე ზედა ჰგიენ (ანტ. 27, 6. C); 4:ჰგიედ.

უქმნიენ||უქმნიედ, ჰგიენ||ჰგიედ იშვიათი ხმარების ფორმები აღრევე იქნა შენიშნული და სწორი სეგმენტაცია ჩატარდა [72, 36; 73; 74; 53, 14, 187; 75; 76].

რეალური ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაში უქმნიენ||უქმნიედ ფორმებში -ენ||-ედ სუფიქსებს გამოყოფენ; ივარაუდება, რომ ორი სუფიქსური -ე-ს შეხვედრისას ერთი ჩავარდნილია: უქმნიე+ენ||ედ [74, 140—145; 76]; ამ უკანასკნელ ნაშრომში -ენ

(-ან სუფიქსის ნაცვლად) პარადიგმის გასწორების შედეგადაა მიჩნეული: მიპყრიეს — მიპყრიენ. -ენ||-ედ ფორმანტები მონაცვლეობენ S<sub>3</sub> პირის მრავლობითობის -ან სუფიქსთან, რომელიც ინსერციის სიულ ზმნებში სახელობითბრუნვიანი ობიექტის მრავლობითობას გადმოსცემს.

და შენ, ჰ კაცო, კადნიერებითა და ამპარტავანებითა არად შეგირაცხიენ გლახაკნი (მამ. სწავლ. 103, 24);  
B: შეგირაცხიან; C: შეგირაცხიედ.

ამგვარად, შეგირაცხიენ||შეგირაცხიედ /იგი/ — შეგირაცხიენ||შეგირაცხიენ-ედ (იგინი), ფორმათგარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი.

ძველი ქართული ენის ძეგლებში მკვლევრებმა დიდი მოცულობის მასალა დაქებნეს წარმოდგენილი ფორმანტების გამოსავლენად, ამიტომაც შეიძლება მხოლოდ ტიპობრივ ნიმუშებს დავჯერდეთ:

-ნ /S<sub>3</sub> მხ./: შე-სამე-ურაცხიენ უნაყოფოა იგი ვითარცა სხუაჲ? (სინ. 139, 13); ... და ნუ ვითარცა მტერი შეგირაცხიენ იგი /თქუენ/ (პავლ. 341, 15. AB);

... და ცხორებამ არა უცნობიენ ცხოველთა თანა... (მზდ. ყრმ. 115, 30);

... არცა შორიელი უცნობიენ... (სინ. 104, 23); ... და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ (ტბეთ. მათე. 25, 26), /ოპიზ.: განმიბნევიედ/; ... დაღათუ ვის დაუკლიენ საკითხავი... (ნოველ. II, 63, 19); ... თუ ჭეშმარიტად უსწავიენ ფსალმონისა კანონი... (კიმ. II. 159, 31); ... რ'ლსა უწყიენ წუერთა გამოსლვაჲ (კიმ. I. 312, 29); და კელითა მოეკიდის საბელსა, რომელი შთამოუბამნ ქართოცსა სენაკისასა... (მამ. ცხ. 157, 34); ... რომელსა აღუთქუამნ, რამთა არა ცოდოს... (მამ. ცხ. 304, 7); ... აღილის წყალი იგი, რომელ საშუვალ სახლსა მას დაუდგამნ... (ნიკოლ. 84, 28); ... რ'ი იგი უთქუამნ, აღიგოცა... (კიმ. I, 135, 21); ... აღმოიღოს, რომელი-იგი შთაუნთქამნ... (ექუს. 131, 16); ... იხილის ხატი, რომელი არა ოდეს უხილავნ (მამ. სწავლ. 221, 8); გუხილავნ /კაცი/

(გ. მთაწმ. 158, 27. ო); ... და ფრიადითა ოფლითა და შრომითა უტვირთავს იგი (ლიმ. 9, 8), (იგივე: გ. მთაწმ. 132, 17); ... და ნუ დიდად მოგიტულავს წარსულსა (ანტ. 69, 7. ო), (ღ; მოგიტულავს); და მცირეწინაგან ნადგინებითურთ დაუმარხავს (ბალავარ. 40, 15. ო): მოუკრძალავს თავი თვისი (ნოველ. II, 111, 12), (C: მოუკრძალავს).

შდრ. სტატკურია აწმყო: ... და, სადაცა-იგი ჰნთიენ, ყდ მუნ არს (სინ. 122, 7); ჰმოსიენ /სამოსელი/ (სინ. 9, 15), (იგივე: კიმ. II, 98, 12); ... ხოლო ჯუარი ნუ ესე გგონიენ... (სინ. 247, 19); ... და ჰგონიენ სირცხვილეული. (ანტ. 43, 8 ლ); (იგივე: ფიზიოლ. 16, 12); ... მჩუარი უპყრიენ (ნოველ. II. 16, 7); და მანიაკი ოქროსაჲ ყელსა აცუნ (ნოველ. II. 14, 14); და შთასადებელი იგი მას ჰკიდავენ (ტბეთ. იოვ. 12, 6), (იგივე: მამ. სწავლ. 294, 3); მკიდავენ (ნოველ. II. 39, 4).

-ენ /S<sub>3</sub> მრ./: აწ შეგირაცხიენ იგინი ღმერთად (კიმ. I. 190, 22); ყოველთა განგვწესებთან ესე კანონნი (მც. სჯულ. 84, 16); C: განგვიწესებიენ; შეუპყრიენ /იგინი/ (მამ. სწავლ. 138, 26. B), /ძირითადი: შეუპყრიან/.  
შდრ.: სტატკური აწმყო: უპყრიენ საყდარნი (სინ. 169, 29).

-დ /S<sub>3</sub> მხ./: ... და განაშორებზ ჩემგან, რომელი-იგი მიცნობიედ... (ბალავარ. 6, 23. ო); უცნობიედ სარგებელი (ანტ. 51, 19); ... რომელ უქმნიედ წინაჲსწარ (მამ. სწავლ. 140, 30), (იგივე: ბალავარ. 67, 31. ო); დიაკონთა სამოსელი იგი ზე აღუპყრიედ (წარტყ. იერუს. იმ, 8), (იგივე: წარტყ. იერუს. იმ, 3); ... სული წმიდაჲ, რომელი მიუღებიედ მას ღღესა მას გამოცნისასა... (მამ. სწავლ. 20, 26); ცოდვითა განსძარცვს, რომელი შეუ-მოსიედ... (ბალავარ. 7, 27. ო); ... და აღუმტკმიედ პირი (აპოკრ. 41, 18. ო); განუტევებიედ (სანთელი) (ლიმ. 64, 2); ... კილიკი ერთი მცირე ქუე წარუგადებიედ (შუ-

შანიკ. 25, 11), (HK:წარუგებიედ, G:წარუგდებედ);  
... რომელი მას არა შეუსწავლიედ (ბალავარ. 67, 28, C);  
... და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ (ტბეთ. მათე.  
25, 24); თავი შეუყოფიედ (მამ. სწავლ. 265, 15. სწავლ. 47);

სტატიკური აწმყო: უპყრიედ წესი (ბალავარ. 47,  
35. C); ჰგონიედ (სინ. 269, 18); პირი ზმ უმტკმიედ  
(ფიზიოლ. 36, 8); ... ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ  
ჩუენ თანა შემოსლვად (შუშანიკ. 16, 22); ... არამედ  
ჰმოსიედ მას სელისა სამოსელი... (სინ. 55, 12); ...ვი-  
თარცა სანთელი ჰნთიედ... (თუალთ. 30, 25).

-ედ (S<sub>3</sub> მრ.): ... რამეთუ შეუსხმედ სარწმუნოები-  
სა ფერკთ-შესასხმელნი (ეფრემ (გ), 55,8); უქმნიედ  
(საქმენი) (მამ. სწავლ. 139, 27. BC); წარუტაცებიედ  
მამანი (მამ. სწავლ. 187, 6. B); მიუვლინებიედ იგინი...  
(თუალთ. 42, 16).

საანალიზო ფორმათა შეპირისპირება რიგ საკითხებს აჩენს:

1. სუბიექტური მესამე პირის ფორმანტთა შესაბამისი სურა-  
თი I თურმეობითის მხოლოობითსა და მრავლობითში ასეთ სახეს  
მიიღებს:

მხ. რ. ს, ნ, დ

მრ. რ. ან, ენ, ედ

მრავლობითის ფორმანტთა რიგში არ შემოდის -ეს სუფიქსი.

2. -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებთან არ დასტურდება -დ  
სუფიქსი, გვაქვს: უხილავს||უხილავნ, ჰკილავს||ჰკილავნ, მაგრამ  
არაა: \*უხილავდ, \*ჰკილავდ.

3. იმავე ფორმებთან არ დასტურდება უშუალოდ მრავლობი-  
თობის -ენ სუფიქსის დართვა, არა გვაქვს: \*გიხილვენ, \*შეუსხმენ.

4. -ნ||-დ, -ენ||-ედ ფორმანტები აშკარად მოშლის ტენდენ-  
ციით ხასიათდება. გადამწერებს უკვე აღარ ესმით ფორმანტთა  
ფუნქციები და თავს იჩენს შეცდომები (ამას ფორმობრივი დამ-  
თხვევებიც უწყობს ხელს):

ა) -ნ სუფიქსს უკავია -ან-ის პოზიცია, იგი გავებული ჩანს  
მრავლობითის ნიშნად:

... ფრთხილითა გულის-სიტყუთა განგიხილვან საკვრე-



ლებანი დღისანი (DF:განგიხილავნ) (ექუს. დღ. 62, 29);  
... სიწმიდესა ლამისასა მიგიხედვან (DE:მიგიხედვან)  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბ) დასტურდება ორმაგი სუფიქსაცია, რაც აგრეთვე ფუნქციურ დაჩრდილვაზე მიანიშნებს:

... და მოუცუმანედ წყალთა და ეგრჭთ იგუემებოედ მათ შინა (მამ. სწავლ. 117, 18), (შდრ. B:მოუცუმიედ).

შდრ. სტატიკური აწმყოს მხოლოობითი: ... თანა წარიღის და, სადაცა-იგი ჰნთიედნ, ყ-დ მუნ არნ (სინ. 122, 7. S).

აღწერილმა ენობრივმა ფაქტებმა ორგვარი ინტერპრეტაცია მიიღო ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

პირველი თვალსაზრისით ს||ნ||დ, ან||ენ||ედ ფორმანტები იდენტური ფუნქციის მორფოლოგიური ვარიანტებია — ისინი მესამე სუბიექტური პირის სუფიქსებია, წარმომავლობით დიალექტურად განსხვავებული [72, 36; 73; 53, 187; 75; 77, 159—160].

მეორე შემთხვევაში იშვიათი (ნ||დ, ენ||ედ სუფიქსიანი) ზმნური ფორმები შეფასებულია, როგორც ძველი ხოლმეობითის ნაშთები დრო-კილოთა მესამე ჯგუფში (74, 145—146; 76, 148; 78, 192). ი. აბულაძე მას III ხოლმეობითს უწოდებს (იმოწმებს ა. შანიძესაც), ხოლო ლ. კიკნაძე I თურმეობითის ხოლმეობითს.

მეორე თვალსაზრისი სახელმძღვანელოების ტიპის ნაშრომებში არსად ასახულა, მაგრამ მაინც ყურადღებას იქცევს, როგორც არასწორი მორფოლოგიური ანალიზის ერთი ნიმუში.

ასეთი აზრი დრო-კილოთა დაჯგუფების პრინციპში დაშვებული უზუსტობის ლოგიკური შედეგია, კერძოდ, მას უშუალო კავშირი აქვს „აწმყოს ხოლმეობითის“ ცალკე ნაკვად გამოყოფის საკითხთან.

„აწმყოს ხოლმეობითმა“ ძველი ქართული ენის სახელმძღვანელოებში დამოუკიდებელი ადგილი დაიმკვიდრა [64, 69; 77, 210 და სხვა].

საკითხი ეხება არს||არნ, არიან||არიედ პარალელური ფორმების არსებობას ძველ ქართულში.

ამ ფორმათა შეფასებაში თანხმობა არაა; შეიძლება გამოიყოს სამი პოზიცია:

ა) ერთი შეხედულებით, არნ-არიედ იგივე აწმყოს ფორმებია S<sub>3</sub>-ის უძველესი -**5**, -**ედ** სუფიქსებით და, მაშასადამე, ცალკე ნაკვთზე ლაპარაკი ზედმეტია [33, 136, 163; 72; 29, 77—80; 73, 79; 80].

ბ) მეორე კატეგორიული შეხედულება თვლის, რომ ეს ფორმები წარმოადგენენ დამოუკიდებელ (პირნაკლ) ნაკვთს — აწმყოს ხოლმეობითის [62, 7 და შემდეგ ყველა ნაშრომში; 74, 133; 81, 231; 78, 192; 76; 67, 149—157].

გ) მესამე — შემრიგებლური — თვალსაზრისით, საქმე გვაქვს უძველესი აწმყოს ფორმებთან, რომელთაც დროთა განმავლობაში ხოლმეობითის ფუნქცია უკისრებიათ. ეს აზრი საბოლოოდ მეორე შეხედულების პოზიციაზე დგება — „აწმყოს ხოლმეობითის“ ნაკვთს გამოყოფს [82, 204; 77, 159—160].

საკითხი ყველაზე უფრო ამომწურავად მოცემულია არნ. ჩიქობავას წერილში — „მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში“. აქ ნაჩვენებია, რომ -**5**, -**ედ** სუფიქსები არ შეიძლება იყოს ხოლმეობითობის მატარებელი იმიტომ, რომ: ა) ისინი მხოლოდ III პირშია, დროის საწარმოებელი სუფიქსი ყველა პირში უნდა გვქონდეს; ბ) თუ -**5**, -**ედ**-ს ხოლმეობითისად ჩავთვლით, რაღა იქნება პირის ნიშანი? გ) -**5** გვხვდება -**ი** სუფიქსთან ნამყო ხოლმეობითშიც, რაც მის პირის ნიშნობას ადასტურებს [72, 20—27].

მაგრამ -**5**, -**ედ** სუფიქსები რომ პირის ნიშნებია, ამას „აწმყოს ხოლმეობითის“ მომხრეებიც არ უარყოფენ.

აშკარაა, რომ ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების მორფოლოგიური პრინციპით, რაც ნ. მარმა დანერგა, შეუძლებელია არს||არნ, არიან||არიედ ფორმები ცალ-ცალკე ნაკვეთებად გამოიყოს, რამდენადაც ამის ფორმობრივი საფუძველი არ არსებობს — მორფოლოგიური ოპოზიცია არ იქმნება.

საქმე ისაა, რომ „აწმყოს ხოლმეობითი“ ამოსავალში ჩამოყალიბებულა, როგორც ფუნქციური კატეგორია. მხოლოდ იმის შეგნებამ, რომ კლასიფიკაციის პრინციპი ირღვეოდა, გამოიწვია აუცი-

ლებლობა, ამ ფუნქციის მატარებლობა პირის ფორმანტებისთვის დაეკისრებინათ. არის პარადიგმის „გასწორების“ ცდები, რომლებიც ჯველადის აზრით, აწმყოს ხოლმეობითმა I და II დაკარგა, რომ მისი ფორმები ემთხვეოდა აწმყოს შესაბამისი პირის ფორმებს, III პირი კი განსხვავებული იყო [67, 150, შენიშვნა]. ფორმობრივი იდენტობა, ცხადია, კვლავ ფუნქციურ განსხვავებას გულისხმობს.

ფუნქციის ხაზგასმა აქვს გ. მაჭავარიანსაც, როცა ამბობს, რომ აწმყო ზოგადი (-5, -ედ სუფიქსიანი აწმყო) არსებითად ხოლმეობითს ემთხვევა თავისი ფუნქციით [83].

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ხოლმეობითის ნაკვთებს საკუთარი მაწარმოებელი აქვს, ესაა სუფიქსი -ი [84: 29, § 3; 85, 5—6; 86].

რამდენადაა მოსალოდნელი, რომ -5, -ედ ფორმანტებმა ხოლმეობითობის ფუნქცია იტვირთონ?

ქართული აგლუტინაციური ტიპის ენაა, მაგრამ შეუძლებელი არაა, რომ ერთმა მორფოლოგიურმა ელემენტმა ორი და მეტი ფუნქცია იტვირთოს; ისიც შესაძლებელია, რომ ერთ შინაარსს ორი ფორმანტი ემსახურებოდეს [25, 31—32]. ქართული ენის მორფოლოგიაში ორივეს ფაქტები შეიძლება დადასტურდეს.

-5, -ედ ფორმანტები რომ მხოლოდ ე. წ. „აწმყოს ხოლმეობითში“ დასტურდებოდეს, კიდევ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ „ხოლმეობითობა“ ამ არქაულ პირის ნიშანთა შექმნილი, ასე ვთქვათ, თანაფუნქცია იყოს, მაგრამ -5, -ედ სუფიქსიანი ფორმები ღრო-კილოთა თითქმის ყველა ნაკვთის მესამე პირში დასტურდება (აწმყო; კავშ. I; ნამყ. უსრ. ხოლმ.; აორისტი: II ხოლმ.: I თურმ.), ყველა ნაკვთს კი, ცხადია, მეწყვილედ შესაბამის პირნაკლ ხოლმეობითს ვერ ამოგუყენებთ, რომ აღარაფერი ვთქვათ მთავარ არგუმენტზე — ი სუფიქსიანი ხოლმეობითის ფორმებთან -5, -ედ ფორმანტების დადასტურებაზე [72, 20—22] (ამის ნიმუშები ყველა დასახელებულ წერილში მრავლადაა წარმოდგენილი).

როგორც აღინიშნა, „აწმყოს ხოლმეობითი“ ფუნქციის დონეზეა გამოყოფილი. ფუნქციის განსაზღვრა კი გარემომცველ ზმნურ

ფორმათა მნიშვნელობით, ტექსტის შინაარსით — კონტექსტით — ხდება.

უნდა აღინიშნოს, რომ კონტექსტი ხშირად არასაიმედოა ვიცისტიური არგუმენტია. სანამ ჩვენთვის დადგენილი არ არის ზმნურ ფორმათა თანაარსებობის შესაძლებლობა ძველ ქართულში მარტივი თუ რთული წინადადების ფარგლებში, სრული საფუძველი გვაქვს კონტექსტის ცნებას ეჭვით შევხედოთ. კერძოდ, როცა ვამბობთ, რომ, მაგალითად, წინადადებაში — „ხოლო რაჟამს დამწიფდის ნაყოფი იგი, მუნქუესვე მიავლინის მღული, რამეთუ მოწვევულ არს მკამ მისი“ (მარკოზ. 4, 29. ო) „არს“ ზმნა ხოლმეობითის შინაარსისაა, რამდენადაც წინადადებაში ორი ზმნაა ხოლმეობითის ფორმით, ამ პოზიციიდან ჩვეულებრივი აწმყო (არს) გამორიცხული უნდა გვეჩინდეს, აქ აწმყოს ფუნქცია გაუმართლებელი უნდა იყოს.

ამ მხრივ მაინც საინტერესოა ზ. სარჯველას მხრის ჩატარებული ვრცელი მასალის ანალიზი. კონტექსტებზე დაკვირვება მას შემდეგ სურათს აძლევს: I. აწმყო გვაქვს იქ, სადაც კონტექსტის მიხედვით აწმყოს ხოლმეობითია მოსალოდნელი; II. ერთსა და იმავე წინადადებაში ერთმანეთის გვერდით დასტურდება აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის ფორმები; III. ერთი და იმავე ტექსტის ერთ ნუსხაში რომ აწმყოს ხოლმეობითია, მეორეში სათანადო ადგილას აწმყოა; IV. აწმყოს გვერდით დასტურდება უწყვეტლის ხოლმეობითის, II ხოლმეობითის, ან III ხოლმეობითის ფორმები; V. გადამწერი აწმყოს ხოლმეობითის „გადააზრიანებას“ ცდილა (იგულისხმება -ნ-ს გაგება მრ-ის ფორმანტად და შეცვლა ენ/ან-ით) [67, 149—157].

ჩვენი აზრით, ეს მასალა „აწმყოს ხოლმეობითის გადავარდნის გზაზე დადგომის“ კი არა, იმის საბუთია, რომ ე. წ. „აწმყოს ხოლმეობითი“ ფუნქციურ დონეზეც ვერ გამოიყოფა ჩვეულებრივი აწმყოსაგან.

მიღებულია, რომ აწმყოსა და ხოლმეობითის მწკრივებს ერთმანეთთან სწორედ დიურატიულობის, განგრძობითობის მომენტი აკავშირებს [72; 84; 29, § 7; 53, 14]. ამიტომაცაა შესაძლებელი მათი კონტექსტური თანაარსებობა. ამდენად, „აწმყოს ხოლმეო-

ბითს“ არავითარი დამოუკიდებელი ფუნქცია არ გააჩნია. „აწმყოს ხოლმეობითი“ არც ფორმის და არც ფუნქციის თვალსაზრისით გამოსაყოფი არაა. ერთადერთი, რაც -ნ, -ედ სუფიქსებს აკავშირებს ხოლმეობითთან, თანადროულობა უნდა იყოს. აქვეულობაა ხოლმეობითების გვერდით მათი უფრო ხშირი გამოვლენის მიზეზი. -ენ, -ედ ფორმანტები იმ დროის ნაშთი უნდა იყოს, როცა ჯერ კიდევ ასპექტის ძველი სისტემა მოქმედებდა [72, 22—23].

ე. წ. „აწმყოს ხოლმეობითის“ ფუნქციური დამოუკიდებლობაც რომ დადასტურებულიყო, მისი ადგილი ქართული ზმნის ნაკვეთულთა სისტემაში მაინც არ აღმოჩნდებოდა, რამდენადაც ფორმათა მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში ფუნქციური კატეგორიების ჩარევა კლასიფიკაციის წესის დარღვევად ჩაითვლება. ამ წესის დარღვევის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ I თურმეობითის III პირის იშვიათ ფორმებს III ხოლმეობითის სახელი დაერქვა (ი. აბულაძე, ლ. კიკნაძე, ზ. სარჯველაძე). პერფექტული ნაკვეთისთვის „ხოლმეობითობის“ მიწერა, ცხადია, უფრო მეტად მოულოდნელია.

ამგვარად, -ნ||-ედ, -ენ||-ედ მესამე სუბიექტური პირის არქაული ფორმანტებია; ისინი უკვე ძველ ქართულში არიან გადაშენების გზაზე დამდგარი ელემენტები.

ყურადღებას იქცევს ერთი საგულისხმო ფაქტი:

-ნ და -ედ ფორმანტებს უნარი შესწევთ შეენაცვლონ პირის დანარჩენ სუფიქსებს, როცა ამ დანარჩენთა ურთიერთმონაცვლეობა შეზღუდულია — მათ თავიანთი პოზიციები აქვთ. ეს მოვლენა, ჯერ ერთი, შეიძლება -ნ, -ედ სუფიქსთა უძველესობას ადასტურებდეს, მეორეც — მათს ერთადერთობას გარკვეულ ეტაპზე; შეიძლება ისინი იმ დროის ნაშთებია, როცა მხოლოობითსაც და მრავლობითსაც თითო სუფიქსი გამოხატავდა.

შდრ.: კლ-ა > 5 { კლ-ნ შეუღღ-ეს > ედ { შეუღღ-ედ (ანტ. 72,32.ტ);  
 არ-ს > 5 { არ-ნ დასხდი-ან > ედ { დასხდი-ედ (ლიმ. 27,32);  
 > 5 { შემჰამ-ენ > ედ { შემჰამ-ედ (ლიმ. 34,18).

ქართველურ ენათა მონაცემების გაანალიზებით ბ. ფოჩხუა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მრავლობითობის ფორმანტთაგან ძი-

რითადია -ენ, ხოლო -ან სუფიქსი ზანური წარმოშობისად ჩათვა-  
ლა [87, 61]; გ. როგავამ უარყო -ან-ის ზანური წარმომავლობა და  
ის მიიჩნია -ენ-ის ფონეტიკურ ვარიანტად; ეს პროცესი აქტიურად  
მომხდარიყო -ი-ს შემდეგ [80, 76—77]. თუ ამ აზრს გავიზიარებთ,  
I თურმეობითში შემორჩენილი გვქონია ამოსავალი ფორმები: შეუ-  
პყრიენ (—შეუპყრიან).

S<sub>3</sub> მრ-ის გამოსახატავად თურმეობით I-ში ისტორიულად ორი  
ამოსავალი ფორმანტი გვრჩება: -ენ, -ედ. სხვა ნაკვთებიდან მათ-  
თან შემოვა მესამე წევრი -ეს. ამ სამ წევრს დაუპირისპირდება სამი  
სუფიქსი S<sub>3</sub> მხ-ისა (-ს, -ნ, -დ) და დადგება საკითხი მათი ურთი-  
ერთმიმართებისა [80, 77].

მიუხედავად იმისა, რომ სუბაექტური მესამე პირის სუფიქსუ-  
რი წარმოება ყველაზე გვიანი ფორმაციისად ითვლება [72, 16], აქ  
დადასტურებულ ფორმანტებს მასალობრივად მჭიდრო კავშირი  
აქვს იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებულ ნივთის კატეგორიის  
კლას-ნიშნებთან. ს, ნ, დ თანხმოვნითი ელემენტები ქართული ენის  
მორფოლოგიის მთელ სივრცეზე იჩენენ თავს, როგორც ძველი მოვ-  
ლენის ნაშთები [88; 89; 90; 91; 79; 73; 92; 93; 94, 55 და სხვა].  
(საპირისპირო აზრისათვის იხ.: 40, 66—69, 166—185, 206—208).

## 2. თურმეობითი მორმა

§ 12. საერთო ფორმობრივი ანალიზი. თურმეობითი II-ის  
ფორმობრივი ანალიზი, I თურმეობითთან შედარებით, ძველ ქარ-  
თულში დიდ სირთულეებთან არაა დაკავშირებული. ყველა ზმნი-  
სათვის II თურმეობითის წარმოების ყალიბი ერთია: ფორმა ეყრ-  
დნობა სათანადო ზმნის ნამყო ძირითადის ფუძეს და ფორმობრი-  
ვად წარმოადგენს შესაბამისი ენიანი ვნებითის წყვეტილს. ესაა  
მოდელი და მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოეპოვება თუ არა მო-  
ცემულ გარდამავალ ზმნას შესაბამისი ენიანი ვნებითი [30, 438—  
439; 64, 106; 52, 188; 33, § 79, შენიშვნა]. როგორც გ. დეეტერსი  
აღნიშნავს, „პლუსკვამპერფექტი ფორმალურად სიძნელეს არ წარ-  
მოადგენს, რადგან ის მთლიანად სინტაქსური გადაადგილებით  
ხორციელდება... მოქმედი მიცემითში იმავე დროს დროის გადა-  
ადგილებას იწვევს წინარეწარსულში“ [52, 188]. მორფოლოგიუ-

რი წყობა და სინტაქსური კონსტრუქცია ისეთივეა (ინვერსიული), როგორც I თურმეობითში. ეს საკითხი დასაწყისში იყო განხილული, ამიტომ უშუალოდ მორფოლოგიურ ანალიზზე გადავიდეთ.

§ 13. **ობიექტური რიგის ნიშნები.** თურმეობითი II-ის ძირითადი პარადიგმა წარმოდგენილია ობიექტურ პირთა პრეფიქსებით: მ-, გ-, ო (||ხ-||ჰ — გადმონაშთის სახით) და S<sub>3</sub> პირის სუფიქსებით. ობიექტური რიგის ნიშნები, როგორც ინვერსიულ ფორმას შეეფერება, რეალურ სუბიექტს ასახავენ.

O<sub>1</sub>: და მე ნაგოზი არა აღმეკადა ჩემსა მას კეცსა, არამედ მახალითა შთამეკუროთა და მცირედ წარმომესხა... (ნოველ. II. 210, 19—21); და უწინარჱს ამისა მეტყორცა მე ისარი ხატსა წდისა თევდორჱსსა... (რავახ. 81, 37—38).

O<sub>2</sub>: უმჯობჱს იყო შენდა, თუმცა წინადაგეცუთა ანუ განცოფებულ იყავ... (მრავალთ. 300, 19—20); გესწავა ყრმისა მისდა მარხვამ... (ნოველ. II. 281, 13. C).

O<sub>3</sub>: ... და განეზრახა, რა გამოუწოდენ და მოტყუენონ. (A—397. 444, 11—13); ... არამედ შეემოსა ძაძისა სამოსელი... (ასურ. 208, 9. დამატება); ხოლო მან არა დაიჯერა წუხილისა მისგან, რომელსა შეეპყრა იგი (ლიმ, 97, 24); ... და ასკიდაჱსა ეშინოდა, რამეთუ ქალაქსა ყოველსა შჯული შეეთხრა მისთვის (კიმ. II. 215, 33).

ხანმეტ და ჰემეტ ძეგლებში O<sub>3</sub> პირის ფორმანტად ხ||ჰ პრეფიქსებია დადასტურებული, რომლებიც ისტორიულად ხმოვნის წინ ო ალომორფმა შეცვალა (შდრ. I შედეგობითი):

ხოლო მარიამს დახემარხნეს სიტყუანი ესე და დახედვა გულსა თვისსა (ხანმეტ. 382, 5—7); ... რა მოხეპარა მას ყრმათაგან ქნარი იგი ათძალი საგალობელად (ხანმეტ. მრავალთ. 133, 9—10); ხა ზაქარია სახლსა შინა ვა პირველად ვთქუ დადგრომილ ხიყო და ურწმუნოებისათჱს აღურნი ხესხნეს (ხანმეტ. მრავალთ. 148, 13—

16); და ვითარ შეშინებულ ხიყვნეს იგინი და დახედ-  
რიყნეს პირნი მათნი ქუეყანად, ხრქუეს მათ... (ხანმეტ.  
ლექც. გვ. 59. ლუკა. 5); და არცაღა ჯაჭუებითა ვის ჯელ  
ჰეწიფა შებორკილებად იგი... (ჰემეტ. 375, 15)

რეალური სუბიექტის მრავლობითობა, I თურმეობითის მსგავ-  
სად, ობიექტური პირის ნიშნებში არ აისახება, გარდა I პირისა,  
სადაც მრავლობითობის ნიშნად უკვე გუ- პრეფიქსია დამკვიდრე-  
ბული. უძველეს ვითარებას გვიჩვენებს შემთხვევა, სადაც რეალურ  
რი სუბიექტის მრავლობითობა I პირშიც არაა ასახული და მ-  
პრეფიქსია შენარჩუნებული:

რამეთუ უკუეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწი-  
რა (ფსალმ. 131, 7, 18), (შდრ. ო:უკუეთუმცა გენება,  
მსხუერპლი შევწირეთ შენდა).

დანარჩენ შემთხვევებში მრავლობითობის გამოხატვა გუ- პრე-  
ფიქსს აქვს დაკისრებული:

და უკუეთუმცა ქვაჲ იგი საკიდური ჩუენ არა ხურო  
გუექმნა... (სინ. 92, 8); ... რაჲთა დავაცალოთ სლვაჲ  
კერძოთა მათ, რომელთა მიგუემართა (ზარზმ. 330,  
20—21); ... რაჲთამცა მუნ გუეშენა უდაბნოჲ... (ზარზმ.  
327, 36).

შევადართ ამას II და III პირის ვითარება, რომლებიც რეა-  
ლური სუბიექტის მრავლობითობას არ ასახავენ ძველ ქართულ  
ენაში:

და უკუეთუმცა დაგეტვენეს იგინი და მისრულ იყვე-  
ნით მონებად სხუსა ღმრთისა... არამცა ჯერ-იყო თქუ-  
ენდა (მამ. ცხ. 287, 35); და რომელნიმე ქვითა ქოლ-  
ვიდეს, მი-რაჲ-ეთრია იგი (კიმ. II, 13, 9); ხოლო უწი-  
ნარეს ჩუენსა მისრულ იყვნეს თურქნი და აეღო ქა-  
ლაქი იგი და დაეწუა (გ. მთაწმ. 158, 23); ოდეს ყო-  
ფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად  
ექამა პური?! (შუშანიკ. 17, 4—5).

§ 14. S<sub>3</sub> პირის სუფიქსთა ანალიზი. სუბიექტური პირი წარ-  
მოდგენილია ორი სუფიქსით -ა და -ო. -ა სუფიქსი ფორმათა ძი-  
რითად მასივს მოიცავს; მის საილუსტრაციოდ შემომოყვანილი



ნიმუშებიც საკმარისია. უფრო ნაკლებ შემთხვევებში გვხვდება -ო სუფიქსი. ის თურმეობით II-ში ვლინდება ყველა იმ ზმნაში, რომელთაც ნამყო ძირითადის S<sub>3</sub> სუფიქსად -ო უდასტურდება (შდრ. ადილო-ადილო):

გამოეძო (კიმ. II. 212, 1); ეძლო (მარინ. 38, 11); აღმცა-მევესო (მამ. სწავლ. 107, 12); ეწყო (ანტიოქ. 60, 26); დაეპო (ეფრემ /გ/. 64, 18); ევლო (საბა. 10, 10); განებრძნო (მამ. ცხ. 161, 10); აღემსთო (კიმ. I. 123, 28); მიენდო (მისდა საურავი) (იოვ. და ეფთვ. 88,2); ეგბო (ხანცთ. 318, 32); აემტკმო (აპოკრ. 43, 31. ო); მეფლო (აპოკრ. 342, 13. ო); განეგო, ეყო, ეცხო, მოეგო, დაეგლო, შეენდო, შეერთო, დაეყო, დაებრმო, აღენთო, ევნო, შემეყო, შემემყო...

დაბოლოებაში მერყეობას იჩენს „დამცნობა“ ზმნა: ეს მერყეობაც შესაძლებელია ნამყოდან მოდიოდეს:

დამცნა (ნოველ. I. 7, 5, 5), (შდრ. A: დამცნო); და ესრეთ დამცნო (იოვ. და ეფთვ. 95, 2), (შდრ. დამცნა, იქვე, 100, 2); იგივე შეფარდებაა იმავე ძეგლის 97, 3-ის BCD და ძირითად რედაქციებს შორის, ასევე 101, 1-ში და სხვა.

სახელობითბრუნვიანი რეალური ობიექტის მრავლობითობა, როგორც წესი, სუბიექტური რაგის ნიშნებით აისახება, მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: II თურმეობითში, რეალური ობიექტის მრავლობითობის შემთხვევაში, წარმოდგენილია ორმაგი სუფიქსაცია (-ნ-ეს), რომელთაგან ერთი (-[ე]ნ) გადმოყოლილია პირდაპირი წყობის ნამყოდან, როგორც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანი, მეორე (-ეს) წარმოადგენს S<sub>3</sub> მხ-ის -ა პირის ნიშნის შესაბამის მრავლობითობის სუფიქსს: მოეკლ-ნ-ეს (შდრ. მოკლ-ნ-ა). ხმოვნიანი სუფიქსის (-ეს, -ა) დართვით -ენ იკუმშება (→-ნ). აღწერილი მოვლენა თურმეობით II-ში იმის ანალოგიურია, რაც კონვერსიულ ვნებითებში გვაქვს: დაიწერ-ნ-ეს (შდრ. დაწერ-ნ-ა) [64, 111].

და ურიცხვნი სისხლნი დაეთხინეს და ფრიადი მონაგებნი წარეხუნეს კაცთაგან... (ლიმ. 60, 23); შვილო,

უკუეთუმცა დაგემარხნეს მცნებანი ჩემნი და ალგესრულ-  
ნესმცა მუნ ღღენი ორმოცნი, სხუანიმცა უფროდსნი  
ხილვანი გეხილნეს (ნოველ. I. 5, 9, 27—28); ეთარგმნეს  
ფრიად საშურველ, რაათამცა მუნ მყოფნი წარედგინეს  
ვის, და მათ წილ სხუანი ახალნი დაეშენეს (ზღაპრ. 23,  
1. ბ); და მრავალნი წიგნი ეთარგმნეს და ენება, რა-  
თამცა ნათესავმან ჩუენმან დაისწავა (გ. მთაწმ. 172, 14)  
(I:ეთარგმნეს).

ბოლო ნიმუშებში მრავლობითობის -5 ხვდება ფუძისეულ -5-ს  
და I რედაქციაში მისი დაკარგვის ფაქტი ერთადერთი არაა (იმავე  
ძეგლის ძირითადი რედაქცია [142, 17]: ეთარგმნეს — DIK:  
ეთარგმნეს): უკუეთუმცა საქმენი იგი არა მექმნეს მათ შორის,  
რომელ სხუამან არავინ ქმნა, ბრალიმცა არა იყო მათდა... (იოვან-  
ნე. 15, 24. C); და ყოველსა ამას წელიწადსა რუდუნებით შემე-  
ქმნეს იგინი კელითა ჩემითა... (ანტიოქ. 120, 17).

ორ შემთხვევაში დადასტურდა თავისებური ფორმები, რომ-  
ლებშიც მრავლობითობის მაჩვენებლად მხოლოდ -5 არის წარმოდ-  
გნილი:

და წიგნი რომელნი ეთარგმნეს დეკანოზობასა შინა...  
(გ. მთაწმ. 142, 17), (E:ეთარგმნეს); და საბელნი იგი  
კარვებისა მათისანი განეთხზნა ურთიერთას, რამეთუ  
ესე იყო ჩუეულეზა დადგრომისა მათისა (გობრ.  
176, 27).

§ 15. დამატებითი კომბინაციის ფორმები თურმეობით II-ში,  
დამატებითი კომბინაციის ფორმათა გამოვლენა ამ ნაკვეთშიც უმნი-  
შენლო შეფარდებისაა ძირითადთან: სულ 17 ერთეული დაგვი-  
დასტურდა, აქედან ნახევარზე მეტი [10] ისევ სუბიექტური წყო-  
ბის I—II პირზე მოდის:

ვითარ-მე-მცა მოავლინა ესე ჩემდა, უკუეთუმცა არა  
ვეხილვე და სათნო ვეყავ მას!? (მრავალთ. 263, 26); ნე-  
ტარ თუმცა ჰაერთა შინა მფრინვალედ დავებადე ღმერთ-  
სა (მამ. სწავლ. 184, 32—4); ... და ეხილვე შენ, მამაო...  
(ხანცთ. 303, 3); ესე-ლა თუმცა მეცნა, არამცა შემოგი-

ტვე შენ (BCDEFGH:შემომეტვე) (შუშანიკ. 22, 8);  
ნეტარ. თუმცა არა შემესწავლე (მამ. სწავლ. 227, 1);  
იხილე, ვითარ-ესე მეყსეულად გეპოე შენ (სრუტეძეძე  
54, 30); უკუეთუმცა საპყრობილესა არა შეგეგნე (სრუტეძეძე  
შეგეგნე), არამედ მყისა შინა მრავალფერითა სატანჯ-  
ველითა გეგუემე, მაშინ სამემცა აღგესრულა ნებაჲ მე-  
ფისა შენისაჲ (გურ. სამონ. და აბიბ. 128, 13—15); ... და  
მრავალგზის გეხილვე (ილარიონ. 23, 14).

რეალური ობიექტის მრავლობითობას ამ შემთხვევაში -ენ-  
-(ი)თ სუფიქსთა კომბინაცია გადმოსცემს. -ენ, რომელიც -ეს სუ-  
ფიქსის წინ შეკუმშული იყო, აქ სრული სახითაა შენარჩუნებული,  
რადგან თანხმოვანი სუფიქსი მოსდევს. ეს უკანასკნელი (-თ) პრე-  
ფიქსულ პირის ნიშანთა გამამრავლობითებელია:

და მცირედლა და მო-მცა ვადრემე-ვეკლენით ჩუენცა  
თუნიერ ყოვლადვე წინა-აღდგომისა... (სინ. 267, 19);  
და გ-რ ყ-ნი შიშსა შევეგყურენით სიტყ-სა მას ზ- სა-  
ღმრთოსა... (კომ. I. 261, 18), (იგივე: ცხ. კვპრ. 140,  
25); ... ძილსა დავეგყურენით... (სინ. 153, 2); მიმოდა-  
ვეტაცენით (მოციქ. 27, 27. C) გასწყედით მაგას, რა-  
მეთუ სხვსათვს წარმევლინენით მონაზონისა... (ნო-  
ველ. I. 3, 19, 15).

ძირითადი პარადიგმის დამატებით კომბინაციებთან შეპირის-  
პირება ცხადს ხდის, რომ S<sub>3</sub> მხ. -ა-სა და მრავლობითობის -ენ  
სუფიქსის წინა პოზიციაში ჩავარდნილია -ე სუფიქსი, რომელიც  
ნამყოს ნიშანია [54, 453—4]. ასეთი სუფიქსი არ ივარაუდება  
ისეთ ზმნებში, რომელთა ნამყო ძირითადი უნიშნოა (ვეყავ, შევე-  
კარ და მისთ.).

§ 16. ძველი II თურმეობითის ზოგი ფორმა ახალი ქართუ-  
ლის მონაცემების ფონზე. რიგ ზმნათა II თურმეობითი გაფორმდა  
I თურმეობითის ფუძის შესაბამისად, რაც ახსნილია ვნებითის ნამ-  
ყო წყვეტილთან განსხვავების დადების მოთხოვნილებით [95, 69—  
70; იხ. აგრეთვე: 30, 440—441; 96, 218]. ძველ ქართულში ამგვარ-  
ი ზმნებიც (რომელთაც თანამედროვე მონაცემების გათვალისწი-  
ნებით გამოვყოფთ) საერთო მოდელში ექვევა:

ხოლო ეპიტანეს წინააღმდეგეთა დაეჭვება თეოფილუსის (ცხ. კვპრ. 136, 31—32); რამეთუ ღმერთსა ედიდა მონა იგი თვისი (ქრისტეფ. 189, 15); არამედ დაემდებლა გონებად მისი (თეკლა. 97, 13); რამეთუ თუალით შეეყუარა იგი (თეკლა. 109, 5); ... რომელი-იგი მოებირა რაქისს (ბალავარ. 112, 31. ო); და ღვძლები იგი მათი, ვითარცა ძაღლთა პირითა განეტაცა (გობრ. 180, 35—36); განვადე კარი სენაკისაჲ, სადა-იგი დამეტევა მწოლარე (იოვ. და ეფთვ. 45, 7); რამეთუ მათ მიემადლა მისდა ქმნულკეთილობაჲ იგი... (რიფს. 176, 42); და ეუწყა მას მესუეტისა ვისთჳსმე (ლიმ. 123, 22); და ჰრქუა მას ყოველი იგი სიტყუაჲ, რომელი მოემზადა (ლიმ. 133, 23); მას ჟამსა ოდენ შეევედრა სული თვისი ღმერთისა (კიმ. I. 23, 30); ... რა განაახლოს ქყანაჲ, რა მოეოგრა (კიმ. I. 177, 5); და ყოველთა ცნეს, რამეთუ ნებსით მოესულელა თავი თვისი (მამ. ცხ. 311, 15); მოეცოფა (თავი) (ნოველ. II. 231, 11); დაესრულა, შეეჩუენა, დაემტკიცა, მიევიღნა, განეწესა, ედიდნეს, წარეტაცა, დაებნელა, მოებოვა, დაეუნჯა, შემედარა...

§ 17. თურმეობითი მეორისა და ენიანი ვნებითის ნამყოფორმობრივი დამთხვევებისათვის. როგორც აღინიშნა, თურმეობითი II ფორმობრივად შესაბამისი ენიანი ვნებითის ნამყოფა ეს დამთხვევა იმდენად სრულია, რომ ზოგჯერ კონტექსტითაც ძნელი ხდება გარჩევა, ვნებითის ნამყოფა თუ თურმეობითი II:

მოვედით ჩემდა ყნი მამუთრალნი და რლთა ტვრთმძიმე გეტვრთა (ტბეთ. მათე. 11, 28) (იტვირთავთ თუ გეტვირთების?); რამე საშოჲ ყოფილ არს, რომელსა ეტვრთა ეგე... (სიყრმ. უფლ. 320, 34); თუალნი ზე ეხილნეს (ყ:ეხილვნეს) და ჰხედვიდა არარას (მოციქ. 9, 8); ძლეულ იქმნა ძალი ბელიარეჲსი ძალითა მით უძლეველითა, რომელ შეგემოსა უხილავთა და ხილულთა მტერთა წყობასა (ცხ. ურჰაელ. 347, 10); გამობრწყინდა დღეს... ქრისტე მზე სიმართლისაჲ, რომელი იგი დაეფარა სიჩრდოსა საფლავისასა (სასულიერ. ტოა, XII);

უწყოდა, რამეთუ შურობით მიეცა იგი (მათე. 27, 18. C), (მეორე რედაქცია ცხადს ხდის, რომ II-ის რედაქციითა — DE:მისცეს იგი); ნათესავი იყო მისი (რომელსა წარეყუთა ყური... (იოვანე, 18, 26. DE), (შდრ. C:რომელსა წარჰყუთა პეტრე ყური); ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რათამცა სათნო ეყო მეფესა... (შუშანიკ. 12, 3—4);

განსაკუთრებით რთულადაა საქმე, როცა შესაძლებელია შესაბამისი სტატისტიკური ვნებითის ნამყო იყოს წარმოდგენილი. მაგალითად: ... ა დ ე შინოდა ერისა მისგან, რ ვ ა წ წტყელი ეპყრა იგი (ტბეთ. მათე. 14, 5) წინადადებაში „ეპყრა“ ფორმას ნამყოდ ჩავთვლით, მაგრამ ამაში დაგვაეჭვებს შემთხვევები, როცა უზმნისწინო ფორმა შედეგობითი II-ის ფუნქციით მოგვევლინება: ... და ვიდრე კოსტანტინედმდე ურჩულოთა დაეპყრა... (გამოცხ. იოვ. 17, 10a. თ; AB:ეპყრა) ასევე:

„არა შეცვალნეს ძაძანი მათნი, რომელ ემოსა სამოსლად მათა, არამედ ემოსა მათ ვიდრე სიკუდილმდე მათა (დომენტ. 96, 2); ესე იგი არს, მასვე გუამსა შინა, რომელ შეემოსა კაცისაგან... (სინ. 22, 11); და წარჰკოცა არდაგითა მით, რომელ ემოსა (იოვანე. 13,5. DE), (შდრ. C:რომელ მოერტყა); ... და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განვმა (მარკოზ. 4, 6. DE) (შდრ.: უბნ მათ ძირ... იქვე. 4, 17. C); ... არამედ ეცუა სიღონი ერთი ტანსა თუსსა (ნოველ. I. 3, 15, 4); ... რომელ არცა წარმართთა შორის სახელ-ედების, ვითარმცა მამის ცოლი ვისმე ცოლად ესუა (პავლ. 104, 1).

თურმეობითი II-ის ფუძის ამოცნობა არ ჭირს, ის ყოველთვის გამჭვირვალეა — წარმოადგენს ნამყოს ფუძეს. გამონაკლისად შეგვხვდა ერთი შემთხვევა: „ცნა“ ზმნისათვის მოსალოდნელია თურმეობითი II — „ეცნა“ და არის კიდევ (... რათამცა აწოდენ ეცნა მამისაგან... გამოცხ. იოვ. 22, 6, თ), მაგრამ დასტურდება „ეცნობა“ ფორმაც:

და წარმართთა არღა ქადაგებულ იყო და ეცნობა... (სინ. 136, 1); ხოლო მარიამს ვერ ეცნობა (სინ. 160, 27).

აქაც შეიძლება I თურმეობითთან საერთო ფუძის გაჩენის და-  
საწყისი დავინახოთ (შდრ. უცნობიეს — ეცნობა).



**§ 18. I და II თურმეობითში ისტორიულად ჩართულ**  
**საკითხი.** ახალ ქართულში I—II თურმეობითში ფართო გავრცე-  
ლება მოიპოვა -5- აფიქსმა („გაებედნა“ ტიპი). ა. შანიძემ მიიჩნია,  
რომ ის II თურმეობითისა და ვნებითის ნამყოს სადიფერენცია-  
ციოდ გაჩნდა ჯერ II თურმეობითში, ხოლო შემდეგ I თურმეო-  
ბითში გადავიდა. ამ მოვლენის ხელშემწყობად მიჩნეულია ისეთი  
ინიანი ზმნები, რომელთაც -5- აწყობივ აქვთ: ვთოხნი, ვტკეპნი,  
ვკორტნი, ვკოცნი და სხვა [30, 442—43]. ეს საკითხი სპეციალუ-  
რადაა შესწავლილი და დადგენილია, რომ -5 მართლაც სადიფე-  
რენციაციო საშუალებაა, ის -ებ თემის ნიშანს უდგება გვერდში  
და I—II თურმეობითში ერთდროულად უნდა იყოს გაჩენილი;  
თუ ანალოგიაზე იქნება საუბარი, ორივესთვის შეიძლება ასეთად  
გამხდარიყო ზმნები, რომელთაც ფუძეში -5- აქვთ [95, 61—79,  
კერძოდ: 70—74; შდრ. 45, 89].

აღნიშნულია, რომ -5- აფიქსის ხმარება სპორადულად ძველ  
ქართულშივე დასტურდება [95, 62]. მართლაც, რამდენიმე ამგვა-  
რი ფორმა იძებნება როგორც II, ისე I თურმეობითისათვის (ორი  
ნიმუში):

... და მისდა ოდენ ეწოვ-ნ-ა სძც (კაცის აგებ. 206, 25);  
რამეთუ არა ნატაცებად შეერაცხნა თავი თვისი სწო-  
რებად ღმრთისა... (კიმ. II. 105, 10); და იხილა სიმ-  
რავლე იგი სირადასა, რომელი ეთხზნა მამასა მკარის  
(ნოველ. I. 7, 9, 15); და რომელსამე მკარსა ეხეთქნა-  
და ორად განებო ვიდრე მკრდადმდე (სინ. 276, 7),  
(შდრ.: უხეთქნა); ნაპრალსა მას კლდისასა ეპოვნა  
ქუაბი მცირე... (ასურ. 52, 2. C), (ჩვეულებრივია  
„ეპოვა“ ფორმა).

ბოლო ფორმაში -5- შეესაბამება -ებ თემის ნიშანს: ჰპოვ-ებ-ს,  
უპოვ-ნ-ის||მოუპოვ-ებ-ის.

I თურმეობითში ორიდან ერთი ეს ზმნა დადასტურდა  
-5- აფიქსით: არცაღა ისრაჴლსა შორის ესოდენი სარ-

წმუნობაჲ მიპოვნეს (მათე. 8, 10. C), (შდრ.: განე-  
შორე მრავალ-მეტყუელებასა, რომელი მოცალეთა მოუ-  
პოებეს... მამ. სწავლ. 290, 19); ვესავეთ ღმრთისაგან,  
რ-ა განვისუენოთ ამისგან, რომელსა ესე უკანონოეს, პუ-  
რიისა (ცხ. ურჩაველ. 334, 14).

### 3. კავშირებითი მისამი

კავშირებითი III ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში იშ-  
ვიათი ხმარების ნაკვთია. ძეგლების შესწავლით ისეთი შთაბეჭდი-  
ლება რჩება, თითქოს მისი გამოყენება თანდათან მატულობდა.  
ყველაზე მეტად ის „ტიპიკონში“, „მცირე სჯულისკანონში“ და,  
განსაკუთრებით, „დიდ სჯულისკანონშია“ გავრცელებული, შეიძ-  
ლება იმიტომაც, რომ კანონიკური კრებულებია და გარკვეულ პი-  
რობებს შეიცავს.

კავშირებითი III თურმეობით II-სთან ისეთსავე მიმართება-  
შია, როგორც კავშირებითი II ნამყო სრულთან. თუ თურმეობითი  
II ენიანი ვნებითის ნამყო სრულს წარმოადგენს ფორმობრივად,  
კავშირებითი III იმავე ვნებითის კავშირებით II-ს ემთხვევა. რო-  
ცა თურმეობითი II გაანალიზებული გვაქვს, შესაძლებელია კავ-  
შირებით III-ს მხოლოდ ნაწილობრივ შევხვით. ამ ორი მწკრივი-  
სათვის, დაბოლოებათა გარდა, ყველა მორფოლოგიური ნიშანი სა-  
ერთოა: ასეთია ამოსავალი ფუძე (ნამყო სრულისა), პრეფიქსული  
პირის ფორმანტები და მათში რეალური სუბიექტის მრავლობი-  
თობის ასახვის შესაძლებლობა და პრეფიქსულ ვნებათებთან სა-  
ზიარო -ე- ფორმანტი.

კავშირებითი III-ის ფორმობრივი აღწერისათვის საკმარისია  
მხოლოდ სპეციფიკურ ნიშნებს შევხვით. ამ მხრივ გასაანალიზე-  
ბელია მწკრივის ნიშანთა და S<sub>3</sub> პირის სუფიქსთა ვითარება.

კავშირებითობის მაწარმოებელი ფორმანტები საანალიზო  
ნაკვთს II კავშირებითისაგან აქვს ნასესხები. გვხვდება სამი სუფიქ-  
სი: -ო, -ა, -ე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ორ ფორმაში დასტურ-  
დება: მოეცეს და ექმნეს; ამ ბოლო ფორმაშიც -ე-სთან მონაც-  
ვლობს -ა:

და სამი საჭმელი იქმნებოდის, რადცა ღმერთსა მოუცეს  
(ტიმოკ. 8, 6); ... დაღათუ თვნიერ ზაკუვისა მიეცეს სა-  
სუმელი იგი მცემელსა... (დიდ. სჯულ. 207, 19). და-  
ღათუ ცოდვად რამე ექმნეს, მი-ვე-იტევნენ მას (ეზრ. 16, 15. ტ<sup>1</sup>); (იგივე: ცხ. კვბრ. 113, 24); ... და ყოველთა  
ეკიდნენ საქმენი მათნი თითოეულად, რადცა ვის ექმნეს  
სოფელსა ამას! (მამ. სწავლ. 93, 22), (C:ექმნას); ... გა-  
ნიკანონენ, უკუეთუ ნებთა თვისთა ექმნას მათ ესე...  
(დიდ. სჯულ. 527, 26).

-ა სუფიქსი შედარებით მეტ ფორმას აწარმოებს [პირობები-  
სათვის იხ.: 58, 142]:

... არამედ რომელი-იგი შეჰგავს დედათა, რომელთა  
აღეთქუას ღმრთის მსახურებად საქმითა კეთილითა (ყ:  
აღეთქუა) (პავლ. 413, 10); უკუეთუ კრავი მოებას შესა-  
წირავად მისა, მოართუას იგი წინაშე ღმრთისა (ლევიტ.  
115, 7); და რომელსა-იგი თვსთაგან სავმართა ყოველთა  
ექმნას, ვითარ განაგებდეს სხვასა მას? (ტიმოკ. 4, 8);  
ინავ-ედგას (ტიმოკ. 8, 1); დაესუას, ეცნას, ეთქუას,  
მოეკლას...

ყველაზე უფრო ხშირად კავშირებითობის მაწარმოებლად -ო  
სუფიქსი ვლინდება (პირობებისათვის — მითითებული ნაშრომი):  
რომელთა წარ-რამე-ელოს ასოთაგანი კაცთაჲსა, წამსა  
შინა მოსცენ ყოველი... (მამ. სწავლ. 211, 27); არღა  
ეჟივნოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამ გზის უვარ-მყო  
მე... (ტბეთ. ლუკა. 22, 34); ხოლო ვად ცოდვილთა, რო-  
მელთა არა შეენანოს პირველ სიკუდილისა მოწევნამდე  
მათ ზედა... (მამ. სწავლ. 60, 6); ... დაღათუ ვასმე თუა-  
ლი მარჯუნად მისი წარმოეგდოს, არა აღიწევის ლოც-  
ვაჲ მისი წინაშე ღმრთისა (მამ. სწავლ. 305, 2); ეგრე-  
თვე რომელსა ორგზის ექორწინოს, მდღელობისა პატივ-  
სა ვერ კელ-ეწიფების მოსლვად... (მც. სჯულ. 25, 29);  
ხოლო სამი სამადგანი ქერი სახც არს მათი, რომელთა  
უძღურებისაგან და შიშისა მდევართაჲსა ქრისტე უვარ-  
ეოს და კუალად შეენანოს და შეგინებული იგი ხატი



ცრემლითა განებანოს (გამოცხ. იოვ. 6, 6. თ); მოეგოს (დამასკ. 158, 8. არს.); დაგეთმინოს (ეფრემ /დ/. 2, 32); ეუმეცროს (დიდ. სჯულ. 200, 29); დაესადგუროს (იქვე, 222, 19); განებჭოს (იქვე), აღეაროს (იქვე); დაეწეოს, ესწაოს, ექსენოს, დაეყოს, დაეყენოს, მოენიჭოს, ენებოს, მოეხუეჭოს, წარეგოს, დაეკლოს, დაეტე/ვ/ოს, წარეტაცოს, ეთარგმანოს, მოვე-არა-ეთხაროს, ეყუმიოს, მიემცნოს, შეეტკბოს, ეწიროს, ეცოდოს, შეეწამოს, გესმინოს...

კავშირებითი III-ის ძირითად პარადიგმას S<sub>3</sub> პირის სუფიქსად, როგორც მოყვანილი ნიმუშებიდან უკვე აშკარაა, მოუღის -ს.

კავშირებითი III-ის ფორმაშიც რეალური ობიექტის მრავლობითობა სუბიექტურ სუფიქსებში აისახება; მრავლობითობის დაბოლოებად გვევლინება -ნ-ე-ნ, რომლის პირველი შემადგენელი წევრი -ნ /←-ენ/ იგივეა, რაც თურმეობითი II-ის -ნ-ეს დაბოლოებაში. მომდევნო -ე-ნ სუფიქსთა გასამიჯნავად გამოდგება დამატებითი კომბინაციის ფორმათა მრავლობითი. ასეთი მხოლოდ ერთი ხანმეტი ფორმა დაგვიდასტურდა, ისიც მხოლოდობითის ფორმით: ნეტარ ხიყვნენ, რომელთა არა ხუეხილვო და ხურწმენე (ხანმეტ. ლექტ. გვ. 62, იოპ. 29); მაგრამ შემდეგდროინდელი ქართულის ვეხილ-ნ-ე-თ, მოვეკლ-ნ-ეთ..., აგრეთვე ვნებბის დავეც-ნ-ე-თ და მისთ. ფორმები გვიდასტურებენ, რომ -ე კავშირებითის ნიშანია (და მისგანაა შეკუმშული წინამავალი -ენ), ხოლო -ნ მრავლობითობის სუფიქსი, მომდინარე, ალბათ, ასევე -ენ ფორმანტიდან (-ან სუფიქსისაგან ფონეტიკური გამარტივება მოსალოდნელი არაა) [97, 107—120; 64, 63]; მორფოლოგიური ანალიზი ააშკარავებს, რომ მრავლობითობის -/ე/ნ ფორმანტის მომდევნოდ კავშირებითის ნაკვთი მხოლოდ ერთი -ე ნიშნითაა წარმოდგენილი; ის, როგორც ივარაუდება, პირვანდელი ფორმანტი უნდა იყოს [97, 116; 30, 440; 98, 388]. მოვიყვანთ ნიმუშებს:

ხოლო რომელნიმე საქებელ, რომელთა მოეკუდინნენ საქმენი ვორცთან ქრისტჳს მიერ... (გამოცხ. იოვ. 20, 6. თ); ... მიიყვანებს მას უფალი მისი საქმართა მათ თანა, რომელნი წარეხუნენ მას... (დიდ. სჯულ. 194, 12. G);

მონასტრად მოხუშულნი მის მიერ საჯმარნი მიიხუნეს უფალმან მისმან, უკუეთუ პარვით მოეხუეცნენ მას მის-გან (დიდ. სჯულ. 194, 16); უკუეთუ ბუნებისა გერეცნულნი ვის ცოდვანი ექმნენ... და მსწრაფლ მოეხუეცნენ... საქმენი იგი და არა დაჰყოვნებოდის მათ შინა... მან სამი, გინა ოთხი წელი უზიარებლობისა და იმარხოხს (მც. სჯულ. 101, 26—31); დაეპყრნენ (დიდ. სჯულ. 122, 2), განეტევნენ, შეეყენნენ...

თუ სუფიქსისეულ ნ-ს შეხვდა ფუძისეული ნ, შესაძლებელია ერთ-ერთი დაიკარგოს: ... არღარა მოვიცსენნე ყოველნი სიმართლენი მისნი, რომელნი ექმნენ (მამ. სწავლ. 119, 12).

რაც კავშირობითობას, როგორც მოდალურ კატეგორიას, შეეხება, ფუნქციური ანალიზის საქმეა და ცალკე იქნება განხილული.

#### 4. ხოლმეობითი მისამი

ძველი ქართული ენის ძეგლებში დასტურდება წინა ორ ნაკეთთან საზიარო ფუძის, დრო-კილოთა მესამე ჯგუფის კიდევ ერთი ნაკვთი, რომელსაც მესამე ხოლმეობითი ეწოდება (ტერმინო ა. შანიძისა). ნაკვთი ფორმობრივად წარმოადგენს შესაბამისი ენიანი ვნებითს II ხოლმეობითს, მის ინვერსიულ სახეს, ანუ III ხოლმეობითი II თურმეობითთან ისეთსავე მიმართებაშია, როგორც ხოლმეობითი II ნამყო ძირითადთან. III ხოლმეობითი კიდევ უფრო იშვიათი ხმარების ნაკვთია, ვიდრე კავშირებითი III, თანაც უფრო გვიანდელი პერიოდის ძეგლებშია წარმოდგენილი.

III ხოლმეობითის ფორმებს პირველად მიაკვლია ა. შანიძემ და აღნიშნა, რომ „XI—XIII საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება ერთი იშვიათი მწკრივი, რომელიც აქამომდე შეუღმჩნეველი იყო“ [99, 2]. ამის შემდეგ მკვლევარს მოჰყავდა ვრცელი ციტატა გიორგი მთაწმიდლის თხზულებიდან [3, თ. 58], საიდანაც გამოყოფდა „ებრძანის“ ფორმას. შემდეგ ანალოგიურ ფორმებს იმოწმებდა იმ პერიოდის სხვა ძეგლებიდანაც: „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“ (განეკლნიან, ბრძოლა-ეცის, მოესრნიან, ექმნიან და შეე-

კრიბის), „ხრონოლოგია“ (ეტკრთინან), დავით აღმაშენებლის ისტორია (ექმნის, ეთქუის) და „ვაჰანის ქვაბთა განგება“ (ეყვის). ბოლოს მკვლევარი იმედოვნებდა, რომ მოქმედებითი გვარის წარმოშობა მათა გარდა სხვა გვარის ფორმებიც დადასტურდებოდა (გვ. 111).

დ. გეწაქემ შვიდი ნიმუში დაიმოწმა X—XIII სს. ძეგლებიდან, მათ შორის „ვეფხისტყაოსნიდან“ (ვაეწითლის) [100, 186—187], ხოლო ზ. სარჯველაძეს, მისივე ცნობით, რამდენიმე ათეული ფაქტი გამოუვლენია (უმეტესად ხელნაწერებიდან), მასაც X ს-დან მოკიდებული და მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნათათვის. მისი აზრით, III ხოლმეობითი რომელიღაც დიალექტებიდან ჩანს შემოსული [101; 67, 179—184].

როგორც მოსალოდნელი იყო, ტექსტების ყოველა ახალი შესწავლა ახალ-ახალ ნიმუშებს ავლენს. ჩვენ უკვე შესწავლილ ტექსტებშიც დაგვიდასტურდა ახალი ნიმუშები და, რაც მთავარია, არცთუ მთლად საეჭვო მაგალითები დაიძებნა ისეთ ძეგლებში, როგორცაა „ოთხთავი“ და „სინური მრავალთავი“:

... და შაფათსა წინადაცუთის კაცმან (7, 22. C) უკუეთუ წინადაცუთის კაცსა დღესა შაფათსა, რაფთა შჯული იგი მოსესი ნუმცა დაჰჯსნდების, ჩემდა გული გიწყრების, რამეთუ სრულიად კაცი განვაცხოველე შაფათსა შინა? (იოვანე. 7, 23. C), (ზმნა რომ გარდამავალია, გვიჩვენებს წინა მუხლის ზმნა — „წინადაცუთის“ და DE რედაქცია: წინადაცუთილებად მიიღის კაცმან);

... და იცოდა, რ' კაცი მართალი და წმიდაჲ არს, და სცვიდა მას, და ესმინის მისი, და მრავალსა პატივსა უყოფდა მას (ობიზ.: ისმენდა მისსა) (ტბეთ. მარკ. 6, 20); (FGHIK: ისმინის); ... შთავლენან ტკრთოსანნი ცოდვათაგან, გარნა აღმოსლვასა არა ხოლო თუ ცოდვაჲ იგი განეყენის, არამედ სულიცა სიწმიდისაჲ შეემოსის (სინ. 78, 13—14).

... რამეთუ არა ჟამთა მონაჲ არს იგი, ვითარცა იგი ხემან ჟამი იპყრის ფურცლისა გამოსხმაჲ და ჟამსა ზამთრისასა დაეყარის (სინ. 211, 32); არამედ უკუეთუ ვინმე

შეპრისხნის, პასუხ-უგებნ ტკივილით, და თუ ებრძანის რამე, არა ყვის, არცა კეთილისათჳს აღიშურვის (მამ. სწავლ. 265, 8); ხოლო მრავალთა ილოცეს... (B:რამე ელოცის) (მამ. სწავლ. 21, 25); ... და არა აურებდა მამა-დედათა თითოფერისათჳს და პატიონისა საქმელისა, არცაღა მისგან გემოსა ეძიებნ, არამედ რომელი-იგი ეზოვის, კმა-ეყვის და მერმე არარას ეძიებნ (მამ. ცხ. 10, 17—18), (შდრ.: იგივე: ...არცაღა ამისთჳს გული უთქუამნ, გარნა რომელი-იგი ეზოვის, კმა-ეყვის და მეტსა არა ეძიებნ (ყ:იპოს) (ანტ. 7, 34—35. ტ.); იტყოდეს მამისა ისაკისთჳს, ვითარმედ ნაცარი იგი სა-ცეცხურისაჲ, რომელი ეკუმის ჟამის-წირვასა, პურსა თანა ჭამის (ნოველ. II. 90, 25); ამისთჳს შეპყრობილთა მათგანი, რომელისაცა ფასი არავის მოეცის, მყის სიკუ-დიდ განიყვანებოდიან... (დამასკ. ცხ. 146, 3—4); ... და ერჩდა იგი წმიდასა ეპისკოპოსსა ყოველსავე ზედა, რაჲცა რაჲ ებრძანის მას საქმედ (მამ. ცხ. 215, 9); ... და რომელი სხუათა გარეწარად შეერაცხის, უმეტესი მოღუაწებაჲ აჩუენის მას ზედა... (ანტიოქ. 49, 34—36); უკუეთუ კულა დაეყოვნის, დიდად აბრალის... (იოვ. და ეფთვ. 61, 3); ... მრავალი შრომაჲ თავს-იდვეს... (CDFGL: -ედვის) (გ. მთაწმ. 186, 15); ... რამეთუ ენ-თებინ იგი (სანთელი) ეგრეთვე, ვითარცა განუტევებიედ, გან-რაჲ-ვალნ იგი ქუაბისა მისგან (A:ვითარ დაეტევის) (ლიმ. 64, 2); და სხუაჲ არს რომელსა მოეწყვიდის ყო-ველივე ცოდვაჲ და მერმე აღიარნის ყოველნივე ბრალ-ნი მისნი (მც. სჯულ. 108, 4).

ზოგჯერ ძნელი გადასაწყვეტია ფორმა რას წარმოადგენს, III თუ II ხოლმეობითს:

... არამედ ვითარცა მჯეცი რამე კაცთ-მოძულე, რაჲჲმს შეეწყუდიის გალიაკთა, იბრდღუენნ და გორავნ... (ექტუს. დლ. 113, 12); რომელი ეხილვის, ვითარმცა არა ეხილ-ვა, და რომელი ესმის, ვითარმცა არა ასმიოდა მას (ნო-ველ. I. 9, 5, 4—6).

ტექსტებზე დაკვირვება III ხოლმეობითის ფორმებს უბეჭე-  
ლად გამოავლენს, შესაძლებელია, უფრო ადრეულ და უფრო  
გვიანდელ ძეგლებშიც; მაგრამ ეს არ არის მთავარი არსებობის  
ის, რომ III ხოლმეობითის ფორმათა ხმარება ძველ ქართულ სა-  
ლიტერატურო ენაში ხშირი არაა, რაც ნაკვეთის დამკვიდრების ამ-  
სახველი უნდა იყოს. ვერ ვიტყვი, რომ ინვერსიულ ფორმათა  
ხმარებას ენა ერიდებოდეს; ამას ეწინააღმდეგება I და II თურ-  
მეობითის ფორმათა სიხშირე. დრო-კილოთა III ჯგუფის ფორ-  
მები მეორეული ნაკვეთებია, მიღებული I—II ჯგუფის ფორმები-  
დან ინვერსიის გზით. მათგან I და II თურმეობითი საკმაოდ დი-  
დი სიძველისაა, მათი წარმოშობა ენის ისტორიის სიღრმეში მი-  
დის; სალიტერატურო ენის დასაწყისში ისინი შემოდიან, როგორც  
ზმნის ნაკვეთულთა მყარი წევრები, საკუთარი დამოუკიდებელი  
ფუნქციებით (თურმეობითი II ენის ისტორიის მთელ მანძილზე  
იმტკიცებს პოზიციებს, რასაც ფუნქციების განხილვისას ვნახავთ).  
არც III კავშირებითი და არც III ხოლმეობითი ამ მხრივ გან-  
მტკიცებული არ არიან, ისინი მხოლოდ იმკვიდრებენ ადგილს.  
ენობრივი მონაცემები ერთ დასკვნას გვაძლევენ: ბოლო ორი ნაკვე-  
თის წარმოშობამ ბევრით არ დაასწრო სალიტერატურო ენის ის-  
ტორიას (მათგან კავშირებითი III წინ უსწრებს ხოლმეობით  
III-ს). ისინი ნაყარია თურმეობით II-ისა და II კავშირებით-  
II ხოლმეობითის თანაარსებობისა (შდრ.: რელატიურ-გარდაუვალ  
ზმნათა ისტორია, სადაც II თურმეობითი და III კავშირებითი  
უწყვეტლისა და უწყვეტლის კავშირებითის ტიპზე წავიდა). ენამ  
დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვეთთა სისტემა განავითარა და შე-  
ავსო ნამყოს სისტემის მოდელით.

რატომ არ დამკვიდრდა III ხოლმეობითი? იმიტომ, რომ მისი  
დამკვიდრების პერიოდში ხოლმეობითობის მოშლა უკვე დაწყე-  
ბული ჩანს, ცხადია, მას განმტკიცების შესაძლებლობები არ  
მიეცა.

III ხოლმეობითის ფორმობრივი ანალიზიც, თუ II თურმეო-  
ბითი და III კავშირებითი განხილული გვაქვს, მხოლოდ დაბო-  
ლოების გარკვევას მოითხოვს. დაბოლოება კი ემთხვევა II ხოლ-

მეობითის დაბოლოებას: ხოლმეობითის სუფიქსი -ი+S<sub>3</sub> მხ. -ს: ექმე-ი-ს (მდრ. ქმე-ი-ს). რეალური ობიექტის მრავლობითობა აქაც ორმაგი სუფიქსაციითაა გამოხატული — II ხოლმეობითიდან გამოყოფილი -ი/ნ და -ს სუფიქსის შესაბამისი S<sub>3</sub> მრ. -ან: განველ-ნ-ი-ან, გენახ-ნ-ი-ან. მრავლობითობის ამ ორ ფორმანტს შორის, როგორც III კავშირებითში, მწკრივის ნიშანია (-ი) მოქცეული. ხოლმეობითობის (პერმანსიულობის) საკითხი საფუძვლიანადაა გამოკვლეული [84, 91—97; 29; 85; 86 და სხვა], ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

საგულისხმოა, რომ დამატებითი კომბინაციის ფორმები, რომელთაგან მხოლოდ ერთი დადასტურდა III კავშირებითში (უფრო მეტი — II თურმეობითში, კიდევ უფრო მეტი — I თურმეობითში) III ხოლმეობითში ჯერ არაა დამოწმებული. ესაც ნაკვეთულთა დამკვიდრების თავისებური ასახვა ჩანს.

ხშირია შემთხვევა, რომ ენის ისტორიის კუთვნილ ფაქტს რომელიმე დიალექტი წარმოგვიდგენს შენახულსა და გავრცობილს. ამ შემთხვევაში ასეთად მოგვევლინა ზევსურული დიალექტი, რომლიდანაც III ხოლმეობითის ფაქტები დაიმოწმა ალ. ჭინჭარაულმა (ეთქვის, ეუზნის, ეჩოლაგის, ეკვეხინის) [102, 145]. ჩვენმა საგანგებო დაკვირვებამ ერთ-ერთი სოფლის მეტყველებაზე საგულისხმო შედეგები მოგვცა: გარდამავალ ზმნათა III ხოლმეობითი უცვლელადაა შემონახული (ექამის, მეძახინიან...); ამავე დროს III ხოლმეობითის წარმოება დაწყებულია გარდაუვალ ზმნებში (ყუდებულიყვის, სქონიყვნიან, ხყვანიყვნიან, ყოფილიყვის, მისუ-ლიყვის, დამდინარიყვნიან, ედინის, ეღავღავის...). ეს შესაძლებელი იყო, ჯერ ერთი, ხოლმეობითის მტკიცე არსებობის პირობებში (რაც ზევსურულში ფაქტია), მეორეც, ანალიზურ ფორმათა მყარ, სინთეზური წარმოების დონეზე ჩამოყალიბების პირობებში. ამიტომ ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში III ხოლმეობითი დავადასტუროთ გარდაუვალ ზმნათათვის (ეს შესაძლებელია მხოლოდ მედიოაქტიურ ზმნებში), რადგანაც ანალიზური წარმოება ჩამოყალიბების პერიოდშია და მათი III ჯგუფის ნაკვეთად ინტერპრეტაცია ყოველთვის საეჭვოა (ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით შემდგომ). საგულისხმოა, რომ

III ხოლმეობითის ნიუანსი ხევსურულში II ხოლმეობითთან სპე-  
ციფიკური ნაწილაკის დასმითაც გადმოიცემა: იყვის ყოფილამ=  
=იყვის თურმე=ყოფილიყვის [ამ საკითხებზე — 103]. ასეთი შე-  
საძლებლობა არც სხვა დიალექტებშია გამორიცხულზე. ჯანსიყვის  
რივი მოთხოვნილება ნაწილაკიანი წარმოებით ივსებს დანაკლისს:  
ფშაური: დიდ შამძლე და თავგზიან ქალი თურმე იყვის ი ნანი  
(დიალ. 132, 32); იმერული: ბატონი მოდიოდა ხომე თურმე აქა  
(ძოწენ. 379, 22).

რელატიურ-გარდაუვალი ზმნების დრო-კილოთა  
მესამე ჯგუფის ჩამოყალიბებისათვის  
ძველ ქართულში

გარდაუვალ რელატიურ და აბსოლუტურ ზმნათა წარმოება ახალ ქართულში განსხვავებულია: პირველთ დრო-კილოთა III ჯგუფის სინთეზური წარმოება ახასიათებს, მეორეთ — ანალიზური. რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა წარმოება არც გარდამავალ ზმნათა სინთეზურ წარმოებას თანხედება, პირველნი I თურმეობითში დაირთავენ მეშველ ზმნას, ხოლო II თურმეობითსა და III კავშირებითში გამოავლენენ -ოდ სუფიქსს. სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია აგრეთვე სინთეზური წარმოების პარალელური მეშველზმნიანი წარმოება (დაჰვიწყებოდა||დაჰვიწყებიყო), რაც ახსნილია ერთპირიან ზმნათა ანალოგიით, ან I თურმეობითში გაჩენილი მეშველი ზმნის გადასვლით სხვა ნაკვეთებში. ლიტერატურულ ნორმად მიღებულია სინთეზური წარმოება, როგორც გაბატონებული და ისტორიულად გამართლებული [30, 554—58; 96, 214; 45, 98; 104, 121—136].

ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება ამ საკითხებში გარკვეულ სინათლეს შეიტანს.

შენიშნულია, რომ ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფას სინთეზური ფორმები იშვიათი ხმარებისაა და ჩამოყალიბებული წარმოების შთაბეჭდილებას არ ტოვებს [45, 98; 50, 106—107; 64, 113].

§ 19. რელატიურ-გარდაუვალი ზმნების ანალიზურ ფორმათა კვალიფიკაციის საკითხები. ც. ქურციკიძემ ძველ ქართულში აღწერა ანალიზური წარმოების ფორმები, რომლებიც მნიშვნელობით



რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა როლს უნდა ასრულებდნენ [105, 241—247]. მკვლევარი აჩვენებს ორგვარ სინტაქსურ კონსტრუქციას: პირველი, როცა მიცემითბრუნვიანი ირიბი ობიექტის დასახელებით არის შეცვლილი, ე. ი. ორპირიანი ზმნის ცვლილებით პირიანებულია, მეორე, როცა პირთა შემადგენლობაში ცვლილება არ ხდება — ირიბი დამატება ისევ მიცემითი ბრუნვითაა გადმოსული III ჯგუფში. მისთვის ძირითადია პირველი შემთხვევა — ორპირიანი ზმნა III ჯგუფში ერთპირიანად იქცა სამპირიანთა ანალოგიით; მეორე შემთხვევაში კი ირიბი დამატება მიცემითში უბრალო დამატების „გასწორების“ შედეგადაა მიჩნეული აბსოლუტურ ზმნებთან განსხვავების დასადგენად (ე. ი. გარპირიანება მეორეულია) [105, 243—244]. ეს დებულება ძირითადი აზრის ანტიტეზის წარმოდგენს. ორპირიანი (გარდამავალიც და გარდაუვალიც) ზმნები III ჯგუფში პირთა შემადგენლობას არ იცვლის, ამიტომ პირველად უნდა მივიჩნიოთ ის მდგომარეობა, როცა პირთა რაოდენობა დაცულია (ირიბი ობიექტი მიცემითშია), ხოლო გაერთპირიანება — მეორე საფეხურად. ერთადერთი სინტაქსური კონსტრუქციაა, რაც შესაძლებლობას გვაძლევს რელატიური გარდაუვალი ზმნა (გამოსრულ არს იგი მას) განვასხვავოთ აბსოლუტური ზმნის იმავე ნაკვთისაგან (გამოსრულ არს იგი) ანდა შედგენილი შემასმენელისაგან (გამოსრულ არს იგი — გამოსრული არის, გამოსრულია). „გაერთპირიანება“ ანალიზურ ფორმათა და შედგენილი შემასმენლის დიფერენციაციის პროცესს უნდა ასახავდეს, რაც იმავე პერიოდში მიმდინარეობს (ეს საკითხი ცოტა ქვემოთ იქნება განხილული). შედგენილ შემასმენელში ამოსავალი ფორმის პირიანობა ვერ იქნება შენარჩუნებული, რადგან დრო და კონსტრუქცია მეშველი ზმნისაა (არს, იყო იგი). სინთეზურ ფორმათა დამკვიდრება რომ არა, მოსალოდნელი იყო რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა ანალიზურ ფორმებში შედგენილი შემასმენლის გავლენით რელაციის ნაშთი უბრალო დამატების სახით წარმომდგარიყო, რაც უკვე ძველ ქართულში იყო დაწყებული, თუმცა, შემდეგი დიფერენციაციისათვის კონსტრუქციის შენარჩუნებაც არ იქნებოდა მოულოდნელი.

ამრიგად, ამოსავალია ის სინტაქსური კონსტრუქცია, რომელშიც რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა პირიანობა შენარჩუნებულია.

სამპირიან ზმნათა გარდა III ჯგუფის ნაკვეთებში პირთა რაოდენობის ცვლა არაა მოსალოდნელი. სხვა შემთხვევები ყოველთვის თავის ახსნას მოითხოვს.

ი. იმნაიშვილმა ამ საკითხების გარკვევას 1971 წლის თული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ სპეციალური დამატება მიუძღვნა — „ორპირიანი გარდაუვალი ზმნები III სერიაში“. მკვლევარმა უარყო თვალსაზრისი (ნ. ნათაძე, ლ. ბარამიძე), რომ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფის ნაკვეთები ძველ ქართულში ჩამოუყალიბებელია. მან მიუთითა, რომ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა სინთეზური ფორმები ძველი ქართული ენის ძეგლებში არც ნ. ნათაძის 4 მაგალითით და არც ლ. ბარამიძის 9 მაგალითით არ ამოიწურება და, ამ პირველთა ჩათვლით, სულ 41 ნიმუში დაიმოწმა. მკვლევარმა აგრეთვე უარყო ც. ქურციკიძის მიერ წარმოდგენილი ანალიზური ფორმების რელატიური გარდაუვალი ზმნების III ჯგუფის ფორმებად მიჩნევის შესაძლებლობა. მისთვის ისინი შედგენილი შემასმენლის (და, შესაბამისად, დროულად აწყობ-ნამყოს) ტოლია. კონტექსტი მათი III ჯგუფის ფორმებად ჩათვისის საბაბს არ იძლევა, ხოლო -და თანდებულისანი უბრალო დამატება სხვა მწკრივებსაც ახლავსო (მე შენდა მოვალ: ი. 17, 11). დაბრკოლებას არც კონსტრუქციაში მიცემითბრუნვიანი ირიბი დამატების შენარჩუნება ქმნის, რადგანაც მიცემითი ბრუნვა თავს იჩენს „სხვა უფრო ფართო ხასიათის შემთხვევებში და მას სხვანაირად ხსნიანო“ [77, 348—354]. ეს ახსნა კი მიმღეობებთან გამოვლენილ მიცემითბრუნვიან დამატებას უბრალო დამატებად თვლის [106, 689—693].

გვერდი რომ ავუაროთ მიმღეობებთან დამატების კვალიფიკაციის საკითხებს, ძირითად გადამწყვეტად ფორმათა დროული მიმართება რჩება. ჩვენს ხელთ არსებული მასალები გვაძლულებენ კიდევ ერთხელ ვამტკიცოთ, რომ საქმე გვაქვს ჩამოყალიბებად (ახლად ჩასახულ) პერფექტულ დროებთან და არა შედგენილ შემასმენელთან. მათი გარჩევის სიძნელეს კი ძველ ქართულში შედგენილ შემასმენელსა და ანალიზურ ფორმათა შორის დიფერენციაციის გაუტარებლობა იწვევს. საუბარი შეიძლება მხოლოდ წარმოების ჩანასახებზე, რაც ენის ისტორიული განვითარების მთავარ-

მა ხაზმა საწყისშივე უარყო. ენამ წარმოშვა სინთეზური ფორმები, რომლებიც ხუთ-ექვს საუკუნოვანი სალიტერატურო ენის ძეგლებში ასევე ჩამოყალიბებულ ანალიზურ ფორმებთან თანაარსებობენ და გზას იკაფავენ. საკითხი ეხება დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვთებს ჩამოყალიბების პროცესს, რომელშიც გამორიცხული არაა ორი საწყისის, ორი ტენდენციის, თუნდაც ორი ფენის თანაარსებობა. ამიტომ შეიძლება სამართლიანი იყოს როგორც იმის მტკიცება, რომ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფის ნაკვთებს ანალიზური ფორმები გადმოსცემდნენ, ისე ის, რომ ამ ზმნათა სინთეზური ფორმები ძველ ქართულში უკვე ფაქტია. რომელიმეს მეტ სიძველეზე ახლა ძნელია რაიმეს თქმა, თუმცა ძეგლთა მონაცემები უფრო ანალიზური ფორმებისკენ ხრის სასწორს, რადგან ისინი უთმობენ ადგილს სინთეზურ წარმოებას და არა პირიქით.

საერთოდ შემჩნეულია, რომ ისტორიულად რიგ ანალიზურ ფორმებს სინთეზური შეენაცვლა, აღწერითი წარმოება ორგანულმა შეცვალა. ასე, მაგალითად, ინფინიტივი „არს“ მეშველი ზმნით მყოფადს გამოხატავდა, ინფინიტივი „იყო“ მეშველი ზმნით — მეორე თურმეობითს ან კიდევ პირობითს (შეიცავდა კატეგორიულობას). ამგვარად, „მიცემულ იყო მისდა“ ნიშნავს — „მას მისცემოდა“, ხოლო „მიცემად იყო მისდა“ კატეგორიულ, სავალდებულო მოქმედებას გადმოსცემდა: „უნდა მისცემოდა, მიეცემოდა“ [107, 129—135]. არც ერთი ამ ფორმათაგანი არ დამკვიდრებულა. ენის განვითარების გზა სინთეზურ ფორმებს ამკვიდრებს, ხოლო ანალიზურს უარყოფს. აქ არის სადავო საკითხის გასაღებიც.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სადავო ხასიათის ანალიზურ ფორმებს ყურადღება პირველად გ. დეეტერსმა მიაქცია, ოღონდ ბერძნულთან მიმართებით. მკვლევარი წერს, რომ „საშუალი გვარის ბერძნულ პერფექტს ქართულში ჰქონდა უშუალო მნიშვნელობით ძალიან ახლოს მდგომი ეკვივალენტი — გარდაუვალი პერფექტი“... „ამგვარად გამოდის ბერძნული მედიალის ქართული პასივით თარგმანი: მთ. 13<sup>1</sup>! ხოლო მათდა არა მიცემულ არს ბმბითა:“ [52, 179]. ხაზი უნდა გაესვას გამოთქმას „მნიშვნელობით ეკვივალენტი“ და არა — ფორმობრივი, რასაც შეიძლება კალკის შთაბეჭდილება მოეხდინა.

როგორც მასალები გვაგარაუდებინებენ, გარდაუვალ ზმნათს III ჯგუფის ჩამოყალიბება თავიდან ერთ საფუძველზე იდგა, რომლის დასაწყისშივე ჩაისახა დიფერენციაციის ტენდენცია. ამ ტენდენციის ასახვა ზოგჯერ შეიძლება ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რელაქციაში გვექონდეს:

ესენი კაცნი არიან, რომელთათჳს ვნებაჲ შემთხუეულ არს, ვითარცა კაცთა შეემთხვის ვნებაჲ... (ბალავარ. 23, 11—12. ო);

შდრ. 4: შემთხუეულა; BCD: შემთხუევა.

თავი რომ დავანებოთ „შემთხუევა“ პარალელურ სინთეზურ ფორმას, „შემთხუეულ არს“ ანალიზური კონსტრუქციის შედგენილ შემასმენლობას გამარტივებული „შემთხუეულა“ ფორმაც ეპყვეშაყენებს.

ამგვარად, საწყის ეტაპზე გვაქვს ორი სახის (რელატიური და აბსოლუტური) გარდაუვალი ზმნისათვის ერთი ამოსავალი ანალიზური კონსტრუქცია: მიმღეობა+მეშეველი ზმნა:

აბს.: გამოვიდა იგი — გამოსრულ არს იგი

რელატ.: გამოუვიდა იგი მას — გამოსრულ არს იგი მას... და ერთსა მას გამოსრულ იყო წუერი, ხოლო ერთსა მას ეწყო ოდენ (ნოველ. II. 126, 15—16).

განსხვავების დამყარება ხდება სინტაქსურ-ლექსიკურ საფუძველზე: ან (უკეთეს შემთხვევაში) კონსტრუქციაში რელატიურ გარდაუვალი ზმნის ორივე პირი გამოჩნდება, ან კონსტრუქციაც აბსოლუტური ზმნის (resp. შედგენილი შემასმენლის) შესაბამისად გადალაგდება, მაგრამ რელაციის ნაშთი მაინც გამოჩნდება გრამატიკული ობიექტის რომელიმე თანდებულიანი ბრუნვის ფორმით, ანდა ნათესაობითობრუნვიანი გრამატიკული ობიექტი გამოდის სუბიექტის მსაზღვრელად:

პ ი რ ვ ე ლ ი შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. ობიექტის ბრუნვა (მიცემითი) შენარჩუნებულია:

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: მე არასადა ბრძოლილ ვარ ამას საქმესა (ნოველ. II. 273, 22. ო); და მინდობილ ვართ იესუ ქრისტესა (გურ. სამონ. და აბიბ. 118, 26); აჰა-ესერა მიახლებულ ვარ სამართალსა ჩემსა... (იობ. 158, (13), 18); რამეთუ მე ვითარცა კედელსა მაგას, რომ-

მელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრე არა მესმიან ცუდნი ქვე  
 სიტყუანი შენნი (აბო. 70, 23); და არცა მოშიშთა შემ-  
 თხუეულ ხართ... (სინ. 118, 29); და კუალად შემდგომად  
 მათთა მრავლისა ქებისა მიმთხუეულ არს იგივენი...  
 ნაყოფთა მისთასა... (ასურ. 13, 4. Ⴆ); ვაჲ თქუენდა...  
 რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა...  
 (მათე. 23, 27); მიმსგავსებულ ვარ მე კაცსა, რომელა  
 ზინ ხესა ქუეშე დიდსა (ნოველ. II. 78, 18); და შემ-  
 შჭუალულ არს გონებაჲ ჩუენი ქუეყანისასა ჩუენითა  
 მით უდებებითა... (ეფრემ (გ). 8, 26—28); რამეთუ შუ-  
 რი და კდომაჲ შეთხზულ არიან ურთიერთას... (მამ.  
 სწავლ. 243, 15); დაღაცათუ წვალებაჲ მათი თჳს-თჳსად  
 იხილვების, არამედ ურთიერთას განთხზულ არს საცთუ-  
 რებით მსგავსად მელთა მათ, რომელთაჲ კუდი კუდსა  
 შეუკიცუა საფსონ (ხანცთ. 212, 20); რამეთუ რომელი-  
 ესე შეთხზულ არს ბუნებასა ჩემსა, ვერღარა შემძლე-  
 ბელ ვარ მე ცვალებად მისა (ლიმ. 73, 5); აჰა ესერა  
 ამოვებასა მიცემულ არს ცხორებაჲ მათი (მამ. სწავლ.  
 221, 28—29); აჰა ესერა თივათა და ყუავილთა და  
 მწუანეთა მრავალ-ფერთა ქუეყანისათა მაღლი შენი  
 მიფენილ არს (ეფრემ (გ). 2, 9); მიცემულ არიან იგინი  
 კელთა უღმრთოთასა (იობ. 154, (9), 24); ეგრეთვე ამის  
 მოწმისაცა ჰამბავი ყოველთა სასმენელსა განსმენილ არს  
 (შესხმ. ფოკა. 227, 33—34. A).

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II: და ვა მივედ მის თანა,  
 რლსა იგი წარყოლილ ვიყავ, და მიხილა მე... (კიმ. I,  
 212, 7); და რამეთუ ჭეშმარიტად წმიდაჲ ესე ქალწული  
 ნათესავისაგან დავითისა იყო და ბეთლემი მამულ ეყო  
 და იოსებს მსგავსად შჭულისა ნათესაობით სამართლად  
 მითხოვილ იყო (სინ. 12, 36); და პოვეს, რამეთუ საბე-  
 ლი იგი მისი დახუეულ იყო ლოდსა და დგა (მამ. ცხ.  
 35, 33); საქმც საგლოველი იხილვებოდა მათ შორის,  
 რამეთუ ძმაჲ ძმასა მოხუეულ იყო და სისხლისა ცრემლი  
 დასდიოდა თუალთა მათთა (წარტყ. იერუს. მბ, 29);  
 ... და სიბნელე მოხუეულ იყო მრავლით წლითგან ვნე-

ბითა ეშმაკისადათა, ვადის ვერარას ხედვიდა (კიმ. I. 304, 4); ესე არა თანა-შერთულ იყო ზრახვასა მათსა და საქმესა (ტბეთ. ლუკა. 23, 51); და მოიწინეს მოქმედებულნი მისნი, რომელთა შემთხუეულ იყო უფალი (სინ. 153, 32); და შეიცულ იყო ვეცხლისაჲ იგი ოქროსაგანსა მას ერთსა (სინ. 66, 20); და იყო ვინმე მუნ, რომელსა სახელი სიძვისაჲ დადებულ იყო (ნოველ. II. 28, 13); ვითარ იგი შეზრახულიყო მთავარებისკობოსი იოჰანე სევეროსს, შეკრბეს (კიმ. II. 186, 7); ხოლო ფილოპატსა მეფისასა მვეციი შეჩუეულ იყვნეს და ჭამდეს ნადირთა მათ... (გ. მთაწმ. 137, 4); ამას ხუედრებულ იყო კელი მეჯორეობისაჲ... (კიმ. II. 174, 29); და ესრეთ შეიწირა ღმრთისა ნეტარი აბიბოს..., რომელსა-იგი წილი ხუედრებულ იყო მღდელმოძღურებისა... (ასურ. 194, 12—19); რამეთუ ზევს გრძნებითა და სიბილწითა მისითა მიამსგავსა თავი მისი მფრინველსა და მერმე ზროხასა, რაჲთა აცთუნოს დედაკაცი იგი, რომელსა ტრფიალებულ იყო ბილწებისათვს (ორმეოც. და ხუთ. 78, 13); და განთქუმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორიელთა, ვიდრემდის მეფეთაცა მისმენილ იყო მისთვს (კოსტ. 165, 20—21); და წყლულებანი დიდ-დიდნი იყვნეს და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ... (შუშანიკ 25, 23); და რომელსამე წყლულებათა სიმრავლითა თუალნი წარმოცვვენებულ იყვნეს, და სხუაჲ კელით და ფერკით დაჭრილი იდვა... (სინ. 268, 9); უკუეთუ ვიდრე არღა ზრზენადი იგი გულის თქუმათაჲ მათ ბრძოლილ იყო, მარჯუე და წეს-იყო საჭურველი იგი... (სინ. 101, 34); და ყრმასა მას განეზარდა ნუკრი ქურციკისაჲ, და ფრიალ შეკუეეთებულ იყო ყრმაჲ იგი ნუკრსა მას (ბალავარ. 79, 26—7.. C).

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი III. და ამხილონ მღდელთ-  
მოძღუართა უწესოებისა მისგან ჯმნად და სულიერითა მოქალაქობითა ყოფად, რაჲთა არა ყოვლითურთ ნივთთა მათ ამაოებისათა შემრსკჳალულ იყვენ გონებანი მათნი... (მც. სჯულ. 74, 16).

მეორე შემთხვევა. ირიბი ობიექტი თანდებულაწინათესაობითი (უფრო ხშირად) ან მიცემითი ბრუნვის ფორმით, უბრალო დამატების სახით არის წარმოდგენილი:

ეროვნული ინსტიტუტი

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი I: ... არა სძლოს პირისა შენისამან გონებად, რომელ მაქუს გლახაკისა მიმართ, რომლისა მითხოვილ ვარ მე (მრავალთ. 256, 12); რადასათუს შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაათმე მიზეზითა საფრკე ქმნულ ხარ დიდისა კელმწიფისადა? (ხანცთ. 296, 33—35); და ოდეს იხილოს ღმერთმან, ვითარმედ მისა ოდენ მინდობილ ხარ, მაშინ მოავლინოს შენ ზედა ძალი... (მამ. სწავლ. 300, 22); და ჰრქუა: მოცემულ არს ჩემდა ყოველი კელმწიფებაა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა (მათე. 28, 18. C), (DE: მომეცა მე ყოველი); უკუეთუმცა იცოდე, მამაო ჩემო იაკობ, რომელი-ესე შემთხუეულ არს შვილისა შენისა... (ეფრემ (გ) 61, 6—7); და განხუმულ არიან თქუენდა ბჷენი ცათანი და მიცემულ არს თქუენდა მადლი კურნებათაა (კიმ. II. 26, 7—9); და გლახაკ არიან მათ თანა, რომელნი სულნი მინდობილ არიან ღმრთისა (მამ. სწავლ. 188, 17); ამიერ უკუე ეუწყა მთავარსა, ვითარმედ არა მოკუეთილ არს იოანესდა კელი (დამასკ. ცხ. 155, 35). ოცდაორი წელი აქუს, ვინათგან დამორჩილებულ არს ბერისა (ნოველ. II. 203, 4); ... რამეთუ კელი უფლისაა შეხებულ არს ჩემდა (იობ. 163, (19). 21); ნუ გიხარინ, რამეთუ ეშმაკნი დამორჩილებულ არიან თქუენდა (ანტ. 39, 28. ლ); ჰ საყუარელო შვილი გიორგი, რამეთუ წილ კეთილ ხუედრებულ არს შენდა (ზარზმ. 342, 1—2).

განსაკუთრებით საგულისხმოა ისეთი შემთხვევები, სადაც

III პირის „არს“ მეშველი ზმნა გამარტივებულია:

ხრქუა მღდელთ მოძღუარმან მან იოსებ/ს/: „შენდა ზუედ/რებუ/ლა ქალწული ესე უფლისაა მოყვანებად და დამარხვად თავისა შენისა (ხანმეტ. იაკობ. IX, 1. B და

A); ... არამედ და ღრუბელსაცა, რადცა გარემოხუშულა  
კლდეთადა (ნემეს. 9, 11).

თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი II: დაადგინა მამასახლეობად  
რამეთუ ხანძით წარყოლილ იყო იგი თევდორეს და  
ქრისტეფორეს თანა... (ხანტო. 268, 36); ... რამეთუ ში-  
ში დიდი დაცემულ იყო ყოველსა ზედა კაცსა სუეტისა  
მისგან ცხოველისა (მოქც. 160, 12—13. C); რად მოჰკალ  
ვეშაპი ისი, რამეთუ სასოებით მონდობილ იყო იგი ჩემ-  
და (ასურ. 161, 24. C); მერმე მიუთხრა ყოველი, რომე-  
ლი შემთხუეულ იყო მისდა სლვასა მას შინა გზისასა  
(ასურ. 202, 7); და გწმორებულ იყო იგი ყლთაგწ...  
(საბა. 5, 40—41); ხოლო ნავი იგი განწმორებულ იყო ქუე-  
ყანით მრავალ უტევან და იგუემებოდა ლელვათაგან (მა-  
თე. 14, 24); უკუეთუმცა პირველითგანვე გქონებოდა  
ესე შიში, მეუფეო, არამცა მოწევნულ იყო შენ ზედა  
შიში (ანტიოქ. 103, 24—25); არა თუმცა უფალი შე-  
წეულ იყო ჩუენდა..., დღეს არცამცა ერთი ქართველი  
არა იპოების (იოვ. და ეფთვ. 117, 3); და გაზომა და პო-  
ვა ჟურღმულთა მათ წყალი ეგეზომი, რლ პლ გაეზო-  
მა და არა დაკლებულ იყო მათგან არცადა თითი ერთი  
(კიმ. I, 258, 6); და იწყეს მრისხანებით სიტყად სსათა  
მათ თანა, რნი მოყოლილ იყვნეს მათდა პატივებითა  
სამეუფეოთა აღზუავებულნი (კიმ. I. 83, 2); და არა  
იპოვნეს, რომელთადა მცნებულ იყო მიტროპოლიტისა-  
გან მოსლვაჲ (დიდ. სჯულ. 340, 3); ... რამეუუ ზაკუვით  
შეზრახებულ იყო სიარს თანა და განეზრახა... (A—397.  
444, 11—13).

ერთ შემთხვევაში თანდებულისანი ობიექტი ორგანულ ფორმას-  
თანაც გადმოდის:

ვისგან შეეშინა მათ პატიყის-ყოფასა, თუმცა არა ძალ-  
სცემოდეს იგინი მათდა... (ექუს. 114, 32) შდრ. A: ძალ  
ყოფილ იყვნეს... მათა.

კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი III. უკუეთუ სული შენი მინ-  
დობილ იყოს მისა, არა შეგამშოს... (მამ. სწავლ. 199,



3); და კუალად უჩინო იქმნების პირველ განსრწნისა მისისა, რომლისადა შემთხუეულ იყოს... (დამასკ. 88, i. ეფრ.).

მესამე შემთხვევა. რელაციის ნაშთი წარმოდგენილია სუბიექტის მსაზღვრელად დასმული ნათესაობითბრუნვიანი ფორმით:

აჰა ეგერა დაყოფილ არიან პირნი მათნი... (მამ. სწავლ. 221, 30); და მერმე კიდეგან იხილნა დედანი იგი მაზრ-ზენელნი მისნი, რომელთაგან დაწყულულ იყო გული მისი (ბალავარ. 126, 34. C); და იხილეს ყრმაჲ იგი, რა ახუმულ იყვნეს თუალნი მისნი (კიმ. I. 269,8); და იყვნეს ვორცნი მათნი გებულ, რამეთუ თმაჲ ერთისაცა მათგანისაჲ არა შეტუსვილ იყო (ანდრიან. და ანატ. 228, 13); იყო ვინმე მთავართაგანი ერთი, რომლისა თუალი მარჯუენე მოწყულულ იყო ისრისა მიერ და სრულიად დაშრეტილ (ასურ. 110, 38—111, 1) ...რლისაჲ წელთა სიმრავლითა დადრეკილ იყო ზურგი ფედ ვდის თავი მისი მუტლთა შუა ჩაჩრილ იყო... (კიმ. I. 211, 25—26) შდრ. L:ჩაედრიკა.

საგულისხმოა ერთი ნიმუში, რომელშიც მიმღეობის წინ ირიბი ობიექტის III პირის სუფიქსიც კი ჩანს. რელატიურ-გარდაუვალ ზმნათათვის ანალიზური ფორმები რომ დამკვიდრებულ იყო, ეს იქნებოდა „მორფოლოგიზაციის“ ბოლო საფეხური, ახლა კი ერთი შეხედვით ანომალიის ხასიათს ატარებს:

... და ინანდენ ბრალთა მათთა, რლისადა იგი ჰრწმუნებულ იყოს კაცთ-მოყვარისა ლისა მიერ წინამძღურობად და შეკრვად და განხსნად... (სკულის კან. 61, 12).

მიმართება რელატიურ და აბსოლუტურ გარდაუვალ ზმნათა შორის ყველა შემთხვევაში არ არის ოპოზიციური, ე. ი. ისეთი, რომ ერთი და იმავე ზმნის ძირიდან ორივეს ფორმები იწარმოებოდეს. ზემოაღწერილი მოვლენა განსაკუთრებით ხელშესახებია მაშინ, როცა რელატიურ ზმნას აბსოლუტური არ შეესაბამება და, ამდენად, ანალიზური კონსტრუქციაც უშუალოდ მას ეკუთვნის („... რომელთათჳს ვნებაჲ შემთხუეულ არს...“):

3); და კუალად უჩინო იქმნების პირველ-განზრუნისა მისისა, რომლისადა შემთხუეულ იყო... (დამასტ. 88,1. ეფრ.).

მესამე შემთხვევა. რელაციის ნაშთი წარმოადგენს სუბიექტის მსაზღვრელად დასმული ნათესაობითბრუნვიანი ფორ-  
მით:

აპა ეგერა დაყოფილ არიან პირნი მათნი... (მამ. სწავლ. 221, 30); და მერმე კიდევან იხილნა დედანი იგი მაზრ-  
ზენელნი მისნი, რომელთაგან დაწყულულ იყო გული მი-  
სი (ბალავარ. 126, 34. C); და იხილეს ყრმაჲ იგი, რ-  
აზუმულ იყვნეს თუალნი მისნი (კიმ. I. 269,8); და იყ-  
ვნეს კორცნი მათნი გებულ, რამეთუ თმაჲ ერთისაცა  
მათგანისაჲ არა შეტუსვილ იყო (ანდრიან. და ანატ. 228, 13); იყო ვინმე მთავართაგანი ერთი, რომლისა  
თუალი მარჯუენე მოწყულულ იყო ისრისა მიერ და სრუ-  
ლიად დაშრეტილ (ასურ. 110, 38—111, 1) ...რ-ლისაჲ  
წელთა სიმრავლითა დადრეკილ იყო ზურგი ფ-დ ვ-დის  
თავი მისი მუკლთა შუა ჩაჩრილ იყო... (კიმ. I. 211,  
25—26) შდრ. L:ჩაედრიკა.

საგულისხმოა ერთი ნიმუში, რომელშიც მიმღეობის წინ ირიბი  
ობიექტის III პირის სუფიქსიც კი ჩანს. რელატიურ-გარდაუვალ  
ზმნათათვის ანალიზური ფორმები რომ დამკვიდრებულყო, ეს იქ-  
ნებოდა „მორფოლოგიზაციის“ ბოლო საფეხური, ახლა კი ერთი  
შეხედვით ანომალიის ხასიათს ატარებს:

... და ინანდენ ბრალთა მათთა, რ-ლისადა იგი პრწმუნე-  
ბულ იყოს კაცთ-მოყვარისა ღ-ისა მიერ წინამძღურო-  
ბად და შეკრვად და განხსნად... (სჯულის კან. 61, 12).

მიმართება რელატიურ და აბსოლუტურ გარდაუვალ ზმნათა  
შორის ყველა შემთხვევაში არ არის ობოზიციური, ე. ი. ისეთი,  
რომ ერთი და იმავე ზმნის ძირიდან ორივეს ფორმები იწარმოებო-  
დეს. ზემოაღწერილი მოვლენა განსაკუთრებით ხელშესაზნებია მა-  
შინ, როცა რელატიურ ზმნას აბსოლუტური არ შეესაბამება და, ამ-  
დენად, ანალიზური კონსტრუქციაც უშუალოდ მას ეკუთვნის  
(„... რომელთათვის ვნებაჲ შემთხუეულ არს...“):

და მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ... (მუშანიკი, 25, 23); ... რამეთუ ძმაჲ ძმასა მოხუეულ იყო... (წარტყ. იერუს. მბ, 29); და მოიწინეს მოყუასანი მისნი, რამეთუ თა შემთხუეულ იყო უფალი (სინ. 153, 32); და ვედ მის თანა, რ'ლსა იგი წარყოლილ ვიყავ, და მიხილა მე... (კომ. I. 212, 7); მიმსგავსებულ ვარ მე კაცსა, რომელი ზინ ხესა ქუეშე დიდსა... (ნოველ. II. 78, 18); და ოდეს იხილოს ღმერთმან, ვითარმედ მისა ოდენ მინდობილ ხარ, მაშინ მოავლინოს შენ ზედა ძალი (მამ. სწავლ. 300, 22).

ზოგჯერ ენა საჭიროების შემთხვევაში მიმართავს გარდამავალ ზმნათა შესაბამის ფორმებს და კონსტრუქციასაც სათანადოდ აგებს, კონტექსტი კი აშკარად რელატიურ-გარდაუვალ ზმნას გულისხმობს. შეიძლება აქ ჩანდეს აქტიური წყობისაკენ (სინთეზური წარმოებისაკენ) მიდრეკილება. ამის ორი შემთხვევა ზემოთაც ჩანდა: და ერთსა მას გამოსრულ იყო წუერი, ხოლო ერთსა მას ეწყო ოდენ (ნოველ. II. 126, 15—16); ... რ'ლისაჲ წელთა სიმრავლითა დადრეკილ იყო ზურგი ფ'დ (L:ჩაედროცა) (კომ. I. 211, 25); რამეთუ ფრიად გიმსახურებიეს გორცთათვის... (ექუს. 121, 21) (მოსალოდნელი იყო: ჰმსახურებიე მათ, ან — მსახურებულ ხარ მათ||მათდა); მიმსახურებია (საბერძნეთისადა) (ტიბიკ. 1, 4): ... არამედ რაჲ-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა-იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა (იოვ. და ეფთვ. 4, 1); ჩუენ ესე არასადა გუესმინა, გარნა შენგან ხოლო (სინ. 240, 25).

უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზური წარმოების გამოყენების შესაძლებლობა არც დღევანდელი სალიტერატურო ენისა და დიალექტებისათვის არის გამორიცხული. ორი სინტაქსური კონსტრუქციის („ის მას[თან] შეხვედრილა“ და „ის მას შეჰხვედრია“, „ერთმანეთთან შეყრილან“ და „ერთმანეთს შეჰყრიან“) ხმარების შესაძლებლობა იმას გვეუბნება, რომ დრო-კილოთა III ჯგუფში რელატიურ და აბსოლუტურ ზმნათა წარმოების დიფერენციაციის პროცესი, რომელიც ძველ ქართულში მიმდინარეობდა, ნაშთის სახით ჯერაც იჩენს თავს.

ამდენადვე, მეშველზმნიანი წარმოება ახალ ქართულში (მო-  
სკლიყო და მისთ.) უფრო ამ ორი წარმოების (ანალოგიური სინთეზურის) კონტამინაციის შედეგია, ვიდრე აბსოლუტური წმენდა  
თა გავლენისა [30, 554—58], ანდა I თურმეობითზე მეშველი ზმნის  
დართვისა [45, 98]. ამ საფუძველზე არც დიალექტების ანალოგი-  
ური მოვლენა ჩაითვლება ნეოლოგიზმად, რასაც ჯერ კიდევ გ. დეე-  
ტერსი დასავლურ დიალექტებში, ფერეიდნულსა და ხევსურულში  
პასივის ანალოგიით ხსნიდა [52, 187; შდრ.: 102, 143; 108, 78].  
არქაიზმად თუ ენობრივი ტენდენციის ახალ გამოვლენად ჩაითვლე-  
ბა დასავლური დიალექტების: მოქცევლარიენ (= მოპქცევიან), და-  
ხვთერლარიენ (= დახვედრიან), მოყოლარიენ, მოფერკებილარიენ...  
[იხ.: 109, 113]. „ე ქვესკნელის ქალები სულ ლესტან-დარეჯანს გავ-  
ლარიენ...“ (წულუკიძე. 330, 26):

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამოსავალში გარდაუვალ  
ზმნათა წარმოების გზა ერთი მიმართულებით იდო, მაგრამ საწყის-  
შივე ორბირიან გარდაუვალ ზმნათა წარმოება გარდამავალი ზმნე-  
ბის წარმოების ყალბისაკენ გადაიხარა.

ჩვენ დასაწყისშივე ძირითადად ჩავთვალეთ ის ანალიზური  
ფორმები, რომლებთანაც სინტაქსური კონსტრუქცია შენარჩუნებუ-  
ლია — ირბი ობიექტი მიცემითშია. დანარჩენი შემთხვევები შედ-  
გენილ შემსმენელთან ერთობის შედეგია. რელატიურ-გარდაუვალ  
ზმნებში კონსტრუქციის ცვლა მოულოდნელია. კონსტრუქციის  
სიმყარეს უნდა გამოეწვია აბსოლუტურ ზმნათაგან გასარჩევად რე-  
ლატიურ-გარდაუვალ ზმნათა წარმოების ახალი გზის ძიება, რამაც  
სინთეზური ფორმები მოგვცა. ეს შემთხვევა ენის ისტორიული გან-  
ვითარების საგულისხმო ფაქტია.

თარგმნილი ძეგლების ენის შედარებამ უცხოენოვან ტექსტებ-  
თან მოსალოდნელია გარკვეული კანონზომიერებები გამოავლინოს  
ზმნურ ფორმათა მიმართებაში. გადამწყვეტი დასკვნების გაკეთება  
ფრთხილ გამოწვლილვით ანალიზს მოითხოვს. ამჯერად ვაჩვენებთ  
მხოლოდ რამდენიმე შემთხვევას, რომლებშიც რელატიურ-გარდაუ-  
ვალ ზმნათა I თურმეობითის გადმომცემ ანალიზურ კონსტრუქ-  
ციებს ქართულში შეესაბამება ბერძნულის (ან სომხურის) სინთე-  
ზური ფორმები (პერფექტისა, აორისტისა, პრეზენსისა). ვფიქრობთ,



ეს დამატებითი არგუმენტი იქნება ზემოთ წარმოდგენილი დებულების დასაცავად:

1. თქვენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოდ სასუფევედ  
სა ღმრთისაჲ... (მარკოზ. 4, 11): Ἐμὴν τὸ μυστήριον  
δένεισται (pf.) τῆς βασιλείας τοῦ Θεοῦ;

შდრ. *Geht in die Heimlichkeit*; Euch ist gegeben; Вам дано.

2. ხოლო დაჯდომად მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი  
არს მიცემად, არამედ რომელთათჳს განმზადებულ არს  
(მარკოზ. 10, 40);

... 'αὐτῶν' οἷς ἡτοίμασται (pf.);

შდრ.: *պատրաստիւ է*; bereit ist; уготовано.

3. ამათ ორთა მცნებათა ყოველი შჯული და წინაწარმეტყუ-  
ელნი გამოკიდებულ არიან (მათე. 22, 40. DE), (C:გა-  
მაბენ).

Ἐν ταῖς ταῖς βυσσίνις ἐντολαῖς; ἵλος ὁ νόμος κρέμαται (pf.)  
καὶ οἱ περιφύεται;

შდრ.: *կակისիւ կան*; banget; утверждается.

4. ვაჲ თქვენდა..., რამეთუ მიმსგავსებულ ხართ საფლავთა  
განგოზილთა... (მათე. 23, 27); ἡμεῖς ἴσοι... ἡμεῖς παρο-  
μοῖσι ἄλλοις (praes.) τῶν τοῦ σκευοῦ...; *ნამან էք*;  
gleich seid; уподобляете.

5. ერი ესე ბავითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათ-  
ნი შორად განშორებულ არიან ჩემგან (მარკოზ. 7. 6.  
DE), (C:გული... განყენებულ არს ჩემგან), ... ἢ μὲν καρδία  
ἀπόθεν ἀπέχει (praes) ἀπ' ἐμοῦ; *հե რ ა გ ხ ա ლ*  
... *են*; ist ferne; отстоит.

6. მოცემულ არს ჩემდა ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და  
ქუეყანასა ზედა (მათე. 28, 18. C), შდრ. DE: მომეცა.  
Ἐδὲ θη (aor.) μοι πάντα ἐξουσία ἐν οὐρανοῦ καὶ ἐπὶ γῆς;  
*Տուա*; ist gegeben; дана.

7. შემიწყალეთ მე, მეგობარნო ჩემნო, რამეთუ კელი უფლი-  
საჲ შეხებულ არს ჩემდა (იობ. 163, [19], 21); *ეს ძეონ*  
*Տեառն մխեցաւ* (წყვ.) *լիս*.

§ 20. რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფის სინთეზური წარმოების საკითხები. როგორც აღინიშნა, რელატიურ-გარდაუვალო ზმნების III ჯგუფის სინთეზურ ფორმათა რიცხვი 41-მდე გაიზარდა [77, 348—354]. ჩვენ ზოგიერთი ახალი ფორმაც დაგვიდასტურდა: საგანგებო ძიება, უქვევლია, კიდევ გაზრდის დაძებნილ ფორმათა რაოდენობას; მაგრამ მთავარია ის, რომ ამათი ხმარება გარდასავალი ზმნის ორგანულ ფორმებთან შედარებით ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ნაკვეთულების შთაბეჭდილებას არ ტოვებს. საგრძნობია მათი იშვიათობა ძველ ქართულში, მაგრამ ეს არაა სტატისტიკური იშვიათობა — გამოწვეული ენობრივი მოთხოვნილებით, ესაა ჩამოყალიბებადი ნაკვეთულების დამკვიდრების ასახვა. ჩანს, რომ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფის ჩამოყალიბება ძველ ქართულში ჩასახვის პროცესშია და ენობრივი შესაძლებლობებიდან სინთეზური ფორმები იკაფავს გზას, როგორც უფრო შესაბამისი ენის სტრუქტურის ისტორიული ცვალებადობისა და ქმნადობისა. წარმოების დამკვიდრება ხელშესახებია ეტაპობრივად — უფრო მოგვიანო ძეგლებში სინთეზურ ფორმათა მომრავლება დადასტურებულია [77, 458].

უფრო სრული სურათის შესაქმნელად მწკრივების მიხედვით ჯერ უკვე დადასტურებულ ფორმებს მივუთითებთ, შემდეგ ჩვენს მოპოვებულ ნიმუშებსაც დაუერთავთ:

ი თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: დავწყებია (ანტიოქ. 106, 5); შემცილებიეს (ექუსთ. 27, 21) [110, 258]. დამვიწყებიეს (კიმ. II, 181, 23); დასდებია (ქ. ცხ. I. 60, 12); ჰნებებია (იერ. ხელნ. აღწ. 57, 11); მდებია (მიმოხ. I, 1926. 169, 35); შეპმთხუევიეს (ხრონ. 207, 6; 233, 34; 264, 1); შემთხუჭვია (ბალ. 23, 12 **4** BCD); მომცემია (ქ. ცხ. I. 90, 14) [50, 106]. დავვიწყებიეს (ფს. 49, 22); დაპვიწყებიეს (უძვ. რედ. 106, 11), (იგივე: იობ. 8, 13; ფს. 9, 18 და ფს. 9, 32); დაპვიწყებიან (Sin. 35, 294v, 12); გარდამრევიეს (2 კორ. 7, 4), (იგივე: ფილიპ. 4, 18); გარდაპრევიეს (ბოლნ. (რ. ბარამიძე, იოანე ბოლნელი, 1962) გვ. 97, 3); შემცილებიეს (ექუსთ. 27, 21); დაპხუევიეს (ესაია 60, 2 სინ. ლექც.); დასჯერებიეს (Sin.

35, 220rb); წარჰკიდებია (ნოველ. 3, 24, 14); შეგმობუ-  
ვეია (Записки... т. XIII. вып. II—III, 1901, გვ. 46,  
24); მქონებია (პეტრიწ. ტიპ. 52, 10) [77, 354—355]

ამათ დაემატება ჩვენგან დადასტურებული ნიმუშები:

... ხოლო ჩუენ ირაკლია დაგუშთენიეს (ზღაპრ. 24, 1.  
დ), (A: დაგუშთენიეს); რ<sup>ა</sup> შეხუალ შენ წყალსა მას და  
შე-ღა-გმოსიეს ცოდვად იგი (სინ. 88, 26); მამისა სებეს-  
ტიონის საქმენი ზეცას არიან ანგელოზთა თანა და დაჰ-  
ვიწყებიეს მას (ნოველ. II. 174, 11), (BC: დაჰვიწყებთან);  
... არცა ერთისა და სწორისა საზომისა მიმართ განჰნა-  
წილებიეს ყოველთავე პატიოსნებაჲ (შესხმ. ფოკა. 227,  
18. C); ყოველთა უუჰანადსკენელესი წესი ხუდლომიეს  
(დიდ. სჯულ. 109, 28), (E: ჰხუდლომიეს); და ერთი ხუდლო-  
მიეს მიზეზი (დიდ. სჯულ. 481, 31); ... და ვითარმედ არა-  
რაჲ უცხო შეჰმთხუევია მათ ჰურიათაგან, რომელთა-  
იგი უფალი მოკლეს (პავლ. 472, 11. CD), რ<sup>ა</sup>: შეჰმს-  
თხუევია, რ<sup>ა</sup>: შეემთხუა); და მერმე ჰკითხოს, უკუეთუ  
შეჰმთხუევია კაცის კლვად ნეფსითი გინა უნებლიეთი  
(მც. სჯულ. 109, 4), (B: შემსთხუევია, D: შეემთხუა); და  
სხუად მისგანვე დატეობილი ჩემდა მცირე ხატი, რო-  
მელსა შინა სუენებია ცხოველს-მყოფელისა სისხლისა-  
გან ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა (ტიბიკ. 34, 4, 3); და  
არა უზომოდ ჰქმნია გუჰმად მისი... (სჯულის კან. 58, 9);  
და ვჰგონებდით, ვითარმედ ღმერთსა დაჰვიწყებთან იგი-  
ნი (მამ. სწავლ. 213, 7); ხოლო მონაზონნი განშორე-  
ბულნი ღმრთისათჳს, რომელთა არარაჲ აქუს საჰმართა-  
განი, განუჰმობიან გუჰამნი მათნი მარხუთა (B: და გან-  
ჰმობიან...) (მამ. სწავლ. 25, 20).

II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: გქონებოდა (ანტიოქ. 103  
24); დაჰვიწყებოდა (ანტიოქ. 105, 35) [110, 258]. დაჰ-  
ვიწყებოდა (კლემაქსი. 132, 16); ჰნებებოდა (ხრონ. 264,  
25); შეჰმთხუეოდა (ასურ. 162, 1. 4C); შემსთხუეოდა  
(იქვე, D); შეჰმთხუეოდა (ზარზმ. 171, 2); ჰქონებოდა  
(პეტრიწ. ტიპ. 51, 7); (იგივე: ხრონ. 82, 5; ხრონ. 265,

27 და ცხ. ეფთ. 118, 23 [გვ. 53, 12]; დაპროზოგრა  
(ხრონ. 287, 20); შეგძენოდა (ბალ. 58, 16. 4) [77, 357].

ამას გარდა დასტურდება:

და თუ რაიმე **დამრჩომოდა** შევაწამე წიგნსა და ჩიურობა  
(კიმ. I, XXXV, 18—19); მეყსეულად აღდგა მრთელი,  
ვითარმცა არაჲ ოდეს **შჳირვებოდა** (ცხ. იოვ. 157, 19);  
და იქმნა კაცი იგი ყოლად მრთელ, ვითარმცა არაარაჲ  
**შემთხუეოდა** ვნებაჲ იგი (ზარზმ. 343, 8), (ნუსხაშია: შე-  
ემთხუეოდა); რამეთუ მომკუდარ იყო დედაჲ მისი ამას  
სიტყუასა ზედა, ხოლო დაჲ მისი მიეგებვოდა შესუარუ-  
ლი ცრემლითა (მოქც. 129, 16—18. C), (4: მიჰგებვოდა);  
და აღვიდეს იგინი კოსტანტინეპოლისა და მიზეზად რე-  
ცათუ კრებასა ქალკიდონისასა **შეერთებოდეს** (კიმ. II.  
211, 14); ვისგან შეეშინა მათ პატიჳის-ყოფასა, თუმცა  
არა **ძალ-სცემოდეს** იგინი მათდა... (ექუს. 114, 32);  
... მეუღლეთა თვსთა, რომელნი **სხმოდეს** ერისკაცობასა  
შინა, ამათ შემდგომად სამღვდელმთავროსა პატივისცა  
მიიყვანებდეს (დიდ. სჯულ. 377, სქოლიო); ხოლო უკუ-  
ეთუმცა არა განცხადებულად გუეჩუენა თქუენდა მრ-  
ვალჳამეულობაჲ მოცემისაჲ ამის, არამცა **აღგჩენოდეთ**  
თქუენ მართლის მეტყუელად (დიდ. სჯულ. 509, 23—24);

III კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი: დაჰკლებოდის (პეტრიწ. ტიპ. 71,  
13); შეჰმთხუეოდის (პეტრიწ. ტიპ. 5, 3) [ი. იმნაიშვილი].

ჩვენს ხელთა დიდი და მცირე სჯულისკანონების კიდევ ოთხი  
მაგალითი:

... და მსწრაფლ მოეწყვიდნენ საქმენი იგი და არა **დაჰ-  
ყოვნებოდის** მათ შინა... (მც. სჯულ. 101, 30—31); და  
ოდესმე მკვლელი არა განიპატიჳების, ვითარცა მკვლე-  
ლი, უკუეთუ მხოლოდ მოწყვლაჲ **ჰნებებოდის** (დიდ.  
სჯულ. 174, 44. G); ერთათჳს, რომელთა არაოდეს **ჰყო-  
ლოდინ** ებისკოპოსნი (დიდ. სჯულ. 338, 37); ჳერ-უკუე-  
გჳჩნდა ესეცა, რაჲთა ერთა, რომელთა არაოდეს **ჰყო-  
ლოდის** ებისკოპოსი თჳსი... (დიდ. სჯულ. 339, 1—2).

პირველი ორი ფორმის კავშირებითობა კონტექსტით და კონ-  
სტრუქციით (უკუეთუ...) უეჰველია, მაგრამ ბოლო ნიმუშები



„ჰყოლოდინ||ჰყოლოდის“ შეუძლებელი არაა III ხოლმეობითის კუთვნილებაც იყოს, როგორც ცნობილია, -ოდ მავრცობის მომდევნოდ მწკრივთა ნიშნების ჩვენება თავისებურია, კერძოდ, ერთმანეთს ემთხვევა კავშირობითობისა და ხოლმეობითობის სუფიქსები -ი [111, 835 და შემდეგ]. ასეა ეს უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითში, ასევეა მოსალოდნელი მათ მოდელზე ნაწარმოებ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ხოლმეობით — III კავშირებითში. ნიმუშების ჩვენება კავშირობითობას უჭერს მხარს. როგორც I ჯგუფისათვის არის აღნიშნული, -ოდინ რთული სუფიქსი S<sub>3</sub> მრ-ის დაბოლოებად ჩნდება I კავშირებითში მოვეიანო ხანის ძეგლებში [64, 110]. ამადვე უნდა მივიჩნიოთ ის „ჰყოლოდინ (ეპისკოპოსნი)“ შემთხვევაში. ამდენად, ბოლო მაგალითებიც კავშირებითად ჩაითვლება.

წარმოდგენილი სინთეზური წარმოების ფორმები სხვა მხრივაც გამოხატავენ ჩამოყალიბებადი ნაკვის ნიშნებს: მათ არ უდასტურდება მეშველზმნიანი ფორმები I თურმეობითში (თუმცა -ია დაბოლოება გვაქვს), არ გვხვდება აგრეთვე დამატებითი კომბინაციის ფორმები, როცა გარდამავალი ზმნებისათვის ორივე ფაქტია.

✓ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფის სინთეზურმა წარმოებამ გამოიყენა გარდამავალ ზმნათა მოდელი I თურმეობითში, პირთა მიმართების ხმოვნების გამორიცხვით (შემმოხვევია), ხოლო II თურმეობითი და III კავშირებითი განსხვავებული გზით წავიდა — ისინი ისტორიულად წარმოადგენენ I თურმეობითის ნამყო უსრულსა და I კავშირებითს, თურმეობითი I გართულებულია ამ უკანასკნელთა სუფიქსებით (შემმოხვე-ოდ-ა, შემმოხვე-ოდ-ე-ს).

წარმოების ეს მოდელი (აწმყო-ნამყო უსრული-კავშ. I) III ჯგუფისათვის ზუსტად იმეორებს გარდამავალ ზმნათა ინვერსიული წარმოების ტიპს ზანურში, სადაც თურმეობითი II და კავშირებითი III ასევე წარმოადგენენ თურმეობითი I-ის ნამყო უსრულისა და I კავშირებითის სუფიქსებით გართულების შედეგს (მიზიმუნ — მიზიმ-უ-დ-უ — მიზიმ-უ-დ-ა-ს) [58, 145—147; 59, 86—88; 60, 69—70].

რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა ფორმები სვანურშიც გარ-

დამავალ ზმნებს მისდევს, ძირითადი განსხვავებაა მხოლოდ პირ-  
თა მიმართების ხმოვნების კლებაში [57, 169—170, 174—177,  
203]. გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებს შორის დიფერენციის  
დამყარება პირთა მიმართების ხმოვნების კლებით შესაძლებელია  
მხოლოდ სვანურში, რადგან ასეთი ხმოვნები სამივე ნაკვეთია შე-  
ნარჩუნებული. ქართულში ისინი მხოლოდ გარდამავალ ზმნათა  
I თურმეობითში გვაქვს და რელატიურ-გარდაუვალ ზმნებში ხდე-  
ბა კიდევ მათი კლება. II თურმეობითსა და III კავშირებითში  
კი, სადაც ასეთი აფიქსები არ გვქონდა, სხვა გზა უნდა მოძებნი-  
ლიყო, და ენამ აწმყოს წრის მოდელი აიღო განსხვავების დასამყა-  
რებლად.

ძველ ქართულში დადასტურებულ სინთეზურ ფორმათა რაო-  
დენობა ისეთი არაა, რომ რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა III  
ჯგუფის საყრდენი ფუძის შესახებ რაიმე გადამწყვეტის თქმა შე-  
იძლებოდეს. ეს საკითხი სპეციალურადაა დამუშავებული და მნიშ-  
ვნელოვანი დასკვნებია მიღებული: რელატიური გარდაუვალი  
ზმნებისათვის საყრდენად მეტ შემთხვევებში გვევლინება გარდა-  
მავალი ზმნის აწმყოს ფუძე, კერძოდ, „გარდამავალი ზმნა ათბობს-  
ტიპისა I თურმეობითს იწარმოებს ნამყო ძირითადს ფუძისაგან  
(ათბო-უთბია), სათანადო ორპირიანი გარდაუვალი ზმნა კი აწმყოს  
ფუძისაგან, ისევ გარდამავალი ზმნისა: ათბობს: გა-ს-თბობია...  
აწმყოს ფუძის გამოყენება აქ ისევე მოწმობს წარმოების  
სი ა ხ ლ ე ს (ხაზი ჩვენია. ა. ა.), როგორც გარდამავალ ზმნებთან“  
კითხვაზე, როგორაა შესაძლებელი, რომ გარდაუვალი ზმნა ეყრ-  
დნობოდეს გარდამავალი ზმნის ფუძეს? პასუხი ასეთია: ისევე  
„როგორც შესაძლებელია „ვნებიითი გვარის“ მიმღეობა იწარმოოს  
მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძისაგან“ [1, 104—106].

მითითებულ წერილში ფორმათა შეფარდება დეტალურადაა  
მოცემული და მას აღარ ვავიშვებთ. აშკარაა, რომ ძველი ქარ-  
თულის ფორმებშიც გარდამავალი ზმნის აწმყოა ამოსავალი: დამ-  
ვიწყებთ (შდრ. დაივიწყებს). შეჰმთხუევია (შეამთხუევს); გარ-  
დამრევთ (გარდაჰრევს); განწაწილებთ (განწაწილებს); სუე-  
ნებთ (დასუენებს); დავუშთენთ (დააშთენს); შეერთებოდეს  
(შეაერთებს); სხმოდეს (დასხამს); აღაჩენოდეთ (აღაჩენს); ძალ-  
სცემოდეს (სცემს); დაჰყოვნებოდეს (დააყოვნებს) და სხვა.

ზოგიერთი ფორმისათვის ამოსავალი ჩანს მასდარი (ხულომიეს, დამრჩომოდა, ჰყოლოდინ...). ასეთი შემთხვევები აღნიშნული რილში გაანალიზებულია და მითითებულია, რომ თვით მასდარიც აგებულებაა სარკვევი და ეს მასდარები წარმოშობით, გარდამავალი ზმნებისა უნდა იყოს (ყოლ←ყვ-ალ←ყვ-ან...) [1, 106—107].

მაშასადამე, რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა ფორმები დრო-კილოთა III ჯგუფის ჩამოყალიბების II საფეხურია; მათი ჩამოყალიბების დრო ბევრად არ უსწრებს წინ ქართული სალიტერატურო ენის უადრეს ძეგლებს, დამკვიდრების პროცესს კი ძველი ქართული ენის მონაცემები ათვალსაჩინოებს.

აბსოლუტურ ზმნათა III ჯგუფის წარმოება

§ 21. ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბების საკითხები. ანალიზური წარმოშობის ფორმები დამოუკიდებელი ზმნური ნაკვიის სტატუსით (ამას ხაზი უნდა გაესვას) სულ სხვადასხვა ჯგუფის ენებში გვხვდება, ხშირად მნიშვნელოვანი სიახლოვითაც კი; მაგრამ ეს მოჩვენებითი სიახლოვე გამოწვეულია ანალიზურ ფორმათა წარმოების ანალოგიური ენობრივი შესაძლებლობით: ძირითადი ზმნის სახელზმნური (შეიძლება ზმნურიც) ფორმა+მეშველი ზმნა. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, „ანალიზური წარმოება — ესაა პარადიგმატული ერთეული, გამოხატული არა აფიქსების მეშვეობით. მაშასადამე, ის შეიძლება იყოს ენებში (ფლექსიურაში, აგლუტინაციურში, ინკორპორაციულში), სადაც კი არის პარადიგმები“ [112, 253]. ანალიზური კონსტრუქციები წარმოდგენილია ინდო-ევროპულ [113, 322—362; 114, 164—179], თურქულ [115, 131—146], ფინურ-უნგრულ, იბერიულ-კავკასიურ და სხვა ენებში. არის საინტერესო ცდები სხვადასხვა ჯგუფის ენათა ანალიზური წარმოების ფორმობრივ-ფუნქციური შეპირისპირებისა [116]. ხშირად ერთი და იმავე ჯგუფის ენებში სხვადასხვა საფეხურია წარმოდგენილი ანალიზურ ფორმათა განვითარებისა. მაგალითად, რუსულში დღევანდელი ნამყოს ფორმა (писал) წარმოშობით ანალიზური წარმოების პერფექტია — შედგენილი მიმღეობისა და მეშველი ზმნისაგან (писали есмь, еси, есть), რომელიც გაცვდა და ორგანული ფორმის სახე მიიღო [117, 258], ამოსავალი მდგომარეობა კი დაცულია ბულგარულ ენაში (писал съм, си, 'e') [118, 122].

იბერიულ-კავკასიური ენებისათვის; ჭაღრესად დამახასიათებ-

ბელია ზმნის ნაკვეთულთა სისტემაში სხვადასხვა ტიპის ანალიზურ ფორმათა წარმოდგენა (ზოგჯერ ისინი ნაკვეთულთა სისტემის ძირითად მასივსაც კი ქმნიან). შეიძლება შეგვეხედვს დამოუკიდებელი ზმნისა და მეშველი ზმნის, მიმღობისა და მეშველი ზმნის, აბსოლუტივისა და მეშვ. ზმნის, ინფინიტივისა და მეშვ. ზმნის შეერთების შემთხვევები, ამ შეერთებათა „მორფოლოგიზაციის“ სხვადასხვა საფეხურები. მაგალითად, ხუნძურ ენაში ანალიზურ ფორმებს ქმნის მეშველი ზმნის დართვა აწყყოს მიმღობაზე, ნამყოს აბსოლუტივსა და ინფინიტივზე, მეშველი ზმნა მოკლებულია დამოუკიდებელ მნიშვნელობას და ფორმანტის როლში გვევლინება [119, 328—331; 120, 112 და შემდეგ]. ნახურ ენებში ანალიზური ფორმები წარმოშობით უძველესადაა მიჩნეული, წარმოდგარია მიმღობისა და მეშველი ზმნის შეერთებით [121, 484—501]. ანალიზური ფორმები დიდადაა გავრცელებული ბაგვალურ [122, 132, 135 და შემდეგ] და ბოთლისურ [123, 113 და შემდეგ] ენებში. ასეთი წარმოება მოქმედია უდურში და ზოგი ორგანული ფორმის ამოსავლადაც ივარაუდება [124, 171—172; 205]. მეშველზმნიანი წარმოება აღწერილია ტაბასარანულ [125, 116], ლაკურ [126, 90 და შემდეგ], ლეზგიურ [127, 28—29] და სხვა ენებში.

ორგანული (სინთეზური) და ანალიზური ფორმების თანაარსებობა იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო ნიშნადაა მიჩნეული [128, 68].

ქართველური ენები ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა. მათში მოიპოვება როგორც ისტორიულად ნაკვეთულებად ჩამოყალიბებული მეშველზმნიანი წარმოებები, ისე მეშველი ზმნით გართულებული ჩამოყალიბებული სინთეზური ფორმები, აგრეთვე პირველადი რთული ზმნები, რომლებიც ისტორიულად ორგანულ ფორმებს უთმობენ ადგილს. სვანურსა და ზანურში ფართოდ არის გავრცელებული მეშველზმნიანი ფორმები, რაც ცალკე განხილვის საგანია. რაც შეეხება ქართულს, მისთვის კარგადაა შესწავლილი როგორც რთულ ზმნათა [129; 130], ისე ორგანული წარმოების მეშველზმნიანი ფორმების [50] ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. უფრო შეუსწავლელია მიმღობიან ანალიზურ ფორმა-

თა ჩამოყალიბების საკითხი, რომელიც დრო-კილოთა III ჯგუფის შემსწავლელის წინაშე მთელი სიმწვავეით დგება.

ქართულში აბსოლუტური ზმნების დრო-კილოთა ფორმები ჩამოყალიბდა ანალიზური წარმოების საფუძველზე: ნამყო დროის საობიექტო მიმღობა + მეშველი ზმნა (I თურმეობითში აწმყოს — „არს“, II თურმეობითში ნამყოს — „იყო“ და III კავშირებითში II კავშირებითის — „იყოს“ ფორმით): დახატულ-ა(რს), დახატულ-იყო, დახატულ-იყოს... ამ ნაკვეთელის სტატუსის მქონე ფორმათა განაყარია მიმღობიანი შედგენილი შემასმენელი: დახატული-ა(რის), დახატული იყო, დახატული იყოს... ძველი ქართული სალიტერატურო ენა გვისაბუთებს ამ ორი ოდენობის დიფერენციაციის პროცესს.

სხვადასხვა ენაში დგება ანალიზურ ფორმათა და შედგენილ შემასმენელს შორის საზღვრების დადგენის საკითხი. აუცილებელი ხდება კრიტერიუმების გამოიშუავება, რომელთა საფუძველზე ანალიზურ ფორმებს სინტაქსური შეერთებისაგან გავმიჯნავთ. მაგალითად, მ. გუხმანს გერმანული ენისათვის 4 კრიტერიუმი აქვს გამოყოფილი: 1. კომპონენტების განსაკუთრებული ურთიერთშეკავშირებულობა, რაც ქმნის მათს რეალურ დაუშლელობას; 2. იდიომატურობა, როგორც ამ დაუშლელობის საფუძველი; 3; ზმნათა მთელი ლექსიკური სისტემის მოცვა გერმანულ ენაში; 4. ნებისმიერი ზმნის შესაბამისი ფორმების სისტემაში ჩართვა ერთიანი პარადიგმატული რიგის ელემენტების სახით [113, 359]. ინგლისურისათვის კი ექვსი ასეთი ნიშანია გამოყოფილი [114, 164].

სამართლიანადაა მითითებული, რომ ანალიზურ ფორმებს სხვადასხვა ენაში იზოლირებული შესწავლა სჭირდება [113, 330; 131, 15 და 56]. ენის გრამატიკული სისტემის თავისებურება განაპირობებს ანალიზურ ფორმათა ისტორიულ განვითარებას და, ამდენად, სინქრონულ და დიაქრონულ მდგომარეობასაც; ერთი ენის კრიტერიუმები მეორე ენის წარმოშობით ანალოგიურ ფორმათა გასაზომად არ გამოგვადგება; ერთი ენის ანალიზურ ფორმათა კრიტერიუმები შეიძლება მეორის შედგენილი შემასმენლის საზღვრებსაც კი არ გასწვდეს. მაგალითად, გერმანულისათვის გამოყოფილი იდიომატურობის კრიტერიუმი ახალი ქართულისათვის არაფრის მთქმელია, რადგან მისთვის აღსაწერი ფორმები როგორც მნიშვნელო-

ბით, ისე ფორმოზირებად გაუთიშველს, ანალიზურ-სინთეზური წარმოების ნაზავს, „მორფოლოგიზებულ“ ერთეულებს წარმოადგენს. ამგვარად, კონკრეტულ ენაში ანალიზური ფორმები უნდა განვხილავდეთ, როგორც ლოთ იზოლირებულად, ამ ენის ბუნების გათვალისწინებით, „ლოტი“ ციმულ წარმონაქმნთა ტრანსფორმაციის ენის სტრუქტურული თავისებურებით შესაძლო განპირობებულობის თვალსაზრისით: განვითარების პროცესებზე სტრუქტურის გავლენის თვალსაზრისით“ [112, 253].

იმისათვის, რომ ძველი ქართულის ვითარება შევაფასოთ, ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბების გზა რომ წარმოვიდგინოთ, საჭიროა ენის თანამედროვე მდგომარეობა გავითვალისწინოთ. კერძოდ, თანამედროვე ქართულ ენაში საბოლოოდაა დიფერენცირებული ანალიზური წარმოების III ჯგუფის ნაკვეთი შედგენილი შემასმენლისაგან. ამ ჩამოყალიბებული ოპოზიციისათვის გამომუშავებული კრიტერიუმები საფუძველი იქნება უძველესი მდგომარეობის შეფასებისათვის. ეს დისტანცია იმიტომაცა საჭირო, რომ ძველი ქართულისათვის კრიტერიუმების გამომუშავება არ ხერხდება; იქ შედგენილი შემასმენელი და ანალიზური ფორმები დიფერენციაციის პროცესში ჩანს, მაგრამ ეს დებულება რომ დამტკიცებულად ჩავთვალოთ, საფუძველიანი ანალიზია საჭირო.

ანალიზური ფორმები თანამედროვე ეტაპზე შედგენილ შემასმენელთან ქმნის როგორც ფორმოზირი, ისე სემანტიკურ დაპირისპირებას: გრამატიკული გაფორმება სხვადასხვაა (გაკეთებულ-ა — გაკეთებულ-ი-ა...), მნიშვნელობით პირველი წარმოადგენს პერფექტულ დროს, მეორეში დრო მეშველი ზმნისაა.

ანალიზური წარმოება ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

I. ფორმოზირი განუყოფლობა, კომპონენტებს შორის მაქსიმალური შეკავშირებულობა, რაც გამოიხატება შემდეგში:

1. მიმდევრობის უცვლელობა: მეშველი ზმნა აუცილებლად მიმდევრობის მომდევნო პოზიციასა;

2. უშუალო კონტაქტის სიმყარე: მეშველი ზმნა უშუალოდ ერთვის მიმდევრობას, მათი გათიშვა შეუძლებელია;

3. მეშველი ზმნის ორგანული შერწყმა მიმდევრობასთან: გამარტივებული მეშველი ზმნა მორფემის დონეზეა I თურმეობითის III პირში (გაკეთებულ-ა, გაკეთებულ-ან), დანარჩენ შემთხვევებ-

ში მეშველი ზმნის პრეფიქსები შედწეულია მიმღეობაში (გა-ვ-კე-  
თებულიყავ, გა-(ჰ)-კეთებულიყავ...), ვღებულობთ სინთეზურ-ან-  
ლისური წარმოების გადაჯაჭვას;

4. წევრებს შორის ან სხვა წევრებთან გამორიცხულია სინტაქსური კავშირი;

5. ნაკვეთულთა სტატუსი: გარდაუვალ ზმნათა III ჯგუფში ეს ფორმები ერთადერთია.

II. სემანტიკური დაუშლელია, ერთმნიშვნელოვნობა, რაც შემდეგს გულისხმობს:

1. ფორმა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს, მათ შორის ფუნქციები შეწონილდაა განაწილებული:

ა) ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია პირველი კომპონენტი (მიმღეობა), ხოლო გრამატიკულ ფუნქციებს ის მოკლებულია;

ბ) გრამატიკული (მორფოლოგიური) ფუნქციების მატარებელია მეორე კომპონენტი (მეშვ. ზმნა), მისი ლექსიკური მნიშვნელობა უგულებელყოფილია;

2. ფორმა წარმოადგენს დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაკვეთს, რომელიც არ უდრის არც ერთი კომპონენტის მნიშვნელობას ცალკე აღებულს, არამედ მათი ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების ნაერთს, რომელსაც პერფექტული დროების გამოხატვა ეკისრება.

ამასთან შეპირისპირებით შედგენილი შემასმენელი სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა:

ფორმობრივად: მიმღევრობის ნებისმიერობა, გათიშვის შესაძლებლობა, წევრებს შორის და სხვა წევრებთან სინტაქსური კავშირი, მიმღეობისა და მეშველი ზმნის დამოუკიდებელი გაფორმება-მიმღეობის, როგორც სახელის და მეშველის, როგორც ზმნის.

სემანტიკურად: კომპონენტების მნიშვნელობათა შენარჩუნება, რის შედეგადაც სინტაქსური შეერთების დრო უდრის მეშველი ზმნის დროს. ეს მეშველი ზმნა სტატიკურად წარმოადგენს მიმღეობაში დამოუკიდებლად მოცემული მოქმედების შედეგს.

ამდენად, პირველ შემთხვევაში გვაქვს გრამატიკული ფორმა, მეორე შემთხვევაში — სინტაქსური შეერთება. სხვაობა აშკარაა.



ენა ცვალებადი სისტემაა. მის წიაღში უამრავი მოვლენა წარმოიშობა, საფეხურებრივად ვითარდება, იხვეწება და ყალიბდება. ამიტომ წარმოდგენილი მოვლენის ასახსნელად ყოველთვის უნდა იქნას მისი ისტორიის გათვალისწინება, განვითარების პროცესისთვის თვალის მიდევნება... ეს განსაკუთრებით აუცილებელია ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგანაც „პროცესუალური მიდგომა ანალიზურ კონსტრუქციებში ადგენს გრამატიზაციის სხვადასხვა საფეხურებს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას ვარაუდობს გარდამავალ შემთხვევებზე, რომლებიც ენის თანამედროვე მდგომარეობაში ასახავენ მისი განვითარების დინამიკას“ [131, 56].

ცოტა უკან, ენის სიღრმეში რომ გადავინაცვლოთ, ანალიზური კონსტრუქციების მიმართ აღწერილ ნიშნებში „კომპრომისი“ დაგვჭირდება. კრიტერიუმების რიცხვიდან გამოირიცხება „მეშველი ზმნის ორგანული შერწყმა მიმღეობასთან“, რადგან ასეთი რამ ისტორიულად წარმოიშვა. პირობითად შეიძლება აგრეთვე უკუვაგდოთ „მიმღებობის უცვლელობისა“ და „კონტაქტის სიმყარის“ მუხლები, როგორც დამატებითი ნიშნები (ისინი ზოგიერთ ენაში, მაგ. გერმანულში, აუცილებელი არაა); მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას დაცული ორი პირობა: ა) ფორმობრივად: მიმღეობის გაუფორმებლობა და მეშველი ზმნის გაფორმებადობა (შედგენილ შემასმენელში მიმღეობის გაფორმება) და ბ) სემანტიკურად: სემანტიკური დაუშლელობა, ერთნიშვნელოვნობა (აქ უკვე შეიძლება ითქვას — იდიომატურობა).

მხოლოდ აქედან, ამ უკიდურესი „კომპრომისის“ საფეხურიდან რომ დავიწყოთ, ანალიზური ფორმები შედგენილი შემასმენლისაგან ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში არ აღმოჩნდება დიფერენცირებული, ისინი ამჟამად არ იქნება დამოუკიდებელ ნაკვეთად ჩამოყალიბებული.

ძველ ქართულში აღსაწერ სინტაქსურ შეერთებებში მიმღეობა ძირითადად არაა გაფორმებული, მასში არც ბრუნვაა გამოხატული და არც რიცხვი (შედგენილი შემასმენლის შესახებ იხ.: 132). შედგენილი შემასმენელი, III ჯგუფის ანალიზურ ფორმათა ამოსავალი ოდენობა, მიმღეობას ფუძის სახით, წრფელობითის ფორმით წარმოადგენს. შედგენილი შემასმენლისა და ანალიზურ

ფორმათა დიფერენციაციის საწყის ეტაპზე მეშველი ზმნა გრამატიკულ მიმართებათა ერთადერთი ამსახველი, სინტაქსური დამოკიდებულებაც ძირითადად მასში აისახება. დიფერენციაციის პროცესში შედგენილი შემასმენლის, როგორც სინტაქსური შეერთების, მიმღობამ მიიღო ბრუნვისა და რიცხვის მორფოლოგიური ნიშნები, მაგრამ ამისათვის ძველ ქართულში მხოლოდ ჩანასახები შეიძლება დიძებნოს. ამდენად, მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვილაპარაკოთ შედგენილ შემასმენელთან დაპირისპირებულ III ჯგუფის ანალიზურ ფორმებზე (ასეთ პირობას უმთავრესად კონტექსტი წარმოადგენს):

შდრ. ა) და ვითარცა იხილა ეშმაკმან, ვითარმედ მცხინვარებასა ნათლისასა უძღვევის, და ყოველი ძალი მისი დაჯსნილ არს, მოუწოდა გუნდთა მოყუასთა მისთასა... (მამ. ცხ. 257, 4); ... და მიეღო ცასა ყუავილი ვარსკულავთაჲ, და შემკობილ იყო ორითა მით მნათობითა დიდდიდითა... (ექუს. 95, 30—31); რომელნი ანტჳადა შედგომილ იყვნენ და სახელი მისი გულთა შინა დაეწეროს, იგინი იხარებდენ... (გამოცხ. იოვ. 11, 10. თ).

ბ) ძენი მისხენ, და მე მოხუცებულ ვარ და იგი ჳაბუკ არს (ხანმეტ. იაკობ, IX. 2, B და A); და არა ესუათ შვილი, რამეთუ ელისაბეთ იყო ბერწ, და ორნივე გარდასრულ იყვნეს დღეთა მათთა (ტბეთ. ლუკა. 1, 7); მოსურნე ვიყუნეთ სიწმიდით ცხორებასა და არა მიღვენებულ ვიყუნეთ მუცლისა მაძღრობასა... (ეფრემ (გ). 49, 21).

ანალიზურ ფორმათა და შედგენილი შემასმენლის ჩამოუყალიბებლობას, ერთმანეთისაგან არადიფერენცირებულობას აშკარად მიუთითებს აგრეთვე მეშველი ზმნის ნებისმიერი მდებარეობა — მეშველი ზმნა გვხვდება როგორც მიმღობის მომდევნო, ისე წინა პოზიციაში, გაუთიშველადაც და გათიშულადაც, რამდენიმე მიმღობიდან მხოლოდ ერთთან, ან სულაც რომელიმე სხვა სახელთან წარმოდგენილი და მისთ. (იგულისხმება, რომ მიმღობა ყველა შემთხვევაში გაუფორმებელი ფუძის სახითაა). ვნახოთ ეს შემთხვევები ცალკეულად:

1. მეშველი ზმნა მოსდევს მიმღეობას უშუალოდ:

და გამოცდილებაჲ მიიღონ ნიჭთა ამათგან, რ<sup>ა</sup>ლნი მო-  
მადლებულ არიან შენდა საკურნებელად (კიმ. I, 260,  
34); ალბეტდულ არს თქუენგან საღმობაჲ, დასწრებულ  
არს თქუენგან სიკუდილი, დამალულ არს ჯოჯობეთი,  
ვლტოლილ არს ჯრწნილებაჲ (აპოკრ. 380, 53, C); ხ<sup>ე</sup> იგი  
წინააღწარ ბირებულ ჰიყო დედისაგან თვისისა (ჰაემეტ.  
368, 5—6); ხოლო თუალნი მათნი შეპყრობილ ხიყვნეს,  
რაათა ვერ იცნან იგი (ხანმეტ. ლექც. 60, 16)...

2. მიმღეობის მომდევნო მეშველი ზმნა გათიშულია (ერთი, ან  
რამდენიმე სიტყვით):

არცალა თუ შეჭვუნებულ რას ვიყავ, რამეთუ ვხედვედი  
ღმრთისათჳს ვნებასა (სინ. 240, 14); შეკრებულ რაჲ  
იყვნეს ფარისევლნი იგი, ჰკითხა მათ იესუ... (ტბეთ-  
მათე. 22, 41); ესე თუთ არს, შეგინებულ თუ ვინმე იყო  
საქმითა თვისითა, რამეთუ დიდად შეუნიერ არს... (სინ.  
260, 27); რავდენ აწ ჩუენ შეკრებულ რაჲ ესე ვართ და  
ვზრახავთ მათ ზედა, შეისწავებენ... (მამ. ცხ. 26, 6—7);  
... რამეთუ სიმწარესა ნავდლისასა თანა შეკრულ ცოდ-  
ვისა გხედავ შენ, ვითარმედ / ლ: რამეთუ) ხარ (მოციქ.  
8, 23)...

3. მეშველი ზმნა უშუალოდ მიმღეობის (მიმღეობების) წინაა:

... ვითარ-იგი სარწმუნოთა მიერ ოქრობებუდთა არს  
დამტკიცებულ ესე ყოველი (ტიბიკ. 3, 3); და იგინი  
იყვნეს შეპყრობილ შიშითა რაათმე დიდითა (ზარზმ.  
332, 9—10); და იყვნეთ მოძულეებულ ყოველთაგან სა-  
ხელისა ჩემისათჳს (მარკოზ. 13, 13. C); ... და დადვა იგი  
საფლავსა, რომელ იყო გამოკუთილ კლდისაგან (მარ-  
კოზ. 15, 46. C), (შდრ. DE: რომელი გამოკუთილ იყო  
კლდისაგან...); ... რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და  
მცირედნი რჩეულ (მათე. 20, 16); ... შეეწყალნეს იგინი,  
რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცუნებულ, ვითარცა  
ცხოვარნი (მათე. 9, 36)...

4. წინა პოზიციის მეშველი ზმნა გათიშულია მიმღეობისაგან  
(resp.: მიმღეობებისაგან):

და კუალად არიან ვიეთნიმე ცხენთ-რბევისა სიყუათუ-  
ლითა განცოფებულ... (ექუს. დღ. 41, 5); ეგრეთ ვართ  
ჩუენცა განსუენებულ და დადუმებულ, ვითარცა დაბი-  
ნებულნი... (შუდ. ყრმ. 115, 31); არცა არს ფონილითა  
დაპებულ, არცა კბილითა კბენილ სამოსელსა ამას (ეფ-  
რემ (გ). 64, 21); და იყო იგი დავრდომილ ყურესა მას  
წელიწად ერთ... (A—95. 554, 25—27); ... მრავალ  
იყვნეს დაბადებულნი იგი შორის მათსა შეერთებულ და  
შეძირწულ და შემაგრებულ ურთიერთას... (კაცის. აგებ.  
144, 22); ნიაქიარი მომავალი უკუეთუ წარვიდეს, იყვნეთ  
მისა დათრგუნვილ (ესაია. 186, (28), 18)...

5. ორი ან რამდენიმე მიმღეობიდან მეშველი ზმნა უშუალოდ  
წინა მიმღეობას მოსდევს:

გამოვიდეს და ხივლტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ  
შეძრწუნებულ (ხ)იყვნეს და დაკვრვებულ... (ხანმეტი  
ლექც. 59, 8); ამისთვისცა ნუ იტყვ, ვითარმედ: მოხუცი-  
ბულ ვარ და დაბერებულ და მოუძღურებულ და დაჩუ-  
ეულ ცოდვასა... (მამ. სწავლ. 204, 31—32), და განწი-  
რულ იყო იგი ყოველგან და მიწევნულ სულთა აღმოსლ-  
ვად (კვიპრ. 68, 26—27)...

განსაკუთრებით საგულისხმოა შემთხვევა, როცა მეშველი ზმნა  
წინა მიმღეობასთან უკვე შეზრდილია, მომდევნო მიმღეობა კი  
უმეშველზმნაა:

... დადგინე დედოფალი მარჯუენით შენსა, შემოსილი სა-  
მოსლითა ოქრეანითა, შემკულა და შემოსილ პირად-  
პირად შეუენიერი (ფსალმ. 114. ტ. 10), (ჟ: შემკულ არს;  
ღ: ... დედოფალი დადგა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და  
შემოსილ პირად-პირად).

6. რამდენიმე მიმღეობიდან მეშველი ზმნა ბოლო, ან შუა მიმ-  
ღეობას ერთვის, ან გათიშულია ბოლოს:

ხოლო წმიდაჲ ეკლესიაჲ დაფუძნვილ და დამტკიცებულ  
არს კლდესა ზედა შეუძრავსა (სინ. 51, 35); სადა არიან  
სასმენელნი იგი პირად-პირადთა სახიობათა მსმენელნი,  
რომელნი დღეს დაყოფილ და დაქსნილ არიან და და-  
კლებულ სმენისაგან? (მამ. სწავლ. 222, 2—3); ... და გან-

სივებულნი კუნესიედ და დაბნელებულ და შესულებულ  
თავნი მათნი არიედ მრავლითა მით უგუნურებითა... (სინ.  
110, 19—20)...

7. წინადადებაში მეშველი ზმნა არც ერთ მიმღეობასთან არაა  
წარმოდგენილი, არამედ სხვა რომელიმე სახელთან (წინ ან მომდევ-  
ნოდ):

ხოლო მან მომივთ: „მწუხრ არს და მიდრეკილ დღე“  
(ზარზმ. 330, 8); რავდენნი კაცთაგანნი იყუნეს მპარავ-  
ნი და ავაზაკნი... და ჩუეულ ცრუ ფიცობასა და ტყუილ-  
სა... (მამ. სწავლ. 37, 3); გამოჩინებულ და შუენიერ  
არს დღესასწაული ესე... (სინ. 100, 5)...

8. მეშველი ზმნის მიმღეობასთან კონტაქტის სისუსტეს მიმღე-  
ობასა და მომდევნო მეშველ ზმნას შორის ნაწილაკებას ჩართვის  
შესაძლებლობაც ადასტურებს:

და აწ ვსენებულმცა არს დედოფალი ეგე სოჯი (მოქც.  
101, 19); ესე ყოფილცა არს, ხოლო, რამეთუ ცოდვაჲ  
ესრჭთ არს... (სინ. 104, 14); და ჳმნულმცა ვარ თქუენ-  
გან ამიერთგან... (შუშანიკ. 21, 1—2); (შდრ.: რომელ-  
ნიცა აღმოიკითხვიდეთ, ნუმცა დავიწყებულვართ წმი-  
დათა შინა ლოცვათა თქუენთა! (ცხ. იოვ. 175, 15, გა-  
დამწ.). სამი ოდენ წელი დაეყო მეფობასა შინა დიდსა  
მეფესა იუსტინეს, მოხუცებულცა იყო იგი და საღმო-  
ბითა ვორცთაჲთა დასნეულდა (მამ. ცხ. 107, 33—34);  
და ვიდრე პყრობილ-და იყო მოწამჳ ქრისტჳსი ტფილის  
შინა, მიწერა წიგნები ყოველთა მიმართ მეუღაბნოეთა  
ქალაქისათა (კოსტ. 167, 38); ... არამედ იჳვთა მით ბო-  
როტისა სიკუდილისაჲთა წინაჲსწარვე მომწყდარ იყუ-  
ნეს. დათუ ცხოვლივ, არამედ მომკუდარვე იყუნეს (ეფ-  
რემ (დ). 45, 9); ვინ-მე უკუე არს კაცთაგანი, რომელიმ-  
ცა იყო უბრალო, ანუ ყოფილ-მე ვინ არს მართლ ნაშო-  
ბი დედაკაცისაჲ? (იობ. 159—160, (15), 14)...

ასეთი ნაწილაკი (აგრეთვე ნაცვალსახელი, კავშირი...) შესა-  
ძლებელია ტმესის სახით იყოს ჩართული მიმღეობაში ზმნისწინის  
მომდევნოდ:

... რამეთუ არცა ზეთი და არცა ღვინოა შე-სადა მე-სრულ იყო პირსა მისსა, ვინაჲთგან იქმნა იგი მონაზონ (ცხ. კვპრ. 111, 29—31); და გამოვიდა მძიკრის მსიარული, ვითარცა შე-ვე არა-სრულ იყო იგი მას შინა (ფოკა. 40, 8); შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტე-ვებ (პავლ. 115, 27); ... და მი-ღათუ ვინმე-წევნულ იყოს აღსასრულისა თვისისა უამთა და აღმოსლვად მიიწეო-ღის..., ნუვე წარჰკუეთნ სასიებასა... (სინ. 227, 16)...

როგორც აღინიშნა, ანალიზური კონსტრუქციის დროის დად-გენა შესაძლებელია კონტექსტით შევძლოთ. მაგრამ კონტექსტი არაა საიმედო საშუალება, მან შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს. კერ-ძოდ, III ჯგუფის ფორმები ნამყო დროს განეკუთვნებიან და მათი თანაარსებობა სავსებით შესაძლებელია ნამყოს ნაკვებთან, ამი-ტომ ამ საშუალებით შეიძლება გავარკვიოთ მხოლოდ I თურმეო-ბითის არსებობა: თუ კონტექსტით ნამყო დროა გადმოცემული, თურმეობითი I გვექნება, თუ აწმყო დრო — შედგენილი შემასმე-ნელი (თუმცა არც ეს დებულება ჩაითვლება უნივერსალურ კანონ-ზომიერებად). კონტექსტის შესაძლებლობები ყველაზე უკეთ ნიმუ-შებში წარმოჩინდება:

1. მარტივ ან დამოკიდებულ წინადადებაში, სადაც მხოლოდ ერთი ზმნა-შემასმენელია წარმოდგენილი, რაიმე დასკვნის საშუა-ლება არ გვეძლევა:

და ვერა რასა ხზოვებდეს რაჲ ხუყონ, რ<sup>ა</sup> ყ<sup>ა</sup>ლი ერი და-მორჩილებულ ხიყო სმენად მისგან (ხანმეტ. 387,15); და სუმიდეს ღვინოსა მას, რომელი დაშთომილ იყო აყრო-სა მას (მამ. ცხ. 88,7); ... და ბერი არად სარგებელ მე-ყო, რამეთუ დიდი ჰამბავი განსრულიყო მისთვის (ნო-ველ. II. 61, 6); ... ქ<sup>ე</sup> აღდგომილარს მკუდრეთით (სა-სულიერ. რაზ, 20); და აქა იტყვს, რომელი-იგი ყო-ფილარს, ვ<sup>ა</sup> ყოფადსა. რ<sup>ა</sup> თქუს... (A—1109. 121, 11, 7); ... ესე სქოლარ ყოფილიყო ზედა ყოველთა სქოლარ-თა (კიმ. II. 50, 30)...

თანამედროვე წარმოდგენით, ბოლო ნიმუშების („ყოფილ არს“, „ყოფილ იყო“) III ჯგუფისათვის მიკუთვნება თითქოს უეჭ-



ველია, მაგრამ ძველ ქართულში მათი შედგენილი შემასმენლობა შესაძლებელია. შევადაროთ:

არა **ყოფილ** სადამე **იყვნეს**, არცა თანა-მზრუნველ ღმრთისა... (სინ. 46, 21—22); რამეთუ **იყო** ესეცა იოვანე **ყოფილ** მონასტერსა შინა დიდისა ილარიონისსა, ვითარცა ეპიფანე (ცხ. კჳპრ. 123, 29—30).

2. კონტექსტი არ იძლევა საშუალებას მეშველზმნიან ფორმებს გარკვეული კვალიფიკაცია მივცეთ, როცა ა) ნამყო ძირითადის მეშველ ზმნასთან კონტექსტში შედის ასევე ნამყო დროის თხრობითი კილოს ფორმები და ბ) II კავშირებითის მეშველ ზმნასთან კონტექსტში შედის კავშირებითის ფორმები:

ა) და ესეთსა მას ციხესა შინა ექუს წელ **პყრობილ იყო** და მიძიმეთა მათ საკრველთა შინა **ადიდებდა** ღმერთსა (შუშანიკ. 25, 18); **განსწავლულ ვიყავ**, შჭუღითა მით მაჰმედისითა და **ვცხოვრებოდე** მას შინა... (აბო. 65, 2); და ერი იგი **დაყოვნდებოდა** და **დაკრვებულ იყო**... (A—19. 30 [2], 18); ... **ისიძვიდეს** და **მიღვევებულ იყვნეს** შემდგომად ჯორცსა უცხოსა (ეპისტ. 36, 7 C<sup>1</sup>)...

ბ) რამეთუ რომელი ამათ **ისმენდეს** და **სწავლითა** ამათითა **შეჭურვილ იყოს**, შემძლებელ არს იგი... (ბასილ. 99, 22); ყოველსა საცხოვარსა, რომლისაჲ **განყოფილ იყოს** ჭლაკი და **ფრჩხილითა ფრჩხენდეს** და **აღმოიცხონიდეს** საცოხნელსა საცხოვართა შოვრის, ესე ჭამეთ (ლევიტ. 128, [11]. 3); უკუეთუ **აღმოსრულ იყოს** მზჭ მის თანა და **მოკლას**, თანა-მღებ არს იგი სიკუდილსა (გამოსლვ. 22, 3)...

3. თითქოს შედგენილ შემასმენლად უნდა განვმარტოთ ანალიზური ფორმა, როცა აწმყო დროის მეშველზმნიან კონსტრუქციასთან კონტექსტში შედის იმავე დროის ზმნა; მაგრამ თურმეობითი I კონტექსტში თავისუფლად ითავსებს აწმყო დროის ფორმებს; თურმეობითი I აწმყო დროს ეკუთვნის თავისი შედეგით, იგი გარკვეულად აწმყოს სტატიკური ფორმაა. ამდენად, აწმყოსთან კონტექსტში მოსალოდნელია როგორც შედგენილი შემასმენლის არსებობა, ისევე თურმეობითი I-ისა:

და აწ ესერა ესე აქა **ნუგეშინის-ცემულ არს**, ხოლო **შენ** (C:მანდა) **იტანჯები** (ლუკა, 16, 25); ... **განხმულ არიან** ცანი **შენთვის**, მხიარულ **არს** მამაჲ და ძმ და **წმიდა სული** **შენ ზედა** (სინ. 60, 35); რომელი **ვიცი** და რომელსა **გამოცდილ ვარ**, მიგცემდე **თქუენ** (ანტ. 28, 18. ლ); რამეთუ რავდენ **გორცნი შუებულ არიედ**, ეგოდენ **სული შეწურილდები** (ნოველ. I. 10, 8, 3. C)...

აწმყოსთან თურმეობითი I-ის სიახლოვეს მიანიშნებს შემთხვევებიც, როცა კონტექსტში ერთდროულად შემოდის თურმეობითი I-ის სინთეზური ფორმაც და აწმყოც. ანალიზური კონსტრუქციის განმარტება ამ შემთხვევაშიც საეგებოა:

აჰა ესერა პური ჩემი მზა **მიყოფიეს**, ზუარაკები ჩემი და უსხები **დაკლულ არიან** და ყ-ივე მზა **არს**. (ტბეთ. მათე. 22, 4).

4. I თურმეობითისავენ ხრის სასწორს ერთეული შემთხვევები, როცა აწმყო დროის მეშველზმნიან ფორმასთან კონტექსტში გვაქვს ნამყო დროის ფორმები:

ღმერთი **გორციტა** ჯუარს **ცუმული აღდგომილ არს** და უვარის **მყოფელთა** მისთა **ბნელი წყუღიადი მიეფინა** (სასულიერ. სეკ, 188).

5. როცა ანალიზური ფორმა ბრძანებით კილოიან წინადადებაში შედის, განსხვავებული მიდგომაა საჭირო: ბრძანებითობა (ნაწილაკით ან უმისოდ) ითავსებს I თურმეობითსა და III კავშირებითს, ხოლო II თურმეობითს — არა. ამიტომაც ანალიზური ფორმის II თურმეობითობა გამოსარიცხია ასეთ შემთხვევებში, ხოლო პირველ ორ ნაკვთად მიჩნევა — დასაშვები:

ა) **შეზავებულ იყავ** ღმრთის მოყუარეთა კაცთა თანა, ვითარცა **შეზავებულ ხარ** სულსა **შენსა თანა** (მამ. სწავლ. 156, 13—14).

ბ) **ნუ განკვრევებულ ხართ**, მ კაცნო, დიდებულებათა ზედა ღმრთისათა... (ასურ. 61, 7. ლ); რომელი **განჰვსნე ქუეყანასა ზედა**, **ჯსნილ იყოს** იგი ცათა შინა (სინ. 167, 37).

6. კონტექსტებით წარმოდგენილის ანალოგიური შედეგებია მოსალოდნელი რედაქციული მონაცემების შეპირისპირების შემთხ-



ვევაში, როცა ანალიზურ კონსტრუქციას ენაცვლება სინთეზური წარმოების რომელიმე დრო:

ა) აწმყო (ანალიზური) — აწმყო (სინთეზური): რაასა შეძრწუნებულ ხართ, და ვინა ვინა გულის სიტყუანი მრავალნი მოვლენან გულთა თქუენთა? (ლუკა. 24, 38. DE), (C:რაასა შესძრწუნდებით...); შეჭუვენებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე (მარკოზ. 14, 34. C), (DE:მწუხარე არს); არავინ მოლუაწწ შეყოფილ არნ (არს ԼԾ) სოფლისა საქმესა, რაათა ერისთავსა მას სათნო-ეყოს (პავლ. 434, 4: AB), (CD:შეყოფის).

ბ) აწმყო (ანალიზური) — ნამყო (სინთეზური). ანალიზურ ფორმებთან შეპირისპირებული იქნება სხვა ენების სინთეზური ფორმებიც:

განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა (მარკოზ. 7, 29. DE), შდრ. C: გამოჯდა: ἐξελήλυθε (pf.) τὸ δαιμόνιον ἐκ τῆς θυγατρὸς σου; *Վասն այգր բանի իւրի, եւ գին ի գասիրէ քոմ մէ* (წყვ.); *вышел; der Teufel ist von deiner Tochter ausgefahren.* და იტყოდა, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი მეუღრეთით აღდგომილ არს, და მისთვის იქმნებიან ძალნი ესე (მარკოზ. 6, 14. DE), შდრ. C: აღდგა; καὶ ἐλεγε ὅτι Ἰωάννης ὁ βαπτιστῶν ἐγήγερται (pf.) ἐκ νεκρῶν...; *և ասէր թէ Յովհաննէս մկրտիչ յարեաւ* (წყვ.); *ի մեռելոց; воскрес; ...ist von den Todten auferstanden.*

და ეგონა ვორცთა მისთა, რამეთუ განკურნებულ არს გუემისა მისგან (მარკოზ. 5, 29. C), შდრ. DE: განკურნა: καὶ ἔγνων τῷ σώματι ὅτι ἴαται (pf.) ἀπὸ τῆς μάστιγος; *և գիտաց ի մարմին իւր թէ բժշկեցաւ* (წყვ.); *ի տანջანացն; исцелена; war gesund worden.*

არა მოსრულ ვარ ჩინებად მართალთა, არამედ ცოდვილთა (მარკოზ. 2, 17. C), შდრ. DE: მოვედ; οὐκ ἦλθὼν (aor.) καλέσαι διακούς, ἀλλὰ ἀμαρτωλοὺς; *և եկի* (წყვ.) *կიջელი ყარყარა, აქլ` გამეყალიბა; пришел; ich bin kommen.*

ვითარცა ავაზაკსა ზელა გამოხრულ ხართ მახვლითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა (მათე. 26, 55. C); შდრ. DE: გამოხუდით; ὦ; ἐπὶ ληστῆν ἐξ ἡλ θ α π ε (aor.) μετὰ μαχαιρῶν καὶ ξύλων σπλάγχειν με; ჩრრხლ ხ ყჩრყა ალაღ-აჟი ხლჳ (წყვ.) սուսերօք եւ բրոք ունել զիս; ВЫШЛИ; Ihr seid ausgegangen, als zu einem Mörder.

აჲ ესერა მოწვევულ არს მიმცემელი იგი ჩემი (მათე. 26, 46. C), შდრ. DE: მოიწია; ἐγείρεσθε, ἀγωμενίδου, ἦ γ γ υ ι κ ε ν (pf.) ὁ παραδιδούς με; ჟი ანადასიკ ხნაღ (წყვ.) ირ მათხსიოგნ ლ ჟის; приблизился; er ist da.

გასმიეს რ თქმულ არს პირველთა მათ მიერ: არა კაც ჰკლა (ტბეთ. მათე. 5, 21), შდრ. ოპიზ.: თქუა; Ἰησοῦσατε ὅτι ἐρρηθή η (aor.) τοῖς ἀρχαίοις...; ლოაროჳ ჟი ასაგაღ (წყვ.) არაღნიოგნ [ქ ლ მ] საყანანხერ; сказано; gesagt ist.

განეშორენით, რამეთუ არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე, არამედ სძინავს (მათე. 9, 24. DE), შდრ. C: მოკუდა; ὁ γὰρ ἀπέθ α ν ε (aor.) τὸ χορασιον; ჟი იღ ხ[ქ მხიხაღ ლ ააღჯიღ...; не умерла; ist nicht todt.

ჰემმარიტ არს წამებაჲ ჩემი, რამეთუ ვინაჲ მოხრულ ვარ და ვიღრე ვალ, ვიცი იგი (იოვანე. 8, 14), შდრ.: ἦλθον (aor) ჟი ჟიხამ ილათი ხლი (წყვ.) ხლ კი ხრ-ქამ; пришел; ich kommen bin.

ნუ სტიროთ, რამეთუ არა მომკუდარ არს ყრმაჲ ეგე, არამედ სძინავს. ხოლო ივინი ჰბასრობდეს მას, უწყოედეს, რამეთუ მომკუდარ იყო (ლუკა. 8, 52—53), შდრ.: ...ὁ γὰρ ἀπέθ α ν ε ν (aor.), ἀλλὰ καθεσθε. καὶ κατεγελῶν ἀβ-τοῦ εἰδόντες ὅτι ἀπέθ α ν ε ν; ში ლოჳ, ჟი ჯ ლ მ ხ ლ, აჟ ნუნჯღჳ ლ ზიჳთ ჭაჟი აინჯინ ჟნა, ჟი ჟიხტინ [ქ ლ მხიღ (წყვ.); умерла; sie ist nicht gestorben, ... wußten wohl, daß sie gestorben war.

დაადგერ ჩუენ თანა, რამეთუ მწუხარ არს და მიღრეკილ არს დღშ (ლუკა. 24, 29), შდრ.: ὅτι πρὸς ἐσπεράν

ἔσται καὶ κέκλιχεν (pf.) ἦδη ἢ ἤμαρ; *ხე თაჲრათაძ-ძე ხაღ ჭ ორა*; день уже **склонился**; und der Tag hat sich **geneigt**. ...და მშობელი ქალწულად დედათა შორის არაა ვინ პოვნილ არს, თჳნიერ შენ მხოლოა (ძლიძნ.: 144, 263), ბერძნ.: ὁὐκ ἄμῃ (aor.).

ასეთი შემთხვევები, როგორც კონტექსტითაც აღინიშნა, უფრო I თურმეობითს გულისხმობს, რამდენადაც რედაქციულად შენაცვლებულ ნამყოს ფორმაში ანალიზური კონსტრუქციის მიმღეობის მოქმედებაა გადმოცემული, მახვილი კეთდება არა შედეგზე, არამედ პროცესზე.

გ) ნამყო (ანალიზური) — ნამყო (სინთეზური): მიცემულ ვიყავ და არა განმოვიდოდე (ფსალმ. 234, Ⴀ. 9), (ღ: მივეცი); რომელნი დამკვდრებულ იყვნეს პირველითგან მთასა მას, ვერ დაითმენდეს (ასურ. 42, 10—11. Ⴀ), (ღ:მკვდრ იყვნეს); ... რამეთუ დაკვრებულ იყო, იხილა რაა იგი ხილვად... (ანტ. 53, 5. Ⴀ), (ღ: უკვრდა); ... რომელნი-იგი ზედაჲს-ზედა ჩუეულ იყვნეს მისლვად მისა... (ანტ. 6, 23. Ⴀ), (Ⴀღ: ჩუეულებად აქუნდა).

დ) კავშირებითი (ანალიზური) — კავშირებითი (სინთეზური): და მასკულავნი ზეციით დამოცვენებულ იყვენ, და ძალნი ცათანი შეიძრნენ (მარკოზ. 13, 25. Ⴀ); (DE:გარდამოცვენ); ვაჲ არს მისა, რომელი არა განკრძალულ იყოს ვიდრე წოდებადმდე მისა შენ მიერ (მამ. სწავლ. 220, 19), (B:განეკრძალოს); ჯერ-არს თქუენდა, რაჲთა დაწყნარებულ იყვენთ და ნურარას იქმთ წარმდებებით (მოციქ. 19, 36. Ⴀ), (Ⴀ:დაწყნარებულად იყვენთ).

ე) ანალიზურ ფორმათა III ჯგუფის წევრებად ინტერპრეტაციისათვის უფრო უეჭველი ჩანს შემთხვევები, როცა ანალიზურ ფორმას რედაქციულად ენაცვლება შესაბამისი სინთეზური წარმოების თურმეობითი:

... რამეთუ იტყოდა იგი მშუდობასა ერისა თჳსისასა წმიდათა მისთასა და მათთჳსცა, რომელნი მოქცეულ არიან გულითა (ფსალმ. 228, Ⴀ, 9), (ღ: რომელთა მოუქცევიან

გულნი მისა მიმართ); ... რამეთუ არღა შვერდომილ იყო იოვანე საპყრობილესა (იოვანე 3, 24. DE), (C: არღა შვეგდო იოჰანე საპყრობილესა); ... წიგნი მატეისანი განეხუნეს წინაშე მისსა (მამ. სწავლ. 93, 12); (B: განხმულ იყვნეს); ... რამეთუ უყუარდა მას თეკლა, რომელი იგი ეთხოვა ცოლად მისა... (თეკლა. 98, 21—23), (B: თხოვილ იყო ცოლად); საკრეღსა მას სიყუარულისასა შეეკრნეს, ორნატსა მას ქრისტესსა მიზიდვიდეს ერთობით (ასურ. 22, 3. C), (V: შეკრულ იყვნეს სიყუარულითა);

მაგრამ შდრ.: და რომელნი-იგი მიველინეს, ფარისეველთა მათგანნი იყვნეს (იოვანე. 1, 24. C), (DE: და მიველინებულნი იგი იყვნეს ფარისეველთაგანნი).

7. ანალიზური ფორმების დრო-კილოთა III ჯგუფის წევრებად მიჩნევისათვის ყველაზე საიმედოა კონტექსტში III ჯგუფის სინთეზურ ფორმათა თანაარსებობა:

I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: და ვჰამოთ ნაყოფისაგან, რომელი არა დათესულ არს და არცა ქუეყანასა გამოუღებია (მამ. ცხ. 192, 6—7); და უვარ-მიყოფიეს ყოველი კაცი და შენდა შედგომილ ვარ (მამ. ცხ. 295, 42—296, 1); უფსკრულად არა შთასრულ ვარ და ჯოჯოხეთა არა შთამივლიეს და ცად არა აღსრულ ვარ, არცა სამოთხჳ მიხილავს (აპოკრ. 333, 8. C); ... რამეთუ არა შეცვულ არს იგი შინაგან გუამსა, არამედ შეუცავს მას გუამი გარეშტთ (კაცის აგებ. 176, 27); და დიდნი მოღუაწებანი აღუსრულებიან მონაზონობასა შინა და ღირს ქმნულ არს ღმრთისა მიერ თვთაპყრობელ... (ანტიოქ. 141, 5); და ეტყოდე: მიძღვევის სიკუდილისა, დათრგუნვილ არს ქუესკნელი ჯოჯოხეთი, ედემი დაწმული განელო (სასულიერ. ტჳ, 15).

II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი: ხ ზაქარია სახლსა შინა... დადგრომილ ხყო და ურწმუნოებისათვის აღჯრნი ხესხნეს (ხანმეტ. მრავალთ. 148, 13—16); და იხილა გზასა ზედა ყრმაჲ, მდებარჳ ქუეყანასა, რომლისა გუელსა ეკბინა

და მომკუდარ იყო (პანტ. 52, 37); ... იხილა რამეთუ ყოველი იგი ნაწილი აღორძინებულ იყო და გამოედო თავწარსნული ინქლისაჲ ჭურჭელსა მას შინა (ლიმ. 42, 15); და ჰოვა ძმაჲ იგი, რამეთუ გარდაცვალებულ იყო და კეცსა ზედა დაეწერა ესრეთ“ (ლიმ. 49, 19); ... აღზრდილ იყო იგი კოსტანტინეპოლეს და ესწავა სწავლად ბერძნული (კიმ. I, 62, 20—21); ჰოვა ლომი იგი, რა შეეპყრა მას ეშუ იგი და მოეკლა და განეხეთქა და მიწოლილ იყო გზასა ზედა განსუენებად მაძრობისგან (კიმ. I. 305, 18).

III კ ა ე შ ი რ ე ბ ი თ ი: ... გარნა არა ვის კელეწიფების უკუეთუ ლოცვა წიგნის მკითხველობისა არა მიეღოს და არა აღუშცილ იყოს მწყემსისაგან თსისა საფსალმუნედ აღსლვად... (სჯულის კან. 33, 25); რამეთუ შეუძლებელ არს ერთ-გზის განათლებულთა მათ, რომელთა გემოჲ ეხილვოს ნიჭთა მათ ზეცისათაჲ და ზიარქმნულ იყვნენ სულისა წმიდისა და კეთილი გემოჲ ეხილვოს სიტყვისა ღმრთისაჲ (პავლ. 360, 4—5, CD); მე უწყი, ძმანო ჩემნო პატიოსანნო, ვა მოწევნულ იყოს თქუენდა და ვესმინოს საქმე ჩემი... (კიმ. I. 9, 13—14).

ამგვარი კონტექსტებიც რომ ყოველთვის არ შეიძლება სანდო იყოს, რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს: ... და მოთხრილ არსცა და განსუენებულ, და განუგდიეს ამაოჲ იგი სიმძიმე ქუეყანისა ზრახვათაჲ (ექუს. დღ. 58, 2—3); სამი ოდენ წელი დაეყო მეფობასა შინა დიდსა მეფესა იუსტინეს, მოხუცებულცა იყო იგი და საღმობითა ჯორცთაჲთა დასნეულდა (მამ. ცხ. 107, 33—34); იყოფვოდა პალესტინეს ძმაჲ ვინმე, დაყუდებული იყო და თავი მოეცოფა... (ნოველ. II. 231, 11), (C:დაყუდებულ); რამეთუ რომელსა თავიცა თვისი უარ-ეყოს ერთ გზის და ნებაცა და სიმართლისადა იყოს დამონებულ და მერმე თავ-მოთნებით განაგებდეს რასმე, რასამცა სხუასა იქმოდა ეგევითარი თვნიერ... (ტიპიკ. 4, 9); ესევეთარნი მწუხარებანი მოიწევიან საშინელნი სულსა ზედა ჟამსა სიკუდილისა მისისასა, უკუ-

8. ზოგჯერ წინადადების კონსტრუქციაა ისეთი, რომ შესაძლებელია ანალიზური ფორმა III ჯგუფის ნაკვთად ვცნოთ. ასეთი წინადადებებია: პირობით-შედევობითი, მიზნის გარემოებითი და ზოგიც სხვა, რომლებიც მაქვემდებარებელ კავშირებს მოითხოვენ -მცა ნაწილაკით (**უკუეთუმცა, რამთამცა...**), თუ ზმნა თხრობითი კილოს ნამყოა, და უნაწილაკოდ (**უკუეთუ, რამთა...**), თუ ზმნა კავშირებითის ფორმითაა. ამგვარი კონსტრუქციები უფრო დაწვრილებით ფუნქციებში იქნება განხილული. აქ კი მოკლედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მოვლენაც ანალიზურ ფორმათა განსამარტავად ნაკლებად გამოგვადგება, რადგანაც -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები ერთნაირად მოითხოვს როგორც ნამყო ძირითადის, ისე II თურმეობითის ფორმას. უნაწილაკო კონსტრუქციებში კი მოსალოდნელია II კავშირებითიც (უფრო მეტად) და მესამეც:

- ა) ... უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა ყოფილ იყო კაცი იგი (ტბეთ. მათე. 26, 24); ჰე, თუმცა არა მოეძაგა უღირსებაჲ ჩემი და წათა მათ და ღირსთა შე-თუმცა-ვრდომილ ვიყავ (კიმ. I. 214, 17); უკუეთუმცა ყოფილ იყავ დღეს ქალაქსა, არამცა ვის ეკადრა სამთა კაცთა მიცემამ სიკუდილსა ცუდად... (ნიკოლ. 67, 2—3); რამეთუ უკუეთუმცა შთასრულ იყო ვეშაბი ისი წყალთა შინა, მიერ წარვიდოდა ზღუათა შინა (ასურ. 161, 36. 74); ... რომელი, თუმცა აღწერილ იყო თითოეულად, ვერმცა სოფელმან ამან დაიტია დაწერილი იგი წიგნები (იოვანე. 21, 25. C); უფალო, უკუეთუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მომკუდარ იყო ძმამ იგი ჩემი (ტბეთ. იოვ. 11, 21);

მაგრამ შდრ.: უფალო, თუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მოკულდა ძმამ იგი ჩემი (იოვანე. 11, 32. C), (DE: უკუეთუმცა აქა იყავ). არა გაქუს კელმწიფებაჲ ჩემი არცა ერთ, უკუეთუმცა არა იყო მოცემულ შენდა ზეგარდამო (ტბეთ. იოვ. 19, 11).

ბ) უკუეთუ კულა დაცემულ იყოს დედაკაცსა თანა..., ხუთ წელ უზიარებელ იყოს (მც. სჯულ. 102, 1); და ამხილონ მღვდელთმოძღუართა უწესოებისა მისგან ჯმნად და ანუ ლიერითა მოქალაქობითა ყოფად, რაათა არა ყოფილი თურთ ნივთთა ამათ ამოებისათა შემსჭუაღულ იყვნენ გონებანი მათნი (მც. სჯულ. 74, 16); წმიდათა ეკლესიათა შინა არა ჯერ-არს ღუნის ვაჭრობაჲ ანუ სხუათა ჭამადთა სყიდაჲ, რაათა პატივი ეკლესიათაჲ განჩინებულ იყოს. (მც. სჯულ. 62, 8).

უფრო სარწმუნოა შემთხვევები, როცა აღწერილ კონსტრუქციებში ანალიზურ ფორმებს გვერდით უდგას სინთეზური ფორმები III ჯგუფისა:

მ სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ყოლადვე არა დაბადებულ ვიყავ ქუეყანასა ზედა. მ სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ჰაერთა შინა მფრინვალედ დავებადე ღმერთსა... ნეტარ თუმცა ნადირად დაბადებულ ვიყავ... (მამ. სწავლ. 184, 32—34); დაღაცათუმცა ცხორებულ იყავ მრავალთა ყმათა და ნებასა შინა ქრისტესსა აღგესრულნეს ღლენი შენნი და მოხუცებულ იყავ სიმათლით... მაშინცა არა ჯერ-იყო შენდა წარკუეთაჲ სასოებისაჲ წყალობისაგან ღმრთისა (მამ. სწავლ. 115, 5—6).

... გარნა არავის ველ-ეწიფების, უკუეთუ ლოცვაჲ წიგნისმკითხველობისაჲ არა მიეღოს და არა აღკუეცილ იყოს მწყემსისაგან თვისისაგან საფსალმუნედ აღსლვად (მც. სჯულ. 49, 4); უკუეთუ ექორწინოს და ყოფილ იყოს ერთის ცოლის ქმარ და დაქუორივებულ იყოს, არა დაეყენების მღვდელთმოძღურებისაგან (მც. სჯულ. 75, 24—25).

კონტექსტურ თუ რედაქციულ შემთხვევათა განხილვამ გვიჩვენა, თუ რაოდენ საფრთხილოა ძველ ქართულში ანალიზურ ფორმათა ასეთი თუ ისეთი ინტერპრეტაცია. მასალის ჩვენებისას ცალკეულ შემთხვევებში წამოჭრილი საკითხები თემის ფარგლებიდან გადის. ამჯერად მთავარია დასკვნა, რომელსაც გაანალიზებული მასალა გვაძლავს: შედგენილი შემასმენლისა და III ჯგუფის ანალი-

ზურ ფორმათა გამიჯვნა ძველ ქართულში მხოლოდ მნიშვნელობის პლანშია შესაძლებელი. ამ ორ ოდენობას შორის ფორმობრივი დიფერენციაცია არაა გატარებული. შედგენილი შემასმენელს ავტო-ფორმებელი მიმღეობა+მეშველი ზმნა) ერთ შემთხვევაში (თორი-თადად) სინტაქსური შეერთებაა, მეორე შემთხვევაში ნაკვეთულთა სისტემას ავსებს, ფორმათწარმოების წევრი ხდება. იქნება ახლად წარმოქმნილი სისტემური ომონიმის გარჩევის აუცილებლობა, დიფერენციაციის საჭიროება. ამიტომაც III ჯგუფის ანალიზურ ფორ-მათა წარმოშობას დიფერენციაციის პროცესიც თან დაჰყვა. ამ პრო-ცესის საწყისი ეტაპი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფარგ-ლებშია მოქცეული.

§ 22. დიფერენციაციის ასახვა ძველი ქართული ენის ძეგლებ-ში. შედგენილ შემასმენელსა და III ჯგუფის ანალიზურ ფორმათა შორის დიფერენციაციის პროცესი ორმხრივ წარიმართა: ა) შედგე-ნილ შემასმენელში მიმღეობამ დაიწყო დამოუკიდებლად გაფორმე-ბა სახელობითის (-ი) და ნართანიანი მრავლობითის (-ნ-ი) სუფიქ-სებით (გვიან კი ამ სუფიქსებზე შეკვეცილი „არს“ მეშველი ზმნის -ა—ს მიერთებით) და ბ) ანალიზური I თურმეობითის III პირში მიმღეობის გაუფორმებელ ფუძეზე გამარტივებული ენკლიტიკური -ა (←არს) მეშველი ზმნის შეზრდით.

შედგენილი შემასმენლის წევრებს შორის სინტაქსური კავში-რის გამყარების აღნიშნული შემთხვევები უმნიშვნელოა ძირითად მდგომარეობასთან მიმართებით, მაგრამ ის ცოცხალი ენობრივი პროცესის ამსახველი ჩანს. არცთუ იშვიათად ამის ნიმუშები რე-დაქციულ სხვაობებში იჩენს თავს.

1. ცვლილებები შედგენილ შემასმენელში:

1. მიმღეობა სახელობითის -ი ნიშნით: ნათესავი ესე **განდრე-კილი არს**, რომელთა თანა არა არს **სარწმუნოება** (სინ. 199, 19); და ესე თქუენდა ებრაელთაგან **დაწერილი არს** (სინ. 162, 27); ნაყოფად **შეწირული არს** ღმრთისა... (ლე-ვიტ. 124, 21); რამეთუ არა **არს დაფარული**, რომელი არა გამოცხადნეს (ლუკა. 8, 17); ... რამეთუ ჳელითა ღმრთისათა **შექმნული ვარი** მე... (კმ. II. 163, 34); არა თუ **დაბადებული არს** ძმ ღმრთისაჲ არცაღა არაარ-



სისაგან ყოფილი (მამ. ცხ. 42, 19); ცურვებული არს (ტიბიკ. 34, 20); განდრეკილი არს (ფსალმ. 418, ლ. 20); ფესუთა მათგან ოქროანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო (ფილიპე. 495); არს დაშთომილი (მოციქ. 25, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100), (C: არს დაშთომილი); არა არს დაფარული (მათე. 10, 26. DE), (C: არს დაფარული); შეგინებული არს (აპოკრ. 96, 80. Ծ), (C: არს... შეგინებულ); დადგინებული არს (იოვანე. 10, 13. DE), (C: დადგინებულ არს); ჳსნილი არს (მც. სჯულ. 34, 26. B), (ძირითადი: ჳსნილ არს).

მოვიდა ბეთანიად, სადა იყო ლაზარე მომკუდარი (იოვანე. 12, 1. C), (DE: იყო ლაზარე მომკუდარ); უკუეთუმცა დიოს არა კაცთა ჳელითა შექმნილი იყო, ეცნამცა გონებაჲ ჩემი მისა მიმართ... (გურ. სამონ. და აბიბ. 126, 25); და იყო მის თანა ეშმაკი დამალული მრავალ ყამითგან (მამ. ცხ. 178, 40); შექმნილი იყო (ზღაპრ. 25, 5), (B: შექმნილ); ხოლო საწყალობელი იგი დაბნელებული იყო ეშმაკისაგან (ლიმ. 131, 10); წარმოდგომილი იყო, განყოფილი იყო (დამასკ. 122, 1. არს), (ეფრ.: წარმოდგომილ, განყოფილ); იყო... ჩენილი (ზღაპრ. 27, 15. B), (A: ჩინებულ); დაშრეტილი იყო (გურ. სამონ. და აბიბ. 122, 21. B), (ძირითადი: დაშრეტილ); აღმართებული იყო (პავლ. 372, 2. Ծ), (AB: აღმართებულ); იყო... მოვლინებული (იოვანე. 1, 6. D), (C: მოვლინებულ, E-შიც დაუწერიათ -ი, მაგრამ შემდეგ ამოუფხეკიათ); იყო წერილი (იოვანე. 19, 20. DE), (C: წერილ იყო); მოხუცებული იყო (გ მთაწმ. 117, 26. BCDEFGL), (ძირითადი: მოხუცებულ); ვიყავ განკრვებული (მოქც. 159, 26—27. 4), (C: დაკრვებულ); იყო... დამოწაფებული (მოციქ. 9, 36. ლ4), (C: დამოწაფებულ).

უკუეთუ ვინმე დაჯსნილი იყოს, შევედინ იგიცა პირველსავე მას საბანელსა პროადიკისასა (სინ. 90, 12); ... ნუუკუე უპატოსნესი ვინმე შენსა იყოს ჩინებული (ლუკა. 14, 8. DE), (C: ჩინებულ);

2. მიმღობაში მრავლობითობაა ასახული: ... რამეთუ ქმნულნი არიან ჳელთა კაცთანი უსულონი (კიმ. II. 10, 10);

არამედ ერსა მას, რომელმან არა იცის შჯულ ი. დაწვე-  
ულნი არიან (ტბეთ. იოვ. 7, 49); რამეთუ თქუმილ არს,  
ვითარმედ ათინელნი ეგვპტით წარმოსრულნი არიან  
(ზღაპრ. 23, 1. ბ); განდგომილნი არიან (ავაკრ. 30, 17.  
C), (FS:განდგომილ); შექმნულნი არიან (ექუს. 79, 29),  
(A:შექმნილ); კრულნი არიან და შეჩუენებულნი (მც.  
სჯულ. 132, 33—34); განსაზღვრებულნი არიან (დამასკ.  
32, 7. არს.), (ეფრ.: განსაზღვრებულ);

და ოქროსა სარტყლითა შელესულნი იყვენეს (კიმ. I.  
161, 5); იყვენეს იერუსალჴმს დამკვდრებულნი ჰურია-  
ნი... (მოციქ. 2, 5), (D:დამკვდრებულ); ... შორის თქუენ-  
სა დათესულნი იყვენეს ბოროტნი იგი თესლნი სომენ-  
თანი (გ. მთაწმ. 123, 22. IK), (ძირითადი: დათესულ);  
იყვენით განმტკიცებულნი (პავლ. 88, 10. CD), (AB:  
განმტკიცელ).

საინტერესო ჩანს შემთხვევები, როცა ორი მიმღეობიდან ის  
ფორმდება, რომელსაც მეშველი ზმნა არ ახლავს:

და უკუეთუ გონებაა განაწილებული და აგებულ (B:  
აგებული) არს... (კაცის აგებ. 162, 12); უკუეთუ... შეუ-  
რაცხ-გყონ შენ, ვითარმცა არა ცხებულ იყავ და ჩინე-  
ბული წინამძღუარად..., ნუ მოჰმედგრდები (ფსალმ.  
452, 8); ... ანუ უფროას იგინი განქარვებულ არიან  
მისგან და მხილებულნი უძლურად? (ანტ. 66, 9—10. C).

3. შეკვეცილია III პირის მეშველი ზმნა და მიერთვის გა-  
ფორმებულ მიმღეობას: ... გარნა სიტყუაჲ სიტყუსა ნაცვალი შედა-  
რებულია ბერძულისა... (დამასკ. 66, 1. ეფრ. ორიგინა-  
ლური წინასიტყვაობა); ხარბი და ძალღი შეგინებულ-  
ნია... (მამ. სწავლ. 148, 6—7), (B:შეგინებულნი არიან).

II. ცვლილებები I თურმეობითის III პირში:

1. -ა (-არს) გამარტივებული მეშველი ზმნა შეზრდილია მიმ-  
ღეობის გაუფორმებელ ფუძესთან: შენდა ხუედ/რებუ/ლა ქალწული  
ესე უფლისაჲ მიყვანებად და დამარხვად თავისა შენისა  
(ხანმეტ. იაკობ. IX, 1. BA); შემკულა და შემოსილ პი-  
რად-პირად შუენიერი (ფსალმ. 114. C, 10), (4:შემკულ

არს); ... უკუეთუ თავი მოკუეთილა პავლჳსა ანუ არა... (სინ. 252, 33); რომელნი წერილთა აღმოიკითხვენ, რომელ დაწერილა ღმრთისა მიერ მართლ... (სინ. 484, 4); საუკუნითგან არავისდა სმენილა, ვრმცა გარდაცემულია მუცლისაგან შვილი თვნიერ მამაკაცისა (კიმ. I, 179, 20); იოსებისდა ხუედრებულა ქალწული ესე... (ღმრთისმშ. 187, 36); მეცა შევრდომილ ვარ ურჩულოებათა ჩემთაგან და წყლულა სული ჩემი (ჭილ-ეტრ. 81, 16—17); რამეთუ კლდესა გარდაჭრილ არს და მოკუდარ-ა ვირი ჩემი (ასურ. 4—5, 4); სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს ღელვითა ცოდვისაჲთა და საშინელად დამთქამს მე... (A:აღძრულა) (ძლისპ. 152, 282); ... რამეთუ ყამი წყალობისა მისისაჲ მოწვევულ არს (V:მოწვევულა) (ფსალმ. 272. C, 4, 14); აჰა ესერა მოსრულ არს სული ჩემი ვორჯსა ჩემსა /C:მოსრულა/ (მოქც. 105, 34, 4); შობილა (ზღაპრ. 20, 5. A); მოცემულა (მამ. სწავლ. 19, 27. C); ბრძანებულა/ა/ (იოვ. და ეფთვ. 79, 11); დაკლებულა (ტიბიკ. 31, 6); შეერთებულა, თანდებულა, შეზავებულა (ნემეს. 52, 24—25); შეზავებულა (ნემეს. 33, 15); დამონებულა (მამ. სწავლ. 116, 25); წერილა (ფსალმ. 458, 37); აღმართებულა (ფსალმ. 262, C, 2); დამალულა (ფსალმ. 135, C); შეწირულა (ნოველ. II. 290, 20. C); გამოჩენილა (გ. მთაწმ. 145, 17—18); ყოფილა (ექუს. დღ. 115, 6, გადამნუსხ.); შედგმულა (ნემეს. 32, 3 და 5); ყუავილ-გარდაფენილა (ჭილ-ეტრ. 12, 17—19); თარგმნილა (დამასკ. 66, 1. ეფრ.); დარჩომილა (პანტ. 54, 32); მასურალა (პავლ. 82, 12. 7); დიდებულა (მამ. სწავლ. 223, 15. C); მიმწუთარა (გ. მთაწმ. 139, 24); მოსრულა (ბალავარ. 17, 28. 4); რჩეულა (ფსალმ. 347, 140).

გამორიცხული არაა, რომ მოცემული ნიმუშებიდან რომელიმე შედგენილ შემასმენელს წარმოადგენდეს. ამ ეჭვს წარმოშობს ძველი ქართულის სხვა მონაცემები. შედგენილი შემასმენლის „არს“ მეშველი ზმნის გამარტივება იმ დროის ძეგლებში დასტურდება სახელებთან, ნაცვალსახელებთან, სხვა ტიპის მიმღეობებთან და სხვა:

ბუცესია (კიმ. I. 73, 19); ურჩებაა, განსუენება (კიმ. I. 167, 21—22); რა (კიმ. I. 178, 3); თქუენია (ლუკა 6, 20. C); მადლია (ლუკა. 6, 34. C); კუარტხლბერკია (მათე. 5, 35. C); სამართალია (ფსალმ. 219, C, 5); ეგვიპართალა (სინ. 130, 23); უადვილესა (მათე. 19, 24. C); საჯმარა (ნოველ. II. 95, 10); ჯერ-ა (ნოველ. II, 272, 28. C).

მათში ასახულია შედგენილი შემასმენლის ჩამოყალიბების ორი საფეხური: პირველი, როცა სახელური ნაწილი (შემასმენლისი) გაუფორმებელია (**მართალა, უადვილესა, საჯმარა...**), მეორე საფეხურზე კი სახელური ნაწილი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული (**სამართალია, მადლია, თქუენია...**). ყოველივე ეს კი გვაფრთხილებს, რომ გაუფორმებელ მიმღეობაზე შეკვეცილი ზმნის დართვის ნიმუშები ყოველთვის არ უნდა წარმოადგენდეს III ჯგუფის ანალიზურ ფორმებს, ისინი შეიძლება შედგენილი შემასმენლები იყოს. ეს ნიშნავს, რომ შედგენილი შემასმენლისა და ანალიზურ ფორმათა დიფერენციაციის პროცესს „არს“ მეშველი ზმნის გამარტივების დაწყება უსწრებდა წინ. დიფერენციაციის პროცესში კი ეს გამარტივება ორსავე ოდენობაში აისახა. ამდენად, დიფერენციაციის საკითხი პირველ რიგში მიმღეობის გაფორმება-გაუფორმებლობის საკითხია.

2. -ან/←არიან/ მხოლოდ ერთხელ შეგვხვდა და ისიც „მცირე სჯულისკანონის“ D რედაქციაში. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძველ ქართულში არიან→ან დამკვიდრებული არაა.

და სხუანი ესევეთარნი თვსებისა ქორწინებანიმცა ნუ იქმნებიან შორის მორწმუნეთა (მც. სჯულ. 56, 25), (D: ქორწინებანი ნუმცა ქმნილან).

ერთ შემთხვევაში, XI ს-ის ძეგლში თითქოს ჩანს S<sub>1</sub> ვ-პრეფიქსის მიმღეობის წინ გადასვლის ფაქტი, მაგრამ მას ზურგს არაფერი უმაგრებს, თანაც გვიანრედაქციული ვარიანტია: გარნა ესე იყო ყოველსავე შინა სალხინებელი ჩემი, რომელ თუალით-მხილველ და კელით-მსახურ ყოფილ ვიყავ და ყურითა მომსმენელ სიტყუათა წმიდისა პირისა მისისათა... (E:ყოფილ) (გ. მთაწმ. 206, 19).

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აბსოლუტურ ზმნათა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულში ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესშია. აბსოლუტურ ზმნათა ანალიზური ფორმების წარმოქმნა ასახავს დრო-კილოთა III ჯგუფის ჩამოყალიბების მესამე საფეხურს. ეს საფეხური, რელატიურ-გარდაუვალ ზმნათა ჩამოყალიბების მსგავსად, ქართული სალიტერატურო ენის დღემდე მიღწეული ძეგლების თვალსაწიერზე იხილება.

აბსოლუტურ ზმნათა III ჯგუფის საყრდენი მიმდომობის ანალიზი

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ერთბირიანი გარდაუვალი ზმნები მეშველ ზმნას იმავე ნაკვეთებში იყენებს, რაც გარდამავალი ზმნების საწარმოებელ ფუძეს წარმოადგენს“ [1, 103]; კერძოდ, I თურმეობითში — აწყყოს /არს/, II თურმეობითში — ნამყოს /იყო/, III კავშირებითში — II კავშირებითს /იყო/.

იქვე მითითებულია ერთი საგულისხმო ვითარება: „ნამყოს მიმღეობა, რომელიც გარდაუვალ ზმნათა უღვლილებებისას არის გამოყენებული, ნაწარმოებია — ხშირ შემთხვევაში — გარდამავალი ზმნის ფუძისაგან“: ყოფილა, დენილა, კეთებულა... ეს კი საგულისხმო ფაქტია დრო-კილოთა III ჯგუფის წარმოების პრინციპისათვის. ამდენად, მიმღეობის ფუძის ანალიზი სულაც არ არის გარეშე საკითხი დრო-კილოთა III ჯგუფის წარმოების კვლევაში. III ჯგუფის მიმღეობიანი წარმოების საკითხი მიმღეობის აგებულებისა და ფუნქციის გარკვევასაც მოითხოვს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მიმღეობის სუფიქსური წარმოების ანალიზს პრინციპული მნიშვნელობა აქვს — უმისოდ ხშირად გაძნელებდა მიმღეობის საყრდენი ნაკეთის გამოყოფა.

§ 23. ნამყო დროის-სუფიქსური მიმღეობის მორფემული ანალიზი. ძველ და ახალ ქართულში წარმოდგენილია ნამყოს საობიექტო მიმღეობის ორი სუფიქსური მაწარმოებელი: -ილ და -ულ; გამოთქმულია მოსაზრება, რომ უკანასკნელი პირველის ლაბიალიზაციის შედეგი ჩანს [52, 223; 30, 574—75; 133, 193. შდრ.: 91, 64—68], მაგრამ ამის გადაჭრით მტკიცებას აბრკოლებს უამრავი საწი-

ნაღმდევო მაგალითი, რომელთაგან ნაწილი აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. ცალკეულ მაგალითებს რომ თავი დავანებოთ, მთელი სისტემები უშლის ხელს ლაბიალიზაციის დასრულებას.

და მაინც შესაძლებელი ჩანს ლაბიალიზაციის არსებობის შესახებ ნამყოს სუფიქსური მიმღობის ჩამოყალიბებაში.

ვნახოთ ეს ძველი ქართული ენის მასალის მიხედვით.

1. -ულ სუფიქსს სისტემურად გამოავლენს ავ, ევ, ამ, ემ, ებ დაბოლოებანი<sup>2</sup> ზმნური ფუძეები.

-ემ-ულ: დაცემულ, მოცემულ, პატივ-ცემულ, (შე)კდემულ, გუემულ, განგურემულ...

-/ა/მ-ულ: განსხმულ, დასხმულ, მოსხუმულ (ეკლითა), განხმულ, ახუმულ, გარდართხმულ, თქუმულ||თქმულ, დანთქმულ, ჯუარს-ცუმულ||-ცმულ, აღდგმულ, დაბმულ, მორტყმულ, შეჭმულ, შთასუმულ...

-ე/ვ/-ულ: მოქცეულ, გარდაქცეულ, განქცეულ, /და/ჩუეულ, ძლეულ, შერეულ, აღრეულ, გარდარეულ, /გამო/რჩეულ, განზნეულ, დათხეულ, შეთხეულ, შემთხეულ, შერყეულ, /და/წყეულ, განრღუეულ, მოხუეულ, კურთხეულ, წდუეულ, მოლეულ, შეწყუდეულ, განქრეულ, დახრწეულ, შეწეულ, შთაცუეულ...

-[/ა/ვ]-ულ: აღწყულ, განკრძალულ, დაკრძალულ, დამალულ, შერთულ, დამარხულ, დაჯშულ, განმარტულ, შეძერწულ, განკაფულ, დაბლალულ, წარტყუენულ, დანერგულ, დაფლულ, დაბეჭდულ, აღბეჭდულ, დაწყლულ, შეთხზულ, შეწირულ, აღძრულ, შემშვშულულ, განწირულ, გამოსახულ, მოკიცხულ. აღრიცხულ (შდრ. აღრაცხილ), შეკუართულ, დაკლულ, დაფარულ, შერთულ, მონათლულ, შეზრახულ, ლესულ, ტანჯულ, შესუარულ (შდრ. ახ.: დასვრილი), დარწყულ, შეკრულ, მითუალულ (შდრ. ახ.: მითვლილი), დატულ, მოჭიმულ, დათესულ, შეკიცულ, მორეწულ, აკაზმულ, გავთულ...

<sup>2</sup> დაბოლოებას (და არა თემის ნიშანს) იმიტომ ვხმარობთ, რომ ზმნაში დაბოლოებები შეიძლება თემის ნიშნის დონეზე არ გამოიყოფოდეს (მაგ. **ქამს-ქმული**) მაგრამ ამას მიმღობის წარმოებაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს.

ორიოდე შემთხვევაში დაბოლოებისეული -ვ-ც დაცულოა:  
განსხირპველ, დაცველ (იშვიათად — დაცულ). ბოლო  
შემთხვევაში -ვ ფუძეს ეკუთვნის (დაიცვა).



აქვე შემოვა მოსლულ: სულა+ილ—მოსვლ—ილ—მოსლ—ილ—  
—მოსლულ (შდრ.: მოვლილ).

-ბ-ულ: ფიცებულ, დაუნჯებულ, აღსრულებულ, განშოვრე-  
ბულ, წოდებულ, დასულებულ, დაკვრვებულ, განძე-  
ბულ, განცხადებულ, დაწუნებულ, განწესებულ, უფ-  
ლებულ, ცვალებულ, მიმსგავსებულ, შემატებულ, წარ-  
მართებულ, დადებულ, წარმატებულ, განმარტებულ,  
დატევებულ, შუებულ, დადგინებულ, აღმოცენებულ,  
შემეცნიერებულ, აღგზნებულ, ვედრებულ, დაბერებულ,  
მოუძღურებულ, დაგლახაკებულ, დაობლებულ, დამ-  
ჯცოვნებულ, დაყუდებულ, შესწავებულ, შეურვებულ,  
განპოხებულ (შდრ. განპოხილ), დაწინდებულ (შდრ. და-  
წინდულ), ანდერძებულ, მცნებულ, ზრახებულ (შდრ.  
ზრახულ), მოპოვნებულ (შდრ. პოვნილ), შესაზღვრე-  
ბულ, შეყვანებულ (შდრ. შეყვანილ), ცვალებულ (შდრ.  
ცვლილ), აღბუშტებულ, განცოფებულ, განსაზღვრებულ  
(შდრ. განსაზღვრულ), დაპებულ (შდრ. დაპობილ), შე-  
ძინებულ (შდრ. შეძენილ), განზოგებულ, აღვსებულ,  
განჩინებულ (შდრ. გაჩენილ), დაგესლებულ, აღმართე-  
ბულ (შდრ. აღმართულ), გარდაცვალებულ, შებილწე-  
ბულ, შეკდიმებულ, შეღებულ (მატყლი), დასოლვე-  
ბულ||დასოვლებულ, /შე/კრებულ, დაცვნებულ, განდევ-  
ნებულ (კიმ. I. 66, 28), განტყორცებულ, უზმებულ  
(სინ. 108, 22), მივლინებულ...

2. -ილ სუფიქსი წარმოდგენილია აწმყოში ა) უთემისნიშნო,  
ბ) ფუძედრეკად და გ) -ი თემისნიშნიან ზმნურ ფუძეთა შემდეგ:  
ა) დახეთქილ, მოკუეთილ, განბანილ, აღკუეცილ, დაჯეჯკილ,  
შემოხუეწილ, წერილ, დაწერტილ, განხეთქილ, გარდა-  
კეცილ, დანაყილ, დარეცილ, აღრაცხილ, განრაცხილ  
(თმანი) (←ვრაცხ, შდრ. აღრიცხულ←აღრიცხავს), აღ-  
კოცილ, ყნოსილ, განწონილ, /შე/მოსილ, გამოკოდილ,  
პოხილ, აღბერილ...

ბ) გამოჩენილ, მიფენილ, /შე/სმენილ, დადგენილ, კბენილ, აღ-  
ზრხენილ, განწმედილ, წარწყმედილ, დაწყუედილ, დაშ-  
რეტილ, განდრეკილ||მიდრეკილ, წინა-დაცუედილ, დაშ-  
ტკეცილ...

გ) განფრდილ, დამწყსილ, შეწმასნილ, წარგრაგნილ, გამო-  
ჯსნილ, აღფხურილ, აღმოკდილ, განრყუნილ, პოვნილ,  
ქენჯნილ, აღზრდილ, შთაჭრილ, წარღუნილ, გამოცდილ,  
წურთილ, გარდაჭრილ, დარჩილ, /და/ჯსნილ, წარჯდილ,  
ჩაჩრილ, დაშჯილ||დასჯილ, თარგმნილ (შდრ. თარგმანე-  
ბულ), შეწმასნილ (ვარ.: შეწმასნებულ), მოჯრილ (=მო-  
ხრილ), განრყუნილ, ზარ-განჯდილ განხრწნილ...

-ილ სუფიქსს მიიღებენ -ოლ-ზე დაბოლოებულ მასდარზე და-  
ყრდნობილი მიმღებობებიც: წარყოლილ, ბრძოლილ, დაწოლილ...

3. -ილ და -ულ სუფიქსთა გამოვლენა აქამდე თითქოს ექვემ-  
დებარებოდა გარკვეულ კანონზომიერებას. კერძოდ, -ულ სუფიქსი  
ვ, ზ, მ თანხმოვანთა მომდევნოდ სისტემურია, დანარჩენ შემთხვე-  
ვაში გვაქვს -ილ, მომდევნო მაგალითები სრულიად ეწინააღმდეგე-  
ბა დაშვებულ სისტემას. კერძოდ, -ოვ, -ობ, -ომ დაბოლოებიათ  
ფუძეები სისტემურად გაფორმებულია -ილ სუფიქსით:

-ოვ-ილ: /გან/თხოვილ||თხოილ, მოქსოვილ...

-ობ-ილ: განწყობილ, მინდობილ, შენდობილ, შეპყრობილ,  
შემეკობილ, ლმობილ, დატკობილ, შობილ, დატკნობილ,  
დატფობილ, დაბრმობილ, მიყრდნობილ, განგრძობილ,  
თხრობილ, ცნობილ, განბჭობილ, განმღრთობილ, აღსო-  
ბილ, დადნობილ, მოსპობილ, წდობილ||წოთობილ, მითხ-  
რობილ, სმობილ (აპოკრ. 355, 39. I; ტ:სმენილ), დამკო-  
ბილ...

-ომ-ილ: განზომილ, დავრდომილ, შევრდომილ, დახუდომილ||  
დახდომილ, დასხდომილ, მიწდომილ||მიწთომილ, ძლო-  
მილ, დაცხრომილ, განზრქომილ, წარჯდომილ, შეწყდო-  
მილ, შეცთომილ, განკრთომილ, დაშთომილ||დარჩომილ,  
განვრცომილ, განრომილ, შედგომილ, მიდგომილ, დად-  
გრომილ, დაჯდომილ, შრომილ...

-ოვ, -ობ, -ომ შეიცავს ო ხმოვანს. სწორედ მისი არსებობა



უნდა განსაზღვრავდეს ბ, ვ, მ თანხმოვანთა მიერ -ილ სუფიქსის ლაბიალიზაციის შეკავებას. ეს დაშვება რომ სამართლიანია, აშკარად ჩანს ზოგ ენობრივ ვარიანტულობაში (შდრ. დატევილები მაგრამ: დატევილი (დიდ. სჯულ. 192, 39. G), დამკობილი (მაგრამ: დამკუებული (კაცის აგებ. 169, 9). მაშასადამე, საყრდენ ფორმაში ლაბიალური ხმოვნის არსებობა ხელს უშლის მიმდევობის -ილ სუფიქსის ლაბიალიზაციას. ეს დებულება სხვა გამოწვევების ახსნაშიც დაგვეხმარება.

4. რამდენიმე -ავ თემისნიშნის ზმნაში ლაბიალიზაცია აშკარად შეკავებულია: -ილ სუფიქსის დართვით თემის ნიშნის ა ხმოვანი ჩავარდნილია და გვაქვს -ვ-ილ დაბოლოება:

დაფუძვილი (სინ. 51, 35), შემუსრვილი (სინ. 273, 29), ცოდვილი (მამ. სწავლ. 248, 14), შეჭურვილი, აღჭურვილი (მამ. სწავლ. 292, 32 და 162, 7), დალპოლვილი (ეფრემ /გ/. 50, 15), მოზღუდვილი (ეფრემ /გ/. 65, 26), შეზღუდვილი (კვიპრ. 50, 19), დაბურვილი (ტბეთ. იოვ. 11, 44), დათრგუნვილი (ლუკა 21, 24), შემფოთვილი (მარკოზ. 5, 39. C. შდრ. DE: აღფოთებულ), შეტუსვილი (ანდრიან. და ანატ. 228, 13), ურვილი (ანდრიან და ანატ. 213, 16), დაჩრდუნვილი (მრავალთ. 265, 1), განკუთნვილი (ექუს. 59, 28), გბოლვილი (ნოველ. I. 7, 3, 24. A), შეტყუბვილი (ექუს. დლ. 30, 10—11), შეუღლვილი (ექუს. დლ. 47, 2. შდრ. ხევს. დაუღლავს), ლტოლვილი||ვლტოლვილი (მამ. სწავლ. 256, 19)... უკანასკნელ შემთხვევაში ბოლო ვ შეიძლება მეტათეზისის შედეგი იყოს, შდრ.: სივლტოლა, ლტოლვა, ივლტის, აგრეთვე — ვლტოლილი (კიმ. I. 299, 8).

შემთხვევითი არაა, რომ ფუძეში ყველგან წარმოდგენილია ო და უ ლაბიალური ხმოვნები, რომელთაც ასევე მიეწერება ლაბიალიზაციის შეკავება. ამავე დროს შესამჩნევია, რომ ლაბიალიზაციის შემათავსებელი უ ხმოვანი ყველგან სრულია, ისტორიულად მყარი და ამ მდგომარეობაში არსად ჩანს უ ნახევარხმოვანი, რომელიც ისტორიულად ვ-ში გადავიდა (შდრ. შემშუალულ, შეკუართულ, შესუართულ, მითუალულ...).

5. ცალკე გამოსაყოფია მიმღებები, რომელთაც მერყევი სუფიქსაცია ახასიათებს: გვხვდება როგორც **-ილ**, ისე **-ულ**. მერყეობას შეიძლება საფუძვლად ედოს მორფოლოგიური მიზეზები ერთგვაროვანი წარმოება, შეიძლება ფონეტიკური მიზეზები (აქვე შეხვედრის თხვევაში მოსალოდნელია დიალექტურად განსხვავებული ლაბიალიზაცია). მერყევი სუფიქსაციის ნიმუშებია:

ქმნულ||ქმნილ, შექმნულ||შექმნილ, ჯმნულ||ჯმნილ, დევნულ||დევნილ, მოწვევულ||მოწვევნილ, შეწვევულ||შეწვევნილ, დატევნულ||დატევნილ, შეზმნულ||შეზმნილ (პავლ. 293, 12. AB = მცოდნეს), დაცვენულ||დაცვენნილ, შესწავლულ||ახ. დასწავლილ; წარწყმედულ||წარწყმედილ, შეკბენულ (რიფს. 164, 41)||კბენილ... (ბოლო ორ შემთხვევაში გამორიცხული არაა ფუძეთა მორფოლოგიური სხვაობა).

ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ნაწილობრივ ლაბიალიზაციაზე, რასაც არასისტემურად ავლენს არაბოლოკიდური, ფუძეში არსებული ლაბიალური თანხმოვანი (მ, ვ, ბ). საგულისხმოა, რომ მერყეობის მოშლა ხდება, როგორც კი რომელიმე ფუძე ფონეტიკურად გამარტივდება (ქმნულ — ჩავარდა მ:დიალ. ქნილ, არაა — \*ქნულ; მოწვევნილ — ჩავარდა ნ:ახ.მოწვეულ, გამორიცხულია — \*მოწვილ||მოწვილ...).

აღწერილ კანონზომიერებებს არ ექვემდებარება რამდენიმე ნიმუში: მისყიდულ (შდრ. ძვ. სყიდა და ახ. ყიდვა); მოკიდულ (გვაქვს სტატიკური — ჰკიდავს, მაგრამ სტატიკური აწმყოდან მიმღებობის წარმოების შემთხვევა სხვა არა ჩანს. შდრ.: ჰკიდებს — კიდებულ); შჯულ||სჯულ (ეკ. ოსიძეს ამ ფორმასთან ერთად მოაქვს: მსაჯულ|| მოსაჯულ, მაგრამ ისინი ერთ დონეზე ვერ დადგება, ერთგან ძირი შეუკუმშავია: საჯ-ავ-ს, მეორეგან შეკუმშული: სჯ-ი-ს. მოსალოდნელი იყო: საჯ-ულ, მაგრამ მეორე მხრივ — სჯ-ილ. ფორმობრივი კონტამინაცია?).

უკვე ძველ ქართულში ენაცვლება **-ილ** სუფიქსი **-ულ-ს** /**შე-კრებულ** ფორმაში.

მიუხედავად რამდენიმე გამონაკლისისა, ნამყოს სუფიქსური მიმღებობის წარმოება საკმაოდ მწყობრ სისტემას გვიჩვენებს და

მხარს უჭერს ლაბიალიზაციის არსებობას მის ჩამოყალიბებაში: ამო-  
სავალია -ილ სუფიქსი, მისი ლაბიალიზაციის შედეგია -ულ. გამო-  
ნაკლისებს თავისი ახსნა აქვს.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ:

1. ნამყო დროის საობიექტო (სუფიქსური) მიმღეობის ძირითა-  
დი მაწარმოებელია -ილ სუფიქსი, წარმოდგენილი ყველა შესაძლე-  
ბელ შემთხვევაში;

2. -ილ სუფიქსის ლაბიალიზებული ვარიანტია -ულ, რომე-  
ლიც პოზიციურად ვლინდება ლაბიალურ ვ, ბ, მ თანხმოვანთა მე-  
ზობლობაში;

3. ლაბიალიზაციის შემაკავებელი ფაქტორია ფუქეში ო და უ  
ლაბიალური ხმოვნების არსებობა. ასეთ შემთხვევაში დაცულია  
-ილ სუფიქსი;

4. რიგ მიმღეობაში შეიმჩნევა მერყევი სუფიქსაცია, რასაც  
უნდა იწვევდეს ფუქეში არსებული (არაკიდური) ლაბიალური თან-  
ხმოვანი.

5. უ ნახევარხმოვანი ლაბიალიზაციის საკითხში ნეიტრალუ-  
რია — არც ხმოვანთა რიგში ექცევა და არც თანხმოვანთა (არც გა-  
მომწვევია და არც ხელშემშლელი).

#### § 24. ერთპირიანი უგვარო დინამიკური ზმნები III ჯგუფში.

„თბება“ ტიპის ერთპირიანი უგვარო დინამიკური ზმნები გარკვეულ  
განსხვავებას გვიჩვენებენ სხვა აბსოლუტურ ზმნათაგან დრო-კილო-  
თა III ჯგუფის წარმოებაში: მართალია, მათი წარმოებაც ანალიზუ-  
რია — მიმღეობა + მეშველი ზმნა, მაგრამ მიმღეობა ამ ტიპის ზმნა-  
თაგან მხოლოდ სასუბიექტო სახისა იწარმოება (გამთბარი) და ანა-  
ლიზურ ფორმათა წარმოებაც მასზეა დამყარებული (გამთბარ  
არს) [134, 77—78; 64, 139; 135, 128—129]. ეს წესი თითქმის  
უგამონაკლისთა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიმართ.  
რაც შეეხება ძველ ქართულს, იქ ერთპირიან უგვარო დინამიკურ  
ზმნათა მიმღეობის წარმოებაში ასეთი ერთგვაროვნება არაა, რაო-  
დენობრივი თვალსაზრისით უფრო ხშირი ჩანს მასდარის ფუქეზე  
დაყრდნობილი -ილ სუფიქსიანი ნამყო დროის მიმღეობები (აღდგო-  
მილ). ასეთი „პარალელური წარმოება“ აღნიშნულია ლიტერატურა-  
ში [64, 139]. ძველი ქართული ენის ძეგლებში მხოლოდ რამდენიმე

პრეფიქს-სუფიქსურ ნიმუშს არ დაუდასტურდა შესაბამისი მასტარ-ზე დაყრდნობილი სუფიქსური მიმღეობა. ასეთებია:

**მომკუღარ** (ასურ. 116, 36. 4; შუშანქუღარ<sup>3</sup> (სხვა), **მომწყდარ** (ტიპიკ. 1, 4; ჰილ-ეტიკა<sup>3</sup> (სხვა), **დამბალ** (მამ. ცხ. 302, 17), **გამომძურალ** (კიმ. I. 326, 1), **დამდნარ** (კიმ. I. 326, 2), **დამორვალ** (საბა. 5, 40), **დამშრშალ** (სინ. 228, 4 და 9).

ბევრ შემთხვევაში ამ რიგის მიმღეობებთან პარალელურადაა წარმოდგენილი სუფიქსური მიმღეობები. ისინი ხშირად რაოდენობრივადაც და ქრონოლოგიურადაც უსწრებენ პირველთ (ზოგჯერ ასეთი მიმღეობა ანალიზურ კონსტრუქციებში არ იძებნება და სხვა შემთხვევებსაც დავიმოწმებთ):

**დამბრმალ-დაბრმობილ**: დამბრმალ არიან (დიდ. სჯულ. 335, 26); დაბრმობილ ვიყო (მამ. სწავლ. 184, 12); დაბრმობილ იყვნეს (კიმ. I. 11, 10); დაბრმობილ არიან (იოზ. 161, 17/, 7).

**დამდნარ-დადნობილ**: დამდნარ იყო (A—1109. 26 [2], 15), (იგივე: კიმ. I. 326, 1—2); დამოდნალ არიან (ანდრიან. და ანატ. 213, 20); დადნობილ არიან (მამ. ცხ. 296, 25).

**დამტკბარ-დატკბობილ**: აზნ. ... დამტკბარ (ექუს. დღ. 47, 35); დატკბუბილ ჰყავ (მოდრეკ. 279, 26); შუენიერად დატკბობილნი (ი-ზოსიმ. 456, 22).

**დამჰნარ-დაჰნობილ**: იყვნეს... დამჰნარ (სინ. 267, 5); დამჰნარ არიან (ორმეოც. და ხუთ. 90, 18); დაჰნობილნი (გ. მთაწმ. 191, 9).

**დამპალ-დალპოლვილ**: მომპალ... იყვნეს (ანდრიან. და ანატ. 211, 19); დალპოლვილ არს (ეპისტ. 48, 2. 17).

**განმკრთალ-განკრთომილ**: განმკრთალ ვართ (ბალავარ. 75, 27. C); განკრთომილ არს (მარკ. 3, 21); განკრთომილ იყო (დავით. და ტირიჭ. 189, 44); განკრთომილ არს (გ. მთაწმ. 203, 33—34).

**დამაშურალ-შრომილ**:<sup>3</sup> დამაშურალ არს (ტიპიკ. 5, 10); მომა-

<sup>3</sup> ამ ორ ფორმას შორის სემანტიკური სხვაობა პირვანდელი არ უნდა იყოს.



შურალ იყო (გ. მთაწმ. 182, 12—13); განრყუნეს შრო-  
მილი (ქრონიკ. 316, 19).

**დამცხრალ-დაცხრომილ:** დამცხრალ არს (ცხ. კვპრ. 132, 62);  
და-ვე-ცხრომილ არს (ანტ. 37, 14. ლ); დაცხრომილ არს  
(კაცის აგებ. 172, 11).

**განმაძღარ-ძლომილ:** განმაძღარ იყო (საბა. 5, 18); განმაძღარ  
ხართ (პავლ. 101, 8); ვალთ... ძლომილნი (ნოველ. I, 11,  
18, 9. A).


**განმეპარ-ს** შეესაბამება **განჯმელ** ფორმა: **განმეპარ** არს /წყა-  
ლი/ (ნოველ. I. 3, 23, 37); **განჯმელ** იყო (ნოველ. II.  
32, 1), /B:გამეპარ/; **განჯმელ** იყო (ღალაკტ. 366, 3).

დანარჩენად მხოლოდ სუფიქსური მიმღეობები დაგვიდასტურ-

**და:** შეცთომილ არიან (ევთალე. 119, 13); მიცთომილ არს  
(ნოველ. II. 140, 23); დაშთომილ იყო (ორმეოც და  
ხუთ. 89, 32); და-სადმე-რჩომილ იყო (B:მიმო-სადა-  
დაშთომილ იყო) (ორმეოც. 143, 11—12. A); დარჩომილ  
იყოს (ნემეს. 112, 15); მისგან დატფობილთა (ექუს. 36,  
29); დატფობილ იყო (რიფს. 176, 12); განზრქომილი  
(ეკლესიასტ. 6, 26); (იგივე: სინ. 174, 14); დაჯდომილ  
იყო (ცხ. კვპრ. 142, 35); დასჯდომილ არიან (მათე. 23,  
2. C); დადგრომილ ხიყო (ხანმეტ. მრავალთ. 147, 8—9);  
აღდგომილ იყვნენ... დადგრომილ იყვნენ. (A—397. 192,  
19—21); წარდგომილ იყო (ეფრემ /გ/ 17, 35); ვიყვნით  
განდგომილ (მამ. სწავლ. 236, 14).

„**დაჯდომილ, დადგრომილ**“-ს შეესაბამება სასუბიექტო მიმ-  
ღეობები — „**მდგომარე, მჯდომარე**“, რომლებიც „გამთბარის“ რიგ-  
ში ვერ დადგება — წარმოებას რომ თავი დავანებოთ, ისინი ანა-  
ლიზურ ფორმებს არ იწარმოებენ.

სუფიქსური მიმღეობები ჩანს ბუნებრივი ფუძედრეკადი ზმნე-  
ბისთვისაც: ... განახლდა მწუხარებაჲ იგი მათი, რომელ  
**დაშრეტოლ** იყო (წარტყ. იერუს. მგ. 10); „ვეფხისტყაო-  
სანში“ გვაქვს: „**შედრეკილ-შეშინებულსა**“ [799, 2],  
ახალში მკვიდრდება შემდრკალი: **შემდრკალი** გახვედა  
(ლიტ. საქ., 27.IV.1979, გვ. 4).



აქვე შემოვა რამდენიმე ი- პრეფიქსიანი ვნებითისა და ოპი-  
რიანი უნიშნო ვნებითის მიმღებებიც იმ მიზეზით, **ეროვნული**  
წარმოება ზემოაღწერილ ყალიბებში თავსდება — **გვსვლენა** **რო-**  
გორც [1] პრეფიქს-სუფიქსური (სასუბიექტო), ისე [2] მისი პარა-  
ლელური, ოდენსუფიქსური წარმოება:

1. დამწუარ<sup>4</sup> იყო (ლევიტ. 128 (10), 16); იყოს... შემწუარ  
(ესაია. 178, (9), 19); შემწუარ (ხარ) (ანტიოქ. 137,  
4—5) (მდრ. ახ.: შეწული, შეწვავს ფორმიდან); მგბარ  
არს (ნოველ. II. 53, 6); შემგბრითა (ნოველ. I. 3, 24,  
13. A); შემშთვარნი (ხრონოლრ. 161, 14); დამშდვრისა  
(მრავალთ. 292, 18).
2. მიმწუთარ არს (გ. მთაწმ. 139, 24—25); მიწუთომილ ხარ  
(წ:მიწუდომილ||მიწდომილ) (ბალავარ. 30, 27—28. ო);  
მიწდომილ ვართ (გ. მთაწმ. 137, 13); დამხუდარ იყო  
(ხრონოლრ. 20, 20); დახუდომილ ვიყო (მოქც. 119, 27.  
ო); დახდომილიყვნეს (ქრონიკ. 330, 14).

მასდარი უჩანს ამოსავლად რიგ მიმღებებს, რომელთაც პა-  
რალელური სასუბიექტო („მთბარ“ ტიპის) მიმღება არასოდეს  
ჰქონია:

შთავრდომილ (ჭილ-ეტრ. 80, 6), განვრდომილ (პავლ.  
239, 4. CD), დავრდომილ (კიმ. I. 281, 29—30), შევრ-  
დომილ (კიმ. I. 11, 2), გარდამოვრდომილ (სინ. 250, 24),  
შეწყუდომილ (მოდრეკ. 504, 4), შეწყდომილ (ჭილ-  
ეტრ. 107, 3—4) (მდრ. ახ. შემწყვდელ); განრდომილ  
(ანასტ. 31, 6), განვრცდომილ (პავლ. 187, 11—12).

ძველი და ახალი ენობრივი მონაცემების გათვალისწინება ამ  
ორი მიმღებური წარმოების ურთიერთმიმართების საკითხს წარ-  
მოშობს:

1. აშკარაა, რომ მიმღებობის ეს ორი ტიპი არსებით ფუნქციურ  
სხვაობას არ გვიჩვენებს, განსხვავება მხოლოდ წარმოების ყალიბ-  
შია: ერთი სასუბიექტო მიმღებობის ყალიბს მისდევს (მ—არ პრე-  
ფიქს-სუფიქსით), მეორე — საობიექტოსას (-ილ სუფიქსით);

4. ქ. ლომთათიძე აღადგენს ამ ზმნის სავარაუდო პირვანდელ ფორმას: **წვების**  
[134, 78].

2. ენობრივი მასალები იმას გვიჩვენებს, რომ მიმღეობის მეორე (სუფიქსური) ტიპი უკვე ძველ ქართულში თმობს პოზიციებს, ისტორიულად მისი დაკარგვა აშკარაა. ამდენად, ან უნდა დავუშვათ, რომ ქრონოლოგიურად ის უსწრებდა პრეფიქს-სუფიქსურ ტიპს, ანდა მათი ფუნქციური იდენტობაა ისტორიულად გამოსარიცხი (ზომ არ იყო მათ შორის სასუბიექტო და საობიექტო მიმართება უფრო მკვეთრი?). ამ მხრივ საგულისხმოა ზოგიერთი ენობრივი მონაცემი:

3. ძველ ქართულში არსებობდა უგვარო დინამიკური ზმნა „**გან/ზრქების**“, რომელიც გვაძლევდა მიმღეობას „**განზრქომილი**“: ვიცი მე გული შენი **განზრქომილი** (სინ. 174, 14), (იგივე: ეკლესიასტ. 6, 26). ეს ზმნა ისტორიულად დონიან ვნებითად იქცა — „გასქელდება“, ხოლო მიმღეობა, შესაბამისად, მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძეს ეყრდნობა — „**გასქელებული**“. პრეფიქს-სუფიქსური მიმღეობა (\***განმზრქალი**) არ დასტურდება, ჩანს, ვერ მოასწრო ჩამოყალიბება.

4. უარყოფითი მიმღეობები დადებითისაგან უ—ელ პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება. საგულისხმოა, რომ ქართულში ბუნებრივი არაა პრეფიქს-სუფიქსური მიმღეობისაგან ნაწარმოები უარყოფითი მიმღეობები; გვაქვს: **დაუდგრომელი, გაუთბობელი, შეუკრთომელი, დაუშრომელი...** (მაგრამ არა: **დაუმდგარი, გაუმთბარი** და მისთ.):

მიუწდომელ (კიმ. I. 178, 29), დაუჭდომელ (კიმ. I. 232, 10), დაუჭკნობელი||დაუჭკნომელი (კულზმ. 64, 2), დაუჭნომელი (ეპისტ. 22, 4. ო<sup>1</sup>).

„ვეფხისტყაოსნის“ **დაუმჭნარი** [132, 4; 393, 4] პოეტურ ლიცენციად (ინოვაციად) უნდა მივიჩნიოთ.

5. როგორც მოსალოდნელი იყო, უგვარო დინამიკური ზმნების დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები საბოლოოდ პრეფიქს-სუფიქსური მიმღეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა (**გამთბარა, დამრჩალიყო...**). მიმღეობის არქაული წარმოება დიალექტებშილა იჩენს თავს (შდრ. ინგილოური: **დარჩომილხარ** ა<sup>1</sup> — 136, 28).

6. ახალ ქართულში გავრცელებული — „**ჯდომელა, დგომელა...**“ შეიძლება ძველი მიმღეობის დიალექტური ვარიანტები იყოს.

§ 25. მიმღეობის ფუძის საკითხი. როგორც ვნახეთ, პირველა სახის (ოდენსუფიქსურ) მიმღეობათა ძირითად მასივში ამოსავლად

გარდამავალი ზმნის აწმყოს ფუძე იმდენად აშკარაა, რომ ამას მტკიცება აღარ სჭირდება. მაგრამ მიმღეობათა ნაწილში ისეთი ფუძეა წარმოდგენილი, რომლის შესაბამისი ზმნური ფორმა საძებარიც არაა. მაგალითად, -ვ-ილ დაბოლოებიან ზოგ ზმნაში (დაფუძნვილ, დალბოლვილ...) თუ აწმყოს ფუძე ბუნებრივია, ზოგან ის უცნაურად გამოიყურება: დაფუძნვილ, დალბოლვილ, შეშუოთვილ, ურვილ, განკუთნვილ, გბოლვილ, შეტყუბვილ, შეუღლვილ (შდრ. ხევს.: დაუღლავს [ხარბს])... მაგრამ მოყვანილ ნიმუშებს შევადაროთ: „აჰა ესერა კრავი ღმრთისაჲ, რომელი მოსპოლავს ცოდვათა სოფლისათა (სინ. 207, 26), რომლის ფონზე შეუძლებელი არ ჩანს: დაფუძნავს, დალბოლავს...

განსაკუთრებით გაურკვეველია მდგომარეობა ისეთ მიმღეობებში, რომელთაც ფუძედ მასდარი უჩანთ (ეს, კერძოდ, მეორე ჯგუფის მიმღეობებზე ითქმის). ზოგჯერ ასეთ მიმღეობათა ფუძის ანალიზი შესაძლებელია, რამდენადაც შესაბამის გარდამავალ ზმნათა აწმყოს ფუძე მასდარისთვისაც ამოსავალია: დაბრმობილ, დადნობილ, დატკობილ, დაჭნობილ, დატფობილ, დაშრეტილ, შედრეკილ... მაგრამ უმეტესად ანალიზის საბოლოო საფეხური მასდარია: განკრთომილ, შრომილ, დაცხრომილ, ძლომილ, შეცთომილ, დაშთომილ, აღდგომილ, შთავრდომილ, დაჯდომილ, დადგომილ... ამავე რიგში შემოვა პირველ ჯგუფში დამოწმებულთაგან: წარყოლილ, დაწოლილ, ბრძოლილ...

ამ შემთხვევებში თვით მასდარის ფუძის ანალიზის საკითხი დგება. მათში ვლინდება გარდამავალ ზმნათა სუფიქსები: -ემ, -ან... ე. ი. მათ წარმომავლობასაც გარდამავალ ზმნებთან მიყვავართ [137, 513—17; 1, 106].

საგულისხმოა, რომ ზოგ მიმღეობას კატეგორიული წარმოების ფორმებს გარდა არ მოეპოვება შესაბამისი გარდამავალი ზმნა (წარყოლილ — წარაყოლებს...), ზოგ მიმღეობასაც სხვა ფუძე ცვლის ზმნურ წარმოებაში (აღდგომილ, დაჯდომილ, დაწოლილ, დაშთომილ, შეცთომილ...). ეს ფუძეები სხვადასხვა დონის წარმონაქმნებია, ამიტომაც გვაქვს მიმღეობის წარმოების არასტაბალურობა (აღდგომილ||აღდგენილ, დაშთომილ||დაშთენილ...). ზოგჯერ მასდარის სუფიქსი ზმნური მაწარმოებლის ვარიანტად გვევლინება:





**ბრძ-ოლ-ილ**, ძველ ქართულში ჩვეულებრივია **ჰბრძვ-ან-ან**. მიმღეობის ფუძეთა მონაცვლეობისათვის საგულისხმო ნიმუშია აგრეთვე: და ესენი არა **შედგამულ** არიან კორცთა ჩუენთა, ვითარ-იგი **შედგამულ** არიან მვეცთა საქურველნი მათნი გუამთა შინა მათთა. (ბორივეგან: **შედგამილ**) (კაცის აგებ. 153, 27—28), (შდრ. 137, 516).

საყურადღებოა ერთეულ მიმღეობათა პარალელური ფორმების არსებობის შესაძლებლობა: **დაცხრომილ — დაცხრობილ, დაჭნომილ — დაჭნობილ, მოსპოლვილ — მოსპობილ, დალპოლვილ — დალპობილ, გბოლვილ — გბობილ...** ეს ხაზს უნდა უსვამდეს **ობ||ომ||ოლ** მაწარმოებელთა სიახლოვეს, კერძოდ, გარდამავლობასთან მათ კავშირს (შდრ. არნ. ჩიქობავას დასახ. წერილი). შესაძლებელია შემდეგ სხვადასხვა წარმოება სხვადასხვა ზმნურ ფორმას დაუკავშირდა და სემანტიკურად გაითიშა: **ცხრების — დაცხრომილ, აცხრობს — დაცხრობილ**. ამასთან, პირველი აბსოლუტურ ზმნას ეკუთვნის და უფრო ახლოა სასუბიექტო მიმღეობასთან: **დაცხრომილ** (რაც **დაცხრა**), შდრ. **დაცხრობილ** (რაც **დააცხრეს**). აქ უნდა იყოს წარმოშობით სასუბიექტო მიმღეობის დამკვიდრების მიზეზიც უგვარო დინამიკურ ზმნებში (**დამცხრალ**). ზოგჯერ აღწერილი პარალელიზმი მასდარებშიც იჩენს თავს: ... და მოუტრნე მარტოდ **დაშთობისათჳს** მისისა... (სერგი და ბაქოზ. 88, 8. ქვ.). საერთოდ ეს საკითხები რთულია, ენის უღრმეს ფენებში მიდის და საფუძვლიანი კვლევა სჭირდება.

საინტერესოა მიმღეობათა ფუძის შედარება გარდამავალი ზმნის თურმეობითი I-ის ასევე აწმყოს ფუძესთან. პირველი ჯგუფის (სუფიქსური) მიმღეობები და თურმეობითი I ფუძის მხრივ ძირითად ხაზებში ერთმანეთს მისდევენ — აწმყოდან ამოდიან. მეორე ჯგუფის მიმღეობათა ფუძე შესაბამის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითთანაც განზე დგას.

საგულისხმოა ერთი გარემოება: იქ, სადაც I თურმეობითის ფუძეში უძველესი პლასტებია დაცული ნამყო-ხოლმეობითის ფუძის სახით, მიმღეობა ყველგან აწმყოს ფუძეს გვიჩვენებს: **განუგიეს — განგებულ, მოგიგიეს — მოგებულ, მიწყიეს — დაწყებულ, აულია — აღებულ, დამიმცნია — დამცნობილ, დამიკლია — დაკლებულ, აგვგია — აგებულ, აღუგზნიეს — აღგზნებულ...** მნიშვნელო-

ვანი ფაქტებია, მაგრამ ამით იმის ვარაუდი მაინც გაძნელებულა, რომ წარმოშობით I თურმეობითი უსწრებს საობიექტო მიმღებებს.

ამგვარად, აწმყოს ფუძე დადასტურდა ამოსავლად გარდაუვალი ვალ ზმნათა I თურმეობითის ძირითად ნაწილში, გარდაუვალი რელატიური ზმნების მთელი III ჯგუფის სინთეზური წარმოების საყრდენად და აბსოლუტურ ზმნათა ანალიზური ფორმების მიმღებების ფუძედ. ეს საგულისხმო ჩვენებაა ნაკვეთულთა ჩამოყალიბების ისტორიისათვის: III ჯგუფი სამივესთვის ახალია; მათ შორის ყველაზე ახალი — აბსოლუტური ზმნებისათვის, შემდეგ — რელატიურ-გარდაუვალი ზმნებისათვის, ხოლო უფრო ძველი — გარდაუვალი ზმნებისათვის. ამ უკანასკნელთა ნამყო-ხოლომეობითზე დაყრდნობილი წარმოება კი ისტორიის სიღრმეში მიდის.

§ 26. ანალიზური წარმოების ფორმირების ისტორიული სურათი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური ზმნების დროკილოთა III ჯგუფის ფორმები ძველ ქართულ ენაში ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესშია, მათი და შედგენილი შემასმენლის დიფერენციაცია ხელშესახებია. ეს დიფერენციაცია წარიმართა უფრო შედგენილი შემასმენლის ჩამოყალიბების გზით, ვიდრე ანალიზური ფორმებისა: ანალიზურ ფორმებში მზამზარეული მეშველი ზმნა შეუკავშირდა მზამზარეულ მიმღეობის ფუძეს, ხოლო შედგენილ შემასმენელში საჭირო გახდა მიმღეობის სინტაქსური ურთიერთობის შესაბამისად გაფორმება. ეს ისე არ უნდა გაცვაოთ, თითქოს შედგენილი შემასმენელი გამოეყო ანალიზურ ფორმებს. არა, ანალიზურმა ნაკვეთებმა შედგენილი შემასმენლის მზამზარეული ფორმები გამოიყენა, როგორც უფრო შესაბამისი მისი ბუნებისათვის, ხოლო შედგენილ შემასმენელს ენამ უკვე სხვა გზა მოუხანა ფორმირებისათვის — გზა სინტაქსურ ურთიერთობათა განვითარებისა. სხვა საკითხია, რატომ იყო პირვანდელ შედგენილ შემასმენელში მიმღეობა გაუფორმებელი (და, საერთოდ, რატომ იყო მეშველზმნიან ფორმებში სახელური ნაწილი უმეტესად ფუძის ფორმით)?

მაშ, ერთი მხრივ ჩამოყალიბდა ანალიზური ფორმის მყარი თანმიმდევრობა:

ამდგარ ვარ      ამდგარ ვართ  
ამდგარ ხარ      ამდგარ ხართ  
ამდგარ არს      ამდგარ არიან ამდგარ იყო ამდგარ იყოს...  
მეორე მხრივ, შედგენილი შემასმენლის არამყარი შექოთება:



ამდგარი ვარ      ამდგარნი ვართ  
ამდგარი გხარ      ამდგარნი ხართ  
ამდგარი არს      ამდგარნი არიან ამდგარი იყო ამდგარი იყოს...

შედგენილ შემასმენელში ძველ ქართულშივეა დაწყებული აწმყოს III პირის მეშველი ზმნის გამარტივება (ამდგარ-ი-ა). მრავლობითობის შემთხვევაში შერწყმული მეშველი ზმნა მხოლოდითი ფორმის შეკვეცილი სახით წარმოსდგება, რამდენადაც მრავლობითობა მიმღეობაშია უკვე ასახული (ამდგარ-ნ-ი-ა). პირვანდელი ვითარება აღდგება გათიშვისას ან მიმღევრობის შეცვლისას: არის ამდგარი, არიან ამდგარნი.

ანალიზურმა ნაკვთებმა ისტორიულად შემდეგი „მორფოლოგიზაცია“ განიცადა. პირველად ეს შეეხო I თურმეობითის III პირს, რაც მხოლოდობითში უკვე ძველ ქართულშია დაწყებული — მეშველი ზმნები მორფემებამდე გამარტივდა (არს→ა, არიან→ან). ეს მეშველ ზმნათა ლექსიკური მნიშვნელობის სრულ დაკარგვას მოასწავებს. მეშველი ზმნა მთლიანად ითავსებს მორფოლოგიურ ფუნქციებს; ხოლო მიმღეობა ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია, მისი მორფოლოგიური ნიშნები უგულვებელყოფილია. ეს არის ანალიზური წარმოების ფორმირების არსებითი პირობა.

„მორფოლოგიზაციის“ პროცესმა III ჯგუფის ნაკვთებში ისტორიულად შემდეგი ასახვა პოვა. I—II პირში პირის ფორმანტი მიმღეობის (resp. ანალიზური ფორმის) წინ გადმოვიდა. ერთი გარემოება გვაძლევს, რომ პირის ნიშნის „გადმოსვლაზე“ კი არ ვილაპარაკოთ, არამედ „გაჩენაზე“; ესაა ორმაგი პირის ნიშნის დაცვა I თურმეობითში: ა-ვ-მდგარ-ვ-არ (შდრ.: ა-ვ-მდგარ-იყავ). მაგრამ ამ განკერძოებულ შემთხვევას თავისი ახსნა აქვს: ა-ვ-მდგარ-ვ-არ ფორმაში მეშველ ზმნასთან I პირის მეორე ნიშნის დაცვა იმას უნდა მივაწეროთ, რომ აწმყო დროის მეშველი ზმნა II პირში წარმოადგენს გაქვავებულ ხანმეტ ფორმას (ხარ), რაც ხელს უშლის

„არ“ ფუძის დამოუკიდებლად (უბირისნიშნოდ) გამოვლენას, როგორც ეს მოხდა „იყავ“ ფორმაში. ამ გარემოებამ მოგვცა რომელი სუფიქსაცია.



I თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი      II თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი      III კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

ა-ვ-მდგარ-ვ-არ	(-თ)	ა-ვ-მდგარ-იყავ	(-ი-თ)	ა-ვ-მდგარ-იყო	(-თ)
ა-მდგარ-ხ-არ	(-თ)	ა-მდგარ-იყავ	(-ი-თ)	ა-მდგარ-იყო	(-თ)
ა-მდგარ-ა	(-ან)	ა-მდგარ-იყო	(იყვნეს    იყვნენ)	ა-მდგარ-იყოს	(იყვნენ    იყონ)

(96, 211-213].

აბსოლუტურ ზმნათა მეშველზმნიანი (ანალიზური) წარმოება ნიშანდობლივია სვანურისა და მეგრულისთვისაც ქართულთან მნიშვნელოვანი სიახლოვით. ასეთი სიახლოვე შესაძლებელია წარმომდგარიყო როგორც დამოუკიდებელი განვითარებით, ისე ისტორიული ურთიერთგავლენით. არც ერთი მომენტი გამოსარიცხი არაა [მასალისათვის იხ.: 57, 204—207; 59, 90—91, 86, 101].

### III ჯგუფის ნაკვთების ფუნქციური ანალიზი

§ 27. „თურ/მ/მ“ ნაწილაკი და „თურმეობითობის“ საკითხი დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებში. უნახაობა, თურმეობითობა (заочность, неочевидность) სამსავე ქართველურ ენაში გადმოიცემა ძირითადად დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმებით, მაგრამ მას ვერ მივიჩნევთ მორფოლოგიურ კატეგორიად, რადგან საკუთარი ნიშანი არა აქვს, ის არის ძირითადად პერფექტული დროების ერთ-ერთი ფუნქცია — თანაფუნქცია.

უნახაობა მრავალ სხვადასხვა ჯგუფის ენაშია გამოხატული (რომანულ, სლავურ, ფინურ-უნგრულ, ბალტიისპირულ, თურქულ, იბერიულ-კავკასიურ და სხვა ენებში), ზოგში — როგორც მორფოლოგიური კატეგორია, ზოგში — როგორც ფუნქციური, უპირატესად პერფექტის თანაფუნქცია. ასეა, მაგალითად, ბულგარულში [118, 122—123], სომხურში [138, 62] და სხვა. ეს მოვლენა განსაკუთრებით კარგადაა აღწერილი ფინურ-უნგრულ ენებში, სადაც უნახაობა აშკარად პერფექტიდან განვითარებული ფუნქციაა და, როგორც ქართულში, უნახავით სახელდებული ნაკვთები უნახაობას ყოველთვის არც გამოხატავენ, ამიტომ ნაკვთის სახელწოდებაში „უნახაობის“ შეტანა ხშირად არცაა მართებული [139, 59, 63, 66, 118—120, 160—162].

პერფექტის ბაზაზე უნახაობის მოდალობის აღმოცენება, რაც დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ენებში, კანონზომიერი ფაქტი ჩანს, ის ერთგვარი ენობრივი უნივერსალია. როგორც აღინიშნება, პერფექტი გულისხმობს მოქმედებისა და მოქმედების შედეგის ერთად წარმოდგენას, თანაარსებობას. პერფექტი ნახულია, როცა

მოსაუბრე როგორც მოქმედების, ისე შედეგის მოწმეა. მაგრამ, როცა მოქმედებაზე წარმოდგენა იქმნება აპოსტერიორულად — ნისგან დატოვებული კვალის, შედეგის მიხედვით, პერფექტიული ფორმის. უნახაობა მოქმედების პროცესთან დაუსწრებლად უნახაობაში იგი ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია.


ამდენად, აშკარაა, რომ უნახაობა, თურმეობითობა პერფექტიული მნიშვნელობის ნაყარია, ამ უკანასკნელის თანაფუნქციაა და ტერმინოლოგიურად ის ზუსტი ვერ იქნება. როცა სახელებების ორიენტირად ზმნური ფუნქციაა აღებული, უფრო მართებულია ტერმინოლოგია ასახავდეს უფრო ძირითად, ამოსავალ ფუნქციას.

იბერიულ-კავკასიურ ენათა უმეტესობაში უნახაობის მნიშვნელობა გადმოცემულია. აფხაზურ [140, 222] და აბაზურ [43, 182, 188, 203] ენებში თურმეობითის ცალკე ნაკვთებია გამოყოფილი, თუმცა აღნიშნულია, რომ ამ ენებში „თურმეობითი საერთოდ ახალი წარმონაქმნი ჩანს“ [140, იქვე]. თურმეობითები წარმოდგენილია ქისტური ჯგუფის ენებშიც, ძირითადად ანალიზური წარმოების ფორმებში [141, 327—342]. ასევე ბოთლახურში [123, 114—117]. ზოგ ენაში თურმეობითობას, უნახაობას ნაწილაკი გადმოცემს. ასეა ხუნძურში (ენკლიტიკური „-ილა“ ნაწილაკი) [119, 324—325], ბავალურში („-აღე“) [122, 159], ანდიურში („-ლ'ო-დი“, „-ლო-დი“, „-გო-დი“; სახელსაც შეიძლება ერთვოდეს) [142, 288—289], უდურში („ბურმი“) [124, 233; 143, 123]. მნიშვნელობით ყველა ეს ნაწილაკი უდრის „თურმეს“. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ენებში, სადაც თურმეობითობის გადმოცემა ნაწილაკები ფუნქციონირებს, თურმეობითის ნაკვთები ხშირად აღარაა გამოყოფილი, თუმცა მათი თანაარსებობა გამორიცხული არაა.

ქართულ ენაში ა. შანიძე აქტის სახელით გამოყოფს ნახულისა და უნახავის უღლების კატეგორიას. როგორც ახალ, ისე ძველ ქართულში უნახავის კატეგორია გულისხმობს I თურმეობითის მწკრივს [30, 211; 64, 68].

მიღებულია, რომ თურმეობითობა არ არის III ჯგუფის დამახასიათებელი ფუნქცია, რიგ შემთხვევებში მას არ შეიცავს I თურმეობითის ფორმაც [1, 99—100].

თურმეობითობისა და თურმეობითი I-ის ფუნქციის საკითხე-



ბი დაწვრილებით აქვს განხილული ივ. ჭავთარაძეს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ „უნახავი მოქმედების გამოსახატავად მისი გამოყენება სრულებითაც არაა ერთადერთი, პირიქით, ეს უფრო გვიანდელი ჩანს, როცა დროის გაგება მასში რამდენადმე დაიხრდებოდა ... რომ ქართულში არა გვაქვს უნახაობის კატეგორიის მორფოლოგიური წარმოების საშუალება, იგი არაა იმგვარად გამოხატული გრამატიკული კატეგორია, როგორადაც დრო, ქცევა და სხვა, რომელთაც მოეპოვებათ სპეციალური მორფემა, აგლუტინაციური ტიპის ქართული ენისათვის შესაფერისი“ [144, 191]. ამ გარემოებას სხვებიც უსვამდნენ ხაზს [47, 17; 45, 87].

ისტორიულად უფრო ნაკლებ საგრძნობია უნახაობის მნიშვნელობა III ჯგუფის ფორმებში.

იმის საბუთად, რომ უნახაობა III ჯგუფის ნაკვთებისათვის არ არის პირვანდელი და დამახასიათებელი ფუნქცია, ქართველურ ენებში ამ ფუნქციის სპეციალური ნაწილაკის არსებობაც გამოდგება. ენა ლექსიკურ საშუალებას მაშინ მიმართავს, როცა მორფოლოგიური საშუალება არა აქვს განვითარებული რაიმე სემანტიკის გადმოსაცემად. ისტორიულად ხოლმეობითის ფორმები გამოვიდა დრო-კილოთა ნაკვთებიდან, მაგრამ ენობრივ ცნობიერებაში მრავალგზისობის გამოხატვის მოთხოვნილება დარჩა და ენამ მიმართა ლექსიკურ საშუალებას — გაიჩინა ნაწილაკი „ხოლმე“. იგივე მდგომარეობაა თურმეობითობასთან, ოღონდ „თურ/მ/ე“ გადავარდნილი მორფოლოგიური კატეგორიის სანაცვლოდ კი არ გაჩენილა, არამედ ენაში უნახაობის გამოხატვის მოთხოვნილებამ, რომელსაც მორფოლოგიური საშუალება არ გააჩნდა, ლექსიკური წარმოშვა. შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ფუნქციის გადმოცემა ჩამოყალიბებულ ფორმებს დაეკისრა: მაგრამ, რამდენადაც ამისათვის განსაკუთრებული ნაკვთი არ შეიქმნა (მორფოლოგიური ნიშანი არ გაჩნდა), ნაწილაკი ენაში დარჩა, როგორც უფრო მოქნილი საშუალება უნახაობის გამოხატვისა. ის ფაქტი, რომ „თურ/მ/ე“ ნაწილაკი უფრო ნაკლები ხმარებისაა, რაც უფრო ისტორიის სიღრმეში მივდივართ, იმას უნდა ასაბუთებდეს, რომ ისტორიულად ენა ნაკლებ მოითხოვდა „თურმეობითობის“ გამოხატვას; ნაწილაკის ხმარების მოხშირებაც და ნაკვეთულების ამ ფუნქციით აღჭურვაც ენაში „თურმეობითობის“ განმტკიცებას უნდა ასახავდეს.

„თურ/მ/ე“ ნაწილაკთან დაკავშირებით აღნიშნულა, რომ ეს ერთვის თხრობითი კილოს ყველა ფორმას, მათ შორის I და II თურმეობითსაც, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელთათვის „თურმეობითობა“ არ არის ძირითადი ფუნქცია [144, 180—183]. როგორც მითითებულია, „თურმე ნაწილაკს ახალ ქართულში ეკისრება უნახაობის (დაუსწრებლობის) მნიშვნელობა მიანიჭოს მასთან ნახმარი ზმნის სათანადო ნაკვეთის ფორმას. ის ამ გრამატიკული კატეგორიის უქონლობის საკომპენსაციო საშუალებაა“ [144, 179].

ნაწილაკი „თურე“ ადრეულ ძეგლებშივე დასტურდება, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იშვიათად (შეიძლება ეს იშვიათობა ნაწილობრივ სალიტერატურო სტილის სპეციფიკითაც იყოს გამოწვეული):

და მოჰკუარეს მას საკედარი და წარვიდა, და ეტყოდა და ჰრქუა წმიდათა მათ: „არა თურე ღირს ვიყავ ლოცვასა თქუენსა“ (ზარზმ. 327, 30) (ეს მაგალითი დამოწმებულია: 145, გვ. 19); ვითარ ეხედავ, მაჰადცა თურე ღმერთი არს (ფილეთ. 96, 22); ... თუ ვითარ ამათ ნათესავთა უქრისტოთა, უსჯულოთა, ესეოდენი მძლავრობაჲ მძლავრობისაჲ და ფართოებაჲ შუებისაჲ დაუპყრის, თურე რაჲმე ფლობაჲ სასოებისაჲ, ანუ სულგრძელებისა ღმრთისაჲ თავს-უდებოეს დათმენად (გობრ. 178, 18—19).

განსაკუთრებით საგულისხმოა ბოლო მაგალითი, სადაც „თურე“ ერთვის თურმეობითი I-ის ფორმას.

„ვეფხისტყაოსანში“ „თურე“-ს ხმარების 17 შემთხვევაა, ერთხელაც დასტურდება „თურ“ ფორმა [746, 2].

ისტორიულად „თურე“ ნაწილაკი გართულდა—თურ-მე, თუმცა საბასთან ჯერ კიდევ „თურე“ ფუნქციონირებს [144, 180].

ივ. ქავთარაძე „თურმე“-ს შლის: „ცხადია, ეს სიტყვა წარმოადგენს კავშირ-ნაწილაკების შეერთებას: თურ-რე → \*თურ-რე-მე → თურმე, ისე, რომ არც ერთი მათგანის მნიშვნელობა მას არა აქვს“ [144, 178—180].

შესაძლებელია უნახაობის ძირითადი მნიშვნელობა -თურ-ში იყოს შენახული. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს დიალექტები და ზოგიც სხვა შემთხვევა.



ხევსურულსა, ფშაურსა და მოხეურ დიალექტებში „თურმე“<sup>1</sup> ფუნქციურ ეკვივალენტად დასტურდება ნაწილაკი „თუ“. ბოლო ორ დიალექტში მისი გამოყენება შედარებით იშვიათია, რამდენადაც მათში „თურმე“ ნაწილაკია უკვე დამკვიდრებული. ხევსურულში „თურმე“ ნაწილაკს არ იცნობს, მაგრამ მას „თუ“-ს გვერდით დამკვიდრებული აქვს სპეციფიკური „ყოფილამ“ ნაწილაკი [ამ საკითხის შესახებ უფრო დაწვრილებით: 146; ანალოგიურ „ყოფილა“ ნაწილაკზე ინგილოურში: 147, 122—123]. ჩვენთვის ამჯერად მთავარია „თუ“ ნაწილაკის მიერ თურმეობითობის გადმოცემის შესაძლებლობა. „თუ“ ნაწილაკის ეს ფუნქცია მინიშნებულია სპეციალურ ლიტერატურაში [148, ლექსიკონი; 108, 114]. შენიშნულია აგრეთვე, რომ „ხევსურულისა და მოხეურის თუ-ს გამოყენება თურმე-ს მნიშვნელობით ახალი არაა...“ [144, 183].

ხ ე ვ ს უ რ უ ლ ი: ეს ქალუნდაურ გუროელი თუ ზის სოფლის ძირში და თხრის ყანაში ხიფხოლას (გაბ. 158, 19—20); სამნ მთხოვარან თუ არიანა' სხენ რიყეში (ჭინჭ. 353, 24—25); ქალის ქმარ თუ იცდის იქავ წყალზე... (გ. დოლ. 46, 25).

ფ შ ა უ რ ი: ... გაუტსნავ და მაჰარ თუ გადმაზდიოდა პირთა-ნითა ი ტიკს (დიალ. 134, 3); ერთ ბებერ თუ არის (დიალ. 136, 4); თუ მიიყვანეს ერთ ციხის კარზედა (დიალ. 138, 24).

მ ო ხ ე უ რ ი: ქალის ძმებმა თუ უთხრეს ღურბელას (დიალ. 43, 8—9).

თანამედროვე ქართულში საერთოდ შეუძლებელი არა ჩანს „თუ“ ნაწილაკის შენაცვლება „თურმე“-სთან. ასეთი შესაძლებლობები ენაში შემთხვევით არ წარმოიშობა, მითუმეტეს, რომ „თუ“ ნაწილაკი რამდენიმე ფუნქციის მატარებელია. ეს მოვლენა რაღაც ნაშთზე მიაწინებს. ასეთი ნიმუშები უთუოდ აღმოჩნდება ქართული ლიტერატურის ძეგლებში. ჩვენ აქ ერთ შემთხვევას დავიმოწმებთ:

... იქ ერთ ბიჭთან ვჭიდაობდი, ხათრს არ მიტეხავდა ისიც... თურმე ამირანი იყო, ძმა ბადრის და უსუპისი. ერთი გოგო მომეწონა — ირმის ჯოგს წველიდა მთაში,

თუ ქალღმერთი დალი იყო, ბრიყვა რა ვიცოდი მა-  
შინ... (შ. ნიშნიანიძე, ცისკარი № 10, 1978 წ. გვ. 12).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ძველი ქართული სწო-  
ვერთი მონაცემი, სადაც „თუ“ „თურმე“-ს ნიუანსს უნდა გად-  
მოსცემდეს:

რამეთუ ესე არს მაღლი ღმრთისაგან: უკუეთუ გონები-  
სათუს კეთილისა დავითმინით, ევნებინ თუ სიცრუვით  
(ეპისტ. 19, 19. ო); სადა არიან კეთილ-მოქმედება, რო-  
მელნი ვქმენ თქუენდა? უდაბნოსა შინა თუ ოდეს გზიო-  
დათ, ღალადებდით თუ ჩემდა მომართ, მეტყუელნი:  
„რაჲსათუს გამოგვყვანენ ჩუენ... (აპოკრ. 321, 17. ო);  
აწ, უფალო, შენითა ნებითა თუ არს სუფევად ძისა მა-  
რიამისი, და თუმცა არა შენგან იყო, არამცა აღადგინე  
იგი მკუდრეთით... (სინ. 241, 37)...

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ „თუ-რე“ ორი ნაწილაკის  
შეერთებას წარმოადგენს, საიდანაც „თუ“ ძირითადი მნიშვნელო-  
ბის მატარებელია. ისტორიულად „თურე“ კიდევ გართულდა ნა-  
წილაკით: თურე+მე→თურმე [144, 179—180; შდრ.: 30, 614].

ქართველური ენებიდან მეგრულს ქართული ნაწილაკი აქვს  
შეთვისებული; ი. ყიფშიძე ლექსიკონში მის სამ ფონეტიკურ ვა-  
რიანტს იმორჩეობს: თურმე||თრუმე||რთუმე [59].

სვანურს საკუთარი ნაწილაკი აქვს, სხვადასხვა ფონეტიკური  
ვარიანტით: ქვსვ. ესრენ, ზსვ. ესნარ, ლხმ. ესნერ „თურმე“. სა-  
გულისხმოა, რომ მისი ხმარებაც შესაძლებელია თურმეობითის  
ზმნურ ფორმებთან: „ესრენ ურწყულ ლემარ ი ეჯლა დემ ლემ-  
ბედვინ“ (= „თურმე უწმინდური ყოფილა და ამისათვის ვერ ნა-  
ბედავა“) [57, 193, აგრეთვე 134—135].

§ 28. თურმეობითი პირველისა და მეორის ძირითადი ფუნქ-  
ციის საკითხები. ნაკეთის ფუნქციონალური ასპექტების კვლევა  
გულისხმობს დასაწყისში მისი ამოსავალი მნიშვნელობის, მისი  
საწყისი ფუნქციის ძიებას. ეს ამოსავალი წერტილი ისტორიულად  
შეიძლება დაჩრდილულიც კი იყოს, მაგრამ სანამ მას არ მივა-  
გნებთ, გაჭირდება ამოვიცნოთ, მნიშვნელობათაგან რომელია ძი-

რითადი (და ძირითადის ნაყარი) და რომელი — დამატებითი (თანაფუნქცია).



როგორც უკვე ვნახეთ, „უნახაობა, თურმეობითობა“ არცნადაა იყოს I—II თურმეობითის ძირითადი, თავდაპირველი და მხოლოდ თო ფუნქცია, პირიქით, თვით მისი ფესვებია საძიებელი. ამ მხრივ „თურმეობითი“, ცხადია, არც ტერმინოლოგიურადაა გამართლებული — ის არ ასახავს ნაკვთის სპეციფიკას.

ძირითადი, რაც I—II თურმეობითის ნაკვთებს ფუნქციურად აერთიანებს, ეს არის შედეგობითობა, რეზულტატიურობა, პერფექტულობა. პერფექტული დროები სხვადასხვა ტიპის ენებშია წარმოდგენილი. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ როგორც ანალიზურ, ისე სინთეზურ ფორმებს. პერფექტული დროები ფართოდაა გავრცელებული ინდო-ევროპულ ენებში. ინდო-ევროპული ენების პერფექტთან ტიპოლოგიურად დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ქართულის ანალიზური წარმოების პერფექტი, მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაობაა თვით ანალიზური წარმოების პრინციპში. პერფექტული დროები ხასიათდება ნამყოში შესრულებული მოქმედებით, ოღონდ, განსხვავებით აორისტული დროებისაგან, პერფექტი წარმოგვიდგენს შესრულებული მოქმედების შემდეგ დატოვებულ შედეგს, რეზულტატს; ნამყოში მომხდარი (შესრულებული) მოქმედება გრძელდება საუბრის მომენტში შედეგის სახით.

ამგვარად, პერფექტულობა უნდა იყოს I—II თურმეობითის (როგორც სინთეზურის, ისე ანალიზურის) საერთო ამოსავალი მნიშვნელობა. რაღა განასხვავებს მათ? შედეგის წარმოდგენის დრო: I თურმეობითით გადმოცემული მოქმედების რეზულტატი აწმყოშია წარმოდგენილი, II თურმეობითით გადმოცემული — ნამყო დროშივე, I თურმეობითი აწმყოს პერფექტია, II თურმეობითი — ნამყოს პერფექტი. ამას გამოხატავს ა. შანიძის დებულებები ძირითად ნაწილში: „პირველი თურმეობითი (ანუ პირველი შედეგობრივი) ისეთი ნამყოა, რომელიც გადმოგვცემს, რომ შედეგი აწმყოში ჩანს... მეორე თურმეობითი ის ნამყო დროა, რომელიც გადმოგვცემს, რომ წინაღ მომხდარი ამბის შედეგი წარსულშივე ჩანდა...“ [28, 124].

პერფექტულობა დასახელებული ნაკვთებისა ადრინდვე იყო

შენიშნული, რაც ტერმინოლოგიაშიც ასახა: I თურმეობითისათვის: давнопрошедшее I-ое (ალ. ცაგარელი), прошедшее совершенное (ნ. მარი), perfectum (გ. დეეტერსი), I результативное (ბ. რუდენკო)... II თურმეობითისათვის: давнопрошедшее II (ალ. ცაგარელი), давнопрошедшее (ნ. მარი), plusquamperfect (გ. დეეტერსი), II результативное, давнопрошедшее, предпрошедшее (ბ. რუდენკო)...

იგივეა მითითებული ინდო-ევროპულ ენებთან შეპირისპირებისას [52, 178—179; 47, 13; 144, 184—185; 45, 87 და 97; 163, 76—83].

3. ფოგტი ქართული ზმნის ნაკვეთელებს ასპექტობრივად უპირისპირებს ერთმანეთს, რომელთაგან III ჯგუფის ფორმებს რეზულტატიურ ასპექტს მიაკუთვნებს (I — დიურატიული, II — მომენტური) [149, 283—284].

ამდენად, ტერმინოლოგიურად „შედგეობითი“ უფრო გამართლებული ჩანს ძირითადი და საერთო მნიშვნელობის თვალსაზრისით. „თურმეობითებს“ ტერმინებად მხოლოდ ტრადიციის ძალით ვტოვებთ.

მაშასადამე: თურმეობითი I-ით გადმოცემული მოქმედება ნამყოფი დროს განეკუთვნება, შედეგი — აწმყოს.

თურმეობითი II-ით გადმოცემული მოქმედებაც ნამყოფი, ოღონდ შედეგიც ნამყოფი დროშია წარმოდგენილი.

თურმეობითი მეორე ამ მხრივ ერთმნიშვნელოვანია (ერთგანზომილებიანი) მოქმედებაც და შედეგიც ნამყოფი, ამიტომ როგორც კონტექსტი, ისე ფორმათშენაცვლება ნამყოს ფარგლებში მიმდინარეობს.

რაც შეეხება თურმეობით პირველს, მასთან შესაძლებელია როგორც ნამყოფი, ისე აწმყოს შეგუება. ნაკვთი ორსავე ამ დროს ითავსებს: მოქმედების მხრივ — ნამყოფი, შედეგის მხრივ — აწმყოს. ვნახოთ ეს ნიმუშების მიხედვით:

1. ფრაზაში, კონტექსტში თურმეობითი I ძირითადად აწმყოფი, აწმყოს ფორმებთან თანაარსებობს, არსებითად შედეგს გაესმის ხაზი:

ამას დღესა აღუღებებს დავითს ქნარი იგი თვისი და გალობს წინაშე ჩემსა (კიმ. I. 187, 33); ... დაღაცათუ შენ

წმიდად შეგიარაცხიეს თავი შენი და უშიშ ხარ მათგან... (წარტყ. იერუს. ი, 9); ... რამეთუ მადლისა რტოა უტრთავს და განგჳყოფს ყოველთავე უხრწნელუბნასა მალლით (სასულიერ. სკა. 56); ... რომელთაგან ჩუენ ვართ მონანი და მკვევალნი ესე ღმრთისანი, რომელთა ქრისტჳ გურწამს, რომელთა კერპნი არად მოგვთუაღვან (სპევს. ელას. მელას. 330, 35); ვაჲ თქუენდა... რამეთუ მოიღებთ ათეულსა პიტნაკისა და ცერეცოლასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი სჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ (მათე. 23, 23); და თავი ჩემი უბიწოდ დამიმარხავს, და ყოვლისავე ბრალისაგან წმიდა ვარ (ანტიოქ. 126, 23); ... რამეთუ ეუწყაცა მისთვის, ვითარმედ დიდძალი მონაგები განუყიდიეს და აქუს მას საფასჳ ფრიადი (ანასტ. 23, 12); ... ძალთა და მფრინველთა არა-სადა უცოდავს და არცა განიკითხვიან (მამ. სწავლ. 306, 26); არცა ერთისა ვისდა შეუპოვნე-ბივარ ღმერთსა, არამედ თვთ მზრდის მე სახიერი იგი (ნოველ. I. 6, 10, 14. A); აწ გვცნობიეს, რამეთუ ეშმაკეულ ხარ... (იოვანე. 8, 72. DE), (C: აწ უწყით).

რეზულტატიურობას უსვამს ხაზს თურმეობით I-თან ან მის ფარდად ხოლმეობითის გამოვლენაც (ამ საკითხების შესახებ მსჯელობა I თავის § 11-ში: ნ||დ, ენ||ედ ფორმანტების შესახებ...):

... ვ-დ მიგიღებიეს შ-ნ კეთილი შ-ნი საწუთროსა და მიიღი აქა სატანჯველი სკ-ნოჲ კეთილთა მ-თ წილ... (ი. ოქრობ. 279, 13 ქვ.); და ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისკმა-გიყოფიეს? (მარკოზ. 8, 21. C), (DE: ვითარ არა გულისკმა-ჰყვით); ამენ გეტყვ თქუენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი (მათე. 6, 2. DE), (C: ... რამეთუ მათგან მიიღიან სასყიდელი მათი).

2. უფრო იშვიათად ფრაზაში, უფრო ხშირად კი რედაქციულ მონაცვლედ I თურმეობითს ეწყვილება ნამყო ძირითადი. ამ შემთხვევაში ხაზი აქვს გასმული ნამყოს მოქმედებას და არა შედეგს:

და ჩ-ნ გურწმენა და გვცნობიეს, რ- შენ ხარ ქ-ე... (იოვანე. 6, 69. DE), (C: და გიცანთ.); არღა გიცნობიეს,

არცა მოიგხენეთ ხუთთა მათ პურთაჲ..? (მათე. 16, 9. DE), (შდრ. C: არლა გულისკმა-გიყოფიეს, არცა გავსოს ხუთი იგი ჯუეზაჲ); ნუთუ ჭეშმარიტად უცნობიეს: მთავართა მათ, ვითარმედ ესე არს ქრისტე იგუნი (იოანე. 7, 26. C), (DE: ცნეს); ... და არცა ელვაჲ მისი გიხილავს (იოვანე. 5, 37. C), (DE: და არცა ხატი მისი იხილეთ); ხოლო ამას უწესოჲ არაჲ უქმნიეს (ლუკა. 23, 41. C), (DE: ხოლო ამან უშჯულოებაჲ არარაჲ ქმნა); მოძღუარ, ესე ყოველი მიყოფიეს სიჭაბუკით ჩემითგან (მარკოზ. 10, 20. C), (DE: ვყავ); გიყოფიეს (მათე. 15, 6. E), (D: ჰყავთ); ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ... (მათე. 16, 11. DE), (C: ვითარ არა გულისკმა — ჰყავთ); დამიტევებიეს თავისა ჩემისა შუდ ათასი კაცი, რომელთა არა მოიდრიკენეს მუცლნი მათნი ბაალის მიმართ (ევთალე. 113, 33), (C: მოუღრეკიან).

„თურმეობითობა“, დამახასიათებელი III ჯგუფისათვის, როგორც ითქვა, ამ ჯგუფის ფორმათა პერფექტულობიდან უნდა განვითარებულებიყო; პერფექტული დროები ყველაზე მეტად ითავსებენ უნახაობას იმდენად, რამდენადაც მოქმედებაზე მისი შედეგით იქმნება წარმოდგენა. შედეგზე ორიენტაცია კი ხშირად გულისხმობს მოქმედების უნახაობას, პროცესთან დაუსწრებლობას. აქ არის „თურმეობითობის“ სათავე. ამიტომაც „თურმეობითობა“ მოსალოდნელია პირველად I თურმეობითის ნაკვეთში ჩასახულიყო, რამდენადაც მასში მოქმედება და შედეგი დროულად მეტადა დაშორებული (ნამყო-აწმყო); ვიდრე თურმეობით II-ში (ორივე ნამყო). თუმცა სხვაგვარი ვარაუდიც შეიძლება: II თურმეობითში მოქმედებაც და შედეგიც დაშორებულია უბნობის მომენტს და უფრო გაუცხოებული, ვიდრე თურმეობით I-ში, სადაც შედეგე წარმოდგენილია უბნობის დროს. ეს ორივე თეორიული მსჯელობაა, რასაც პრაქტიკულად სჭირდება შემაგრება.

ერთიც უნდა აღინიშნოს: ხშირად შეიძლება კონტექსტის მნიშვნელობა ზმნური ფორმის მნიშვნელობად იქნეს გაგებული. ასეთი შემთხვევები ფორმის ფუნქციური ანალიზიდან უნდა გა-

მოირიცხოს. მაგალითად, მინახავს, მსმენია — „ნახული აქტია“, არ მინახავს, არ მსმენია — „უნახავი“. აქ ნახულობა-უნახაობას ქმნის „არ“ ნაწილაკი, ისეთივე მიმართებით, როგორც: ვნახე-უნახე, ვნახე და მისთ.

„არ“ ნაწილაკის თავისებური ფუნქციური ურთიერთობა თურმეობით I-თან მითითებულია (ვერ ვნახე — არ მინახავს) [150, 244]. ჰ. ფენრიხი მას მორფოლოგიურ-სინტაქსურ გადაჯაჭვას უწოდებს [151, 70]. ნამყო დროში „ვერ“ ნაწილაკს „არ“ კატეგორიულობით უპირისპირდება (არ ვნახე), მაგრამ თურმეობით I-ში მას ეს ნიუანსი აღარ გააჩნია. ასეა იმიტომ, რომ თურმეობითი I წარმოდგენილია, როგორც აწმყოს ფორმა (არ მინახავს=არ მაქვს ნანახი). აწმყოში „არ“ ნაწილაკი კატეგორიულობას მოკლებულია. ამგვარად, ეს მოვლენაც ისევ თურმეობითი I-ის „ორპლანიანობით“ იხსნება. შდრ.:

რამეთუ ღმერთსა არა დაუბადებდეს სიკუდილი და არცა უხარის ცხოველთა წარწყმედაჲ (მამ. სწავლ. 164, 24);  
და ნუ ვინ გაცთუნებნ ცუდითა სიტყუთა, ვითარმედ ღმერთსა არა სადა დაუყენებდეს ქორწილი (მამ. სწავლ. 112, 25—26).

I თურმეობითის ფუნქციები დაწვრილებით არის აღწერილი ენათმეცნიერულ ლიტერატურაში (გ. დეეტერსი, ა. შანაძე, არნ. ჩიქობავა, ბ. რუდენკო, დ. გეწაძე, ივ. ქავთარაძე, ნ. ნათაძე, ჰ. ფოგტი, ე. ფეიქრიშვილი...).

შეიძლება ითქვას შემდეგი: თურმეობითი I არის პერფექტული დრო (ნამყოსა და აწმყოს ნიშნებით), ის არის თხრობითი კილოს ფორმა, მისი ძირითადი მნიშვნელობაა რეზულტატიურობა (შედევობითობა), შექმნილი და ისტორიულად განმტკიცებული ფუნქცია (თანაფუნქცია) — უნახაობა, „თურმეობითობა“. თურმეობითი I არის ძირითადად (განსხვავებით II თურმეობითისაგან) პარატაქსული კონსტრუქციის ზმნა, ის არ ქმნის არავითარ განსაკუთრებულ სინტაქსურ შეერთებებს.

აღწერილის გარდა, ყველა მნიშვნელობა (შინაარსი), რომელშიც კი თურმეობითი I იღებს მონაწილეობას, არაა მისი ფუნქცია, არამედ ფრაზის, წინადადების ფუნქცია, ამიტომ უნდა გამოვრიცხოთ ზმნური ნაკეთის ფუნქციათა რიგიდან.



ასე, შეიძლება I თურმეობითიან წინადადებაში გადმოცემული იყოს კითხვითობა სხვადასხვა საშუალებით:

არა გიხილავსა, ძმაო, სახლი ოჯერი და პილატე ეტყოდა მათ: რაა ბოროტი უქმნიეს? (მარკოზ. 15, 14); რაასათუს შემოგყვანების აქა შინა ვერძი ესე... (ლიმ. 23, 29).

„ნუ“ ნაწილაკთან შეერთებით გადმოიცემა ბრძანებითობა. I თურმეობითი, ცხადია, „ნუ“ ნაწილაკს უერთდება, როგორც აწმყოს ფორმა<sup>5</sup>.

ნუ წარპყვები და ნუცა რად შეგირაცხიეს იგი (მამ. სწავლ. 254, 27—28); ძმანო ჩემნო საყუარელნო, ნუმცა რაა აღგვრჩევიეს ცხორებასა ამას ჩუენსა უფროას სიყუარულისა უზაკუველისა (მამ. სწავლ. 206, 3).

ბოლო ფრაზაში გამოვლინდა „მცა“ ნაწილაკი. როგორც შემდეგაც ვნახავთ, -მცა თხრობითი კილოს ნამყოს ფორმებს მოითხოვს, გამოხატავს კავშირებითობას. ამიტომ მომდევნო ფრაზაშიც ბრძანებითობას კავშირებითობა უნდა ედოს საფუძვლად:

და აწმცა დამიძინების და დაყუდეზულ ვარ, დამცამიძინების ძილი საუკუნოჲ და განმისუენების (წარტყ. იერუს. ლმ, 2—3).

კავშირობითის გადმოსაცემად -მცა ნაწილაკთან ბუნებრივია ნამყო სრულისა და უსრულის და თურმეობითი II-ის ფორმები, ხოლო თურმეობითი I მასთან არ დამკვიდრებულა, ცხადია, ისევ აწმყოსთან კავშირის გამო (-მცა ნამყოს მოითხოვდა). ეს მნიშვნელობა გამოყოფილია და ყურადღება მიქცეულია დაწყველის ფორმებზე: წყალს/აც/ წაულია, კისერი/ც/ უტეხისა... [144, 190, აგრეთვე: 152, 59]. ამ გამოთქმებს. ცხადია, ძველ ვითარებასთან აქვს კავშირი; ისინი ნაშთია I თურმეობითის სინტაქსური შესაძლებლობებისა.

I თურმეობითს მნიშვნელობის მხრივ ისტორიულად დიდი ცვლილებები არ განუცდია, როგორც ეს, ვთქვათ, II თურმეობითს მოუვიდა. შესამჩნევია მხოლოდ, რომ ის უფრო მეტად მიეკედლა ნამყო დროს. ამაში, ერთი მხრივ, „თურმეობითობის“ განმტკიცე-

<sup>5</sup> თანამედროვე ქართულში „ნუ“ I თურმეობითთან წარმოდგენილია სწორედ იმ შემთხვევაში, როცა ის აწმყოს გადმოსცემს: „ნუ ავიშვია თავი“ და მისთ.



ბას უნდა ეთამაშა გარკვეული როლი, მეორე მხრივ, ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბებას, მათ გამიჯვნას შედეგენილი შემასმენლის აწმყოს კონსტრუქციისაგან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზურ ფორმებში „თურმეობითობა“ უფრო მეტადაა საგრძნობო, ხანს რომ „თურმეობითობის“ განმტყიცება თანაყვებოდა ანალიზურ ფორმათა ჩამოყალიბებას, ისინი თანადროულობამ შეამტყიცა. ანალიზურ ფორმათა ნაწილობრივი ფუნქციური ანალიზი უკვე იყო წარმოდგენილი ანალიზური წარმოების კრიტერიუმების გამომუშავების დროს [თ. III, § 21].

§ 29. **თურმეობითი მეორის ფუნქციური ანალიზი.** როგორც უკვე აღინიშნა, II თურმეობითიც პერფექტული დროა — ნამყოს პერფექტია. მისი ზოგადი მნიშვნელობითი დახასიათება ასეთი იქნება: ძველ ქართულში თურმეობითი II არის თხრობითი კილოს ფორმა; ის ნამყო დროს განეკუთვნება (მოქმედებითაც და შედეგითაც). პერფექტულობიდან გამომდინარე, მისი ძირითადი მნიშვნელობაა შედეგობითობა (რეზულტატიურობა), შექენილი მნიშვნელობა — უნახაობა. თურმეობითი II არის ძირითადად ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წევრი ნაკვთი, მისი მთავარი ასპარეზია დამოკიდებული წინადადება.

II თურმეობითმა ფუნქციის საკითხში ისტორიულად შესამჩნევი ცვლილებები განიცადა.

რამდენადაც თურმეობითი II ძირითადად ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში ფუნქციონირებს, მისი ფუნქციების აღწერა გულისხმობს ენობრივად შესაძლებელი კონსტრუქციების დაწვრილებით შესწავლას.

ამ მონაკვეთის მიზანია II თურმეობითიანი ზოგიერთი კონსტრუქციის აღწერა და მათი განვითარების ზოგადი ხაზების წარმოდგენა.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ ძველ ქართულისათვის სპეციფიკური ნაწილაკი -**მცა** კავშირებითობას (კონიუნქტივობას) ანიჭებს წინადადებაში შემავალ თხრობითი კილოს ნამყო დროის ფორმებს. მისი ხმარება კავშირებითის ფორმებთან გამორიცხულია [153; 64, 166; 52, 154; 154; 155; 156; 157].

ანალოგიური მოვლენა შეინიშნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც. სვანურში მოქმედებს -მცა-ს ფარდი, კონიუნქტივის მნიშვნელობის მატარებელი ნაწილაკები: -უ/→უ/, ~~ოცა/ოცა/~~ რომლებიც თხრობითი კილოს ფორმებს ერთვის [57, 212]. იტალიურში -ყა ნაწილაკი დაერთვის აორისტის ფორმას და აქცევს კავშირებითად [158, 364].

აღრვევ იყო შენიშნული, რომ ძველ ქართულში ირეალურ პერიოდში (irrealen periode-ს ავტორი უწოდებს არარეალურ დროს, გამოხატულს კონიუნქტივით) წარსული დროას თხრობით კილოს (ნამყო სრულს) ენაცვლება შედეგობითი II (წინარეწარსული, plusquamperfekt). თურმეობითი II-ის კონიუნქტივთან ეკვივალენტურობას მეცნიერი უკავშირებს ახალი ქართული ენის მონაცემებს (როგორც ჩანს, ძველ ქართულში -მცა ნაწილაკის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად) [52, 189—190].

II თურმეობითიანი კონსტრუქციები აღწერილია საენათმეცნიერო ლიტერატურაში [150, 246—247; 47, 15—16; 159, 262—277; 48, 18—22; 152, 60 და სხვა] და გამოტანილია დასკვნა, რომ „-მცა ნაწილაკი და წარსული დროის (წყვეტილის, უწყვეტლის) მწკრივის ზმნა დამოკიდებულ წინადადებაში II თურმეობითის ნაცვლად უნდა ხმარებულყო“, ე. ი. II თურმეობითი ჩანს შენაცვლებული -მცა ნაწილაკიან კონსტრუქციებთან და ის იმთავითვე კონიუნქტივის ფარდად გამოდის [160, 134, აგრეთვე 225—228].

ძველი ქართულის მასალის გათვალისწინებით, ეს დებულება არ ასახავს ენის ისტორიას, არ შეესაბამება რეალურ ვითარებას. ასეთი ვარაუდი ემყარება, ერთი მხრივ, ახალი ქართულის მონაცემებს, მეორე მხრივ, აზრს, რომ თურმეობითი II გვიანი ფორმაციის ნაკვთია და თავიდანვე ვერ იქნებოდა საანალიზო კონსტრუქციებში. მაგრამ ჩვენ ხომ არ ვიცით, არსებობდა თუ არა თურმეობითი II-ის ფორმირებამდე თავისთავად გვიან ჩამოყალიბებული -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციები. რაც შეეხება ახალი ქართულის ვითარებას, თურმეობითი II-ის „გაკონიუნქტივება“ სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება.

ძველ ქართულში თურმეობითი II ძირითად გავრცელებას

პოულობს მიზნის გარემოებითსა (რადთა||რადთამცა) და პირობით (უკუეთუ||უკუეთუმცა, თუმცა) დამოკიდებულ წინადადებაში, ოღონდ თავიდანვე უნდა გაესვას ხაზი, რომ აღნიშნულ კონსტრუქციებში ამ ფორმას არ აკისრია კონიუნქტივის ფუნქცია (როგორც, ვთქვათ, ახალ ქართულში, შდრ. დეეტერსი, ბონდარკო, ერთელიშვილი), იგი გამოდის -მცა ნაწილაკთან ნამყო სრულის მონაცვლედ, როგორც თხრობითი კილოს ნამყო დროის ნაკეთი. კონსტრუქციის მოდელი:

..., რადთამცა ქმნეს||ქმნა;

..., უკუეთუმცა ცნეს||ცნა.

I შე მ თ ხ ვ ე ვ ა: მიზნის გარემოებითი ქვეწყობილი წინადადების მთავარი წინადადება ყოველთვის წარსულდროიანია, ხოლო დამოკიდებული წინადადება იძლევა ორგვარ კონსტრუქციას:

1. რადთამცა + თხრობითის ნამყო დრო: ა) წყვეტილი, ბ) თურმობითი II.

2. რადთა + კავშირებითი (ძირითადად II).

ამათი მონაცვლეობა ზოგჯერ ერთი და იმავე წინადადების ფარგლებში ან რედაქციებს შორის იჩენს თავს:

... და არა უნდა, რადთამცა ამხილა მას, რადთა არა მოწყლას გონებაჲ მისი (იოვ. და ეფთვ. 29, 2); მაშინ ლმობიერ იქმნა სარწმუნოებისათჳს და სურვიელად ისწრაფდა, რადთამცა შეჰრთო მან თავი თჳსისი რიცხუჲსა წმიდათა მოწამეთასა. და ეზიარა იგი ვნებათა მათ მათთა, რადთა მათ თანავე დაიმკუიდროს ცხორებაჲ საუკუნოჲ (ანასტ. 20, 10—12); და მრავალი პატივი წინა-უყვის, რადთამცა ნაცვალი ეზლო (C: იზლო, B: იზლვა) (მამ. სწავლ. 250, 7).

წარმოვადგინოთ ცალ-ცალკე მიზნის გარემოებითი ქვეწყობილი წინადადების მითითებული კონსტრუქციები:

1. ა) „რადთამცა“ კავშირს ზმნა უერთდება ნამყო სრულის ფორმით: აქუნდა ქვები ჰურიათა მათ, რადთამცა დაჰკრიბეს მას (ტბეთ. იოვ. 10, 31); და მოვიდა მისა, რამცა პოვა რად მას შინა (ტბეთ. მარკ. 11, 13); და

ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შა-  
ბათსა კურნებად? **რამთამცა შეასმინეს** იგი (მათე. 12,  
10); ... არამედ ერთი გულის-სიტყუად აქუნდა წმიდათა  
მათ, **რამთამცა ცხონდეს** (ეფრემ /გ/. 52, 12); ილუწიდა  
იგი, **რამთამცა ცოლად შეერთო** თეოდოტე (ანასტ. 27,  
30); და აღიპყრა იგი ზე, **რამთამცა უხეტქნა** ეპიფანეს  
(ცხ. კვპრ. 98, 20); ... განჰკიდა სამოსელი, რომელ და-  
სოვლებულ იყო სიტფოსა შინა ღუემლისასა, **რამთამცა**  
**განაშრო** სამოსელი იგი თვისი (მამ. ცხ. 58, 26); და ვე-  
ძიებდ აღვილსა, **რამთამცა ვიშჰენე** სენაკი (მამ. ცხ. 117,  
30); ხოლო იგი აქა და იქი იხედვიდა, **რამთამცა შეეწია**  
ვინმე (ასურ. 212, 13); და რაჟამს შემწუხზრდა, მოუწო-  
დეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭა-  
მად, **რამთამცა მოიყვანეს** წმიდად შუშანიკცა (შუშანიკ.  
16, 24); ხოლო მსახურთა მათ წარიყვანეს ნეტარი ევს-  
ტათი საპყრობილედ, **რამთამცა აღასრულეს** ბრძანებუ-  
ლი იგი მარზაპნისაჲ მის (ევსტათ. 44, 11—12); ესრეთ  
ყოველსავე მიწყებით ვჰკითხვედი, **რათამცა ვცან...**  
(მოქც. 111, 4); და ეძიებდა ძესა თვისსა ტირიჭანს, **რამ-  
თამცა იხილა** მოკლული (დავით. და ტირიჭ. 189, 43);  
და მიქელისთჳს დიდსა საუცრებასა ცხადად და ფარუ-  
ლად ჰყოფდა, **რამთამცა განიოტა** უდაბნოდ (ხანტო.  
281, 1); და მსწრაფლ შეუდგეს უკუანა მონადირენი  
იგი, **რამთამცა შეაწყუდივნეს** იგინი პარეხსა მას კლი-  
სასა (ასურ. 163, 15. C); აქუნდა საზომი ლერწამი ოქ-  
როსაჲ, **რამთამცა განზომა** იგი (გამოცხ. იოვ. 21, 15).

ორიოდე შემთხვევაში სხვა კავშირია წარმოდგენილი:

ხ<sup>7</sup> იგინი აღივსნეს მანკიერებითა და განიზრახვიდეს  
ურთიერთას, **უკუეთუმცა უყვეს** რამე იესუს (ლუკა.  
6, 11); და ეძიებდეს მას მღდელთ-მოძღუარნი იგი და  
მწიგნობარნი, **ვითარმცა მოკლეს** იგი (ტბეთ. ლუკა. 22,  
2), (შდრ. HIK: **რამთამცა**); და ჰგონებდეს, **ვითარმცა**  
**განკიცხეს** იგი, რამეთუ წიგნი არა ესწავა მას (მამ. ცხ.  
43, 23).

ბ) იმავე კონსტრუქციაში ნამყო სრულის ადგილას გამოდის თურმეობითი II:

... ვითარმცა არა უწყოდა ღმრთეებით უამი აღსასრულ  
ლისაჲ, **რათამცა აწ ოდენ ეცნა** მამისაგან... (გამოცხ.  
იოვ. 22, 6. თ); აჰა საქმე საშინელი და შესაძრწუნვებე-  
ლი, რამეთუ არა ვპოვე ღონე, **რათამცა ნებაჲ გულისა**  
**აღმესრულა** (მოქც. 161, 24); რაჲსათჳს არა დადგერ  
სახლსა შინა, ვიდრე მოსლვად ჩემდამდე, **რათამცა**  
**სრულ-მეყო** პატივი ჩემი შენდამო? (ბალავარ. 91, 14.  
C); გამოაცხადე საქმე ჩემი, რომლისაჲ არღა მინდა გა-  
მოცხადებჲა მისი წინაშე შენსა, **რათამცა** მხიარულად  
**შეგენელა** საქმე შენი... (ბალავარ. 101, 35. C); ... ფრიად  
გულ-კლებულ ვართ, რომელ არა ინებეთ ამას წმიდასა  
და სახელოვანსა მთასა მოსლვად, **რათამცა** თქუენი  
წმიდაჲ ლოცვაჲ **მოგუედო** (იოვ. და ეფთვ. 36, 2); ... რა-  
მეთუ თხელ არს მიწაჲ მის ქუეყანისაჲ და რამეთუ არა  
ფრიად საშურველ, **რათამცა** მუნ მყოფნი **წარედევნ-**  
**ნეს** ვის, და მათ წილ სხუანი ახალნი **დაეშენნეს** (ზღაპრ.  
23, 1. ბ); ხოლო ჩემ შორის არარაჲ პატიოსანთაგანი  
იპოვა, **რათამცა** სულიერი ესე კარავი **შემემკო** (გ.  
მთაწმ. 207, 12); და საანჯმნო ქმნა უდაბნოთა ზედა,  
**რათამცა ჩუენებულ იყო** იგი კაცთათჳს მმარხველად  
გინა მლოცველად (ასურ. 168, 3. 4)...

იშვითად კონსტრუქცია აქაც სხვა კავშირებითაა წარმოდ-  
გენილი:

არა მიხილავს იგი, ვითარმცა მეკითხა, თუ ვერ იყოს  
ესე... (კიმ. I .181, 5); ვაჲ თავსა ჩემსა, რომელ არა  
წინარჳ მოვკუედ, **რომელმცა** ესე არღარა **სმენილ იყო**,  
და არცა კნინ უკუანადსარჳ დავრჩი, **რომელმცა** **მეხილ-**  
**ვა** ნათელი გამობრწყინვებული წარმართთა ზედა...  
(შდრ. 4: რათამცა ჳმად ესე არა **სმენილ იყო** ჩემდა...)  
(მოქც. 129, 5—9. C).

უშუალოდ „... რომელმცა მეხილვა“... ქვეწყობის ტიპი დაე-  
დო საფუძვლად დღევანდელ „... რომ მეხილა||მენახა“... მიზნის  
გარემოებითი დამოკიდებული წინადადების სახეს.

2. განხილულ ორ შემთხვევას უპირისპირდება კავშირებრ-  
თის ნაკვეთების შეერთება -მცა ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილ  
კავშირთან (რაათა||რაათა):

მაშინ შთავიდა სპასიანოს კესარიად, რაათა უმრავლეს-  
სი ბანაკი შემოკრიბოს (კვიპრ. 50, 22); და ჰრისხვიდეს  
მას მრავალნი, რაათა დადუმნეს (მარკოზ. 10, 48 DE);  
... ეძიებდეს იესუმს მოწამეთა, რაათა მოკლან იგი,  
და არა პპობდეს (მარკოზ. 14, 55. DE); და წამს-უყოფ-  
დეს, რომელნი-იგი იყვნეს ერთსა მას ნავსა, რაათა  
მოვიდენ და შეეწინენ მათ (ლუკა. 5, 7); და შევიდეს  
დაბასა სამართელთასა, რაათა მო-რაამე-უმზადონ მას  
(ლუკა. 9, 52); და აღკდა ლედუსულელსა, რაათა იხი-  
ლოს იგი... (ლუკა. 19, 4); ... ზრახვა ყო, რაათა აუწყოს  
და წინა მიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და  
მსახურნი მისნი, რაათა მათ გამო, ვითარცა ერთგული,  
სოფლად შევიდეს (შუშანიკ. 12, 11—12); ევედრა  
ნერსჳ მეფესა მას ჩრდილომასა, რაათა განუტეოს იგი  
მიერ ქუეყანად აფხაზეთისა (აბო. 58, 24—25); და განს-  
ცა იგი სავაჭროდ, რაათა უყიდონ მას სანთელად კე-  
რეონები და საკუმეველი, და წარსცა ყოველთა მათ  
ეკლესიათა ქალაქისათა, რაათა აღანთონ (აბო. 67, 10—  
12); ითხოვეს ხე ებისკოპოსმან და ნინო, რაათა შექმნან  
ჯუარი (მოქც. 86, 12—13); და მისცა თვსთა ჯამლთა სა-  
ბელი, რაათა სარტყლად შეირტყას (ხანცთ. 297, 1—2);  
მას ჟამსა მოეჯენა მამასა მისსა ფიცი იგი, რომლითა  
ფიცებულ იყო დედაჲ მისი იოვანესდა, რაათა არა შე-  
უცვალოს სამოსელი მისი... (A—95. 559, 1—5 '1')...

ანალოგიური მიმართებებია იმავე რაათამცა||რაათა კავში-  
რით დაქვემდებარებულ დამატებით დამოკიდებულ წინადადება-  
ში. წარმოვადგენთ ძირითად ნიმუშებს იმავე თანმიმდევრობით:

1. ა) ევედრებოდეს მას, რაათამცა შეიწყნარნა იგინი და  
შეჭრთნა კრებულსა მისსა (მამ. ცხ. 108, 20); და ევედ-  
რებოდა მას ფრიად, რაათამცა ბრძანა საკრველთა მათ-  
გან განტევებაჲ მისი (შუშანიკ. 22, 14); ... და აიძულე-  
და მას, რაათამცა იგი ხოლო შესუა (შუშანიკ. 17, 3);

უნდა მათ, **რადამცა შეიყვანეს** იგი ნავსა მას (იოვანე. 6, 21); და არა უნდა, **რადამცა აგრძნა** ვინმე (მარკოზ. 7, 24); და შეაჭერებდეს მას, **რადამცა მიჰრიდა და ემალა** (აბო. 63, 13—14); მაშინ შევიდა მისა ივლიანსა და ენება, **რადამცა შეიტკბო** იგი (ანასტ. 26, 36); ... და უნდა, **რადამცა ჰრქუა**, თუ „მტკიცედ დეგ!“ (შუშანიკ. 20, 14); ხოლო იგი ასწავებდა მას, **რადამცა დაუტევა** მოგობად იგი და **იქმნა ქრისტიანე** (შუშანიკ. 23,3); ენება წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს, **რადამცა მართოდ იყოფვოდა** (ასურ. 28, 21. C)...

ბ) ხოლო მან ფრიად აბრალა მათ, რამეთუ არა უწინარეს ჰრქუეს, **რადამცა ეხილა** ადგილი იგი (ასურ. 206, 25); ხოლო ნეტარმან მან ბერმან თუსითა ფიცხელითა შრომითა მარხვისადათა არა თავს-იდვა, **რადამცა** თუსისაგან ხოლო **განეყენა** მვეცი იგი კორცის მჭამელი... (ასურ. 56, 1—2. C); ვინაითგან არა ინებეს წმიდათა მათ ადგილთა მას ზანავისათა, **რადამცა მუნ გუეშენა** უდაბნო და მაღალი, აწ უკუე რად ჰერ-არს ყოფად? (ზარზმ. 327, 36); ... მოვიდა სპარსი იგი და მკურვალედ ევეღრებოდა მას, **რადამცა** საკრველთა მათგან **განეტევა** წმიდად შუშანიკ (შუშანიკ. 17, 18—19)...

2. ... რამეთუ ზაკუვით შეზრახებულ იყო სიარს თანა და განეზრახა, **რა გამოუწოდენ და მოტყუენონ...** (A—397, 444, 11—13); ... და ამცნო მათ, **რადთა** სიყმილითა **მოკლან** იგი (შუშანიკ. 21, 14—16); და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, **რადთა წარიყვანონ** წმიდად შუშანიკ ციხედ, და საპყრობილესა ბნელსა **შეაყენონ** იგი და მოკუდეს (შუშანიკ. 20, 11); ... წესვე იყო, **რადთა ემსგავსოს** იგი ახოვანთა მათ წმიდათა მოწამეთა ორმეოცთა (აბო. 72, 22—73, 1); ხოლო თავადმან ამცნო მათ, **რადთა** არავის **უთხრან** საქმე იგი (ტბეთ. ლუკა. 8, 56); მაშინ დაიდვა გონებასა, **რადთა მოკლას** იგი ზაკუვით (კვიპრ. 58, 25—26); და ბრძანა, **რადთა შეკრიბოს** ყოველი ერი საბრძანებელისა მისისა და მიიწიოს ქუეყა-

ნასა ჰურიასტანისასა და წარწყმიდნეს ყოველნი ჰურიანი (კვიპრ. 50, 9—11)...

II უ ე მ თ ხ ვ ე ვ ა. პირობით დამოკიდებულ წინადადებას მთავართან აერთებს უკუეთუმცა||თუმცა კავშირი. მთავარი წინადადება ასახავს მოსალოდნელ შედეგს, იმას, რაც მოხდებოდა, თუ დამოკიდებულ წინადადებაში მოცემული პირობა იქნებოდა შესრულებული. ახალ ქართულში პირობითი (დამოკიდებული) წინადადება თურმეობითი II-ითაა წარმოდგენილი, ხოლო მთავარი — მყოფადის ხოლმეობითით: „ეს რომ გაკეთებულიყო, ეს მოხდებოდა“. ძველ ქართულში უმთავრეს შემთხვევებში ქვეწყობის ორივე წევრი -მცა ნაწილაკითაა წარმოდგენილი და, შესაბამისად, ზმნა თხრობითი კილოს ნამყო დროის რომელიმე ფორმითაა, უმეტესად თურმეობითი II-ისა და ნამყო სრულის სახით. შეიძლება მათ მონაცვლეობას სხვადასხვა რედაქციებიც გვაძლევდეს:

რამეთუ უკუეთუმცა ეცნა, არამცა იგი უფალი დიდებისაჲ ჭუარს-ეცუა (პავლ. 93, 8. CD), შდრ. AB: უკუეთუმცა იცნეს, არამცა უფალი იგი დიდებისაჲ ჭუარს-აცუეს.

აღწერილ შემთხვევათა გარდა, შესაძლებელია ზმნურ ფორმათა ცვლა ქვეწყობის ორივე წევრში და ვლებულობთ სხვადასხვა კომბინაციებს. ვნახოთ ეს შემთხვევები ცალკეულად:

1. ქვეწყობის ორივე წევრი II თურმეობითითაა წარმოდგენილი:

... და უკუეთუმცა დადუმებულ იყო მარიამ კითხვად, ვინ უწყის თუ ანგელოზსამცა უღებ ეყო გამოცხადებაჲ ყლისაჲ (კიმ. I. 181, 39); უკუეთუმცა არა გული მისი დარჩომილ იყო სოდომს, არამცა უკუნ ეხედნეს ქმრისა მისისაგან ხილვად დაწუჟასა მას... (მამ. სწავლ. 196, 10—11); უკუეთუმცა ეცნა, ვითარმედ იძლევის იობის მიერ მართლისა, არამცა ბრძოლა-ეცა (მამ. სწავლ. 311, 7—8); უკუეთუმცა ესრე წულილად გამოეძია, ჭეშმარიტად ეძლიამცა ბოროტისა მის და დადგრომილ იყო პატივსავე თუსსა (კიმ. I. 179, 8—9); უკუეთუმცა მუნ ყოფილ იყო უფალი, არამცა ეუფლა დაჯდომად (A—1109. 135 [4], 11—13); უკუეთუმცა



მოსეს არა მიესხნეს ცხოვარნი იგი სადგურად, ვერმცა  
 ეხილვა მაყლოანისა მის ხილვად (ნოველ. II. 191, 10);  
 უკუეთუმცა არა უღებ-ეყო მცირედ ჟამსა ჭირისა მათი-  
 სასა, და-მცა-ეფარნეს შინაგანნი შეუნიერებანი მსოფ-  
 ულთანი (სინ. 255, 6—7); რამეთუ უკუეთუმცა არა  
 დაეცვა საფლავი, ეთქუამცა სამე აღდგომაჲ ტყუვილად  
 და მიპარულად (კვიპრ. 46); უკუეთუმცა პირველით-  
 განვე გქონებოდა ესე შიში მეუფეო, არამცა მოწვეწულ  
 იყო შენ ზედა შიში... (ანტიოქ. 103, 24—25); უკუე-  
 თუმცა საპყრობილესა არა შეგეყვანე (C: შეგეყენე),  
 არამედ მყისა შინა მრავალფერითა სატანჯველითა გე-  
 გუმე, მაშინ სამემცა აღგესრულა ნებაჲ მეფისა შენი-  
 საჲ... (გურ. სამონ. და აბიბ. 128, 13—15); უკუეთუმცა  
 ყოფილ იყავ დღეს ქალაქსა, არამცა ვის ეკადრა სამთა  
 კაცთა მიცემად სიკუდილსა ცუდად... (ნიკოლ. 67, 2—3);  
 უკუეთუმცა სჯული იგი მარხვისაჲ დაემარხა, არამცა  
 მოცემულ იყო ჩუენდა ეკლოვანი ესე ქუეყანაჲ (ასურ.  
 30, 17—18. C); შვილო, უკუეთუმცა დაგემარხნეს მცნე-  
 ბანი ჩემნი და აღგესრულნესმცა მუნ დღენი ორმეოცნი,  
 სხუანიმცა უფროჲსნი ხილვანი გეხილნეს (ნოველ. I. 5,  
 9. 27—28); და უკუეთუმცა დაემარხა და ესმინა მცნე-  
 ბაჲ იგი ღ-ჲ ადამს, არამცა გ-მოვრდომილ იყო იგი სა-  
 მოთხისა მისგან, არცამცა მიწვეწულ იყო იგი ეკლო-  
 ვანსა მ-ს ქ-ყსა... (ბოლნ. 4, 25—27); ... თუმცა კუალად  
 უკუდავად დაეზადა, არამცა საზრდელისა მოქენედ შე-  
 ემზადა იგი (ნემეს. 12, 4—5); უკუეთუმცა სიტყუაჲ  
 რამეჲ ჭეშმარიტ ყოფილ იყო თქუმულთა შინა შენთა,  
 არამცა რაჲ ბოროტი შემთხუეულ იყო შენდა (იობ.  
 149, 4/, 12); უკუეთუმცა გულისჯმა-ეყო კაენს, ვითარ-  
 მედ ღმერთი ჰხედავს, არა სამემცა მოეკლა ძმაჲ თვისი  
 აბელ შურითა (მამ. სწავლ. 135, 21—22)...

2. ქვეწყობის ორივე წევრი ნამყო სრულის ფორმითაა წარ-  
 მოდგენილი:

... ხუროჲ თუმცა არა იყო, კაცთამცა ღ-თნი არა ეღგ-  
 ნეს... (კიმ. I, 45, 18—19); და უკუეთუმცა არა უ-

შეამოკლნა დღენი იგი, არამცა ცხოვნდა ყოი ვოროცი-  
ელი (ტბეთ. მარკ. 13, 20); და სთქუთ: უკუეთუმცა ვი-  
ყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ვიყვენით  
მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმე გეტყუენთასა  
(ტბეთ. მათე. 23, 30); უფალო, უკუეთუმცა აქა იყავ,  
არამცა მოკულა ძმაჲ იგი ჩემი (ტბეთ. იოვ. 11, 32);  
უკუეთუმცა არა იყო დაუცხრომელი ბრძოლაჲ წმიდა-  
თაჲ, არამცა მოიგსენეს ბრძოლაჲ იგი სიკუდილად მა-  
რადღე (ხანტო. 257, 22—23)...

3. ქვეწყობის დამოკიდებული წინადადება II თურმრეობი-  
თითაა წარმოდგენილი, მთავარი — ნამყოთი:

და უკუეთუმცა დაემარხა იგი, იყომცა უცოდველ...  
(კიმ. II. 67, 10); ხოლო მცველმან მან მრქუა მე: „ესე-  
ლა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ“ (შღრ.  
BCDEFGHIKL: შემომეტევე) (შუშანიკ. 22,8); უკუე-  
თუმცა გარდასრულ იყავ დღეთა, ვთქუმცა, ვითარმედ  
ჩქურებად აქციე (ფოკა. 36, 10); უკუეთუმცა მაშინ  
ადამს და ევას ემარხა, არამცა საჯმარ იყო აწ ჩუენდა  
მარხვაჲ (მც. სჯულ. 39, 10); და უკუეთუმცა მიმეშუა  
განსაცდელთა და გეჭამამცა ტკბილსა მას თანა მწარე,  
არამცა უმეცარ იყავ სიმწარესა ჳირისასა... (ბალავარ.  
103, 25. C); და უკუეთუმცა არა დამედვა აღთქუმაჲ  
ჩემი შენთანა..., მი-მცა-ვსცენ ვორცინი შენნი დასაწუ-  
ველად (ბალავარ. 8, 38. C); უკუეთუმცა ღმრთეებაჲ  
ვორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთ-  
სა... (ეგსტათ. 38, 21—22); და იყოცა ოდესმე სრულ,  
უკუეთუმცა არა შემთხუევასა მას ბოროტისასა დაებრ-  
კოლა მადლისა მისგან სრულისა (კაცის აგებ. 229, 31);  
და უკუეთუმცა ქვაჲ იგი საკიდური ჩუენ არა ხურო გუ-  
ეჭმნა, დაჯსნილი იგი სახლი ვერ შესაძლებელ იყო აღ-  
შეწებად (სინ. 92, 8); და თუმცა მოწყალებასა მას მის-  
სა არა დაემშუდა იგი, აღ-მცა-ვოცა ბუნებაჲ ესე ჩუენი  
(სინ. 182, 21) უკუეთუმცა არა შეგეჭმნა აპოლონი თქუ-  
ენ, არარაიმცა იყო იგი (კიმ. I. 151, 18); უკუეთუმცა  
საქმენი იგი არა მექმნეს მათ შორის, რომელ სხუამან

არავინ ქმნა, ბრალიმცა არა იყო მათდა... (შდრ. DE: ვქმნენ) (იოვანე 15, 24. C); უკუეთუმცა არა მესწრა შენდა ჟამსა ამას, ვევედრემცა შენთს ღმერთსა (ნოველ. I. 7, 5, 28); და უკუეთუმცა კაცსა არა ვინამცა იყვნეს სულნი? (კაცის აგებ. 142, 21)...

ერთ შემთხვევაში მთავარი წინადადება აწმყოს ფორმითაა წარმოდგენილი: უკუეთუმცა არა დაგუეოვნა, აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის (დაბად. 43, 10).

4. ქვეწყობის მთავარი წინადადება (როგორც -მცა ნაწილაკით. ისე მის გარეშე) უწყვეტლით (resp. მყოფადის ხოლმეობითითაა) წარმოდგენილი, დამოკიდებული წინადადება — II თურმობითით (-მცა ნაწილაკით):

... რამეთუ არა თუმცა პირველად სიტყუაა შემედარა, თარგმანი სიტყუსაა გაირყუნებოდა (მოციქ. ეფრემ. 30, 16); უკუეთუმცა არა შეგუეპყრა ეგე, ერთიცა მათგანი არა დაშთებოდა (ქრისტეფ. 193, 20); ველთა მათთა შთავვარდებოდეთ, უკუეთუმცა წყალობასა ღმრთისასა არა აღეპყრა ველი (გ. მთაწმ. 158, 26); უკუეთუმცა არა ეხილვე შენ აქა, კაცი უცხოჲ. არა წარვიდოდეს აქაით (კიმ. I. 212, 21); უკუეთუმცა მამათაგანსა ვისმე, გინა ჭაბუქსა ეძლო ჩემდა, არამცა ესოდენ ვიუზვოდე... (მარინ. 38, 11); უკუეთუმცა სურვიელად არა აღგუერჩია მოთმინებაჲ სატანჯველთა შენთაჲ..., არამცა ესრჷ სიტყუაჲ-გიგებლით შენ (გურ. სამონ. და აბიბ. 119, 2)...

შესაძლებელი იყო განხილულთა რიგშივე შეგვეტანა დალაცათუმცა||დალათუმცა კავშირით დაქვემდებარებული პირობითი დამოკიდებული წინადადებებიც:

... და დალაცათუმცა არა დაებურა პირი მისი, ვერვე რას იცნობდა მას, რამეთუ დიდითა მით მარხვითა და ჭირითა დამდნარ იყვნეს ჯორცნი მისნი (A—95. 556, 12—18 [2]); დალაცათუმცა ნებაჲ მისი ყოველი აღგუესრულა და ამისა შემდგომად მომცა ჩუენ წამალი სინანულითა (შამ. სწავლ. 177, 10); დალაცათუ წინდი იგი არა მომელო იოსებისაგან, ვითარმცა სიტყუაჲ დავდეჲ კაცის ამის თანა უცხოჲსა... (მრავალთ. 263, 18).





შთა-მცა-ვარდა... (მარკოზ. 9, 42. C); რომლისათვისცა უმჯობეს იყო, უკუეთუმცა ჩუენდავე მოექცია საჯმარ იგი (დიდ. სჯულ. 491, 34); უმჯობეს იყო მათდა, ეცნავე თუმცა არა გზაჲ იგი ჭეშმარიტებისაჲ... (ეპისტ. 26, 21. C<sup>1</sup>); უმჯობეს იყო შენდა, თუმცა წინადაგევცთა ანუ განცოფებულ იყავ... (მრავალთ. 300, 19—20); უმჯობეს იყო შენდა, თუმცა ყოლადვე არა გეხილვა ნათელი ესე ჰაერისა ამის წარმავალისაჲ და არცამცა შერთულ იყავ რიცხუსა ძეთა კაცთასა (მამ. სწავლ. 127, 23—24); უკეთეს იყო მისა, უკუეთუმცა არა შობილ იყო კაცი იგი (მარკოზ. 14, 21) (შდრ. ტბეთ.: ყოფილ იყო); უადვილეს არს მისა, უკუეთუმცა ლოდი ფქვილისაჲ ზედა ეღვა ქედსა და შთავრდომილ იყო ზღუასა (შდრ. C: უადვილესმცა იყო, ქვაჲ ფქვსაჲ დამოეკიდა ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა ზღუასა...) (ლუკა. 17, 2. DE); ჯერ- იყო, გან-თუმცა-გეშოვრნეს, რომელნი-იგი გაშფოთებენ თქუენ (პავლ. 241, 12); დალათუმცა არა პირველვე მეზრძანა შენდა, ჯერ-იყო შენდა მორჩილებაჲ ღმრთისა შენისაჲ... (მამ. სწავლ. 34, 6); ნეტარ თუმცა არა შემეწწავლე... (მამ. სწავლ. 227, 1); მ სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ყოლადვე არა დაბადებულ ვიყავ ქუეყანასა ზედა. მ სულო ჩემო, ნეტარ თუმცა ჰაერთა შინა მფრინვალედ დავებადე ღმერთსა... ნეტარ თუმცა ნადირად დაბადებულ ვიყავ... (მამ. სწავლ. 184, 32—34)...

7. აქ შემოვა ერთი ტიპის წინადადებები, რომლებიც გარკვეულად დაუმთავრებელია, რამდენადაც წარმოდგენილია მხოლოდ რობა ძახილის (ნიშნისმოგების, დანანების) ინტონაციით, ხოლო მთავარი გამოტოვებულია — შესაძლო შედეგი არ ჩანს:

და იტყოდა: უკუეთუმცა გეცნა შენ ღღესა ამას მშუდობაჲ იგი შენი! (ლუკა. 19,42): ჰე, თუმცა არა მოეძაგა უღირსებაჲ ჩემი და წათა მათ და ღირსთა შე-თუმცა-ვრდომილ ვიყავ (კიმ. I. 214, 17); უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: წყალობაჲ მნებაეს და არა მსხუერპლი (მათე. 12,7)...

8. თურმეობითი II შედის რამდენიმე სხვა ტიპის პირობათა-სურ კონსტრუქციაში, რომელთაც ნიმუშების სიმცირის გამო ერთად მოვიყვანთ:

ა) ვითარების გარემოებითი: ...  
ახლად ეწყო მოღუაწებად, ესრეთ ცხონდებოდა (ანტიოქ. 60, 26); მეყსეულად აღდგა მრთელი, ვითარმცა არაა ოდეს შვირვებოდა (ცხ. იოვ. 157, 19); და იყვნეს იგინი, ვითარმცა ყოვლადვე არა ესმინა სიტყუაჲ წიგნთაჲ (მამ. ცხ. 287, 23); და უკუეთუ სადმე იხილის პირისპირ, შეშფოთნის და შეძრწუნდის, ვითარმცა ძვრი ფრიადი შემთხუეულ იყო მის მიერ მისა (მამ. სწავლ. 30, 28—29); და იქმნა კაცი იგი ყოლად მრთელ, ვითარმცა არარაჲ შემთხუეოდა (ნუსხაშია: შეემთხუეოდა) ენებაჲ იგი (ზარზმ. 343, 8); და განიხარეს, ვითარლამცა ღმერთსა მიეყვანნეს მას ადგილსა (მამ. ცხ. 147, 14).

ბ) დამატებითი, ქვემდებარული და სხვა ტიპის ქვეწყობა: ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ექამა პური? (შუშანიკ. 17, 4—5); ... რომელ არცა წარმართთა შორის სახელ-ედების, ვითარმცა მამის ცოლი ვისმე ცოლად ესუა (პავლ. 104, 1); არა მავსოვს, რათამცა განმეკითხა კაცი... (ნოველ. I. 3, 16, 8. A); ... ნუ იყოფინ, თუმცა ჩემ ძლით რაჲ შეჰმთხუოდა ძმასა ამას, არამედ სიტყუსაებრ იაკობ მოციქულისა... (ზარზმ. 338, 1); შემძლებელ იყო რომელმან-იგი უდაბნოს გამოზარდა ერი, აქაცამცა ეცა ჭამადი სულნელი (სინ. 128, 28); რაჲ არს, მამაო დიაკონ, კინი ერთლა შე-მცა-გესუა სასუმელი იგი (მამ. ცხ. 306, 29); და მე ვტიროდე ფრიად, რამეთუ არავინ იბოვა, რომელსამცა განელო წიგნი იგი, ანუშმცა მიეხედნეს მისა (გამოცხ. იოვ. 5, 4); არავინ არს ქუეყანის-მშომელთა შორის, რომელსამცა განეუყვნეს საყოფელნი მათნი (ექქუს. დღ. 85, 11)...

§ 30. თურმეობითი II-ის ფუნქციური დამკვიდრების ისტორიული სურათისათვის. ყოველივე წარმოდგენილიდან შეიძლება რამდენიმე ზოგადი დასკვნის გაკეთება:



1. ძველ ქართულ ენაში თურმეობითი II ფუნქციურად ნამყოფი დროის სხვა ფორმებს უდგას გვერდში — ვლინდება ძველ-მცა ნაწილაკიან ქვეწყობაში. -მცა ნაწილაკი აძლევს სტრუქტურას კავშირობითობას; ამ ნაწილაკის გარეშე წარმოდგენილია კავშირებითის ფორმები.

2. თურმეობითი II-ის ფორმები, როგორც ვნახეთ, ძირითადად მიზნის გარემოებით, დამატებით და პირობით დამოკიდებულ წინადადებებში ფუნქციონირებს, მაგრამ ერთგვარი მდგომარეობა ამ მხრივ მაინც არა გვაქვს: პირველ ორში ძირითადია ნამყოფი სრულის ფორმები, ხოლო თურმეობითი II ამ კონსტრუქციებში, როგორც ქრონოლოგიურად, ისე რაოდენობრივად, დამკვიდრების გზაზე ჩანს. დანარჩენ კონსტრუქციებში მას პოზიციები უფრო განმტკიცებული აქვს. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: პირველ ორ კონსტრუქციაში, როგორც ჩანს, რაათა||რაათამცა კავშირების მონაცვლეობა უფრო თავისუფალია, ვიდრე პირობითში თუ||უკუეთუ||უკუეთუმცა კავშირებისა, შესაბამისად: პირველ შემთხვევაში რაათა+კავშირებითის ფორმების შენაცვლება უფრო ხშირია (რეგულარულია) -მცა ნაწილაკიან ნამყოფი დროის ფორმებთან, ვიდრე მეორე შემთხვევაში. თუმცა ერთეული შემთხვევები ასეთი შენაცვლებისაც გვხვდება:

... უმჯობეს არს უფროჲს მისა, დამო-თუ-მცა-ება საფქვლე ლოდი ყელსა... (შდრ. DE: გამო-თუ-იბას) (მარკოზ. 9, 42. C); უმჯობე არს მისა დამო-თუმცა-ეკიდა... და შთა-მცა-ვარდა... (შდრ. DE: დამო-თუ-იკიდოს... და დაინთქას) (მათე. 18, 6. C); ესე ყოველი მიგცე შენ, უკუეთუ დაჰვარდე და თაყუანის-მცე მე (მათე. 4, 9).

თუმცა შესაძარებელ კონსტრუქციებს შორის სრული შინაარსობრივი პარალელიზმი არ შეიძლება ვიგარაუდოთ. ამას უნდა მივაწეროთ შენაცვლების შემთხვევათა შეზღუდვაც.

3. პირობით-შედევობით წინადადებაში შემავალი მთავარი წინადადების ფორმირების გზა ცნობილია: ისტორიულად ჩამოყალიბებულმა მყოფადის ფორმებმა შეცვალა -მცა ნაწილაკიანი და კავშირებითიანი კონსტრუქციები [161; 64, 166; 98, 393—396; 154; 155]:

... უკუეთუმცა არა შეგუებყრა ეგე, ერთოცა მათგანი არა დაშთებოდა (ქრისტეფ. 193, 20); რამეთუ არა თუმცა პირველად სიტყუაჲ შემედარა, თარგმანის სიტყუაჲ გაირყუნებოდა... (მოციქ., ეფრემ. 30, 16): უკუეთუმცა არა ეხილვე შენ აქა, კაცი უცხოჲ, არა წარვიდოდეს აქათ... (კიმ. I. 212, 21); კელთა მათა შთავვარდებოდეთ, უკუეთუმცა წყალობასა ღმრთისასა არა აღეპყრა კელი (გ. მთაწმ. 158, 26)...

4. -მცა ნაწილაკმა ისტორიულად დაკარგა თავისი ფუნქციები და გადაეარდა. განხილულმა კონსტრუქციებმაც გარკვეული ცვლილებები განიცადა: ზოგი მოიშალა, ზოგმაც მეტი უფლებები მოიპოვა. ამ კონსტრუქციებში ძირითადი მაქვენმდებარებელი კავშირები რაათა||რაათამცა და უკუეთუმ||უკუეთუმცა შეცვალა რომ (←რომელ), იშვილად რათა, თუ რომ კავშირებმა. „რომელ“ კავშირი შუასაუკუნეების სალიტერატურო ქართულში იმკვიდრებს ადგილს [98, 409]. მისი გამოვლენის ფაქტები ძველ ქართულშივე დასტურდება (იხ. ზემოთ [1. ბ.] მოყვანილი ნიმუში: რომელმცა ესე არღარა სმენილ იყო... რომელმცა მეხილვა... მოქც. 129, 5—9. ო; შდრ. 4: რათამცა ვმად ესე არა სმენილ იყო... რომელ არა მეხილვა...).

უკვე ძველი ქართული ენის ძეგლები გვიჩვენებენ -მცა ნაწილაკიანი კონსტრუქციების რყევის მაგალითებს. ეს რყევა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება -მცა ნაწილაკთან მოსალოდნელი დროის ფორმების დაუცველობაში:

ა) -მცა ნაწილაკთან კავშირებითის ფორმების გამოვლენაში და ბ) -მცა ნაწილაკის გარეშე ნამყო დროის ფორმების (ნამყო სრული, II თურმეობითი) გამოყენებაში. ამის ნიმუშები, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დასტურდება:

ა) ... და წმიდამან კრებამან სამართლად და ღირსად განკუთვნეს ივინი, რაათამცა შური იძიეს მის ზედა (კვიპრ. 71, 14); ... მოვიდა სპარსი იგი და მჭურვალედ ევედრებოდა მას, რაათამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაჲ შუშანიკ (HK: განუტევოს) (შუშანიკ. 17, 18—19);

ბ) ... არა შემწედ აქუნდა ლოცვაჲ ტიმოთესი, რათა მძლედ მტერთა გამოეჩინა იგი (ანტიოქ. 136, 15); ... და ინებეს



ერთად პურისა ჭამად, რაათამცა მოიყვანეს წმიდად შუ-  
შანიკა (C: რათა) (შუშანიკ. 16, 24); რამეთუ, უკუეთუ  
დასაბამითგანვე მოკუდაუად შეექმნა იგი ღმერთსა,  
არამცა მცოდნელი სიკუდილითა დაესაჯა (ნემეს. 22,  
2—3); უკუეთუ, ესე ვითარ თქუეს ძმათა შენთა, ვი-  
თარმედ მკეცთა შეგჳამეს შენ, სამოსელომცა ესე ყა-  
მად-ყამად დაეპო მკეცთა მათ (ეფრემ /გ/. 64, 18); და-  
დაცათუ წინდი იგი არა მომელო იოსებისგან, ვითარმცა  
სიტყუად დავდევ კაცისა ამის თანა უცხოასა...?! (მრა-  
ვალთ. 263, 18); და უკუეთუმცა გენება და შეგესუა,  
ესევითარნი ყუავილნი, ორნი ყრმანი, შობად გესხნეს  
(ლიმ. 111, 2).

5. განხილული კონსტრუქციებიდან, „რომ“ კავშირის განმტკი-  
ცების შემდეგ, ქვეწყობის დაქვემდებარებულ წევრებში ისტორიუ-  
ლად პოზიციები განიმტკიცა თურმეობითი II-ის ფორმებმა. ეს  
მდგომარეობა ისტორიულ ლოგიკას არ ექვემდებარება: -მცა ნაწი-  
ლაკის ფუნქციური გადაგვარება რომ არა, მოსალოდნელი იყო  
„რომ“ კავშირთან კავშირებითის ფორმების განმტკიცება, ხოლო  
თურმეობითი II ისტორიულად გულბსხმობს „რომცა“ ტიპის კავ-  
შირის არსებობას. ჩვენ კი მივიღეთ კონსტრუქციები:

ა) წავიდა, რომ ენახა (ძვ. წარვიდა, რაათა ნახოს||რაათამცა  
ნახა||ენახა);

ბ) არ წავიდოდა, რომ ენახა (ძვ. არამცა წარვიდა, უკუეთუმცა  
ნახა||ენახა).

მხოლოდ ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება შევი-  
ტანოთ თურმეობითი II-ის ფორმები კავშირებითი კილოს ჯგუფ-  
ში თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის [150, 246—  
247]. ამდენადვე შეიძლება რამდენიმე დიალექტში (რაჭული, ინგი-  
ლოური, ზემოიმერული) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში კავშირე-  
ბითების განმტკიცება ძველი ვითარების გაგრძელებად მივიჩნიოთ  
[162, 104: 98, 403—404].

ამგვარად, თურმეობითმა II-მ ისტორიულად ცვლამებები  
განიცადა და ფუნქციურად ძველი და ახალი ქართულის თურმეო-  
ბითი II-ის ფორმები ერთად ვერ დადგება. ისტორია ფუნქციური  
გადახრის გრძელ გზას წარმოგვიდგენს.

§ 31. კავშირებითი მესამის ფუნქციები. კავშირებითი III ძველ ქართულში, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ნაკლები გავრცელების ნაკვთია. III კავშირებითი I—II თურმეფობის დროს მიხედვით უპირისპირდება, პირველი ორით თხრობის გამოცემა, მესამით — კავშირებითი. კავშირებითობა ქართულში მორფოლოგიურადაა გამოხატული — საკუთარი მაწარმოებლები აქვს (ა, ო, ე). ა. შანიძის განმარტებით, „კავშირებითია კილო. რომელიც ზმნით აღნიშნულ მოქმედებას ისე წარმოადგენს, რომ იგი არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს, მოხდეს, ან მომხდარიყოს“ [30, 205]. კავშირებითის ფორმების ძირითადი ასპარეზი ჰიპოტაქსური კონსტრუქციაა. როგორც აღნიშნულია, „... აბსტრაქტული ფუნქცია კავშირებითი კილოს ფორმისა — წინადადებათა დაქვემდებარება — იმდენად თვალსაჩინო და საგრძნობია ყოველ ენაში, რომ ევროპელმა გრამატიკოსებმა ამ ძირითადი სახეობის აღმნიშვნელად შემოიღეს ტერმინი *konjunctivus*, რაც ნიშნავს დამაკავშირებელს, დამაქვემდებარებელს, აქედან, ქართული „კავშირებითი“ [98, 380—381].

მიღებულია, რომ კავშირებითი III გამოხატავს წარსულ დროს [30, 205; 98, 399].

კავშირებითის ფორმები (I, II და III) ძველ ქართულში ბევრ ფუნქციას ასრულებენ: თხრობითი კილოს მყოფადისა და ბრძანებითობის გამოცემა; აგრეთვე კავშირობითობის მოდალობებიდან: სურვილის, მისწრაფების, თხოვნის, გაფრთხილების, აკრძალვის [52, 154]; ნატვრით, საეჭვო, სავარაუდო, სავალდებულო, შესაძლო, პირობით [98, 398] და სხვა ნაუხანსების გამოხატვა. ჩვენ მათგან მხოლოდ III კავშირებითის ფუნქციების გამოვლენა გვინტერესებს ძველი ქართულისათვის.

1. III კავშირებითიანი სინტაქსური კონსტრუქციის ძირითადი ტიპი წარმოადგენს თავისებურ პირობით ქვეწყობილ წინადადებას, რომლის დამოკიდებული წინადადება III კავშირებითით გადმოსცემს პირობად დადებულ ისეთ მოქმედებას, რის შესრულებასაც მთავარ წინადადებაში გადმოცემული მოქმედება (შედგვი) უნდამოჰყევს. ეს არის ერთგვარი პირობით-ბრძანებითი წინადადება, რომელიც ორიენტაციას მომავალზე იღებს. III კავშირებითით გა-

მოსახლელი მოქმედება თუ შესრულებული აღმოჩნდება, მაშინ მას ასევე გარკვეული შედეგი უნდა მოჰყვეს. მთავარ წინადადებაში ბრძანებითის, კავშირებითის ფორმებით, „ჯერ-არს“, „თანა-ცდ“ სხვა საშუალებებით გადმოცემულია ბრძანება, სურვილი, ვალდებულება... III კავშირებითიანი დამოკიდებული წინადადება ყველა შემთხვევაში ერთგვაროვანია, ამიტომ ნიმუშების დაჯგუფებას მთავარი წინადადების მიხედვით მოვახდენთ.

ა) მთავარი წინადადება წარმოდგენილია II ბრძანებითის ფორმით:

... და რაოდენი **გაგეტეოს**, ეგდენი თითოჲ დაურთე (ფსალმ. 462, 17); და მზეჲ, რომელსა ეტლსა ზედა **დაგეტეოს** და აკლდეს, ლ-ეულად მთოვარისაჲთა გაასრულე (ფსალმ. 466, 29); ... და რომელთა არა **ესწაოს**, ასწავე (აპოკრ. 83, 23. C); საზრდელი იგი, რომელი **მოგემზადოს** შენ დღისა მისთვის, მისგან ნაწილი უყავ. გლახაკთა (მამ. სწავლ. 25, 2)...

ბ) ბრძანებითობას ემსახურება II კავშირებითის ფორმა:

ნეტარ ხიყვნენ, რომელთა არა **ხუეხილვო** და ხურწმენე (ხანმეტ. ლექც. 62, იოპ. 29); და ყოველსა რომელსა **დაეტეოს** სახლი ანუ ძმანი ანუ დანი... ჩემისა სახელისათუს, ასი წილი მოიღოს მან (მათე. 19, 29) რომელთა **წარ-რაამე-ელოს** ასოთაგანი კაცთაჲსა, წამსა შინა მოსცენ ყოველი (მამ. სწავლ. 211, 27), და რომელთა **ინაჲ-ელგას** ტაბლასა, დაწყნარებულად მიიღებდენ საზრდელსა მათსა (ტიპიკ. 8, 1); და ცოდვაჲცა რაამე თუ **ექმნას**, მი-ვე-ეტეოს მათ (მამ. სწავლ. 174, 17); და ყოველთა ეკიდნენ საქმენი მათნი თითოეულად, რაჲცა ვის **ექმნეს** სოფელსა ამას! (მამ. სწავლ. 93, 22); და ბრწყინვალედ აღსავსე **ტრაპეზი** დაეგოს, რაჲცა ღმერთსა **მოეცეს** (ტიპიკ. 12, 5); ხოლო უკუეთუ **დაეფაროს** მათ, წარიღონ განმზარახთა ყოველი საქონელი მისი (დიდ. სჯულ. 181, 32); უკუეთუ კრავი **მოებას** შესაწირავად მისა, მოართუას იგი წინაშე ღმრთისა (ლევიტ. 115, 7); უკუეთუ სიძვითა ოდენ უქმროთა დედათა თანა ეცო-

დოს, შუდ წელ განიკანონოს, უკუეთუ მრუშებად ექმნას ანუ მამათმავლობად — იე წელ (მც. სჯულ. 100, 16—17); და რადცა დაეკლოს, ეზღვიოს მას და თუ განიკანონოს მონასტრისაგან (ტიპიკ. 36, 5); ეგრეთვე უკუეთუ ბუნებისა გარეგანნი ვის ცოდვანი ექმნენ... და მსწრაფლ მოეწყუდნენ საქმენი იგი და არა დაჰყოვნებოდის მათ შინა..., მან სამი, გინა ოთხი წელი უზიარებლობისა და იმარხოს (მც. სჯულ. 101, 26—31).

გ) მთავარ წინადადებაში შედის უარყოფითი ნაწილაკი: ნუ დასწვები სენაკსა შინა ძმისასა, რომლისა ბოროტი ჰამბავი გესმინოს (ნოველ. II. 126, 2); ... რომელი არა დაგედვას, ნუ აიღებ (ნოველ. II. 22, 6); ხ<sup>რ</sup> უმეტესად დღესა მას, რ<sup>ა</sup>ლსა უამი ეწიროს, ყ<sup>ი</sup>დვემცა ნუ იკადრებენ მეტისა ღვინისა ჰსუმაღ (სჯულის კან. 56, 34)...

დ) ბრძანება, ვალდებულება. აკრძალვა გადმოცემულია „ჯერ-არს“, „თანა-აც“ და მისთ. მოდალური შეერთებებით.

და უკუეთუ ამათგანსა ვისმე მოეხუეჭოს ანუ ცუდად წარეგოს საჯმართაგან ეკლესიისათა, ჯერ-არს, რადთა დაკლებული იგი და შეეჭმული ეკლესიისავე შეუქციოს (ტიპიკ. 26, 5); სამისა საჭმლისაჲ ჯერ-არს ქმნაჲ, გინა ოთხისაჲცა, რადცა ღმერთსა მოენიჭოს (ტიპიკ. 8, 8); ... რამეთუ რომელსა შეეცოდოს და განერისხოს ღმერთი, თანა-აც მას, რადთა განაშოროს თავი თუჲსი შეებათაგან სოფლისათა (ლიმ. 141, 19); და უკუეთუ მიეხუეჭოს ვიეთმე რამე მათგანი შემდგომად სამეუფოთა სჯულთაჲსა, თანა-აც მათ კუალად შექცევაჲ მათი (დიდ. სჯულ. 339, 25); რომელი შემდგომად ნათლასლებისა ორსა ქორწინებასა მოსრულ იყოს ანუ ხარჭი დაესუას, არა ჯელ-ეწიფების ებისკოპოსობისა... (მც. სჯულ. 25, 32—33)...

2. კავშირებითი III მონაწილეობს აგრეთვე რიგ სხვა (დამატებით, გარემოებით, განსაზღვრებით...) ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში, რომელთა მთავარი წინადადება წარმოდგენილია /ა/ აწმყო (resp. მყოფადი) დროის ფორმით, ანდა /ბ/ მყოფადი დროის გადმომცემი კავშირებითის ფორმით:

ა) ... წარავლენს ყოველთავე კეთილად-გონიერებით მსმენელთა, რომელთა იგი ქუე სადმე დაეძვენენ ქუეყანად და ქუეყანის-შინანი (ეკლესიასტ. 5, 3); მიაყვანებდა მას უფალი მისი სავმართა მათ თანა, რომელნი წარავლენენ მას (დიდ. სჯულ. 194, 12. G); და მისცემენ ნაწილსა წმიდისასა მას, რომლისადა ერწმუნოს განსყიდა მისი (შესხმ. ფოკა. 238, 26. B); არამედ დიდ ესე არს, უკუეთუ თავი შენი ყოველთა დაბადებულთა ქუემო კერძო შეგეარაცხოს (ნოველ. II. 214, 13); ხოლო სამი სამადგანი ქერი სახტ არს მათი, რომელთა უძღურებისაგან და შიშისა მდევართაესა ქრისტე უვარ-ეყოს და კუაღად შეენანოს და შეგინებული იგი ხატი ცრემლითა განებანოს (გამოცხ. იოვ. 6, 6. თ); და სულ უკუეთუ, ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდგომად გამოჩნდების... (ქრონიკ. 100, 12); ესე-ვითარნი მწუხარებანი მოიწევიან საშინელნი სულსა ზედა ჟამსა სიკუდილისა მისისასა, უკუეთუ შეცოდებულნი იყოს და შეენანოს (მამ. სწავლ. 140, 28); ხოლო უკუეთუ ეუმეცროს და შემდგომად წინდის მიღებისა შემთხუეულ იყოს მიზეზი, მარტივად მიეცემის (დიდ. სჯულ. 200, 28—30. G); ხოლო უკუეთუ წარედოს იგი, სადა წინასწარ დაეწესოს..., არღარა არს ცხადი მპარავი (დიდ. სჯულ. 176, 25—26); რამეთუ შესრულსა მონასტრად თანა-შეუდგებიან იგინიცა, დაღაუ სიტყვთ არა ეთქუას ესე (დიდ. სჯულ. 191, 30. G)...

ბ) და ვიგლოვდე მრავალთა, წინასწარ შეცოდებულთა მათ, რომელთა არა შეენანოს არა-წმიდებსა მას მათსა ზედა... (ბავლ. 215, 21. AB); ... არღარა მოვიჯსენნე ყოველნი სიმართლენი მისნი, რომელნი ექმნენ (მამ. სწავლ. 119, 12); რამეთუ თითოეული ჰხედვიდეს საქმეთა თვსთა, რომელნი ექმნენ, მის წინაშე მდგომარეთა (მამ. სწავლ. 212, 19); და არცაღა თუ ვინმე იყოს საქმითა და არა მოედოს ბეჭედი იგი სულისადა, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა (სინ. 84, 34); ... ეშმაკთა არღარა ეგრეთ უტეონ, ვითარ-იგი შენ გესმინოს, არამედ შეპ-

მატონ ფრიად... (მამ. სწავლ. 285, 14); და რომელსა იგი თვსთაგან საკმართა ყოველთა ეჯმას, ვითარ განაგებდეს სხვასა მას...? (ტიმოქ. 4, 8)...




ორიენტაციას მთავარ წინადადებაზე იმიტომ ვიღებდით, რომ როგორც ნებელობით (ბრძანებით), ისე სხვა ტიპის მთავარ წინადადებებში დამოკიდებული წინადადებების პირობაზე მიმართებულნი დრო ძირითადად მყოფადია; თვით III კავშირებით გადმოცემული პირობა მყოფადს გულისხმობს. ნამყო დროში შესრულებული მოქმედების შედეგი მყოფადში პირობად უნდა იქნეს წარმოდგენილი. III კავშირებით თავისებურ პერფექტულ დროდ შეიძლება ვცნოთ: მოქმედება — ნამყოში, შედეგი — მყოფადში. ჩვენს მიერ განხილულ წინადადებებში პირობითობა უკავშირდება მყოფადში წარმოდგენილ შედეგს. დროულ (აგრეთვე მოდალურ) მიმართებათა მხრივ ეს კონსტრუქცია არასოდეს ემთხვევა პირობით-შედეგობით წინადადებას, რომელშიც თურმეობითი II ფუნქციონირებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირობა ნამყო დროშია მოცემული, მასზე მითითებული შედეგი ასევე ნამყო დროში შესრულებას გულისხმობს. შევადაროთ ეს კონსტრუქციები:

I. ... რამეთუ არა თუმცა პირველად სიტყუაჲ შემედარა, თარგმანი სიტყუსაჲ გაირყუნებოდა (მოციქ. ეფრემ. 30, 16); და დაღაცათუმცა არა დაებურა პირი მისი, ვერგე რას იცნობდა მას (A—95. 556, 12—18<sup>21</sup>).

II. და სულ უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდეგომად გამოჩნდების (ქრონიკ. 100, 12); არღარა ეყივნოს ქათამსა, ვიდრემდე უვარ-მყო მე სამ გზის (იოვანე. 13, 38).

როგორც მოსალოდნელი იყო, III კავშირებითან -მცა ნაწილაკი არაა წარმოდგენილი. ამ ორი ტიპის კონსტრუქციის დროული და შინაარსობრივი განსხვავება აშკარაა, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თურმეობით II-ს კავშირებითი III არასოდეს შეუცვლია. ამ ორ ნაკვთს განსხვავებული ფუნქციები ჰქონდა, სხვადასხვა კონსტრუქციებში იღებდნენ მონაწილეობას. მათგან II თურმეობითმა ისტორიულად უფრო განიმტკიცა პოზიციები, ხოლო III კავშირებითმა მოცემულ კონსტრუქციებში უფრო დათმო. III კავშირებითს, როგორც ჩანს, ისტორიულად ფუნქციური განმტკიცება არ განუ-

ცდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დიალექტს (რატული, ფერეიდნული). შეიძლება ეს მოვლენაც პირდაპირ კავშირში იყოს მყოფადის ჩამოყალიბებასთან.



**§ 32. მესამე ხოლმეობითი მნიშვნელობა.** III ხოლმეობითი წინარეწარსულის ხოლმეობითია, ის პერფექტულ დროთა ერთ-ერთი ნაკვეთია. თითქოს მოულოდნელია, რომ პერფექტულობა და მორფოლოგიურად გამოხატული პერმანსიულობა თანაარსებობდეს. პერმანსივი მოქმედების განგრძობითობას, უწყვეტობას გულისხმობს, პერფექტულობა — მის დასრულებულობას, წყვეტილობას, შედეგის სახით წარმოდგენას. პერფექტულ ფორმებში მოქმედების შედეგი სტატიკურადაა წარმოდგენილი; შეიძლება აქ იყოს შეხების წერტილი: დიურატიული მოქმედება გადადის სტატიკურ შედეგში. III ხოლმეობითში ნამყო-ხოლმეობითის დიურატიული მოქმედება ნამყო დროშივეა შეწყვეტილი, შედეგის სახითაა წარმოდგენილი, ის წინარეწარსულში იშლება და იქვე წყდება, დროულად შემოსაზღვრული ხდება; მას აწმყოსთან კავშირი არა აქვს; მისგან აწმყო ფორმებს ვერ მიიღებდა, როგორც ეს მოხდა უძველესი II ხოლმეობითისაგან (იცის, უწყის, მკის...). ის სხვა ტიპის ხოლმეობითია. მისი ჩამოყალიბება მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი, როცა ასპექტის ძველი სისტემა (დიურატიულობა-მომენტობრიობა) მთლიანად იყო მოშლილი და ხოლმეობითის ნაკვეთები დროთა სისტემაში იყო ჩართული. დროთა სისტემა კი ნამყოს წრიდან წარმოშობილ ინვერსიულ ნაკვეთებს ნამყოს წრის შესაბამისად იესებდა: ნამყო — პერფექტული ნამყო, კავშირებითი — პერფექტული კავშირებითი, ხოლმეობითი — პერფექტული ხოლმეობითი. აშკარაა, რომ III ხოლმეობითი გვიანი ფორმაციის ნაკვეთია, იმ ფორმაციის ნაკვეთია, როცა ხოლმეობითი მხოლოდ გზისობის ნიუანსით უპირისპირდებოდა ნამყოს სხვა ნაკვეთებს (ნამყო სრულს, II თურმეობითს). მასში შეიძლება ხოლმეობითობასთან ერთად თურმეობითობა, უნახაობაც გამოიხატოს, როგორც ეს პერფექტული ნაკვეთებისათვისაა დამახასიათებელი. რაიმე თავისებური ფუნქციური დატვირთვა III ხოლმეობითს არა აქვს.

## ОБРАЗОВАНИЕ И ЗНАЧЕНИЕ ФОРМ ТРЕТЬЕЙ СЕРИИ ВРЕМЕН И НАКЛОНЕНИЙ ГЛАГОЛОВ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

### Резюме

1. Формы III группы времен и наклонений учитывались в практических грамматиках еще до XX века, но квалифицировались они не по форме, а по функции, поэтому часто одна и та же форма оказывалась в разных группах наклонений с добавлением определенных модальных частиц; конечно, не могло быть и речи о выделении рассматриваемых конъюгационных основ в одну группу.

Н. Я. Марр был первым ученым, сгруппировавшим формы времен и наклонений по морфологическому принципу и выделившим в них III группу.

2. Такая группировка не является оптимальной: систематизация глагольных форм в III группе не подчиняется единому морфологическому принципу, в частности, с точки зрения исходной основы форма I результативного стоит ближе к группе настоящего времени, а II результативного и III сослагательного — прошедшего. Объединение конъюгационных основ III группы логично и наиболее экономично с точки зрения описания языка не по одному какому-либо признаку, а в силу комбинации признаков, единства особенностей, обнаруживаемых глаголами различной структуры при образовании форм этой группы, в частности: а) все переходные глаголы синтетического образования и инверсивного строя, б) все релятивно-непереходные глаголы синтетического образования и прямого строя, в) все абсолютные глаголы аналитического образования.

Такая группировка представляется простейшей и с точки зрения описания форм III группы; именно поэтому композиция работы построена на основе данного принципа.



3. Таким образом, конъюгационные единицы в III группе объединяются по общему правилу образования, в частности, в силу изменения морфологической структуры и синтаксической конструкции. Именно в этом плане переходные глаголы противопоставляются **релятивно-непереходным** и **абсолютным**. В двух последних типах глаголов морфологическая структура и синтаксическая конструкция устойчивы, а в переходных глаголах — и та, и другая изменчивы: морфологическая структура III группы по сравнению с настоящим и прошедшим временем инверсивна, а синтаксическая конструкция изменена, в частности, номинативную конструкцию настоящего времени и эргативную прошедшего времени замещает дативная конструкция, а трехличный состав заменяется двухличным (двухличный состав устойчив). Следовательно, переходный глагол в III группе двухличный. Инверсия — проблема двухличного глагола и предполагает, что «субъективные местоименные частицы являются показателями **логического** объекта, а объективные местоименные частицы — показателями **логического** субъекта» (Н. Я. Марр), а следовательно, «показания глагола и роль имени в предложении не согласуются, противоречат друг другу» (А. С. Чикобава).

Дативная конструкция III группы также представляет инверсивный образ номинативной конструкции настоящего времени; таким образом, и конструктивно III группа является третьей ступенью формирования переходных глаголов.

В древнегрузинском языке III группа времен и наклонений содержит четырех конъюгационных единиц: I результативное, II результативное, III сослагательное и III многократное (III пермансив).

4. Инверсивная модель I результативного переходных глаголов стоит обособленно от других членов III группы: она опирается на основу настоящего времени, тогда как остальные исходят из основы прошедшего. Изредка отмечаются факты использования в I результативном основы пермансива, как пережиток более древнего (первичного) состояния.

5. Прослеживается связь форм I результативного с настоящим временем статических глаголов. Видимо, модель образования I результативного переходных глаголов заимствована из настоящего времени статических глаголов с оконча-

нием -ie. Образованное по такому принципу I результативное совпадает с формой настоящего времени статического глагола в тех случаях, когда основой обеих форм послужила основа пермансива соответствующего глагола. Употребление этой основы и объединяет статическое настоящее с I результативным.

6. **Окончание -ie** в форме I результативного (и статического глагола) распадается на два суффикса: -i (исторический формант пермансива) и -e (суффикс аориста). Каким образом язык совместил два функционально полярных форманта (дюративности и совершенности)? Результативность требует завершеного действия. Изначально незавершенное, продолжающееся действие (в пермансиве и в настоящем времени) предстает в завершеном, результативном виде посредством суффикса аориста -e, который перекрывает семантику других суффиксов основы (-i и тематических показателей). Глагольная форма приобретает значение перфектности.

7. В форме I результативно за личными префиксами следуют **аффиксы -i- (в I-II лицах) и -u- (в III лице)**. Видимо, в них сохранились следы исходного состояния версии. версия в I—II лицах морфологически противопоставляется III лицу. Сформировавшаяся позже более сложная система версии затемнила прежнее состояние.

8. Личные показатели инверсивной модели I результативного представлены префиксами объектного лица и суффиксами третьего субъектного лица:

- |                 |   |                         |
|-----------------|---|-------------------------|
| 1. m-           | } | -s (    -n    -d)    -a |
| 2. g-           |   |                         |
| 3. Ø (x-    h-) |   |                         |

9. В древнегрузинском языке множественное число **реального субъекта в показателях объектного ряда** (что постепенно закрепилось в новогрузинском) **не отражалось**: *ispobies (mat)* «узнали (они)». Исключение составлял префикс I лица мн. ч. *gw-*: *gw-ixilvan* «мы увидели», однако древнейшее состояние, когда множественное число реального субъекта не отражалось, сохраняется и в этом случае: *ispobies čwen* «мы узнали».

10. Как следует из схемы, в древнегрузинском обильно представлены суффиксы III субъектного лица. Суффикс *-s* исторически заменился суффиксом *-a*. С присоединением *-a* в окончании *ie* отпало *-e*: было *-ies*, стало *-ia*; этот процесс протекал еще в древнегрузинском. Увязывание суффикса *-a* с вспомогательным глаголом *ars* неприемлемо, все языковые данные противоречат этому предположению.

В памятниках древнегрузинского языка суффикс *-s* sporadически замещается суффиксами *-n//d*. а, суффикс *S<sub>3</sub>* мн. ч. — *an* — суффиксами *-en//ed*. Это древнейшие показатели III субъектного лица, утраченные впоследствии. Наличие в них какой-либо другой функции (в частности, многократности) исключено. На самом деле здесь прослеживается хронологическое чередование диалектных морфологических показателей, их историческое закрепление.

11. Уже в древнегрузинском вспомогательными глаголами были осложнены синтетические формы I результативного. Их анализ показывает, что сначала вспомогательный глагол присоединялся к формам I и II лица (*šeurqrie*) с целью различия лиц. Формальное совпадение I и II лица было вызвано утратой показателей I субъектного лица *-v* и II субъектного лица *-x//h* в позиции перед гласным *u*. Затем по аналогии вспомогательный глагол появился и в других лицах.

12. Формальный анализ II результативного в древнегрузинском по сравнению с I результативным несколько проще — модель образования II результативного для всех глаголов одинакова: конъюгационная единица опирается на основу прошедшего совершенного соответствующего глагола и формально представляет прошедшее совершенное страдательного залога с префиксом *-e*, независимо от того, имеется или нет у данного переходного глагола соответствующий страдательный залог с префиксом *-e*.

13. Личные префиксы объектного ряда во II результативном те же, что и в I результативном: *m-* (|| *gw-*), *g-*,  $\emptyset$  (*h-* || *x-*).

14. Показателями субъектного лица выступают два суффикса: *-a* и *-o*.

15. Множественность реального объекта в субъектных показателях выражается двойной суффиксацией: *-n-es*.

